


ორბელიანი

Orbeliani

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიური ჟურნალი
Academic Journal of Sulkhan-Saba Orbeliani University

N8, 2025



მთავარი რედაქტორი: **ვაჟა ვარდიძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი)

ალმასრულებელი რედაქტორი: **დიმიტრი გეგენავა** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველო)

სარედაქციო საბჭო: **ბერნჰარდ უდე** (ალბერტ ლუდვიგის ფრაიბურგის უნივერსიტეტი), **გოჩა ბარნოვი** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **ნუგზარ ბარდაველიძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), **თამთა მიქაბერიძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **გიგი ყუფარაძე** (გრეგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი), **შოთა შაბურშიშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **თამარ ქობულაძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **მაია მაჭავარიანი** (კავკასიის უნივერსიტეტი), **გია ნოდია** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), **გიორგი გორაძე** (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი), **თეა სამჭკუაშვილი** (გრეგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი), **მარიამ ჯიქია** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), **პაატა ჯავახიშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **პეტროს ათ. პანაიოტოპულოსი** (თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი), **პროტოპრესვიტერი ვასილიოს ა. გეორგოპულოსი** (თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი), **იოანე ანტ. პანაიოტოპულოსი** (ათენის ეროვნული და კაპოდისტრიული უნივერსიტეტი, საბერძნეთი), **იოანა პიეჩოვიაკ-ლამპარსკა** (ტორუნის ნიკოლას კოპერნიკის სახელობის უნივერსიტეტი, პოლონეთი), **იაროსლავ კრაიკა** (მარია სკლოდოვსკა-კიურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), **რაფალ ვრეციონეკი** (ჟელონა გორას უნივერსიტეტი, პოლონეთი)

EDITOR IN CHIEF: **Vaja Vardidze** (Sulkhan-Saba Orbeliani University)

EXECUTIVE EDITOR: **Dimitry Gegenava** (Sulkhan-Saba Orbeliani University, Georgia)

EDITORIAL BOARD: **Bernhard Uhde** (Albert Ludwig University of Freiburg), **Gocha Barnovi** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Nugzar Bardavelidze** (Georgian Technical University), **Tamta Mikaberidze** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Gigi Kuparadze** (Grigol Robakidze University), **Shota Shaburishvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Tamar Kobuladze** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Maia Machavariani** (Caucasus University), **Ghia Nodia** (Ilia State University), **George Goradze** (Sulkhan-Saba Orbeliani University), **Tea Samchkuashvili** (Grigol Robakidze University), **Mariam Jikia** (Georgian Technical University), **Paata Javakhishvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University), **Protopresbyter Vasileios A. Georgopoulos** (Aristotle University of Thessalonica, Greece), **Petros Ath. Panagiotopoulos** (Aristotle University of Thessalonica, Greece), **Ioannes Ant. Panagiotopoulos** (National and Kapodistrian University of Athens, Greece), **Joanna Piechowiak-Lamparska** (Nikolas Copernicus University in Torun (Poland), **Jarosław Krajka** (Maria Curie-Skłodowska University, Poland), **Rafał Wrzecień** (University of Zielona Góra, Poland)

მექანიკური რედაქტირება ციცინო ხითარიშვილი

COPY EDITOR Tsitsino Khitarishvili



Content of this journal is licensed under a **Creative Commons Licence Attribution 4.0 International License** except where otherwise noted. For more information about the Creative Commons Licence, please visit: <https://creativecommons.org/licenses/by/4.0/>

ISSN 2667-9124
9772667912002

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025
Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2025

წინათქმა

საერთაშორისო ჟურნალ „ორბელიანის“ ეს სპეციალური ნომერი აერთიანებს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ეროვნული კონფერენციის – „ფუტუროლოგია და იმედი: პროგნოზები, შესაძლებლობები, გამოწვევები“ – ფარგლებში მომზადებულ მასალებს. კონფერენცია 2025 წლის 2 ივნისს ჩატარდა კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციისა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით რომის კათოლიკე ეკლესიის საიუბილეო წლის აღსანიშნავად. ვინაიდან აწ განსვენებულმა პაპმა ფრანცისკემ საიუბილეო წლის მთავარ თემად იმედი შეარჩია, კონფერენციის მიზანი იყო, შეექმნა ერთგვარი სადისკუსიო სივრცე იმედისა და მომავლის პროგნოზების მულტიდისციპლინური პერპექტივიდან განსახილველად.

ჟურნალში თავმოყრილ სტატიებში განხილულია როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო გამოცდილებაში დამუშავებული ფუტუროლოგიური ხედვები და მოდელები, ნაშრომების დიდი ნაწილი ფოკუსირებულია ქართული გამოცდილების ანალიზზე. ასეთი მიდგომა ქმნის ფუტუროლოგიური დისკურსის გეოგრაფიული, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური საზღვრების გაფართოებისა და ქართული გამოცდილების გლობალურ კონტექსტში ჩართვის შესაძლებლობას.

იმედს ვიტოვებთ, რომ ეს გამოცემა თავის წვლილს შეიტანს ეროვნულ კონტექსტში მომავლის წარმოდგენების გააზრებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის პროცესში და გახდება საინტერესო და მნიშვნელოვანი რესურსი როგორც სხვადასხვა დისციპლინის მკვლევრებისა და სტუდენტებისთვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ვისაც სურს იმედის, მომავლისა და მასთან დაკავშირებული სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ეთიკური და თუ სხვა საკითხების შესწავლა.

PREFACE

This special issue of the international journal Orbeliani brings together materials prepared within the framework of the national conference “**Futurology and Hope: Forecasts, Opportunities, Challenges.**” The conference was held on June 2, 2025, as a joint initiative of the Apostolic Administration of Latin Catholics in Caucasus and Sul Khan-Saba Orbeliani University, to mark the Jubilee Year of the Catholic Church. Since the late Pope Francis chose hope as the central theme of the Jubilee Year, the conference aimed to create a forum for discussion in which hope and projections about the future could be examined from a multidisciplinary perspective.

The articles collected in this issue address futurological visions and models developed both in Georgian and in global experience, with a large portion of the contributions focusing on the analysis of the Georgian context. This approach makes it possible to broaden the geographical, scholarly, and methodological boundaries of futurological discourse and to place Georgian experience within a global framework.

We hope that this publication will contribute to the process of reflecting on conceptions of the future in the national context and to the study of related issues, and that it will serve as an engaging and valuable resource for researchers and students across disciplines, as well as for any interested reader who seeks to explore hope, the future, and the social, political, cultural, ethical, and other questions connected to them.

სარჩევი

რუსუდან ასათიანი	1
ენის კრიზისი თანამედროვე მსოფლიოში	
Rusudan Asatiani	11
THE CRISIS OF A LANGUAGE IN THE MODERN WORLD	
ცირა კილანავა	12
ეროვნული მომავლის მოდელები კოლონიური პერიოდის (მე-19 საუკუნის) ქართულ პოეზიაში	
Tsira Kilanava	35
MODELS OF THE NATIONAL FUTURE IN COLONIAL PERIOD (19 TH CENTURY) GEORGIAN POETRY	
მაია ჯალიაშვილი	37
ადამიანები და მოვლენები დროის ერთიანობის კონტექსტში (თამარი ფხაკაძის რომან „ჩვენ, თურმელების“ მიხედვით)	
Maia Jaliashvili	52
PEOPLE AND EVENTS IN THE CONTEXT OF THE UNITY OF TIME (BASED ON TAMRI PKHAKADZE'S NOVEL „WE, THE TURMELS“)	
მზია ჯამაგიძე	53
პოსტკოლონიური უტოპიანიზმი, ალოქრონიზმი და ნაციონალური „მომავლის გახსენება“ იოანე-ზოსიმეს ტექსტის – „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“ – მიხედვით	
Mzia Jamagidze	67
POSTCOLONIAL UTOPIANISM, ALLOCHRONISM, AND THE RECOLLECTION OF NATIONAL FUTURE IN IOANE-ZOSIME'S TEXT „PRAISE AND EXALTATION OF THE GEORGIAN LANGUAGE“	
დავით ბარათაშვილი	68
აკოკალიკტურ წარმოდგენათა ანალიზი გილგამეშის მიტის და განწყობის თეორიის საფუძველზე	


Davit Baratashvili	82
AN ANALYSIS OF APOCALYPTIC BELIEFS BASED ON THE MYTH OF GILGAMESH AND ATTITUDE AND SET THEORY	
თამთა ამირანაშვილი	84
მარგარეტ ედვუდის „ორიქსი და კრაიკი“ – პოსტჰუმანისტური რეალობა ბიოტექნოლოგიურ ეპოქაში	
Tamta Amiranashvili	95
MARGARET ATWOOD'S „ORYX AND CRAKE“: POSTHUMAN REALITY IN A BIOTECHNOLOGICAL AGE	
მანანა კვატაია	96
მიკროაკოკალიფსის კონცეპტის ჰუმანისტური პროგნოზირების პარადიგმული მოდელი	
Manana Kvataia	108
PARADIGMATIC MODEL OF HUMANISTIC FORECASTING OF THE MICRO-APOCALYPSE CONCEPT	
ეკატერინე ჭუმბურიძე-შენიშული	109
ადამიანის ტრანსფორმაცია სხეულის ცვლილებიდან მისი ბუნების მოდიფიკაციამდე XXI საუკუნის ფრანგულ და ქართულ დისტოპიაში	
Ekaterine Chumburidze-Shetsiruli	120
HUMAN TRANSFORMATION: FROM BODILY ALTERATION TO THE MODIFICATION OF HUMAN NATURE IN 21 ST -CENTURY FRENCH AND GEORGIAN DYSTOPIAN LITERATURE	
ლევან გელაშვილი	121
სამეცნიერო ფანტასტიკა, როგორც ლიტერატურული მოვლენა: თეორია, ისტორია, ინტერპრეტაციები	
Levan Gelashvili	148
GENRE MARKERS OF SCIENCE FICTION AND THE EARLY PHASE OF GEORGIAN SCIENCE FICTION	

რუსუდან ასათიანი*

ენის კრიზისი თანამედროვე მსოფლიოში

ენის საკომუნიკაციო ფუნქცია გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის შემცველი შეტყობინების გადაცემას, არამედ ამ შეტყობინების დეკოდირება-გაგებას. რომან იაკობსონის მიხედვით, კომუნიკაციის განსახორციელებლად, აქტორების (*resp.* ადრესანტი და ადრესატი) და თავად გადასაცემი ინფორმაციის გარდა, აუცილებელია საერთო კულტურული ფონის (*resp.* კონტექსტის, დისკურსის) არსებობა.¹

ფიგურა 1. ენის ფუნქციების ამსახველი იაკობსონისეული სქემა



ნებისმიერი საკომუნიკაციო სისტემის ერთეული – ნიშანი – მხოლოდ სოციალურ ფუნქციონირებას და ამ სისტემით მოსარგებლე ინდივიდთა საერთო დისკურსს ქმნის.

თავად ნიშანი, ფ. დე სოსიურის მიხედვით, რთული ფსიქო-ფიზიოლოგიური დინამიკური პროცესის შედეგია: შეგრძნებებიდან მიღებული აღქმა-წარმოდგენების აბსტრაქტირებითა და კატეგორიზაციით ყალიბდება აბსტრაქტული, ზოგადი ცნება – კონცეპტი.² სწორედ ამგვარი კონცეპტების (*resp.* ალსანიშნი) მონიშვნა-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, <https://orcid.org/0009-0002-1469-9003>

¹ Jacobson, 1960, 353.

² Saussure, 2011, 66.


კოდირება (**resp.** მარკირება) ხდება გარკვეული, ასევე სპეციფიკური ნიშნებისგან განზოგადებული, აბსტრაქტული სამეტყველო ბგერით (ფონემით), რაც ქმნის ენობრივი ნიშნის მატერიალურ ფორმას (**resp.** აღმნიშვნელს). ამგვარად, ნიშანი მოიაზრება როგორც ფორმისა (**resp.** აღმნიშვნელის) და შინაარსის (**resp.** აღსანიშნის) სიმბიოზური მთლიანობა.

უფრო დანვრილებით, ფსიქო-ფიზიოლოგიური დინამიკური პროცესი შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

1. სინამდვილის ობიექტით/მოვლენით გამოწვეული გრძნობის ორგანოების გაღიზიანების შედეგად წარმოიქმნება ფიზიოლოგიური ინფორმაცია შეგრძნებების სახით;
2. ეს ფიზიოლოგიური ინფორმაცია გადაეცემა ცენტრალურ ნერვულ სისტემას (**resp.** ტვინს), სადაც ამ შეგრძნებების ერთიანი აღქმის საფუძველზე ეს გაღიზიანება გარდაიქმნება ფსიქიკურ ინფორმაციად და ფორმირდება წარმოდგენა;
3. წარმოდგენების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე, მსგავსება-განსხვავებულობების დაფიქსირებით ხორციელდება წარმოდგენებისათვის მთავარი, სხვა საგნებისაგან გამომაცალკეებელი ნიშან-თვისებების აბსტრაქტირება – ნიველირდება ყოველი არარელევანტური კონკრეტული ნიშან-თვისება და რჩება მხოლოდ საერთო და რელევანტური. ასე ფორმირდება კონკრეტული წარმოდგენებისგან აბსტრაქტირებული ცნება, კონცეპტი;
4. ეს კონცეპტები, კვლავ ფსიქიკური პროცესების შედეგად, სტრუქტურირდება კატეგორიების იერარქიული სისტემის სახით;
5. ამგვარად ორგანიზებულ კონცეპტებს მონიშნავს აბსტრაქტირებულ ბგერათა (**resp.** ფონემათა) „შერჩეული-შეთანხმებული“ მიმდევრობა და
6. იქმნება ნიშანი, რომელიც სოციალიზაციის შედეგად ენის ერთიან დისკურსში იწყებს ფუნქციონირებას. (ფიგურა 2.)

თუმცა, აღქმა – განსაკუთრებით ისეთი, რომელიც აბსტრაქტულ ცნებებს შეესაბამება და არ აქვს შესაბამისი დენოტატი – მანიპულირებადია, რადგან გრძნობის ორგანოებით მიღებული შეგრძნებები ძირითადად სუბიექტურია და აღქმა → წარმოდგენა გარკვეულწილად ინდივიდუალურია. მაგ., ნიშანი *სიყვარული* მიემართება კონცეპტს, რომელიც ყოველდღიურ გაგებაზე დაფუძნებით გულისხმობს *ძლიერ და პოზიტიურ ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, ყველაზე ამაღლებული სათნოებებიდან ან კარგი ჩვევებიდან, ღრმა ინტერპერსონა-*

ფიგურა 2. ნიშნის ფორმირების ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესის ამსახველი სოსიურისეული სქემა



ლური სიყვარულიდან დაწყებული, უმარტივეს სიამოვნებამდე. 1990-იან წლებში ქართველმა ფილოსოფოსმა და პოლიტიკოსმა მერაბ მამარდაშვილმა თავის საჯარო გამოსვლებში აღნიშნა, რომ საბჭოთა დისკურსში ეტაპობრივად შეიცვალა ტექსტის ინტერპრეტაციის საერთო დისკურსი და, მაგალითად, წინადადებამ *მე მიყვარს ჩემი ლიდერი* საერთო კონვენციური კონცეპტუალური მნიშვნელობის პარალელურად შეიძინა იმდროინდელ რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული ინტერპრეტაცია და აღქმულ იქნა წინადადებად *მე ვარ ჩემი ლიდერის მონა*. ამრიგად, ნიშანმა შეიძინა ორი მნიშვნელობა: 1. *სიყვარული-1*, როგორც მას იზიარებდა სოციალურ ჯგუფთა დიდი ნაწილი; და 2. *სიყვარული-2*, როგორც ის ფუნქციონირებდა მხოლოდ კონკრეტული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის, რომელთაც საბჭოთა რეალობაში დისიდენტებს უწოდებდნენ. შესაბამისად, ერთი ნიშანი სიყვარული დაიშალა და ერთსა და იმავე გამოხატულებას (*resp.* ფონემათა მიმდევრობას ს-ი-ყ-ვ-ა-რ-უ-ლ-ი) ორი აღსანიშნი გაუჩნდა, რომელთაგან ერთ-ერთმა შეიძინა ახალი, დისიდენტური შინაარსი: *გიყვარს, ე.ი. ხარ*

მონა და ამ დისიდენტურ დისკურსში სიყვარული გაიგივდა მონობასთან; ანუ, გაჩნდა ნიშანი ორი აღსანიშნით (*resp.* კონცეპტით), რომელიც განსხვავებული შინაარსებით დღესაც ფუნქციონირებს გარკვეულ ორ ქვედისკურსში: საერთო დისკურსი დაშლილია და ერთი ქვედისკურსის შინაარსი უპირისპირდება მეორე ქვედისკურსში შეძენილ შინაარსს. ნიშნის ასეთი დეკონსტრუქცია მანიპულირებადიც შეიძლება გახდეს: თუ სოციუმს მივანოდებთ ახალ, თუნდაც მოდელირებულ ფაქტებს, სოციუმის ის ნაწილი, რომელიც ამ „ფაქტების“ გავლენის ქვეშ სხვადასხვა ფაქტორის გამო მოექცევა, თავისთავად აღმოჩნდება ახალ ქვედისკურსში. (ფიგურა 3.)

**ფიგურა 3. ქვედისკურსში „დეკონსტრუირებული“ ნიშანი:
რენე მაგრიტის ტილო**



კულტურული რევოლუციები გარკვეუნილად ცვლიან ნიშანთა სისტემებს: მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის არსებული სპეციფიკური მსოფლხედვიდან თუ სამყაროსადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამ ორ მიმდინარეობას შორის განსხვავება სემიოტიკური ნიშნის თეორიის ჩრილში გავანალიზოთ და გავიაზროთ.

შეიძლება ითქვას, რომ მოდერნიზმისთვის დამახასიათებელია ნიშნის გამოხატულების პლანთან დაკავშირებული ექსპერიმენტების შედეგად ფორმის

ნგრევა: აბსტრაქციონიზმი, კუბიზმი, ფუტურიზმი, დადაიზმი, ავანგარდიზმი, სიმბოლიზმი და სხვ., თუმცა შინაარსის პლანის მთლიანობა საერთო დისკურსისათვის ძირითადად შენარჩუნებულია და მხოლოდ სუბიექტური ინტერპრეტაციების ჩარჩოებში ექცევა.


ფიგურა 4. მოდერნიზმის ნიმუში: პიკასოს გერნიკა



ხოლო პოსტმოდერნიზმის ძირითადი მახასიათებელია შინაარსის პლანთან დაკავშირებული ექსპერიმენტული მანიპულაციები და ნიშნის ფორმაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება: ტექსტის ეკლექტიზმი და ინტერტექსტუალობა, ტექსტის დეკონსტრუქცია და დეცენტრალიზაცია (მყარი შინაარსების მოშლა), ქაოსი და ჰიპერრეფლექცია, ავტორსა და ამ ტექსტის შემქმნელს შორის ზღვრის მოშლა, ზედროული და ზესივრცული პროექციები, რეალობის ირონიზაცია და საერთოდაც მისი უარყოფა და სხვ. ამ პროცესის ლოგიკური დასასრულია ერთიანი დისკურსის გაქრობა: დივერგენციის შედეგად ქვედისკურსებად დანაწევრებული შინაარსის პლანის რღვევის ლოგიკური შედეგია საერთო სოციუმისთვის ერთიანი შინაარსის პლანის სრული მოშლა და გაქრობა. (ფიგურა 5.)

პოსტმოდერნული ნიშნის ფორმა არა კონცეპტთან, არამედ დისკურსულად დანაწევრებული აღქმებით მიღებულ წარმოდგენათა სპეციფიკურ კონასთან ამყარებს სიმბიოზურ კავშირს და ამ კონკრეტულ ქვედისკურსში ჩამოყალიბებული ცნებების მარკირებას ახდენს, რაც შეუძლებელს ხდის ენის მთავარი, საკომუნიკაციო ფუნქციის რეალიზებას, რადგანაც ტვინი ერთიანად რეაგირებს შემეცნებით პროცესებზე და ანალიტიკურ განსხვავებას ხელოვნებასა (რომლისთვისაც ორივე ეს მიმდინარეობა ჭეშმარიტად აღმაფრენის და წარმოსახვების ფანტასმაგორიული შესაძლებლობებით ადამიანის ცნობიერების განვითარების წყაროა)


ფიგურა 5. პოსტმოდერნიზმის ნიმუში: ჯოზეფ ჰაველის ტილო



და ცხოვრებას შორის თანდათანობით აუქმებს (რაც უკვე დასაფიქრებელ, სახიფათო ტენდენციებს შეიცავს): თუ კონკრეტული წარმოდგენების აბსტრაქტირება, ანუ კონცეპტუალიზაცია, ერთი ენის მატარებლებს შორის უნიფიცირებული არაა, სპეციფიკურ დისკურსებში მოქმედი სპეციფიკური აღქმა-წარმოდგენებით კომუნიკაცია ერთ ენაზე მოსაუბრე ადამიანებს შორისაც კი შეუძლებელი ხდება და ნიშნის დეკოდირება-იდენტიფიცირება მხოლოდ დანაწევრებულ დისკურსებში, ქვესოციუმებშია შესაძლებელი. ასეთ დისკურსებს შორის კომუნიკაცია „თარგმანს“ უფრო ემსგავსება და, ამდენად, ბუნებრივად უკავშირდება ჩვეულებრივ მოტივაციას: უნდა კი ვინმეს რაიმე ტექსტის „თარგმნა“-გაგება? შინაარსის პლანის ამგვარი მანიპულაციები უკვე სცდება სუბიექტური ინტერპრეტაციების ჩარჩოებს და ნიშნის საერთო დისკურსის ფარგლებში ფაქტობრივად მთლიანად ანგევს შინაარსის პლანს.

მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმს შორის სხვაობის შესახებ ზემოთ შემოთავაზებული, სემიოტიკურ ჩარჩოში განზოგადებული მსჯელობა შეიძლება შემდეგი ფიგურის სახით შევაჯამოთ: (ფიგურა 6.)

ფიგურა 6. ნიშანი მოდერნიზმსა და პოსტმოდერნიზმში




პოსტმოდერნულ სამყაროში ენის ეს მდგომარეობა, ვ. ფონ ჰუმბოლდტის თეორიული მიდგომით, ფაქტობრივად უფრო მძაფრ სურათს იძლევა: იქმნება ვირტუალური პარალელური სამყაროები.³

საზოგადოდ, ინფორმაცია სამი სახით არსებობს:

- (1) პირველი – ობიექტურ რეალობაში საგნისა თუ მოვლენის სახით (A);
- (2) მეორე – ადამიანის ცნობიერებაში კონცეპტების სახით (B);
- (3) მესამე – ენობრივ ფორმაში, კომუნიკაციისას (C).

ეს ფორმები ურთიერთდაკავშირებული, მეტიც, ურთიერთგანპირობებულია და ერთმანეთის გარეშე არც არსებობენ: სინამდვილის ყოველ მოვლენას (A) ცნობიერებაში სპეციფიკური კონცეპტუალური სტრუქტურა (B) შეესაბამება, რომელიც გარკვეული ენობრივი ფორმებით (C) რეალიზდება. „სინამდვილე“ განსაზღვრავს აღქმა-წარმოდგენას და მისი გავლით ენობრივ სისტემასაც, რაც, თავის მხრივ, უკუგავლენას ახდენს მასზე. ცნობიერებით გაშუალებული ყოველი ენა თავისი ნიშნებით სპეციფიკურად ანაწევრებს სინამდვილეს, გარკვეულ ურთიერთმიმართებებს ამყარებს მის ელემენტებს შორის და, შეიძლება ითქვას, კიდევაც ქმნის ჩვენს აღქმაში არსებულ სინამდვილეს (ეს, განსაკუთრებით, მხატვრულ ლიტერატურას ეხება); ანუ, ენასა და სინამდვილეს შორის ურთიერთშექცევადი კავშირია, რომელიც გაშუალებულია ცნობიერებით.

ფიგურა 7. ინფორმაციის სამი ფორმა



ჰუმბოლდტის მიხედვით ენა ქმნის სინამდვილეს, რამდენადაც ის ადამიანური აქტივობის, შემოქმედების შედეგი (resp. Ergon) კი არ არის, არამედ თავად არის შემოქმედი (resp. Energeia).⁴ ე.ი., შეიძლება ითქვას, რომ პოსტმოდერნულ სამყაროში ქვედისკურსებად დეკონსტრუირებული შინაარსის პლანის შედეგად,

³ Humboldt, 1999, 58-59.

⁴ იქვე, 50-80.

ფაქტობრივად, იქმნება ვირტუალური სამყაროები და ამგვარად დივერგირებულ, ვირტუალურ სივრცეში მყოფ ადამიანებს შორის კომუნიკაცია გართულებულია.

ენას ეს თვისებები ყოველთვის ახასიათებდა, მაგრამ ტექნოლოგიების (მედიკინა, კინო, ინტერნეტი, სოციალური ქსელები, ხელოვნური ინტელექტი) განვითარების შედეგად, განსაკუთრებით დღევანდელ, თანამედროვე სოციუმში, იქმნება ქაოტური მდგომარეობა: შეგრძნების ორგანოებისადმი გაჩენილი „უნდობლობისა და სკეფსისის“ პირობებში – არ გვჯერა იმის, რაც გვესმის; უკვე გვაეჭვებს ისიც, რასაც ვხედავთ; ვიცით, რომ შესაძლებელია სუნებით და გემოებით მანიპულაცია – სოციუმის გარკვეულ ფენებს თავსმოხვეული „ინტერპრეტაციები“ საფრთხეს უქმნიან ნიშნის ზოგად საკომუნიკაციო ფუნქციას. სოციუმის გარკვეული ჯგუფებით შემოფარგლულ, ლამის ინდივიდუალურ დაყვანილ ქვედისკურსებში არსებული საკომუნიკაციო სივრცე, განსაზღვრული სპეციფიკური აღქმა-წარმოდგენებით, დანაწევრებული ვიწრო, ე.წ. „ვირტუალურ“, სივრცეებად, სადაც ნიშანი სხვადასხვაგვარ შინაარსებს უშვებს (არა ინტერპრეტაციის, არამედ უკვე კონცეპტუალური სხვაობების სახით), ანგრევს ენის საკომუნიკაციო ფუნქციას და ადამიანების ერთიან სურათს სინამდვილეზე. პარალელური სამყაროების არსებობა ფანტასტიკის სფეროდან თუ ფიზიკის თეორიული შესაძლებლობებიდან პოსტმოდერნულ პროექციაში ლამის ნამდვილ „სინამდვილედ“ იქცევა.

ენა ამ ქაოსისგან თავის დაღწევას ცდილობს და ენის რეფერენციული, ნომინაციური ფუნქციის შესანარჩუნებლად აყალიბებს გარკვეულ დისკურსულ მარკერებს. ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ახალგაზრდების (და უკვე არა მხოლოდ) მეტყველებაში დაფიქსირებულ ე.წ. tag-ტიპის ფრაზული გამონათქვამი *ოღონდ მართლა*, რომელსაც ფაქტობრივად დაკარგული აქვს თავისი პირდაპირი მნიშვნელობა და ქცეულია დისკურსის ფუნქციონალურ ელემენტად და გვეუბნება: *ნუ მოახდენ ინფორმაციის ინტერპრეტირებას და ქვეტექსტების ძებნას, გაიგე ტექსტი ენის ნიშნების საერთო, საზოგადო მნიშვნელობით!*

მაგალითები:

- *თბილისში წვიმს, ოღონდ მართლა!*
- *კინოში წავიდეთ, ოღონდ მართლა!*
- *გამოცდაზე ვერ გამოვედი იმიტომ, რომ ბებია გარდამეცვალა, ოღონდ მართლა!*
- *ეს გოგონა მომწონს, ოღონდ მართლა!*
- *ეს სიმართლეა, ოღონდ მართლა!*

და სხვ.

ამ სახის დიკურსული მარკერები არა მხოლოდ ქართულში, არამედ სხვა ენებშიც ფიქსირდება, რასაც სპეციალური კვლევა სჭირდება.

„საკომუნიკაციო სისტემის გადასარჩენად“ და ამ პარადოქსული სიტუაციიდან გამოსავლის საპოვნელად (*ადამიანი ხომ სოციალური არსებაა და ენობრივი კომუნიკაცია მისი ძირითადი და სხვა ცოცხალი არსებებისგან განმასხვავებელი ნიშანაცაა?*) ამგვარი მარკერიც არ აღმოჩნდა საკმარისი და, ენისადმი გაჩენილი სკეფსისის ფონზე, ენის რეფერენციული ფუნქციის შესანარჩუნებლად, ვაკვირდებით საინტერესო ტენდენციებს: სამეტყველო ბგერაზე დაფუძნებული ტრადიციული საინფორმაციო სისტემის (**resp.** ენის) მისწრაფებას, ერთი მხრივ, მინიმალიზაციისკენ – იგულისხმება მოკლე ტექსტური შეტყობინებები, გრამატიკული ნორმების ნიველირება, უსრული წინადადებების სიჭარბე, ე.წ. საკვანძო სიტყვებით კომუნიკაცია და სხვა ამგვარი – და, მეორე მხრივ, ვიზუალიზაციისკენ – კომუნიკაციისას სულ უფრო და უფრო მეტად ინფორმაციის კოდირების ვიზუალური ფორმების გამოყენება: უშუალო საუბრის ნაცვლად მობილურებით კომუნიკაცია, ტექსტური მოხსენებების ნაცვლად საკვანძო სიტყვებით მოწოდებული პრეზენტაციები, ვერბალური ტექსტის ნაცვლად ინფორმაციის კოდირებისათვის იმოჯებისა თუ მემოჯების, მოკლე ვიდეოკლიპებისა თუ ტიკ-ტოკის ტიპის სემიოტიკური სისტემების გამოყენება, რის საშუალებასაც თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები და მასმედიაში დომინანტური ტელევიზორცე იძლევა – თითქოს თავისთავად მართლდება პოსტმოდერნიზმის ძირითადი კრედო: *ყველაფერი შესაძლებელია!* ოღონდ ახლა არა მხოლოდ კულტურაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

ენა ამ კომუნიკაციური კრიზისისგან თავის დასაღწევად და თავის რეფერენციული, ნომინაციური ფუნქციის შესანარჩუნებლად კიდევ ერთ ხერხს მიმართავს: ის იწყებს დეკონსტრუირებული ნიშნის დანგრეული ფორმისა (**resp.** მოდერნი) თუ დანგრეული შინაარსის (**resp.** პოსტმოდერნი) ახლებურ რეკონსტრუქციას, რაც მეტამოდერნიზმის მთავარი მახასიათებელია. მეტამოდერნიზმი ცდილობს შეავსოს „ცარიელი“ შინაარსის პლანი პლურალურობის შენარჩუნებით იმგვარად, რომ თუნდაც საპირისპირო მნიშვნელობებს ერთ ოქსიმორონულ აღსანიშნ-კონცეპტად აერთიანებს: *გმირი-მხდალი, ბოროტი-კეთილი, სიცოცხლე-სიკვდილი* და ა.შ. იგი მოიცავს პარადოქსებს, ალტერნატიულ რეალობებს, მრავალფეროვან (თუნდაც საპირისპირო) ემოციებს, რომლებიც ბუნებრივად ახლავს ცხოვრებას. მეტამოდერნიზმმა, როგორც ტენდენციამ, თავისი პლურალისტური იდენტიფიკაციით მოახდინა ისეთი მგრძნობელობის სახელდება, რომელსაც ბე-

ვრი ცალ-ცალკე აკვირდებოდა, ახლა კი ეს განსხვავებულობები შეიძლება განიხილებოდეს როგორც შემეცნების ერთი, მთლიანი საგანი.

ფიგურა 8. მეტამოდერნული ნიშანი



ადამიანები ისწრაფვიან კომუნიკაციისკენ და ითხოვენ ცვლილებებს. მეტამოდერნიზმი ცდილობს გადალახოს კომუნიკაციური კრიზისი მსოფლიოს პლურალისტური დიქტომიის ასახვით, თუმცა, მეორე მხრივ, ის ხელს უწყობს ამბივალენტური და ფსიქიკურად პრობლემური კონცეპტების ჩამოყალიბებას და ფაქტობრივად მხოლოდ „ილუზიურ“ საკომუნიკაციო სივრცეს ქმნის: ასეთი „გამაერთიანებელი“ ოქსიმორონული მნიშვნელობები შესაძლებელს კი ხდის „კომუნიკაციას“ (ფაქტობრივად, „ვირტუალურ კომუნიკაციას“), მაგრამ ამგვარი კომუნიკაცია „ვირტუალურ“ რეალობებს შორის მყარდება და ენის ნომინაციური ფუნქცია კვლავ გასაჭირში რჩება.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- Humboldt W. Von, On Language: On the Diversity of Human Language Construction and Its Influence on the Mental Development of the Human Species, Translated by P. Heath, Edited by M. Losonsky, 2nd Ed., Cambridge University Press, 1999
- Jacobson R., Closing Statement: Linguistics and Poetics, in: Style in Language, Edited by Th. A. Sebeok, Technology Press of Massachusetts Institute of Technology, 1960
- Saussure F. De, Course in General Linguistics, Translated by R. Harris, Edited by Ch. Bally, A. Sechehaye, A. Riedlinger, Columbia University Press, 2011

Rusudan Asatiani*

THE CRISIS OF A LANGUAGE IN THE MODERN WORLD

Abstract

The sign, as a symbiotic unity of content and expression, undergoes a certain deconstruction in different directions in the modern world: 1. Modernism is characterised by the destruction of form caused by experiments related to the expression: abstractionism, cubism, futurism, dadaism, avant-gardism, symbolism, etc.; although the whole social discourse's content is mostly preserved and it disrupts only within the framework of subjective interpretations. As for 2. Postmodernism, experimental manipulations are related to the content of a sign: eclecticism and intertextuality, deconstruction and decentralisation, disruption of solid content, chaos and hyper-reflection, breaking the boundary between the author and readers, temporal and supra-spatial projections, the ironic reflection of reality, and even its general rejection, etc. The logical end of this process is the disappearance of the unified content and common discourse. The Credo of postmodernism is: *Everything is possible!* As a result of such divergence, the content of a sign is defined within sub-discourses, which actually create „virtual worlds”. Communication between people in these divergent, virtual spaces is hindered and almost impossible. The language tries to escape from this crisis and to maintain the communicative function of the language. This is the main attempt of 3. Metamodernism. It tries to fill the „empty” content by keeping plurality, sometimes uniting opposite meanings into one oxymoronic concept: *hero-cowardly, evil-God, sunny-night, dead-alive*, etc. It encompasses the paradoxes, alternate realities, and emotional swings accompanying life. However, on the other hand, metamodernism promotes the setting up of ambivalent and mentally problematic concepts and factually creates the illusion of communication: Such oxymoronic meanings make possible communication, but only between the „virtual” realities.

Keywords: Semiotic Sign, Modernism, Postmodernism, Metamodernism, Oxymoron.

* Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. <https://orcid.org/0009-0002-1469-9003>

ცირა კილანავა*

ეროვნული მომავლის მოძრაობი კოლონიური პერიოდის (მე-19 საუკუნის) ქართულ პოეზიაში

I. შესავალი

„დაიბეჭდა მანიფესტი და გამოსცეს რა ბრძანება,
როს ვიხილეთ, წარვიკითხეთ, ცეცხლმან გვიყო გულსა დება,
გვაქენდა მარად გლოვნა, ოხვრა, არა სად ჩნდა ღვინო-შეება,
მადლი ღმრთისა, მისი იყოს წადილი და მისი ნება.“

გაბრიელ რატიშვილი¹

მე-19 საუკუნე საქართველოში ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო მმართველობის იძულებითი გაუქმებით დაიწყო: 1801 წელს ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად გამოიცა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტი, რომ-

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი. <https://orcid.org/0000-0001-9752-9661>

¹ რუსეთის იმპერიაში იძულებით გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა (კონკრეტულად, იოანე ბატონიშვილის) მხლებლის, მწერლისა და ადიუტანტის, გაბრიელ რატიშვილის, მრავალმხრივ საყუარადღებო პროზაულ თხზულებაში „მცირედი რაიმე მოთხრობა როსსიისა“ (იხ., შადური 1962, 156-301) ჩართული ეს სტროფი 16-მარცვლიანი წყობითა და ციტირების სახით პირდაპირ უკავშირდება შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ (რატიშვილს, შაირის გარდა, ჩართული აქვს ჩახრუხაული და ფისტკაურიც); კერძოდ, უცხო მოყმის გაუჩინარებით დეპრესიაში ჩავარდნილი როსტევეანის სიტყვებს: „ბრძანა: ღმერთსა მოეწყინა აქამდისი ჩემი შვება,/ ამაღ მიყო სიამისა სიმწარითა დანავლელა,/ სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალ-უც განკურნება. მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება“. სალექსო საზომისა და ლექსიკურ დონეზე ინტერტექსტურობის გარდა, ჩემი დაკვირვებით, რატიშვილის მიერ ქართველთა მძიმე ემოციური მდგომარეობის (შოკის, უიმედობის, გლოვის...) რეპრეზენტაცია სწორედ როსტევეანის დანავლელის ეპიზოდის მიხედვით შემთხვევითი არაა და საჭიროებს კონტექსტუალურ განხილვას. ღვთის ნების უზენაესობასა და გარდაუვალობას აღიარებენ და მის მიმართ მორჩილებას ექსპლიციტურ დონეზე გამოხატავენ პოემის სხვა პერსონაჟებიც (მაგ., ავთანდილი, ფრიდონი...), მაგრამ როსტევეანი ამ სიტყვებს ამბობს თავისი უშედეგო და მსხვერპლიანი მცდელობების შემდეგ; უცხო მოყმის გამოჩენითა და უგზოუკვლოდ გაქრობით გამოწვეული ნალველი მეფეს მარადიულ სატანჯველად ესახება და გარემოებისადმი შემგუებლობა აქ მისი საბოლოო დანებების, უღონობის მაჩვენებელია, მაგრამ არა – არჩევანი. ამ კონტექსტში „მასვე მადლი!“ სიმწრით ნათქვამი სიტყვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, რატიშვილისეული ფორმულირება უნდა აჩვენებდეს ქართველთა (უპირველესად, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახისა და მისი წრის) უღონობას, მცდელობათა უშედეგობასა და საბოლოო დანებებას.

ლითაც ჯერ აღმოსავლეთი საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს), შემდეგ კი დასავლეთი საქართველოს ანექსია² და სრული კოლონიზება მოხდა. ამით, სხვა წინმსწრებ წერილობით თუ ზეპირ შეთანხმებებთან ერთად, უხეშად დაირღვა რუსეთის იმპერიასთან თანაბარუფლებიანი პოლიტიკური (სამეგობრო) კავშირის ხელშეკრულებაც, რომელიც გეორგიევსკის ციხესიმაგრეში ოფიციალურად 1783 წელს გაფორმდა.³ სახელმწიფოებრიობანართმეულ საქართველოში თავიდანვე დაიწყო ანტირუსული აჯანყებები (1802, 1804, 1812, 1819-1820... წ.წ.), თუმცა რუსულმა იმპერიალისტურმა რეჟიმმა ისინი სასტიკად ჩაახშო⁴; სპონტანური აჯანყებების⁵ შემდეგ გეგმაზომიერად მომზადდა 1832 წლის შეთქმულე-

² ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა რეჟიმის მკაცრი იდეოლოგიის გავლენით, ეს მოვლენა ფასდებოდა, როგორც საქართველოს ფიზიკურად გადარჩენის უალტერნატივო გადაწყვეტილება, როგორც ისლამური იმპერიებისგან მომდინარე რეალური საფრთხისგან თავდაცვის ერთადერთი საშუალება. ამ ფონზე, იჩქმალეობდა მთელი რიგი ისტორიული პროცესებისა და დოკუმენტებისა, რომელთა გაუთვალისწინებლადაც შეუძლებელია ასეთი მასშტაბური ისტორიული მოვლენის რეკონსტრუირება და მისი ადეკვატური შეფასება. მიზანმიმართულად გავრცელებული მცდარი/მიკერძოებული მოსაზრებების უმართებულობა (მათ შორის, იმ საკითხთან დაკავშირებითაც, თუ როგორ/რა ფორმით ითხოვდა ქართული მხარე რუსეთის იმპერიის მხარდაჭერას) და საბუთებულობა ლუიჯი მაგაროტოს მონოგრაფიაში – „საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801)“, რომელშიც, აგრეთვე აღნიშნულია, რომ ჩრდილოეთის ქვეყანა არ ყოფილა ერთადერთი საორიენტაციო კულტურულ-პოლიტიკური სივრცე ერეკლე მეფისთვის. იხ., მაგაროტო, 2008. გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებამდე (კერძოდ, 1779-1782 წლებში) ევროპასთან უშუალოდ დასაკავშირებლად და „ევროპის რიგზე ჯარის გასაწყობად“ რომის პაპისა და კარდინალების, ავსტრიის, ვენეციის, სარდინიის, კორსიკის სუვერენებთან ერეკლე მეფეს საიდუმლოდ გაუგზავნია წერილები ქართულ ენაზე. ერეკლე მეფისეული პროეგროპული/საქართველოს მოდერნიზაციის პროექტის სარეკონსტრუქციოდ ამ წერილებისა და დასავლეთ ევროპის ბიბლიოთეკებში დაცული მანამდე უცნობი საარქივო მასალების მნიშვნელობის შესახებ იხ. დობორჯგინიძე, 2019.

³ პ. ბუტკოვის, ს. ბურნაშევის, ნ. დუბროვინისა და ალ. ცაგარლის უაღრესად მნიშვნელოვან შრომებზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „1783 წ. ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არა მოუტანია-რა, ზიანი კი – აუარებელი [...] რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ ნამდვილად რუსულ პოლიტიკურ ინტერესებით იყო ნაკარნახევი და მხოლოდ ნილაბჩამოფარებული, მაგრამ ტლანქი ეროვნული ეგოიზმის განხორციელება იყო“. იხ., ჯავახიშვილი, 1919 [1989], 93, 108.

⁴ საქართველოში რუსული კოლონიალიზმის შესახებ დეტალურად იხ., ბენდიანიშვილი და სხვ., 2008.

⁵ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ფორმულირების – „აჯანყების“ – ნაცვლად, თანამედროვე ისტორიულ კვლევებში აღმოსავლეთ საქართველოს 1812-1813 წლების ანტირუსული სამხედრო გამოსვლები კარგად დაგეგმილ, სამიზნო და საერთაშორისო ფაქტორების გათვალისწინებით წარმოებულ ომადაა სახელდებული. იხ., გელაშვილი, 2023. აჯანყებების/ომის მნიშვნელობა ქართული ნაციონალიზმის წარმოშობის დასაბუთებლად გამოკვეთილია მ. ჩხარტიშვილისა და ს. ქადაგიშვილის მიერ; მათი მოსაზრებით (რომელიც ჩემთვის დამაჯერებელი და მისაღებია), ქართული ნაციონალიზმის წარმოშობა (რომელსაც, როგორც წესი, ათარიღებენ მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრით, ილია ჭავჭავაძის „თერგდალეულთა“ მოღვაწეობის ხანიდან), უნდა დაუკავშირდეს ქართველ

ბაც,⁶ რომლის ისტორიული მნიშვნელობა რუსეთის ხელისუფლებამ მაშინვე საგანგებოდ მიჩქმალა,⁷ იმპერატორმა შეინყალა პატიმრების უმრავლესობა, მათგან რამდენიმე პირი მოგვიანებით წამყვან ადმინისტრაციულ თანამდებობებზეც კი დაამტკიცა, 5 წლის შემდეგ საზეიმოდაც ესტუმრა საქართველოს და დამორჩილებულ თავადაზნაურთაგან პატივცემი, განსაკუთრებულად კმაყოფილი დაბრუნდა სამშობლოში.⁸ ასეთი დიდი დამარცხებით დასრულდა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი, 30-წლიანი,⁹ მძიმე ეტაპი და დაიწყო დიდი დუმილის ხანა.¹⁰

უფლისწულთა მიერ თავიანთი პოლიტიკური ინტერესებისთვის წარმოებულ აჯანყებებს, ანუ გადათარილდეს მე-19 საუკუნის დასაწყისით. მეცნიერებს არგუმენტებად მოჰყავთ ამ აჯანყებებში ქართველი ხალხის მასობრივი ჩართულობა („ხალხის“ კონცეპტუალიზება კი ნაციონალიზმის მთავარ ინდიკატორს წარმოადგენს). ისინი ესებიან, აგრეთვე, მ. შროპის ნაციონალიზმის 3-ფაზიან მოდელს და აღნიშნავენ, რომ ქართული ნაციონალიზმი ტიპოლოგიურად სმითისა და ჰატჩინსონის მოდელს (პოლიტიკურ-კულტურულის არათანმიმდევრულ ნახავს) უფრო თანხვდება, ვიდრე – შროპისას (კულტურულისა და პოლიტიკურის დეტერმინირებულ კავშირს). იხ., Chkhartishvili, Kadagidze, 2011.

⁶ შეთქმულთა დაკითხვების საარქივო მასალები, რომლებიც გიორგი გოზალიშვილმა 1935, 1979 და 1976 წლებში გამოსცა, დღემდე ჩვენებების ტექსტთა/პირველწყაროთა საანალიზოდ უალტერნატივო აკადემიურ გამოცემებად რჩება. მესამე ტომის წინასიტყვაობაში გოზალიშვილი აღნიშნავდა, რომ მას არ გამოუქვეყნებია „შეთქმულების მასალების ლიტერატურული ნაწილი: შეთქმულთათვის ჩამორთმეული ქაღალდები, მათი ლიტერატურული და პუბლიცისტური ხასიათის თხზულება-წაწარმოებნი [...]“. იხ., გოზალიშვილი, 1976, 5. საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივის 1832 წლის შეთქმულების ფონდის მასალების XIII რეგულში აღმოჩნდა იოანე ბატონიშვილის ალეგორიული პოლიტიკური ნახატი – „საქართველო“, რომელიც სტატიის ფარგლებში პირველად ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალ „კადმოსში“ გამოქვეყნდა. იხ., კილანავა, 2010, 48-56.

⁷ გ. გოზალიშვილის საყურადღებო და სამეცნიერო წრეებში გაზიარებული შენიშვნით, „მთავრობამ განგებ მიჩქმალა ქართველთა შეთქმულების ამბავი, რათა იგი საზოგადოებრივი აზრის მსჯელობის საგნად არ გამხდარიყო. ეს გარემოება ხაზგასმით არის აღნიშნული კავკასიის მთავარმართებელ როზენისა და სამხედრო მინისტრის ჩერნიშოვის შორის მიმოწერაში. როზენი წინააღმდეგია იმისი, რომ შეთქმულთა საქმე სენატმა გაარჩიოს, რადგან მას ეშინიან, რომ სენატი გაზეთში გამოაცხადებს“. გოზალიშვილი, 1935, 5.

⁸ შეთქმულების ისტორიული ღირებულების სათანადო გააზრება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საუკუნის შემდეგ ჩატარებული კვლევების შედეგად. მისი განმაპირობებელი ფაქტორების, რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ შეთქმულ თავადაზნაურთა წინააღმდეგ გატარებული სადამსჯელო ღონისძიებებისა და ადმინისტრაციული ზომების შესახებ იხ., Jones, 1987. შეთქმულების საერთო სახალხო (და არა მხოლოდ ელიტური) ხასიათის, ფართო მასშტაბის – მასში ჩართული საქართველოს კუთხეებისა და ეთნიკური ჯგუფების, საერთაშორისო მოკავშირეების, აგრეთვე, ორგანიზების ფორმებისა და აჯანყების იდეის რეალური წარმატების შესაძლებლობის შესახებ იხ., ჯოლოგუა, 2017.

⁹ სოციალური და კულტურული მეხსიერების მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ თაობის ფარგლებში მეხსიერების უცვლელ ბუნებასა და 30-წლიანი დროითი ჩარჩოს მნიშვნელობაზე განსაკუთრებით ტრავმული და დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოვლენების გამოცდილების საანალიზოდ. Assmann, 2016, 14-15.

¹⁰ შეთქმულების (ხალხური ფორმულირებით – „ყაზარმობის“) შემდგომი და რუსეთის იმპერატორის ვიზიტამდელი რამდენიმე წელი შეფასებულია „დეპრესიის ხანად“. ბერძნიშვილი, 1980, 6.

ურთულესი/უპრეცედენტო პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად, საქართველოში, ფაქტობრივად, შენყდა კულტურული ცხოვრება და ლიტერატურული პროცესები: საკუთრივ ამ ასწლეულის ქართული ლიტერატურის ავტორიტეტული ისტორიკოსის შეფასებით, „მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი თითქოს ულიტერატურო ხანა იყო“.¹¹ მხატვრული ლიტერატურა, მართლაც, მოგვიანებით (მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან) იქცა ქართველი საზოგადოების ცნობიერების მაფორმირებელ/მაკონსოლიდირებელ მედიად,¹² თუმცა, მანამდეც შეძლო მან ისტორიული ფუნქციის შესრულება – თანადროული პოლიტიკური ვითარების რეპრეზენტაცია.¹³ ეს მოხდა ადგილობრივი სახელისუფლებო ელიტის – ბაგრატიონთა სამეფო ოჯახისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული თავადაზნაურთა ფენის – წარმომადგენლების შემოქმედებაში.

ორივე მათგანის პოეტური მემკვიდრეობის მნიშვნელოვნად დიდი ნაწილი პატრიოტული თემატიკისაა და მეტწილად დინასტიურ-ელიტური (არა იმდენად – საყოველთაო, სახალხო) პერსპექტივით ასახავს საქართველოს რთულ პოლი-

¹¹ კოტეტიშვილი, 1959, 43.

¹² ლიტერატურის როგორც მედიის ფუნქციაში ვგულისხმობ არა გარელიტერატურული მოვლენების უბრალო ვერბალურ ფიქსაციას, არამედ – მხატვრული სახეებით/მენტალური იმიჯებით იმგვარი მნიშვნელობების კონსტრუირებას, რომელთა უპირველესი დანიშნულება მკითხველთა ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენაა. ლიტერატურის ეს არა საკუთრივ ესთეტიკური, არამედ დისკურსული ფუნქცია განსაკუთრებით აქტუალიზდება პოლიტიკური რეჟიმების პირობებში და მიზნად ისახავს გარელიტერატურული სინამდვილის შეცვლას (ეს გაგება ეყრდნობა ლიტერატურისა და გარელიტერატურული სინამდვილის ურთიერთმიმართების პ. რიკერისეულ სამსაფეხურიან მოდელს; აგრეთვე – აახენის სკოლის მიერ შემუშავებულ ნაციონალური იმაგოლოგიის როგორც ხელოვნურად კონსტრუირებული კოლექტიური მენტალური სახეების ურთიერთმიმართების კონცეფციას). ამ თეორიული საფუძვლების მიხედვით, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ნაციონალური დისკურსის ლექსიკური ფონდის ანალიზის შესახებ იხ., კილანავა, 2013.

¹³ თანადროული პოლიტიკური ვითარების ლიტერატურული რეპრეზენტაციის პირველ მაგალითად ქართულ ლიტერატურაში შეიძლება, დასახელდეს იოვანე საბანისძის „აბოს წამება“ (მე-8 ს.). მასში, წმინდანის მიერ განვლილი განდმრთობის გზის პარალელურად, ნაჩვენებია მთელი საქართველოს სამეფო-სამთავროთა პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრებისა და თბილისში არაბთა ბატონობის ადმინისტრაციული მმართველობის მოდელი. ყველაზე გავლენიანი ქართული პოემის – „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტში თანადროული (მე-12 საუკუნის) ქართული პოლიტიკური ვითარების ამოკითხვის ისტორია იწყება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში (ფრანგი ქართველოლოგის, მარი ბროსესა და მისი მოწაფის, დავით ჩუბინაშვილის, მიერ) და გრძელდება უახლეს პერიოდამდე (ზ. გამსახურდიასა და ტ. ფუტყარაძის შრომებით); მე-18 საუკუნის განმანათლებლობის ეპოქის მთავარ ქართულ წიგნში – პოეტურ ავტობიოგრაფია „დავითიანში“ ძირითად სიუჟეტურ ხაზს ქმნის ისტორიული ნარატივი: მის პირველ თავში (ავტორისეული ფორმულირებით – „ა წიგნში“) – პირობითად, „ქართლის ჭირად“ მოხსენებულში – ისტორიული სიზუსტითაა წარმოდგენილი ქართლ-კახეთის სამეფოების შიდა ურთიერთობაცა და საგარეო პოლიტიკური პროცესებიც (ირანის, თურქეთის, რუსეთის იმპერიებსა და ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან).

ტიკურ მდგომარეობას, მთავარ მოტივს კი ქმნის გლოვა დაკარგული ძალაუფლების/სოციალური ფუნქციისა და დამოუკიდებლობის გამო. ამ ფონზე შედარებით ნაკლებად რეპრეზენტირდება წარმოდგენები ეროვნული მომავლის შესახებ. ეს უკანასკნელი საკითხი ინტენსიურად განსახილველად მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან – „თერგდალეულთა“ შემოქმედებაში.¹⁴

სტატიის ძირითადი ნაწილი 2 ქვეთავისგან შედგება და მასში დიაქრონულადაა წარმოდგენილი მე-19 საუკუნის კოლონიური პერიოდის ქართულ პოეზიაში განსახილველი ნაციონალური მომავლის მოდელები. პირველ ქვეთავში განხილულია ბატონიშვილ ქალთა და რომანტიკოს პოეტთა შემოქმედებაში განსახილველი მომავლის ხატები/იმიჯები, ხოლო მეორეში – რეალისტ ავტორთა პოეტური ნარატივი ეროვნული მომავლის შესახებ, რადენობრივი მონაცემების სიდიდის გათვალისწინებით, ანოტირებისა და ვიზუალიზების ონლაინინსტრუმენტთა გამოყენებით, გაანალიზებულია აკაკი წერეთლის ლექსები.

საანალიზო საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, კვლევის თეორიულ ჩარჩოს ქმნის ნაციონალური იდენტობისა და იმაგოლოგიის ძირითადი კონცეპტები; კერძოდ, გათვალისწინებულია, რომ ნაციონალური იდენტობა – ესაა წარმოსახვით დონეზე კონსტრუირებული დისკურსული მოდელი, რომელიც ექვემდებარება მოდიფიცირებას, თუმცა, ყველა ისტორიულ კონტექსტში ინარჩუნებს იმანენტურ/უცვლელ ასპექტებს, ნაციონალური ლიტერატურა კი როგორც კოლექტიური/ეროვნული მეხსიერების მედია, ერთი მხრივ, ასახავს (თანადროულ) მნიშვნელოვან გარელიტერატურულ რეალობებს, მეორე მხრივ კი აკანონებს და აკვალიანებს კულტურულ წარმოდგენებს საკუთარი თავისა და სხვათა/მტრების შესახებ; ნაციონალური იმაგოლოგიის ფარგლებში ფორმირებული წარმოდგენები კი ადვილად ექვემდებარება სტერეოტიპიზაციას განმეორებადობის სიხშირისა და მყარი სემანტიზების საფუძველზე.¹⁵

ამ კონტექსტში მე-19 საუკუნის საქართველოს¹⁶ შემთხვევა განხილულ უნდა იქნეს რუსული იმპერიული კოლონიალიზმისა და ქართული ეროვნულ-განმა-

¹⁴ „თერგდალეულთა“, როგორც რეფორმატორთა ჯგუფის, „საქართველოს ხელახალი შობის/აღორძინების“ პროექტის, „ივერიაში“ გამოქვეყნებული საპროგრამო პრინციპებისა და კულტურული ავტონომიის იდეისა და პროჰის მოდელის B-ფაზასთან მათი მოძრაობის შესაბამისობის შესახებ ვრცლად იხ., Reisner, 2009, 45, 50.

¹⁵ კავკასიის რეგიონის ფარგლებში საკუთრივ ქართველთა კულტურული იმიჯის შესახებ იხ., Bell, Leersen, 2007, 117-121; ამავე კონტექსტში შესაბამისი სამეცნიერო წყაროების, განსაკუთრებით, ენტონი სმიტის, პოლ რიკერის, მორის ჰალბვაქსის, იან და ალექსანდრის (აგრეთვე, სხვათა) თეორიების შესახებ იხ., კილანავა, 2013, 9-18.

¹⁶ სახელდება „საქართველო“, ბუნებრივია, ამ პერიოდისთვის შინაარსისგან დაცლილია, რადგან რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკის შესაბამისად, ის იქცევა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად.

თავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთნააღმდეგობრივ და ხანგრძლივ, არა-ერთგვაროვან პროცესთა გათვალისწინების ფონზე. ჰოლოკოსტის (როგორც კოლექტიური ტრავმის) კვლევების ფარგლებში მარიანე ჰირშის მიერ შემუშავებული გავლენიანი თეორიის კვალდაკვალ, წინამდებარე სტატიაში ბატონიშვილი ქალები და რომანტიკოსები წარმოდგენილი არიან ე.წ. ტრავმის პირველ, ხოლო რეალისტები ტრავმის/მეხსიერების შემდგომ თაობად,¹⁷ რომელთაც წინა თაობის მიერ განცდილი ტრავმის მითოლოგიზებისა და ისტორიზების გზებიდან ეს უკანასკნელი აირჩიეს და ამით ნაციონალური დისკურსის ფორმირების სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

რაც შეეხება წარმოდგენილი კვლევის მეთოდოლოგიას, ის, ძირითადად, განისაზღვრა ექსპლიციტურ დონეზე მოცემული ტექსტური მონაცემების იდენტიფიცირება-მარკირებით, კონტექსტუალიზებითა და შედარებით. „მანუალებად“/ე.წ. „ხელით“ ამ ამოცანის შესრულება გააადვილა მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაში დასაკვირვებელ მონაცემთა მეტ-ნაკლებად მცირე რაოდენობამ; ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ერთი ავტორის 3-ტომიან პოეტურ (საკუთრივ ლირიკულ) ნაწარმოებთა ანალიზი გადავწყვიტე, მონაცემთა სისრულით გათვალისწინების/ახლო კითხვის მეთოდით დამუშავების მიზნით გამოვიყენე 2 ტიპის ონლაინინსტრუმენტი: ანოტირებისთვის *catma* და ვიზუალიზებისთვის – *vis-A-vis*. წარმოდგენილი სტატიის დასკვნითი ნაწილი სწორედ ამგვარად დამუშავებულ მონაცემთა ინტერპრეტაციას დავაფუძნე.

II. მომავლის ხატები ანექსიის ტრავმის პირველი თაობის პოეტურ ნარატივში

ეროვნული/ქვეყნის მომავლის შესახებ მსჯელობის განსახილველად ქართულ ლიტერატურაში დიდი ტრადიცია აქვს;¹⁸ განმანათლებლობის პერიოდის მთავარ

¹⁷ დეტალურად თეორიის შესახებ იხ., Hirsch, 2008.

¹⁸ ბუნებრივია, წარმოდგენები მომავლის (პირადი, რელიგიური, ზოგადსაკაცობრიო და სხვ.) შესახებ ქართული ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ეპოქათა მსოფლმხედველობრივი საფუძვლების მიხედვით იცვლება: მაგალითად, ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ყურადღება მახვილდება წმინდანის გარდაცვალებასა და საიქიოზე, უკანასკნელ სამსჯავროზე (შდრ., „წმინდა ნინოს ცხოვრება“, „შუშანიკის წამება“...), ე.წ. „მაღალი რენესანსის“ ადრეული გამოვლინებისას, როგორც კონკრეტული სამეფოს, ისე ორი სამეფოს მაგალითით მთელი კაცობრიობის იდილიურ/უტოპიურ/ძველი აღთქმისეული ფორმულირებით წარმოსახულ ბედნიერ მომავალზე (შდრ., „ვეფხისტყაოსანი“).

ქართულ ავტობიოგრაფიულ ნარატივში კი დავით გურამიშვილი (1705-1792) მთელ პირველ წიგნს (რომელსაც პირობითად „ქართლის ჭირად“ სახელდებენ) უთმობს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის აღწერას, ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის ურთიერთობის დეტალების წარმოჩენას, ვახტანგ მე-6-ის (ქართლის ჯანიშინის) სამეფო კარზე გამართული დისკუსიის, განსხვავებული პოლიტიკური პოზიციების მქონეთა არგუმენტების მიმოხილვას... სპარსეთის, თურქეთის, რუსეთის იმპერიათა და მოთარეშე ჩრდილოკავკასიელი ტომებისგან (განსაკუთრებით – დაღესტნელთაგან) მომდინარე საფრთხეების წინაშე მდგარმა ვახტანგ მეექვსემ, როგორც გურამიშვილი გადმოგვცემს, საგანგებო კრება მოიწვია, რომ ვეზირებთან ერთად განეხილა სამეფოს საგარეო პოლიტიკური კურსი და მათთვის ეცნობებინა რუსეთის ქრისტიანულ სამეფოსთან დაკავშირების სურვილი. დავით გურამიშვილის მიერ ვრცლად რეპრეზენტირებულ სამეფო თათბირზე არგუმენტებით წარმოდგენილი პოზიციები ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული განსახოვნებაა საქართველოს შესაძლო პოლიტიკური მომავლისა: ქრისტიანულ რუსეთთან დაკავშირება, საბოლოოდ, აქ უფრო დიდ საფრთხედაა წარმოდგენილი, ვიდრე – ქვეყნის გადარჩენის პერსპექტივად (სხვა საკითხია, რომ ლეკების მიერ დატყვევებული გურამიშვილისთვის „ჩრდილოეთის ქვეყანაში“ გაქცევა ფიზიკურად გადარჩენის ერთადერთი გზა აღმოჩნდა).¹⁹

თუ მე-18 საუკუნის ბოლოს ქართულ პოეტურ ნარატივში (პოემა „დავითიანში“) „ჩრდილოეთის ქვეყანა“ თეორიულად მაინც იკვეთება, როგორც საქართველოს პოლიტიკური მომავლის გარანტი, ბატონიშვილ ქალთა (ერეკლე მეფის 3 ქალიშვილის) ჩვენამდე მოღწეულ პატრიოტულ ლექსებში (სწორედ მათი შემოქმედებით იწყება მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა) ის უკვე პეტეროხატადაა წარმოდგენილი.²⁰ მარიამ, ქეთევან და თეკლა ბაგრატიონების მიმართ პ. ციციანოვის (პავლე ციციშვილის) ხელით აღსრულებული რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკა – მათი დასჯა, გადასახლება, ქონების ჩამორთმევა, დაკითხვები, პატიმრობები, გაჭიანურებული/ ნაწილობრივი „შენწყალბა“ – ექსპლიციტურ დონეზე აისახა მათსავე ლექსებში.²¹ ნაციონა-

¹⁹ გურამიშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთის იმპერატორ ანას ბრძანებით, პეტერბურგიდან შამახისკენ მიმავალმა ვახტანგ მე-6-მ გზა დაკარგა, ამასთან, შეიტყო, რომ შამახია ნადირ-შაჰმა აიღო და უიმედომ წარმოთქვა პოლისემანტიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვები: „ახლა რა ვქნა, სად წავიდე, გზა შემექნა დახლართული, ქარი ქრის და აფრავაშლით ვარ ხომალდით ზღვას შერთული“. ვრცლად იხ., კილანავა, 2010, 160.

²⁰ ქართულ ლიტერატურაში სივრცითი ლექსიკური ერთეულის – „ჩრდილოეთის ქვეყნის“ – რელიგიური და პოლიტიკური რესემანტიზების შესახებ იხ., კილანავა, 2018.

²¹ ლექსების გარდა, შემორჩენილია მათი პირადი წერილებიც. წერილებში ცხადად ჩანს ის

ლური იმაგოლოგიის თვალსაზრისით, გამორჩეულად ექსპრესიული ხატებია შექმნილი ბინარული ოპოზიციების სახით: ერთ მხარესაა „ედემის ბაღი“, „ნალკოტი“, „დავითის მტილი“, მზე, თანავარსკვლავედი, ვარდები... (საქართველოსა და ბაგრატიონთა ოჯახის წევრების მარკერები), ხოლო მეორე მხარეს – „ჩრდილოეთის ღრუბელი“, „ჩრდილოს საბავთო ქარი“, დაუნდობელი გუშაგები... (რუსეთის იმპერიისა და მისი წარმომადგენლების კულტურული მარკერები).²² ამ სულ რამდენიმე, თუმცა ექსპრესიულ ლექსში დიდებული სამეფო წარსულისა და დამორჩენილ/უნუგეშო ახლანდებლობის გამო გლოვის მოტივი იმდენად ძლიერია, რომ ფაქტობრივად, აღარ რჩება დრო მომავალზე ფიქრისთვის. დასტურდება მხოლოდ ერთი სტრიქონი, რომელშიც იმპლიციტურ დონეზეა შესაძლებელი საქართველოს (კონკრეტულად – ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის) მომავლის შესახებ წარმოდგენის ამოკითხვა, რაც მთავარია, მოულოდნელად ოპტიმისტური განწყობით: ერეკლე მეფის საყვარელი უმცროსი ქალიშვილის, 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილის, რომანტიკოს/შეთქმულ პოეტთა დედის, თეკლეს, ქეთევანისადმი მიძღვნილ ლექსში ასეთი სტრიქონია: „ნუ ჰსწუხ, დაშრტება ცეცხლთა დებანი!“²³; თუმცა, ამგვარი (ზოგადი, ერთგვარად, შაბლონური) ოპტიმიზმის საფუძველი არსად ჩანს. საფიქრებელია, რომ უბედურების დასრულების პასიური მოლოდინი, რომელიც დისადმი მიმართვის კონტექსტშია გამოხატული, განპირობებულია არა თავისთავადი რწმენით, არამედ – მხოლოდ სიტუაციით (ქეთევანის პატიმრობით) და თანაგრძნობის, გამხნეების, ნუგეშისცემის სურვილით.

რაც შეეხება ქართველ რომანტიკოსთა მოღვაწეობას, ქართული ნაციონალიზმის კონტექსტში მისი მნიშვნელობა სათანადოდაა შეფასებული ლიტერატურათმცოდნე ბელა წიფურიას მიერ:

მატერიალური სიღუფიერე, რომელშიც აღმოჩნდნენ ბატონიშვილები ქართლ-კახეთის სამეფოს გამაუქმებელი მანიფესტის გამოქვეყნებისა და მათი ქონების კონფისკაციის შემდეგ. მაგალითად, მარიამ ბატონიშვილი ახლობლისგან ითხოვს/სესხულობს მცირეოდენ ბრინჯსა და ერბოს. თაყაიშვილი, 1910, 123.

²² მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისთვის ბატონიშვილ ქალთა ლექსების დიდი მნიშვნელობა მკვლევრების მიერ თავიდანვე სათანადოდ გამოიკვეთა. მაგალითად, ლ. ასათიანის შეფასებით, „გენეზისი მე-19 საუკუნის პატრიოტული რომანტიზმისა, პატრიოტული ლირიკისა და პროზის, უსათუოდ უნდა ვეძებოთ იმ მცირე პოეტურ მემკვიდრეობაში, რომელიც დაგვიტოვებს ბატონიშვილმა ქალებმა – მარიამმა, ქეთევანმა და თეკლემ...“. ასათიანი, 1936, 25. ეპოქის ლიტერატურაზე ბატონიშვილ ქალთა პოეზიის გავლენის მასშტაბს ამგვარად გამოკვეთს ვ. კოტეტიშვილი: ბატონიშვილ ქალთა პოეზია „ახერხებს, რომ საუკუნის დასაწყისიდან ბოლომდე მიაწვდინოს პროტესტის ხმა“. კოტეტიშვილი, 1959, 44.

²³ ასათიანი, 1936, 256.

ქართულ ლიტერატურაში რომანტიკოსთა თაობის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული **ნაციონალიზმის იდეის დეკლარირება** და პოზიციონირება ლიტერატურის/კულტურის სივრცეში. ეს პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული რუსეთის მიერ საქართველოს კოლონიზაციასთან. საქართველოს მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვა აქ ცალსახად ნეგატიურ მოვლენად არის შეფასებული და ძალზე მძიმე ემოციურ ფონზე გამოისახება. **ქართველმა რომანტიკოსებმა საქართველოს რუსეთისადმი დაქვემდებარება აღბეჭდეს, როგორც ისტორიული ტრავმა** და მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე **განსაზღვრეს** ქართული ლიტერატურის დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი, ისევე როგორც შესაბამისი მისწრაფება განთავისუფლებისადმი. ამით **ქართულ ლიტერატურაში შეიქმნა** საქართველოს კოლონიზაციის პრობლემაზე რეაგირების, ამ მოვლენასთან სულიერი, ცნობიერი შემოქმედებითი **წინააღმდეგობის ტრადიცია**. ამასთანავე, მდგომარეობის **ემოციური შეფასება**, რაც, თავისთავად, დასავლური რომანტიზმის მსოფლგანცდის ერთ-ერთი მახასიათებელია, ამ ეტაპზე კულტურის მიერ **ისტორიულ რეალობაზე რეაგირების ერთადერთი ფორმაა**²⁴.

დამონმებულ ციტატაში ჩემ მიერ ხაზგასმული სიტყვებით გამოკვეთილია რომანტიკოსთა ნარატივის საერთო ეროვნული მნიშვნელობა:²⁵ **ნაციონალიზმის იდეის დეკლარირება**, ისტორიული ტრავმის ფიქსირება და წინააღმდეგობის ტრადიციის შექმნა, ასევე – მისი დისკურსული/რეზისტენტული (ანტირუსული/ანტიკოლონიური) ბუნება და ქვეყნის მდგომარეობის ემოციური შეფასების ფორმის დაკანონება ამ ნარატივის დიდ გავლენასა და ღირებულების ფართო მასშტაბს უსვამს ხაზს. დასახელებული ნიშნებით, ქართულ რომანტიზმში ლოგიკურია მომავლის ექსპლიციტური იმიჯების არსებობა, რადგან ნაციონალიზმის იდეა, ნარსულის საერთოობისა და სოლიდარობის განცდის გვერდით, უშუალოდ უკავშირდება საერთო მომავლის ხედვასაც.²⁶

²⁴ ნიფური, 2010, 188.

²⁵ ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ თითქმის ყველა ქართველი რომანტიკოსი მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რის გამოც მკაცრად (დაპატიმრება, გადასახლება, სამუდამო მეთვალყურეობა) დაისაჯნენ.

²⁶ ნაციონალიზმის ფენომენისთვის, სხვა ფუნდამენტური მნიშვნელობის მდგენელებთან ერთად, მომავლის კონცეპტის ღირებულებას პირველად ევროპულ აკადემიურ სივრცეში ხაზი გაუსვა ერნესტ რენანმა თავის ცნობილ ლექციაში – „რა არის ერი“ (1882 წ.). „ივერიაში“ რენანის ლექციის იმავე წელს შესრულებული ქართული თარგმანის გამოქვეყნების, მის შესახებ საქართველოში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების შესახებ ვრცლად იხ., მაცაბერიძე, 2020.

ქართული რომანტიზმის პირველი წარმომადგენლის, ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846),²⁷ პოეტურ შემოქმედებაში ნაციონალურ თემატიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ძირითადად, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო გლოვას გამოხატავს. დიდებულ და დაკარგულ წარსულთან ერთად, განსახოვნებულია მძიმე (კოლონიური) თანამედროვეობაც. რაც შეეხება კოლექტიური/ნაციონალური მომავლის გამომხატველ იმიჯებს, ისინი შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი და ძირითადად, გამოხატულია სახელდებითა და აღწერით; მომავალს უკავშირდება მეტწილად ოპტიმისტური განწყობა, თუმცა, დასტურდება პესიმიზმიც. ეს უკანასკნელი ექსპლიციტურად და ექსპრესიულადაა გამოხატული ჭავჭავაძის ცნობილ ლექს „გოგჩაში“:²⁸ ოდესღაც მშვენიერი და ახლა განადგურებული სასახლეებისა და გავერანებული ტბისპირის აღწერის შემდეგ პოეტი ასკვნის: „აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი“²⁹. ცხადია, აქ „ჩვენ“ ზოგადკაცობრიულია და წარმავლობის, როგორც გარდაუვალობის საკითხს გამოკვეთს, თუმცა, მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართული სინამდვილის გათვალისწინებით მასში ნაციონალური პრობლემაც შეიძლება, ამოვიკითხოთ. საყურადღებოა, რომ როცა ლექსის წამყვან მოტივს სოციალური თემა წარმოადგენს, მასში იმპლიციტურად მაინც არის რეპრეზენტირებული საქართველოს კოლონიური მდგომარეობა. მაგალითად, ლექსი „ვაჰ, სოფელსა ამას“ ორ სტრუქტურულ-სემანტიკურ ასიმეტრიულ ნაწილადაა წარმოდგენილი: 7 სტროფი წარმოადგენს წუთისოფელში ბოროტთა მიერ „მდაბალთ“ ჩაგვრის დეტალურ აღწერას, ხოლო ცენტრალური (მე-4) და ბოლო სტროფები დაჩაგრულთა უფლებების აღდგენის/სამართლიანობის მტკიცე მოლოდინს გამოხატავს: „გარნა მძლევა შემდგომ სხვისგან იძლევის [...] /რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას/ და სთხოვთ ურცხვად,

²⁷ ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული გამომცემლის, ი. კენტოშვილის, მოსაზრებით, ალ. ჭავჭავაძის პოლიტიკური ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩვენამდე მოუღწევლობის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ „1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებამდე, ვიდრე თბილისსა და წინანდალში მის ბინაში პოლიცია ჩხრეკას მოახდენდა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ უთუოდ მოასწრო ყველა იმ ხელნაწერის მოსპობა, რომლებიც მის პოლიტიკურ რეპუტაციას რაიმე ჩრდილს მიაყენებდა“. ჭავჭავაძე, 1986, 17.

²⁸ უახლესი კვლევა „გოგჩის“ პოეტიკის შესახებ ეკუთვნის თ. ლომიძეს, რომელიც ალ. ჭავჭავაძის ამ საპროგრამო ლექსში გამოკვეთს „ახლებური პოეტური აზროვნების ნიშნებს“: პარალელურ სტრუქტურებს, შენელებული თხრობის მანერასა და მეტონიმიურობას. მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ეპითეტებზეც და ასკვნის, რომ ლექსში იდეალიზებული წარსულის ნიშნებად გამოყენებულია დადებითი სემანტიკის ეპითეტები, მათ კი უპირისპირდება აწმყოს დასახასიათებლად გამოყენებული ოკაზიონალისტური ეპითეტები. ლომიძე, 2014, 19-21.

²⁹ ჭავჭავაძე, 1986, 75.

უსამართლოდ მონებას,/ მოელოდეთ მათთან თანასწორებას!/ არ მარადის იშვათ/ მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!“³⁰ ლექსში გამოყენებული მარკერები: „მზაკვარი სულები“, „სამეფონი [...] მხეცებო, კაცთა მხეველობენ“, „და-არღვევენ რჯულსა დაუყოვნელად“ იმპლიციტურ დონეზე გვავარაუდებინებს ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას – კოლონიზებას. ამ კონტექსტში კოლექტიური მომავალი („ღარიბთა“, „ჩაგრულთა“, „მდაბალთა“, თუმცა, ამავე დროს – „მსგავსთა თვისთა“) მაინც ოპტიმიზმითაა წარმოსახული.

მომავლის ხატები ჩანს უშუალოდ პოლიტიკურ/პატრიოტულ თემაზე დაწერილ პოეტურ ნაწარმოებებში (ლექსები აჯანყებასა და შეთქმულებაში ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობისა და დაპატიმრების პერიოდებში დაიწერა). ამ შემთხვევაში, ისინი ცალსახად დადებითი კონოტაციითაა წარმოდგენილი: „მე ამას ვსტირი, განა-ნირი, ვა, თუ ვესწრა ვერ,/თვარაღა ჟამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების!“, „განიხ-სნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება,/რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათ-ლება“³¹, „მზაკვარს ხმლით გავუსწორდებით, ვჰფუცავ ჩვენ ხრმალთა კვეთასა/ მნათი აღმოჰხდეს კავკასსა, ქართლი მიეცეს ლხენასა! [...] ქართლს მივსცემთ შვება-ლხენასა!“³² ცხადია, რომ დამონმებულ ციტატებში კოლექტიური/ნაციო-ნალური მომავალი იმედიანი განწყობითაა გამოხატული, თუმცა იდენტური არაა მათი განმაპირობებელი ფაქტორები: პირველ შემთხვევაში, ესაა ზოგადი ოპტი-მიზმი, რწმენა უბედურების არამარადიულობისა, მეორე შემთხვევაში საქართვე-ლოსა (და კავკასიის რეგიონის) მომავალი რუსეთის, როგორც განმანათლებლის, რომანტიზებულ იმპერიულ პროფილს უკავშირდება, ხოლო ბოლო შემთხვევაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (კონკრეტულად – 1832 წლის შე-თქმულების) საბრძოლო შემართება ქმნის მომავლის იმედს.

³⁰ იქვე, 56.

³¹ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ალ. ჭავჭავაძის ავტოგრა-ფული ნუსხის მიხედვით, ლექს „კავკასიის“ ფინალს ეტყობა რედაქციული (არა – ვარიან-ტული) დამუშავების კვალი: ხელნაწერის ბოლო სტრიქონები ავტორის მიერვეა გადა-შლილი და საბოლოოდ დატოვებულია გავრცელებული დასასრული.

³² იხ., ჭავჭავაძე 1986, 72, 141, 147. ალ. ჭავჭავაძეს პატრიოტულ თემატიკაზე დაწერილი აქვს ექსპრესიული პეტეროზატებით გამორჩეული ლექსი „მუსტაზადი“ (ლექსს 1808 წლით ათარიღებენ, როცა პოეტი პეტერბურგს იმყოფებოდა). მასში მომავალს ერთა-დერთი სტრიქონი მიემართება: „ვინც ზედა მათ მახეს, ჭირთა სახეს, არა აქვსთ შვება,/ მათზედ კეთილი, ვითა შლილი, დაიცარება“. ჭავჭავაძე, 1986, 36. ჩემი დაკვირვებით, „დაცარვა“ აქ პოლისემანტიკური სიტყვა უნდა იყოს და ტრადიციული მნიშვნელობის (დაშლა, დარღვევა) გვერდით, რუსეთის იმპერატორის – ცარის – სახელდებასაც უნდა ითვალისწინებდეს, როგორც ერთპიროვნულ მმართველსა და სადამსჯელო ინსტა-ნციას. რაც შეეხება საპროგრამო ლექსს – „ვისაც გსურთ“ – სტრიქონი „ხვალ სხვანი მო-ვლენ მათს გამომცვლელად“ – აქ „ხვალ“ მომავლის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული კი არაა, არამედ უდროობის, რიგითობის, განგრძობითობის გამომხატველი.

ალექსანდრე ჭავჭავაძისგან განსხვავებით, მომავლის (როგორც ნაციონალურის, ისე – ინდივიდუალურისა, რომელიც, არსებითად, ნაციონალურის კონტექსტშია წარმოდგენილი) იმიჯი გრიგოლ ორბელიანის (1804-1883) პოეზიაში არასოდესაა მტკიცებითი ფორმით ან დადებითი სემანტიკით მოცემული; **მას ყველა შემთხვევაში ბუნდოვანება, გაურკვევლობა და პესიმიზმი უკავშირდება**: „ვინ აღჩნდეს გმირი/რომ მის ძლიერი ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?/რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით/უსულოდ ვეშაპს მინად დასცემდეს?/ მაგრამ ამაო, ჩემო იარალი, არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა,“ „ხვალე აღრა მრწამს, ვით ღამეში მაცდური სხივი“, „ვაჰ, თუ რაც ნახდეს,/ველარა აღჰსდგეს,/ველარ აღჰყვავდეს ახლის შვენებით?“, „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დამხო ჩემი სამშობლო,/ გულს მიკლავს უიმედობა“, „ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიან, რა მინდა? [...] ვჰმზერ მწუხარებით მომავალს“. ³³ ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში, გრიგოლ ორბელიანის მიერ რეპრეზენტირებული ნაციონალური მომავალი ჰეროიზმს, გმირობას, თავგანწირვას გულისხმობს/მოითხოვს (ვეშაპის დამარცხება აქ ეროვნული გათავისუფლების სიმბოლოდ იკითხება), ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი უიმედობას/ნალევას/ნიჰილიზმს უკავშირდება და ფაქტობრივად, მას არც აქვს განსაზღვრული შტრიხები. შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში ნაციონალური მომავალი საორიენტაციო დროა, მის შესახებ წარმოდგენა კი მტრის დამარცხებითაა გაშინაარსებული. ³⁴

რაც შეეხება მესამე კლასიკოს რომანტიკოს პოეტს, ნიკოლოზ ბარათაშვილს (1817-1845), მის პოეზიაში საქართველოს ეროვნული მომავალი ერეკლე მეორის (მისი დიდი წინაპრის – პაპის) ისტორიულ გადანაცვეტილებას (გადანაცვეტილების მიღების კონტექსტს, შედეგებსა და ამ საკითხის განსჯას) უკავშირდება: ბარათაშვილი მიმართავს გურამიშვილისეულ მეთოდს: განასახოვნებს სამეფო კარზე არსებულ აზრთა სხვადასხვაობას რუსეთის იმპერიასთან ქართლ-კახეთის სამეფოს დაკავშირების მიზანშეწონილობის თაობაზე. პოემაში „ბედი ქართლისა“ მკვეთრად ჩანს სოლომონ ლიონიძის (რომელსაც პლატონ იოსელიანი „მომავლის

³³ იხ., ორბელიანი 1959, 16, 48, 77, 86, 106. პოეზიისა და ახლობელთადმი მიწერილი პირადი წერილებისაგან განსხვავებით, თავის ფაქტუალურ ავტობიოგრაფიულ პროზაულ ნაწარმოებში, დღიურში – „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდე“ – გრიგოლ ორბელიანი ივანე აფხაზთან დიალოგში ვრცლად მსჯელობს საქართველოს პოლიტიკური მომავლის შესახებ, ტექსტში 2 სცენარია წარმოდგენილი – ქვეყნის მომავალი რუსეთის იმპერიასთან ერთად და მის გარეშე. ამ დიალოგმა თავიდანვე მიიპყრო ჯერ შეთქმულთა საგამოცემო კომისიის, შემდეგ კი მკვლევართა დიდი ყურადღება.

³⁴ ცალკე განსახილველი საკითხია ის, რომ პოემის გვიანდელ ჩანართში რუსეთის იმპერატორის მიმართ სათხოვარი უკავშირდება თამარის დროის დიდების დაბრუნებას და არა – ახალი ტიპის მომავლის შექმნას.

კაცს“ უწოდებდა) პატრიოტიზმი და რუსეთთან დაკავშირების საფრთხეები: „ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს/ რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:/ ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,/ ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,/ რაც მოისურვოს ქართველობამა? [...] მაშინ ვიღასა მოესურვება/ ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება“³⁵. ქართველი ერის პოლიტიკური მომავლის შესახებ დასმული და პოემაში პასუხგაუცემლად დარჩენილი შეკითხვების სიმწვავე და ლეგიტიმურობა კიდევ უფრო ნათლად იკვეთება მტკიცებითი ფორმით წარმოდგენილი განაცხადით: **„სახელმწიფოსა ერთობა სჯულის/ არარას არგებს**, ოდეს მის შორის/ თვისება ერთა სხვადასხვაობდეს“³⁶. ქრისტიანობის, როგორც რუსეთის იმპერიასთან პოლიტიკური კავშირის მთავარი საფუძვლის, ღირებულება აქ გადაფარულია/გადაწონილია ეროვნული ხასიათის (იგულისხმება რუსული იმპერიული ბუნება) მნიშვნელობით. შედეგად, სოლომონ ლიონიდის არგუმენტირებული ანტირუსული პერსპექტივით, ბარათაშვილის პოემაში საქართველოს ეროვნული მომავლის ნეგატიური იმიჯია წარმოდგენილი.

დაბოლოს, ერეკლე მეფის შვილიშვილის – ვახტანგ ორბელიანის (1812-1890) – პოეზიის შეფასებისას მკვლევარი ს. ჭილაია აღნიშნავს, რომ „მომავლის „იმედი“ ანსხვავებს ვ. ორბელიანს სხვა რომანტიკოსებისაგან [...] იგი მხოლოდ წარსულის აღდგენაში ხედავს მომავალს“³⁷. ძველი, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსა და ბაგრატიონთა დაკარგული დიდების განმასახიფთებელი პოეტის (რომელიც დედასა და ძმებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა 1832 წლის ანტირუსულ შეთქმულებაში) შემოქმედებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწარმოებადაა მიჩნეული ალეგორიული ლექსი „იმედი“, რომელმაც დასრულებული სახე 20-წლიანი შუალედით მიიღო (ინერებოდა 1859-1879 წლებში). ლექსის ლირიკული გმირი (კოლექტიური/ნაციონალური პერსპექტივიდან) ლამაზ უცნობ (სლავ/რუს) ქალწულს აღუწერს საქართველოს მშვენიერ ბუნებასა და ამ ქვეყნის საგმირო წარსულს: „ესე არს ჩვენი ისტორია და ჩვენი ბედი: „ეკლის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი!.. / სისხლის ცრემლითა მას ჯვარზედა არს წარწერილი ჩვენი სამშობლოს ბნელის ეტლის მოთხრობა ძნელი!“³⁸. ვრცელი ლექსის მიხედვით, სამშობლოს გმირული და დრამატული წარსული („ჩვენი ივერი, მშვენიერი, არს სისხლის კალო,/გმირთა აკლდამი, გულსაკლავი და სავალალო“) ქართველი ლირიკული გმირის პერსპექტივითაა

³⁵ ბარათაშვილი, 2005, 70, 74.

³⁶ იქვე, 69.

³⁷ ჭილაია 1941, 44, 77.

³⁸ ორბელიანი, 1928, 19.

წარმოდგენილი, ხოლო საქართველოს მომავლის შესახებ წარმოდგენას ქმნის მასთან მოსული „წმინდა, მშვენიერი ასული“:

*„გნამდესო, ღვანლნი მამა-პაპათ არ განჰქრებიან,
გნამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან:
მართლმადიდებელთ ჭეშმარიტი, ღმერთი ძლიერი
მოგფენსთ თვისს სხივსა, თვისს სიუხვეს, და თქვენი ერი,
ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ გამრავლდება,
თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება;
ამიერ თქვენთან დავამყარე წმიდა კავშირი,
ამიერ თქვენთან მე ვიქნები სტუმარი ხშირი!“³⁹*

მტკიცებითი ფორმით წარმოდგენილ ნაციონალური მომავლის ოპტიმისტურ ხატში გამოკვეთილია ქვეყნის საგმირო წარსული, მართლმადიდებლობა და მათს საფუძველზე მფარველობის ნება – „წმინდა კავშირის“ დამყარების გადანყვევით-ლება; ქართველი ერის მშვიდობიანი, ბედნიერი მომავალი (დანგრეული სამშობლოს აყვავება) აქ გარანტირებულადაა გამოცხადებული და იკითხება, როგორც მისი საუკუნოვანი ნატვრის ასრულება. აქ საყურადღებო ისაა, რომ საკუთარი ეროვნული მომავლის ხატს ქმნის არა ჩაგრული/კოლონიზებული ქართველი, არამედ – „სტუმრად მოსული“ (თუმცა, არა – მოწვეული) სხვა. კიდევ უფრო საგულისხმო ისაა, რომ შექმნის 20-წლიანი ისტორიის მქონე ალეგორიულ ლექსში არ ჩანს, დაპირებული მომავალი განხორციელდა თუ არა (მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს, როცა დასრულდა ნაწარმოების საბოლოო რედაქციაზე მუშაობის პროცესი, რუსეთის იმპერიის მიერ ნაკისრი არცერთი ვალდებულება შესრულებული არ ყოფილა, მეტიც, უკვე აქტიურად მიმდინარეობდა ანტიქართული კოლონიზატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა: ქართული სკოლების ოფიციალური რუსიფიკაციის პროცესი⁴⁰). ამ შემთხვევაში, ლექსში ართქმული უფრო მეტად ინფორმაციული მონაცემია, ვიდრე – ვერბალიზებული და ის მეტყველებს რუსეთის მიერ განუხორციელებლად დატოვებულ და შესაბამისად, გაცრუებულ ქართულ ეროვნულ იმედზე.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ანექსიის ტრავმის განმცდელი პირველი თაობის რომანტიკულ პოეტურ ნარატივში ეროვნული მომავლის იმიჯი

³⁹ იქვე, 25.

⁴⁰ 1881 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ თავისი პროექტით ჯერ დაწყებით საფეხურზე დაიწყო ქართული ენის შევინროება (მშობლიური ენის სწავლას ბოლო გაკვეთილები ეთმობოდა, საფასური მშობლებს უნდა გადაეხადათ...), 1889 წლისთვის კი სკოლიდან სრულად განდევნა. ხუნდაძე, 1939, 3, 37-38.

მეტწილად უკავშირდება რუსეთის იმპერიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰომოგენური მაინც არაა; მის შესახებ კულტურული წარმოდგენები ფრაგმენტულია და ავლენს ფართო, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ ემოციურ სპექტრს: ოპტიმიზმს/ მესიანიზმს, პესიმიზმს, ნიჰილიზმს, გაურკვევლობის/იჭვნეულობის განცდას. პოეტური ეროვნული მომავლის ხატი ამ დროისთვის ისტორიული განვითარების პრინციპს ეფუძნება, გარეფაქტორად კი ითვალისწინებს მხოლოდ ჩრდილოეთის ქვეყანას.

III. მომავლის ხატები ანექსიის ტრავმის შემდგომი თაობის პოეტურ ნარატივში. აკაკი წერეთლის პოეტური მოდელები

მე-19 საუკუნის ქართული კოლონიურ რეალობაში თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება 60-იანი წლებიდან, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის „თერგდალეულთა“ თაობა და იწყებს მოდერნული ქართველი ერის ფორმირებას. მთელი მათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საპროგრამო ფორმულად შეიძლება დასახელდეს მოწოდება ილიას ცნობილი ლექსიდან:

*„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს.
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“⁴¹.*

„თერგდალეულთა“ ე.წ. „პირველდასელი“ ავტორების – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის – პოეტურ შემოქმედებაში უხვადაა წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული მომავლის ხატები და ისინი ეფუძნება ჰეროიზმის განცდას, აქტიური წინააღმდეგობის პათოსს, საერთო პასუხისმგებლობისა და კოლექტიური/ნაციონალური იდენტობის მნიშვნელობის გაცნობიერების აუცილებლობის ჩვენებას, კოლონიური თანამედროვეობის/კოლონიზებულ ქართველთა მონური ცნობიერების საფუძვლიან კრიტიკას, „პირნათელიანობის“ (გარდაცვალებისას ღვთისა და გმირი წინაპრების წინაშე ურცხვენელად წარდგომის) კონცეპტსა და ესქატოლოგიური მომავლის ბიბლიურ მოდელებს. საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში გაჩნდა კონვენციური მითოსური მოდელების (მაგალითად, ამირანის მითის) ახლებური ინტერპრეტა-

⁴¹ ჭავჭავაძე, 1987, 67.

ციები, რაც მიზნად ისახავდა ქართველთა ეროვნული ცნობიერების მოდიფიცირებას, ძველი სააზროვნო მოდელების თვისებრივ განახლებასა და კოლექტიური თვითრწმენის აღორძინებას. ამ მიზნის მიღწევის საერთო საქმეში თავისი ფუნქცია შეასრულა მომავლის რწმენამ (ბარათაშვილისეული ფორმულირებით: „განწირულის სულისკვეთებამ“), როგორც ეროვნული თავდაცვის ყველაზე ქმედითმა სააზროვნო ორიენტირმა. მაგალითად, ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის პოეზიაში ეს კონცეპტი რეპრეზენტირებულია უკომპრომისო, შეუვალი რწმენის პათოსით, რომ აუცილებლად დადგება დაჩაგრული ქვეყნის აღორძინების, „ძალმომრეობის მსხვერპლთა“ რეაბილიტაციის, „ძღვეამოსილი“ დრო – სიმბოლური კულტურული ტოპოსით მარკირებული – გაზაფხული (შდრ. „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ და „მოვა დრო“).



სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ეროვნული ისტორიული თუ უახლესი წარსულისადმი არა ემოციური, არამედ – რაციონალური დამოკიდებულება და მე-19 საუკუნის რეალიზმის პერიოდის ქართულმა ლიტერატურამ სამომავლო ორიენტირების დასახვის გზით მიზნად დაისახა კოლონიალიზმის ეროვნული ტრავმის საბოლოოდ დაძლევა.⁴² დასახელებულ ავტორთა მთელი მხატვრული შემოქმედება (და პუბლიცისტიკა) შეიძლება შეფასდეს როგორც მოდერნული ტიპის ერის მომავალზე, მის თვისებრივად ახლებურ კონსტრუირებაზე ორიენტირებული დომინანტური დისკურსი კოლონიური პერიოდის ქართულ ლიტერატურაში.


ქვემოთ წარმოდგენილია აკაკი წერეთლის პოეზიაში რეპრეზენტირებული ეროვნული მომავლის ხატების ანალიზი. ამგვარი არჩევანი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. მათ შორის, პირველ ყოვლისა, უნდა დასახელდეს ის, რომ ილიას როგორც ერის მამის მოღვაწეობა მრავალმხრივ და საფუძვლიანად არის შესწავლილი საკუთრივ ნაციონალური იდენტობის თვალსაზრისით როგორც სპეციფიკურად ილიალოგიის, ისე უფრო ზოგადად – ქართველოლოგიური კვლევების ფარგლებში. მეორე მხრივ, აკაკი წერეთლის შემოქმედებაც მრავალი თვალსაზრისითაა გაანალიზებული, თუმცა, მის პოეზიაში ეროვნული მომავლის იმიჯები აქამდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის ობიექტი, მით უფრო – ანოტირებისა და ვიზუალიზების ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით.

კვლევისთვის საანალიზოდ შეირჩა აკაკი წერეთლის თხზულებათა უახლესი აკადემიური 20-ტომეულის პირველ 3 ტომში შემავალი ასეულობით ლექსი. აღნიშნულ ტომებში (რომელთა ელექტრონული ვერსიებიც გამოვიყენე მონაცემთა ონლაინანოტირებისა და შემდეგ ვიზუალიზებისთვის) ქრონოლოგიურად წარმო-

⁴² კილანავა, 2013, 61-154.

დგენილია 1856-1880, 1881-1900 და 1901-1914, აგრეთვე – უთარილო, დაუმთავრებელი და ყრმობისდროინდელი ლექსები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ანოტირდა და ვიზუალიზდა მხოლოდ ეროვნულ მომავალთან დაკავშირებული ტექსტური მონაცემები და არა – ნებისმიერი ტიპის (მაგალითად, სასიყვარულო წყვილის, ბუნების ციკლის და სხვ.) მომავალთან დაკავშირებული ექსპლიციტურ დონეზე განსახოვნებული მასალა (აკაკი წერეთლის ლექსებში ამგვარი არაერთი პასაჟი დადასტურდა). ქვემოთ დიაგრამების სახით წარმოდგენილია სამივე ტომის მიხედვით ანოტირებული და ვიზუალიზებული ტექსტური მონაცემები.





თავდაპირველად განისაზღვრა ეროვნულ მომავალთან დაკავშირებით აკაკი წერეთლის ლექსებში ასახული მოდელების საანალიზო კატეგორიები. კატეგორიები გადანაწილდა 3 თავსების ფარგლებში: ალეგორიული მოდელის, იმედისა და უიმედობის. მათ მიხედვით მოინიშნა საქართველოს მომავალთან დაკავშირებული ყველა ტექსტური მონაცემი. ამის საფუძველზე დიაქრონიულად გამოვლინდა მათი განფენის სიხშირე და ინტენსივობა. **ალეგორიული მოდელის თავსეტში** გათვალისწინებული იყო შემდეგი თავები: ბიბლიური, ბუნების, ისტორიული, ლიტერატურული და მითოლოგიური მოდელები; **იმედის** თავსეტში გათვალისწინებული იყო ახალ თაობასთან, განათლებასთან, ესქატოლოგიურ აღსასრულთან, განუსაზღვრელ/განუპირობებელ იმედთან, მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებასთან, საფუძვლიან (კულტურით, ისტორიით განპირობებულ) იმედთან, ქორწინებასა და შურისგებასთან დაკავშირებული ტექსტური მონაცემები; **უიმედობის** თავსეტში კი გათვალისწინებული იყო ავი წინათგრძნობა, ნიჰილიზმი და ცვლილებების შეუძლებლობა.

აღმოჩნდა, რომ 1-ელი ტომის მიხედვით, 8 თავი დადასტურდა, მეორე და მესამე ტომების მასალის მიხედვით კი – 11-ივე. მათ შორის, როგორც დიაგრამებიდან იკვეთება, სამივე ტომის ლექსებში დადასტურდა შემდეგი 5 თავი: ბიბლიური ალეგორიული მოდელი, ზოგადი (განუპირობებელი) იმედი, ნიჰილიზმი, შურისგება და ცვლილებების შეუძლებლობა. მათგან, სამივე დიაგრამის მონაცემთა გათვალისწინებით, ყველაზე რეიტინგული აღმოჩნდა ზოგადი/ განუსაზღვრელი/ გა-

ნუპირობებელი იმედის გამომხატველი პასაჟები (როგორებიცაა, მაგალითად, „იმ ცრემლს შობს წარსულის ბედი,/ ანმყო თვალსა მოაჩქერებს,/ და მომავალი იმედი/ წამწამებზედ შეაჩერებს“ – 1864, „პასუხი კ. ბ. ჯორჯაძისას“; „მაგრამ მე მაინც სრულ იმედითა/ ველი იმ მთვარეს და იმ ვარსკვლავსა“ – 1872 წ., „ორი სურათი“; „და ოცნებით წინდანინვე ვგრძნობ მომავალ ნეტარებას“ – 1882 წ. „ყმანვილები“; „და როდესაც თავს აიშვებს ჭირნახული გმირთა-გმირი“ – 1883 წ. „გაზაფხული“; „მოვა დრო და თავს აიშვებს,/ იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!/ სიხარულად შეეცვლება / ამდენი ხნის გასაჭირი!“ – 1883 წ. „ამირანი“; „მაგრამ უთვალოც კარგადა ვხედავ/ როგორც ჩვენს წარსულს, ისე მომავალს.../ დიახ, მომავალს, სულ სხვანაირად, თავისუფლებით აღყვავებულსა,/ რაც რომ ანმყოში მენატრებოდა/ და ეკლად ესვა ჩემს დამწვარ გულსა“). როგორც დიაგრამები აჩვენებს, იმედი, რომლის საფუძვლიანობაცა და განმაპირობებელი მიზეზებიც ლექსებში არც ექსპლიციტურ და არც იმპლიციტურ დონეებზე არაა გამოხატული, სამივე მათგანში აქტუალიზებულია და ინტენსიურად წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესამე დიაგრამაზე მის გვერდით ჩნდება საფუძვლიანი (მიზეზდასახელებული) იმედიც და ის, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ერის კულტურულ, ისტორიულ წარსულს, სხვაგვარად – მემკვიდრეობითობისა და განგრძობითობის იდეას: საქართველოს გმირი მეფეებისა და უდიდესი ქართველი პოეტის – შოთა რუსთველის – სახელს. მესამე ტომის მასალათა მიხედვით (ქრონოლოგიურად – გვიან, სიცოცხლის ბოლოს, შექმნილ ლექსებში), გამოვლინდა იმგვარი იმედიც, რომელიც თანამედროვე ეპოქალურ კონტექსტს, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს (რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს) უკავშირდება და საქართველოს მომავალს წარმოიდგენს არა იზოლირებულად, არამედ – საკაცობრიო ისტორიულ პროცესებში ჩართულად.

ამ ფონზე საგულისხმო გრადაციას – საპირისპირო მონაცემებს – აჩვენებს ნიჰილიზმის თავი: ისიც სამივე დიაგრამაზეა ასახული, თუმცა დაღმავალი სიხშირით: ყველაზე ინტენსიურად გამოვლინდა 1-ელი ტომის (ანუ აკაკის ახალგაზრდობისდროინდელ) ლექსებში, ნაწილობრივ შენარჩუნდა, თუმცა – ნაკლები სიხშირით, მე-2 ტომის ლექსებში და ყველაზე სუსტად აისახა მე-3 ტომის მასალებში. სემანტიკურად მასთან ახლოსაა ცვლილებების შეუძლებლობის თავი, რომელიც, ნიჰილიზმთან შედარებით, კიდევ უფრო სუსტადაა რეპრეზენტირებული (პირველ 2 დიაგრამაზე დასაწყისში არაინტენსიურად ჩნდება, მესამეზე კი – მხოლოდ ერთხელ). მასში გათვალისწინებულია ყველა ის ტექსტური მონაცემი, რომლებშიც პოეტის მიერ ექსპლიციტურადაა ნაჩვენები ცვლილებების შეუძლებლობა (სხვაგვარად – ქვეყნის მონური/კოლონიური მდგომარეობის არადროებითობა).

სამივე დიაგრამაზე ასახული მონაცემებიდან *შურისგების* თავი ყველაზე ინტენსიურად წარმოდგენილია მე-2-ზე, პირველსა და მესამეზე კი – შედარებით ნაკლებად და ორივე შემთხვევაში, დასაწყისში. *შურისგების* (როგორც აქტიური/საპროტესტო პოზიციის) სემანტიკა ერთდროულად მოიცავს როგორც მტრის იმპლიციტურ ფიგურას, ისე – ერის ჩაგრულობის/დამონებულიობის/კოლონიურ მდგომარეობას და ეროვნული გამარჯვების რწმენასაც.

დაბოლოს, *ბიბლიური მოდელის* თავის სიხშირე და ინტენსივობა ზრდადია: თუ პირველი დიაგრამის მიხედვით, ჩნდება დასაწყისში და 2-ჯერ, მეორე დიაგრამაზეც დასაწყისში წარმოდგენილია უკვე 3-ჯერ, ხოლო მესამე დიაგრამის მიხედვით, უფრო ინტენსიური, განფენილი ხდება და ჩანს 4-ჯერ. როგორც იკვეთება, განხილული თავებიდან ზრდადია (სიხშირისა და ინტენსივობის მიხედვით) სწორედ *ბიბლიური ალეგორიული მოდელისა და განუსაზღვრელი იმედის* თავები. მათ შორის კორელაცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა მესამე დიაგრამაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ განუსაზღვრელი, განუმარტებელი იმედიც მორწმუნის, რელიგიური ცნობიერების მქონე პოეტის პერსპექტივიდანაა წარმოდგენილი და ეფუძნება იმედის როგორც ერთ-ერთი მთავარი სათნოების, სახარებისეულ მოდელს; შესაბამისად, მორწმუნის, როგორც შიშის დამძლევისა და საღვთო/აბსოლუტური სამართლის მოიმედის, ზოგადქრისტიანულ კონცეპტს.

IV. დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი კვლევის მიზნად დასახული იყო მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ (პოეტურ) ნარატივში ეროვნული დისკურსის განვითარებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი – საერთო მომავალზე ორიენტირებული რიტორიკის – კონკრეტულად კი – მომავლის მხატვრული სახეების – დიაქრონული ანალიზი. საკვლევ ობიექტად შეირჩა მე-19 საუკუნის კოლონიური პერიოდის ქართული ლირიკის ნიმუშები. ტექსტურ მონაცემებზე დაკვირვების საფუძველზე მიმოხილულ იქნა ანექსიის ტრავმის თაობის – ბატონიშვილ ქალთა და რომანტიკოს პოეტთა – შემოქმედებაში გამოვლენილი შესაბამისი მოდელები, დეტალური ანალიზის საგნად კი იქცა ტრავმის შემდგომი თაობის წარმომადგენლის – აკაკი წერეთლის – ლექსები (სხვა რეალისტ ავტორთა შემოქმედებიდან გამოიყო მხოლოდ ძირითადი ტენდენციები, თუმცა, დამატებით აღარ გამახვილდა ყურადღება, რადგან მათთან მიმართებით შემოვიფარგლე სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული ჩემივე კვლევით). შესასწავლი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, სტატიაში გათვალისწინებულ იქნა ისტორი-

ული კონტექსტი და მომავლის კულტურული წარმოდგენების ამსახველი წინარე ლიტერატურული იმიჯები.

საანალიზო თეორიული ჩარჩო შექმნა ნაციონალიზმის, ეროვნული მეხსიერებისა და თაობათაშორისი ტრავმის კვლევების დასავლეთევროპული სამეცნიერო თეორიების ძირითადმა კონცეპტებმა, გათვალისწინებულ იქნა საკუთრივ ქართველოლოგიის ფარგლებში არსებული მნიშვნელოვანი წინარე კვლევები, სტატიაში ასახული ჩემი კვლევის პრაქტიკული ნაწილი კი განხორციელდა ტექსტურ მონაცემთა ანოტირებისა და ვიზუალიზების ონლაინინსტრუმენტების გამოყენებით.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მე-19 საუკუნის კოლონიური პერიოდის ქართულ ლირიკულ ტექსტებში განსახოცებული წარმოდგენები ეროვნული მომავლის შესახებ არაა ერთგვაროვანი, თუმცა, შესაძლებელია, 3 ძირითად ტიპად კლასიფიცირდეს: 1. საქართველოს მომავლის შესახებ კულტურული წარმოდგენა უკავშირდება რუსეთის იმპერიას (ამასთან, რჩება განუხორციელებელი მოლოდინის ფარგლებში); 2. საქართველოს მომავლის შესახებ კულტურული წარმოდგენა უკავშირდება საქართველოსავე ისტორიულ წარსულს და არ ითვალისწინებს გარეფაქტორებს (მათ შორის, რუსეთის იმპერიას); 3. კულტურული წარმოდგენა საქართველოს მომავლის შესახებ უკავშირდება თანადროულ მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს, რომლებმაც (გამშუალელების, „მფარველ-მოძალადის გარეშე“) უნდა განსაზღვრონ საქართველოს, როგორც თავისუფალი ქვეყნის, ბედიც.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ასათიანი ლ., ძველი საქართველოს პოეტი ქალები, თბილისი, 1936 [asatiani l., dzveli sakartvelos p'oet'i kalebi, tbilisi, 1936]
- ბარათაშვილი ნ., თხზულებათა სრული კრებული, მოგონებანი, პორტრეტის ისტორია, გენეალოგია ლ. თაქთაქიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2005 [baratashvili n., tkhzulebata sruli k'rebuli, mogonebani, p'ort'ret'is ist'oria, genealogia l. taktakishvilis redakt'orobit, tbilisi, 2005]
- ბენდიანიშვილი ა., დაუშვილი ა., სამსონაძე მ., ქოქრაშვილი ხ., ჭუმბურიძე დ., ჯანელიძე ო., რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008 [bendianishvili a., daushvili a., samsonadze m., kokrashvili kh., ch'umburidze d., janelidze o., rusuli k'olonializmi sakartveloshi, tbilisi, 2008]
- ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბილისი, 1980 [berdznishvili m., masalebi XIX sauk'unis p'irveli nakhevris kartuli sazogadoebriobis ist'oriisatvis, tbilisi, 1980]

- გელაშვილი ა., რუსეთ-საქართველოს ომი 1812-1813 წლებში, თბილისი, 2023 [gelashvili a., ruset-sakartvelos omi 1812-1813 ts'lebshi, tbilisi, 2023]
- გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფილისი, 1935 [gozalishvili g., 1832 ts'lis shetkmuleba, t'. I, t'pilisi, 1935]
- გურამიშვილი დ., დავითიანი, თბილისი, 1955 [guramishvili d., davitiani, tbilisi, 1955]
- დობორჯგინიძე ნ., ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია, ნიგნში: ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში, ნ. დობორჯგინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2019 [doborjginidze n., erek'le meorisa da misi samepos evrop'uli p'roektsia, ts'ignshi: kartvelta k'ult'uruli k'vali germaniashi, n. doborjginidzis redakt'orobit, tbilisi, 2019]
- თაყაიშვილი ე. (რედ.), საქართველოს სიძველენი, III, ტფილისი, 1910 [taq'aishvili e. (red.), sakartvelos sidzveleni, III, t'pilisi, 1910]
- კილანავა ც., სივრცის იდეოლოგიზება ქართულ მწერლობაში: „მრდილოეთის ქვეყნის“ რელიგიური და ნაციონალური კონტექსტები, ჟურნ. „კადმოსი“, N10, 2018 [k'ilanava ts., sivrtsis ideologizeba kartul mts'erlobashi: „chrdiloetis kveq'nis“ religiuri da natsionaluri k'ont'ekst'ebi, zhurn. „k'admosi“, N10, 2018]
- კილანავა ც., ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება: საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირების მოდელები და ქართული ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი, 2013 [k'ilanava ts., kartuli natsionaluri disk'ursis pormireba: sakartvelosa da rusetis imp'eriis mark'irebis modelebi da kartuli natsionaluri tvitident'ipik'atsia me-18 sauk'unis dasasrulisa da me-19 sauk'unis kartul lit'erat'urashi, sadokt'oro nashromi, tbilisi, 2013]
- კილანავა ც., „ქვეყნის იგავი“ და „საქართველო“: ბაგრატიონთა ორი ალეგორიული ნახატი, ჟურნ. „კადმოსი“, N2, 2010 [k'ilanava ts., „kveq'nis igavi“ da „sakartvelo“: bagrat'ionta ori alegoriuli nakhat'i, zhurn. „k'admosi“, N2, 2010]
- კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია: XIX საუკუნე, თბილისი, 1959 [k'ot'et'ishvili v., kartuli lit'erat'uris ist'oria: XIX sauk'une, tbilisi, 1959]
- ლომიძე თ., ქართული რომანტიზმის პოეტიკა, თბილისი, 2014 [lomidze t., kartuli romant'izmis p'oet'ik'a, tbilisi, 2014]
- მაგაროტო ლ., საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801), ს. კენჭოშვილის თარგმანი, თბილისი, 2008 [magarot'o l., sakartvelos aneksia rusetis mier (1783-1801), s. k'ench'oshvilis targmani, tbilisi, 2008]
- მაცაბერიძე მ., ერნესტ რენანი ერის ცნების შესახებ და იმდროინდელი ქართული პოლიტიკური აზრი, ჟურნ. „პოლიტიკა“, ტ. 4, N6, 2020 [matsaberidze m., ernest' renani eris tsnebis shesakheb da imdroindeli kartuli p'olit'ik'uri azri, zhurn. „p'olit'ik'a“, t'. 4, N6, 2020]
- ორბელიანი გ., თხზულებათა სრული კრებული, ა. განერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის რედაქტორობით, თბილისი, 1959 [orbheliani g., tkhzulebata sruli k'rebuli, a. gats'ereliassa da j. ch'umburidzis redakt'orobit, tbilisi, 1959]
- ორბელიანი ვ., ლექსები: სრული კრებული, ტფილისი, წელი, [orbheliani v., leksebi: sruli k'rebuli, t'pilisi, ts'eli]

- ყაზბეგი ა., თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, ტ. III, თბილისი, 1949 [q'azbegi a., tkhzulebata sruli k'rebuli otkh t'omad, t'. III, tbilisi, 1949]
- შადური ვ. (შემდგ.), ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, თბილისი, 1962 [shaduri v. (shemdg.), kartveli mts'erlebi rusetis shesakheb, tbilisi, 1962]
- წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, თბილისი, 2010 [ts'ereteli a., tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. I, tbilisi, 2010]
- წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, თბილისი, 2011 [ts'ereteli a., tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. II, tbilisi, 2011]
- წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. III, თბილისი, 2012 [ts'ereteli a., tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'. III, tbilisi, 2012]
- ნიფურია ბ., ქართული ლიტერატურა: კოლონიზაცია, მოდერნიზაცია, ახალი პარადიგმები, ჟურნ. „კადმოსი“, N2, 2010 [ts'ipuria b., kartuli lit'erat'ura: k'olonizatsia, modernizatsia, akhali p'aradigmebi, zhurn. „k'admosi“, N2, 2010]
- ჭავჭავაძე ა., თხზულებები: ლექსები, ნარკვევები, დრამის თარგმანები, წერილები, ი. კენჭოშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1986 [ch'avch'avadze a., tkhzulebebi: leksebi, nark'vevebi, dramis targmanebi, ts'erilebi, i. k'ench'oshvilis redakt'orobit, tbilisi, 1986]
- ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.1, თბილისი, 1987 [ch'avch'avadze i., tkhzulebata sruli k'rebuli ots t'omad, t'.1, tbilisi, 1987]
- ხუნდაძე ტ., ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბილისი, 1939 [khundadze t., tsarizmis saganmanatleblo p'olit'ik'a sakartveloshi (80-iani ts'lebi), tbilisi, 1939]
- ჯავახიშვილი ი., დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, თბილისი, 1919 [1989] [javakhishvili i., damok'idebuleba rusetsa da sakartvelos shoris me-XVIII-e sauk'uneshi, tbilisi, 1919 [1989]]
- ჯოლოგუა თ., 1832 წლის შეთქმულების რაობისთვის, წიგნში: ლიტერატურული ძიებანი, XXXVIII, თბილისი, 2017 [jologia t., 1832 ts'lis shetkmulebis raobistvis, ts'ignshi: lit'erat'uruli dziebani, XXXVIII, tbilisi, 2017]
- Assmann A., *Shadows of Trauma: Memory and the Politics of Postwar Identity*, Translated by S. Clift, Fordham University Press, 2016
- Beller M., Leerssen J.Th., *Imagology: The Cultural Construction and Literary Representation of National Characters: A Critical Survey*, Rodopi, 2007
- Chkhartishvili M., Kadagidze S., *Georgian Nationalism in the Nineteenth Century: Values, Ideals, Symbols*, in: *Proceedings of the Institute of Georgian History*, IV, Tbilisi, 2011
- Hirsch M., *The Generation of Post-memory*, *Poetics Today*, Vol. 29, No. 1
- Jones S. F., *Russian Imperial Administration and the Georgian Nobility: The Georgian Conspiracy of 1832*, *The Slavonic and East European Review*, Vol. 65, No. 1, 1987
- Reisner O., *Travelling between Two Worlds – the Tergdaleulebi, their Identity Conflict and National Life*, in *Identity Studies*, Vol. 1, 2009

Tsira Kilanava*

MODELS OF THE NATIONAL FUTURE IN COLONIAL PERIOD (19TH CENTURY) GEORGIAN POETRY

Abstract

This study examines the poetic models of national futurity in nineteenth-century Georgian literature, focusing specifically on representations of the future articulated within the colonial context of the Russian Empire. The research object comprises lyrical texts produced during two major phases: the first generation that directly experienced the trauma of annexation—princess-poets of the Bagrationi dynasty and Romantic authors—and the subsequent generation of Realist writers, with particular emphasis on the extensive poetic corpus of Akaki Tsereteli. The aim of the article is to trace how Georgian poets imagined the national future during a period marked by political subjugation, cultural disruption, and the transformation of national consciousness.

The theoretical framework integrates key concepts from nationalism studies, imagology, cultural memory, and intergenerational trauma theory. The study conceptualizes national identity as a discursively constructed and historically modifiable model that retains certain stable core elements across time. Within this frame, Georgian literature is approached as a medium of collective/National memory that not only reflects socio-political realities but also shapes cultural perceptions of the self and the Other.

Methodologically, the research combines close reading with digital-humanities-oriented text annotation and visualization. While the relatively small corpus of early nineteenth-century lyrical texts allows for manual identification, contextualization, and comparison of future-oriented motifs, the large volume of Akaki Tsereteli's three-volume poetic output required the application of digital tools. For this purpose, CATMA was used for systematic annotation of future-related semantic markers, and the visAvis tool was employed for their graphical visualization. The annotated material was categorized into three tagsets—allegorical models, hope, and hopelessness—each comprising specific subcategories such as biblical, mythological, and historical

* Assistant Professor at Ilia State University. <https://orcid.org/0000-0001-9752-9661>

allegories; unconditional hope; generational and educational hope; nihilism; and the impossibility of change.

The analysis demonstrates that poetic representations of the national future during the first, trauma generation are heterogeneous, fragmented, and often emotionally contradictory. While some Romantic authors express messianic optimism or conditional hopes linked to the Russian Empire as a potential protector, others portray uncertainty, skepticism, or outright despair. Notably, even the most optimistic visions frequently remain passive, abstract, or unfulfilled. By contrast, the post-trauma/post-memory generation—the „Tergdaleulebi”—introduces an entirely new model of futurity grounded in active national responsibility, cultural modernization, civic awakening, and heroic resistance. Akaki Tsereteli’s corpus reveals a dynamic evolution: whereas early poems contain pronounced nihilistic tendencies, later works increasingly privilege unconditional and theologically informed hope, biblical allegorical frameworks, and faith in historical continuity. Over time, the future is imagined less as dependent on imperial structures and more as aligned with global socio-political processes and the moral agency of the Georgian nation itself.

The study concludes that nineteenth-century Georgian poetic discourse constructs three principal types of national future: (1) futures mediated through Russia—thematized as expectations largely destined to remain unrealized; (2) futures rooted in Georgia’s own heroic past, independent of external actors; and (3) futures embedded within broader global developments, envisaging Georgia as a free and self-determining nation. These findings illuminate the diachronic emergence of future-oriented national rhetoric as a central component of Georgian literary nation-building discourse under colonial rule.

Keywords: National Future, Georgia, Colonial Period, Georgian Poetry.

მაია ჯალიაშვილი*

ადამიანები და მოვლენები დროის ერთიანობის კონტექსტში (თამარი ფხაკაძის რომან „ჩვენ, თურმელები“ მიხედვით)

I. შესავალი

დროის ერთიანობა ის მყარი საფუძველია, რომელიც ადამიანის ცნობიერების სიმტკიცეს განაპირობებს. „დარღვეული დრო“, ანმეოს, წარსულისა და მომავლის ცალ-ცალკე აღქმა ტრაგედიის წყაროა ერისა თუ ადამიანისთვის. თამარი ფხაკაძე რომანში „ჩვენ, თურმელები“ წარმოაჩენს მითოპოეტურ დროს. რომანში მწერალი სხვადასხვა კონტექსტში და ნაირგვარი ინტერპრეტაციით იყენებს უნივერსალურ მითოლოგიურ არქეტიპებს, რათა თავისი სათქმელი სიღრმითა და მეტი მრავალმნიშვნელოვნებით დატვირთოს. ავტორი ცდილობს და ახერხებს კიდევაც რაციონალურ და ირაციონალურ, მატერიალურ და სულიერ სამყაროებს შორის ფარული კავშირები დაგვანახოს. პერსონაჟთა თუ მხატვრულ სახეთა მეტაფორულობა და სიმბოლურობა მკითხველს ეხმარება, რომ არა მხოლოდ ნაწარმოების ზედაპირზე იტივტივოს, არამედ მის სიღრმეებშიც ჩაყვინთოს. ამ რომანში ზღაპრული, მითოლოგიური „ამბები“ ისე ბუნებრივად და ლაღად შემოდის თხრობის მდინარებაში, რომ რეალურისა და მეტაფიზიკურის საზღვრები ქრება. მითი, საზოგადოდ, გულისხმობს წამის მარადისობას და მარადიულის გამოვლენას წამში. სწორედ წამისა და მარადისობის თანამყოფობა წარმოჩნდება რომანში. ამ ერთიანობას კი განაპირობებს ადამიანის მეხსიერება, რომელიც რასაც ვერ იტევს დასამახსოვრებლად, წიგნებსა და წიგნებში „ანაწილებს“. მომავლის განცდა რომანში სწორედ ამ მეხსიერების „მუდმივობას“ უკავშირდება.

II. თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომი ეფუძნება რამდენიმე ძირითად თეორიულ კონცეფციას, რომლებიც ხელს უწყობს თამარი ფხაკაძის რომანის „ჩვენ, თურმელები“ ანალიზს

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.
<https://orcid.org/0000-0001-6220-3696>

დროის, მეხსიერებისა და მითოპოეტურობის კონტექსტში. უპირველეს ყოვლისა, ნაშრომი ეყრდნობა მითის თეორიებსა და მითოპოეტური აზროვნების გაგებას. მირჩა ელიადეს „მარადიული დაბრუნების მითის“ მიხედვით, მითი არის მარადიულის გამოვლენა ნამში, რაც გულისხმობს ციკლურ დროსა და განმეორებადობას¹. თომას მანი წერილში „ფროიდი და მომავალი“ მითს „მოზეიმე სიცოცხლის მოდელად“ მიიჩნევს, როდესაც წარსული ანმყოფ გარდაქმნება და რელიგიურ აქტად იქცევა². ეს კონცეფციები საშუალებას გვაძლევს, თურმელთა საგვარეულოსა და სახლის არსებობა განვიხილოთ, როგორც მითის რეაქტუალიზაცია, როდესაც წინაპრების ისტორიები და რიტუალები მუდმივად მეორდება და მარადიულობას ანიჭებს გვარს.

მეორე მნიშვნელოვანი თეორიული საფუძველია მეხსიერების, როგორც დროის დაძლევის მექანიზმის გაგება. ალბერ კამიუს „ამბოხებული ადამიანი“, კონკრეტულად კი თავი „რომანი და ამბოხი“, გამოკვეთს ლიტერატურის როლს „დაბრუნებული დროის“ შექმნაში და გაფანტული სამყაროს გამთლიანებაში. პრუსტის შემოქმედებასთან პარალელები მიუთითებს იმაზე, რომ მეხსიერება არ არის მხოლოდ წარსულის გახსენება, არამედ აქტიური პროცესი, რომელიც ანმყოფი აცოცხლებს წარსულს და უზრუნველყოფს კავშირს თაობებს შორის³. ამ კონტექსტში, თურმელთა საგვარეულო სახლი, მისი ოთახები (სენაკი, ბიბლიოთეკა) და წერის ტრადიცია (წიგნი სენაკში) განიხილება, როგორც მეხსიერების მატერიალური და სიმბოლური საცავები, რომლებიც განაპირობებენ გვარის „უკვდავებას“.

მესამე კომპონენტია მაგიური რეალიზმის ჟანრული თავისებურებების ანალიზი. რომანში რეალურისა და მეტაფიზიკურის საზღვრების გაბუნდოვანება, უხილავი ძალების რეალურობა (მაგ., მოდარაჯე ძალღი, აჩრდილი) და პერსონაჟთა ზებუნებრივი თვისებები (დემეტრეს მზერის ძალა, მარკესის აურელიანო ბუენდიასთან მსგავსება⁴ გვაძლევს საშუალებას, ნაწარმოები ამ ჟანრის ფარგლებში განვიხილოთ. მაგიური რეალიზმი საშუალებას აძლევს ავტორს, რაციონალურსა და ირაციონალურს შორის კავშირები დაგვანახვოს და სამყარო უფრო მრავალშრიანად წარმოაჩინოს.

ამგვარად, ნაშრომი ითვალისწინებს ეროვნული და უნივერსალური კონტექსტების ურთიერთკავშირს. აკაკი ბაქრაძის წერილი „მეცხრამეტე საუ-

¹ ელიადე, 2017, 27.

² მანი, 1989, 136.

³ კამიუ, 2019, 56.

⁴ მარკესი, 2012, 45.

კუნე“ ქართული ლიტერატურის ისტორიაში ეროვნული დანაწევრებულობის დაძლევის მცდელობებს განიხილავს⁵. თამარი ფხაკაძის რომანი ამ ტრადიციის გაგრძელებად აღიქმება, მაგრამ თურმელობის ფენომენი სცილდება ეროვნულ ჩარჩოს და კაცობრიობის საყოველთაო გამოცდილებასა და ჰუმანისტურ იდეალებზეც მიაწვდის. ბიბლიური ალუზიები და უნივერსალური მოტივები (უძღები შვილის დაბრუნება, მთის სიმბოლიკა) ამყარებს რომანის უნივერსალურ მნიშვნელობას. ეს თეორიული ჩარჩოები ერთობლივად ქმნის მყარ საფუძველს რომანის სიღრმისეული ანალიზისთვის და მისი მხატვრული ღირებულების სრულყოფილად წარმოჩენისთვის.

III. მითოპოეტურობა და მაგიური რეალიზმი

მითოპოეტურობა უახლესი ქართული ლიტერატურის ერთი დამახასიათებელი შტრიხია. ვგულისხმობთ ჯემალ ქარჩხაძის, თამაზ ბიბილურის, გურამ დოჩანაშვილის, ოთარ ჩხეიძის, ოთარ ჭილაძის, გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას. ისინი სხვადასხვა კონტექსტში და ნაირგვარი ინტერპრეტაციით ხშირად იყენებენ უნივერსალურ მითოლოგიურ არქეტიპებს, რათა თავიანთი სათქმელი სიღრმითა და მეტი მრავალმნიშვნელოვნებით დატვირთონ. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე მწერლებს შორის გამორჩეულია თამარი ფხაკაძე, რომლის ბოლო რომანი „ჩვენ, თურმელები“ სწორედ ამ მითოპოეტურობით არის გამორჩეული. იგი ცდილობს და ახერხებს კიდევაც რაციონალურ და ირაციონალურ, მატერიალურ და სულიერ სამყაროებს შორის ფარული კავშირები დაგვანახვოს. მისი რომანის მითოპოეტურობაში სწორედ ამას ვგულისხმობთ. პერსონაჟთა თუ მხატვრულ სახეთა მეტაფორულობა და სიმბოლურობა მკითხველს ეხმარება, რომ არა მხოლოდ ნაწარმოების ზედაპირზე იტივტივოს, არამედ მის სიღრმეებშიც ჩაყვინთოს.

ამ რომანში ზღაპრული, მითოლოგიური „ამბები“ ისე ბუნებრივად და ლაღად შემოდის თხრობის მდინარებაში, რომ რეალურისა და მეტაფიზიკურის საზღვრები ქრება. მითი, საზოგადოდ, გულისხმობს წამის მარადისობას და მარადიულის გამოვლენას წამში. სწორედ წამისა და მარადისობის თანამყოფობა წარმოჩნდება რომანში. ამ ერთიანობას კი განაპირობებს ადამიანის მეხსიერება, რომელიც რასაც ვერ იტევს დასამახსოვრებლად, წიგნებსა და ნივთებში „ანაწილებს“. „ეს არაოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვის არის“ – მითის განმარტებისას გრიგოლ რობაქიძე სალლუსტიუსის სწორედ ამ გამონათქვამს მოიხმობდა. თომას მანი მითს მოზეიმე სიცოცხლის მოდელს

⁵ იხ., ბაქრაძე, 2011.

უნოდებდა, რომლის მეოხებითაც წამი ხდებოდა განუზომლად დიდი, ხოლო პიროვნული არსებობა „თავს აღწევდა ვიწრო ჩარჩოებს“. წერილში „ფროიდი და მომავალი“ იგი წერდა: „ცხოვრება მითში... ერთგვარი ზეიმიია. აქ წარსული გარდაიქმნება ანმყოფ, ის იქცევა რელიგიურ აქტად, ეკლესიის მსახური რომ აღასრულებს გარკვეული პროცედურების მერე. ის იქცევა ნადიმად, ყოველწლიურ ნადიმებად, წარსულის აღორძინებად ანმყოფში“⁶. თამრი ფხაკაძის ამ რომანში სწორედ ამ „მოზეიმე სიცოცხლეს“ ვხედავთ, რომელიც სიკვდილს თავის მასულდგმულებლად მიიჩნევს.

რომანში გამოთებულია თურმელთა საგვარეულო, რომელიც ყოველთვის იქნება, რადგან წინაპარი და შთამომავალი დაკავშირებულია ერთმანეთთან არა მხოლოდ სისხლით, ბიოლოგიური მიჯაჭვულობით, არამედ სულიერი, ირაციონალური კავშირებით. ამგვარად, მითოლოგიური კონტექსტი რომანის სიღრმისეული გააზრების ერთი მნიშვნელოვანი პლასტია. გამჭვირვალეა რომანის სათაური. თურმელთა უკვდავების გასაღები მათსავე გვარშია. ეს „თურმე“ ზღაპრისეულ, ლეგენდისეულ, მითოლოგიურ აქცენტებს აძლიერებს. თურმე არასოდეს გულისხმობს დამაჯერებლობას, არამედ დაეჭვებულ წარმოდგენას რაიმეზე. მწერლისთვის ადამიანი, სიცოცხლე, სამყარო ამ ეგზისტენციალური „თურმეს“ საძირკველზე დგას. რეალურადაც ხომ ასეა. როგორც შოპენჰაუერი წერს, „სამყარო ჩემი ნება და წარმოდგენაა“. ამიტომაც რომანი ჟანრობრივად შეიძლება მაგიურ რეალიზმს მივაკუთვნოთ, მასში არა მხოლოდ ცალკეული დეტალებია ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი, არამედ რომანის მთელი სტრუქტურა, პერსონაჟთა სახეები, თხრობა ექვემდებარება პრინციპს, რომლის მიხედვითაც, უხილავი სამყაროც ისეთივე რეალურია, როგორიც რაციონალური, მატერიალური. ამიტომაც ბუნებრივად აღიქვამს მკითხველი რომანში მოთხრობილ ისეთ ამბებს, რომლებიც მატერიალური სამყაროს კანონებს არ ემორჩილება (უხილავი მოდარაჯე ძაღლი, დამდნარი ცვილის მდინარე, სასახლეში მობორიალე აჩრდილი და სხვ.).

IV. სახლი, როგორც სიმბოლო და ქრონოტოპი

რომანის სტრუქტურა თურმელთა საგვარეულოს ამბებს ეფუძნება. მწერალი ცალკეული თურმელის პიროვნულ დრამას, ბედნიერებასა და ტკივილს კონკრეტული ამბებით გადმოგვცემს. ამგვარად, მკითხველის შთაბეჭდილებაში აღიბეჭდებიან პიროვნული თავისებურებებითა და უცნაური ცხოვრებისეული თავგადასავლებით გამორჩეული პერსონაჟები. რომანის ერთი გამოკვეთილი

⁶ ფხაკაძე, 2022, 7.

პერსონაჟია სახლი. თურმელთა თაობები იცვლებიან, მაგრამ არ იცვლება სახლი, როგორც ფუნდამენტი, კერა, როგორც სასიცოცხლო ცენტრი, რომელიც ყველა თურმელს, ცოცხალსაც და გარდაცვლილსაც, მუდმივად გულისხმობს. იგი შემოიკრებს წინაპარსაც და შთამომავალსაც და მათ შორის მტკიცე კავშირს უზრუნველყოფს. ის ცენტრია, რომლის უახლეს თუ უშორეს ორბიტებზე „ტრიალებენ“, ცხოვრობენ თურმელები. სახლისთვის ამგვარი მითოლოგიური შინაარსის მინიჭებით მწერალი მას თვითონ სამყაროსთანაც აიგივებს, რომელიც მარადიულად იარსებებს: „სახლში მოგზაურობდნენ. სახლის მთა-გორებზე, სახლის ველ-მინდვრებზე, სახლის შარაგზებსა და ბილიკებზე დადიოდნენ, სახლის დედამიწას გარს უვლიდნენ, ზოგან ზაფხული იდგა, ზოგან – ზამთარი“⁷. მწერლისთვის ღირებულია არა მხოლოდ კანტისეული ხილული, ფენომენების სამყარო, არამედ მისი ინტერესის სფერო ნოუმენების წვდომაცაა. ის ცდილობს ჩასწვდეს, თუ რას წარმოადგენს საგანი თუ მოვლენა თავისთავად და მერე სიტყვათა მეშვეობით გამოხატოს. ამგვარად, გამოიკვეთება მწერლის სურვილი, რომ მკითხველთან ერთად იმოგზაუროს სიცოცხლის პირველსაწყისების საიდუმლო მხარეში. პირველსაწყისები კი განმეორებულ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში ცხადდება. თურმელთა საგვარეულოს „უკვდავება“ სწორედ ამ რიტუალთა განმეორებადობაში წარმოჩნდება. სახლის ცალკეული ოთახი საგანგებოდაა შერჩეული იმისთვის, რომ დროთა კავშირი არ დაირღვეს. მირჩა ელიადე წერს: „ადამიანთა ქმედებას, ისევე როგორც მათ გარშემო არსებულ საგნებს, დამოუკიდებელი საკუთრივ არსებითი ნიშან-თვისების მაჩვენებელი ღირებულება არ გააჩნიათ. საგანი ან ქმედება მნიშვნელობას შეიძენს და ამით შესაბამისად რეალური გახდება, რადგან ისინი ამა თუ იმ გზით მონაწილეობენ იმ რეალობაში, რომელიც მათ მიღმა არსებობს“. სახლის კედლებიც კი, რომლებზეც წინაპართა ხელით მოქარგულ-მოქსოვილი ფარდაგებითა თუ ნახატებით არის დამშვენებული, ხელს უწყობს მარადიულობასთან კავშირს: „ჩვენ, თურმელები, დაბადებამდეც და სიკვდილის მერეც ამ ფერწერის ნაწილი ვიყავით. ამ კედლებში ვმარადისდებოდით. ვგრძელდებოდით, არ ვმთავრდებოდით“. ამ ფრაზაში, რომელშიც გვარის მთლიანობაა წარმოჩენილი, ყურადღებას იქცევს ავტორისეული პოეტური ნეოლოგიზმი „ვმარადისდებოდით“, რომელიც ზუსტად და სიღრმისეულად წარმოაჩენს მოკვდავი ადამიანის კავშირს ღვთაებრივთან. ასეთი სიტყვათქმნადობის ნიმუში სხვაც არაერთია, რაც ამდიდრებს ავტორის ლექსიკურ არსენალს.

⁷ იქვე, 8.

V. მეხსიერება და დროის დაძლევა

რომანისეული ერთობა ცოცხალთა და გარდაცვლილთა ის მთავარი ძარღვია, რომელიც მეხსიერებას საშუალებას აძლევს, რომ არ გაქრეს და გადაედინოს თაობიდან თაობაში. შეიძლება პრუსტისეული დაკარგული დროის ძიების მცდელობაც გაგვახსენდეს. შესანიშნავ დაკვირვებას გვთავაზობს ალბერ კამიუ თავის ნიგნში „ამბოხებული ადამიანი“, კონკრეტულად კი თავში „რომანი და ამბოხი“: „პრუსტის ნამდვილი სიდიადე ისაა, რომ სინამდვილეში დაწერა დაბრუნებული დრო, რომელიც კრებს გაფანტულ სამყაროს და გახლეჩის ზღვარზე მას ახალ მნიშვნელობას ანიჭებს“; „პრუსტის შემოქმედება წარმოადგენს ადამიანის ამბოხის ყველაზე მნიშვნელოვან და ყოვლისმომცველ მცდელობას მოკვდაობის წინააღმდეგ... ის ხდება სამყაროს ან ადამიანის მშვენიერების მოკავშირე სიკვდილისა და დავიწყების წინააღმდეგ ბრძოლაში“. ამგვარ მემამბოხედ წარმოგვიდგება თამრი ფხაკაძეც ამ რომანის სახით, რადგან დროის წინააღმდეგ ილაშქრებს და არ აძლევს მას ერთი მთლიანის დაშლის საშუალებას. ამ მთლიანობის სიმბოლო კი, როგორც აღვნიშნეთ, თურმელების საგვარეულო სახლია.

ალბერ კამიუ რომანს „რეალური სამყაროს შესწორებად“ მიიჩნევს, რომელიც მეტაფიზიკურად ამთლიანებს რეალობაში დანანევრებულ სამყაროს. თამრი ფხაკაძის რომანშიც არის ეს გამთლიანების მცდელობა. თურმელების საგვარეულო სწორედ ამ მთლიანობის მონატრებაა. ეს პრობლემა რომანის მიხედვით შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ფილოსოფიურსა და ფსიქოლოგიურ, ასევე თანამედროვე სოციალურსა და პოლიტიკურ კონტექსტებში. აკაკი ბაქრაძემ თავის ცნობილ წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“ ზუსტად და მახვილგონივრულად გამოარჩია ეს მთავარი თემა, რომელიც დღესაც აქტუალურია. მისი აზრით, მეცხრამეტე საუკუნეში ეროვნულ დანანევრებულობას, ცნობიერების რღვევას დაუპირისპირდა ოთხი მწერალი სხვადასხვა მხრიდან: „სასონარკვეთილებასა და განწირულებას მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ ოთხი მხრიდან შეუტია: ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნული და პიროვნული თავისუფლების ამბოხით, რაფიელ ერისთავის სოფლის ყოფის მშვენიერებით, ილია ჭავჭავაძის ეროვნული და სოციალური პროგრამით და აკაკი წერეთლის შემოქმედებითი არსებობის სიხარულით. ამ ოთხ დარტყმას უნდა დაეგერია რუტინა და ქართველი ერისათვის ისტორიის ასპარეზი გაეკაფა“⁸.

თამრი ფხაკაძე ერთგულია არა მხოლოდ ქართული მწერლობის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ტრადიციისა იმ თვალსაზრისითაც, რომ ისიც ამას ცდი-

⁸ ბაქრაძე, 2011, 107.

ლობს, თავისი რომანით ცხოვრება ამ დაუნანებელ მთლიანობად წარმოაჩინოს, ერთ დიდ ხედ, რომელსაც უამრავი ერთმანეთისგან დაშორებული განსხვავებული ტოტი აქვს, მაგრამ ფუნდამენტი, ძირი, ფესვი ერთი აქვს და ერთი საერთო წყაროდან იკვებება. ეს საერთო წყარო კი ის უნივერსალური ჰუმანისტური იდეალებია, რომლებიც ხელოვნებას მუდმივად ალელვებს და ადამიანში სიყვარულის, რწმენის, თავისუფლების, კეთილგონიერების, ღირსების გადარჩენას ემსახურება. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ რომანის სატიტულო გვერდზე ავტორის დახატული თურმელთა გენეალოგიური ხეა, რომლის ტოტებზეც მიწერილია პერსონაჟთა სახელები.

VI. პერსონაჟები და მათი სიმბოლიკა

თურმელობა, ზოგადად, შეიძლება, არა მხოლოდ ქართველობის, როგორც ეროვნული ფენომენის, არამედ კაცობრიობის სიმბოლოდაც მივიჩნიოთ. რომანის მთავარი პროტაგონისტი თადეოზ თურმელი თურმელთა გვარის ერთგვარი თაურმდგენია, ის წმინდანიცაა და ცოდვილიც. სწორედ იგი განაპირობებს წინაპარსა და შთამომავალს შორის უწყვეტ კავშირს, ამიტომაცაა, რომ მისი საფლავი არსადაა. ის ერთ დღეს შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. იგი აგრძელებს არა მხოლოდ ირაციონალურ სულიერ თანამყოფობას თავის შთამომავლებთან, არამედ რეალურადაც ხშირად ხედავენ მის სილუეტს, აჩრდილს სახლში. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ანთიმოზის მამას გილგამეში ერქვა. მწერალი მეტყველი ალუზიური სახელების ტრადიციას იყენებს. სახელები ზუსტად შეესაბამებიან პერსონაჟთა ბუნებას, მისწრაფებებს. გილგამეში მწერლობასთან არის დაკავშირებული. ის კაცობრიობის პირველი ლიტერატურული ნაწარმოების გმირია, რომლის ამბები თიხაზე დაწერილმა სიტყვებმა შემოინახა. ანთიმოზ თურმელი კი ანთიმოზ ივერიელსაც გაგვახსენებს, რომელიც სულიერ ცხოვრებასა და წიგნთან არის დაკავშირებული. ანთიმოზმა ააშენებინა ეს სახლი (სასახლე) დიადემის, სიმბოლურად, ღვთაებრივი ნიმუშის მიხედვით. სწორედ ანთიმოზის იდეა იყო, რომ ერთი ოთახისთვის სენაკი დაერქმიათ.

VII. სახლის რიტუალები და საკრალური სივრცეები

სენაკი სახლის ერთი საკრალური ოთახია. თვითონ ხომ უამრავი წელი გაატარა სენაკში, ბრძოლებში ჩადენილ ცოდვებს ინანიებდა. განსაკუთრებით ამძიმებდა მტრის ბავშვის მკვლელობა. მერე გაიგო, რომ ის ბავშვი გადარჩენილა, სწორედ ამან მისცა ახალი სასიცოცხლო ძალა და საერო ცხოვრებაში დროებით

დააბრუნა. სახლის ცალკეულ ოთახში პროფანული სივრცე საკრალურად გარდაიქმნება, რადგან აქ „მეორდება“ ის, რასაც რომელიმე წინაპარი ასრულებდა. ამ ოთახებში თურმელთა თაობების არქექტიპული მისწრაფებები ცოცხლდება და მეორდება. აქ ხდება წარსულის რეაქტუალიზაცია.

ანთიმოზმა ჩაუყარა საფუძველი ტრადიციას, რომ ყოველი თურმელი 25, 50, 75 და ა.შ. ასაკში შესულიყო სენაკში და საგანგებოდ მოვარაყებულყდიან ეტრატის დიდ წიგნში თავისი ამბები ჩაწერა. ეს იყო რიტუალი, რომელსაც ყველა მოკრძალებით ასრულებდა. თანაც, სენაკში შესულ თურმელს წიგნის ფურცელზე მხოლოდ მაშინ უნდა დაეწყო წერა, როდესაც მზის პირველი სხივები დაეცემოდა და გაანათებდა. სიმბოლიკით დატვირთულ რომანში მზის სხივის დაცემაც სიმბოლურად ღვთის ნიშნად, დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ. თითქოს თურმელი გამოდის ყოველდღიურობის მატერიალური სიბნელიდან და შედის ირაციონალურ ღვთაებრივ სინათლეში, სადაც წინაპართან კავშირს სწორედ დაწერილი სიტყვით ამყარებს.

რომანში წარმოჩენილ თურმელთა ბევრ ამბავს 25 წლის ლუკა თურმელი კითხულობს ამ სხივის მოლოდინში და მკითხველის თვალწინ ფერადი ხალიჩასავით, რეტროსპექტიულად გადაიშლება სხვადასხვა თურმელის ცხოვრების ეპიზოდები, სიყვარულის, სიძულვილის, ღალატის, ერთგულების, თავგანწირვის ამბები. როგორც აღვნიშნეთ, რიტუალთა, წეს-ჩვეულებათა ერთგულება მთავარი პირობაა გვარის ერთიანობის, წინაპარსა და შთამომავალს შორის ურყევი ურთიერთობისა. მწერალს განსაკუთრებული სიმძაფრით, შთამბეჭდავად აქვს სიყვარულის, ვნების, თავდავინყების ისტორიები მოყოლილი. ლუკა თურმელიც შეყვარებულია, როდესაც „სენაკში“ შედის. ამ შემთხვევაშიც, სიყვარულია მთავარი მოკავშირე უკვდავებისა.

VIII. ბიბლიური ალუზიები და სიმბოლური სივრცე

რომანი დატვირთულია ბიბლიური ალუზიებითაც. სახლი მთაზეა, იქამდე მისასვლელად კი აღმართის ავლაა საჭირო. მთა ტრადიციული სიმბოლური გააზრებით, ღმერთთან შეხვედრის ადგილია. სახარებაში ვკითხულობთ: „ვერ ხელეწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა“. ამიტომაც გადაურჩება ეს სახლი ყველა განსაცდელს და რომანის ბოლოშიც ისე მყარად დგას, რომ არაფერი ემუქრება. რომანში ალუზია არის სახარებისეული „უძღები შვილისაც“. ყველა თურმელი სხვადასხვა მიზეზით მიდის სახლიდან, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ მაინც ბრუნდება. სახლიც ყოველთვის მზადაა მათთან შესახვედრად. ის

თითქოს ცოცხალია, სუნთქავს, ფიქრობს. მშობლიურ მიწასთან კავშირი ისეთი ძლიერი და არქეტიპულია, რომ მისი ბოლომდე განყვეტა შეუძლებელია. ეს კარგად ჩანს ლუკა თურმელისა და ანანო შავთვალას ნოსტალგიათა მაგალითებზე. ამერიკაში გადახვეწილსა და ლიუკ თურმანად გარდასახულს ფსიქოთერაპევტი მკურნალობს და მეხსიერებიდან სამშობლოსთან დაკავშირებულ ყველა მოგონებას წაუშლის. მიუხედავად ამისა, პერსონაჟი სიკვდილის წინ თავის მშობლიურ სანახებს ხედავს და სჯერა, რომ საკუთარი ეზოს ხის ჩრდილში აბარებს სულს უფალს. ასეთივე შთამბეჭდავია ანანო შავთვალას შეხვედრა სიკვდილთან, მას ღვთისმშობელი მიუძღვეს მარადიული საუფლოსკენ.

თურმელთა მრავალფეროვანი ისტორიები ირეკლავს იმ პოლიტიკურ, სოციალურსა თუ კულტურულ მოვლენებს, რომლებიც საქართველოს ბედს განსაზღვრავდნენ. სავარაუდოდ, მეოცე საუკუნის 30-იანი წლების სასტიკი რეპრესიების ხანას ირეკლავს ეპიზოდი, რომელშიც, „დიდი ჩეკისტი, ვალიკო რ., ჩხრეკის ორდერით შემოლაგებული, თვალბეზრადი და ხმამყუდარე, თუმცა კი არავინ მიხმატკბილებია მასპინძელთაგან, უცბად რალაცნაირად წახდა, აირია“, მერე გაუგებრად და აუხსენლად თქვა, რომ ვერ აიყვანდა ერთ-ერთ ეჭვმიტანილ თურმელს, თუნდაც დაესაჯათ და წავიდა. აქაც სახლის მაგია წარმოჩნდება. ის არის ბოროტ ძალთაგან დამცველი ყველა მისი ბინადრისა.⁹

რომანის დასაწყისი ბიბლიურ შესაქმეს მოგვავსებს: „ჩვენ, ყველა, ვცხოვრობდით მთაზე, რომლის ფერხითი ოდესღაც ქალაქი გაშენდა. ჩვენ, ყველა, ვცხოვრობდით თეთრი, თლილი ქვის სახლში, რომლის წინკართან, ფილაქანზე, მშენებლებს ფერადი ქვებით ჩაეკირათ წარწერა: „დრონი მეფობენ“¹⁰. ეს ორჯერ გამეორებული სტრიქონი „ჩვენ, ყველა, ვცხოვრობდით“ თხრობას არა მხოლოდ რიტმულობას სძენს, რაც რომანის ერთ-ერთი სტილური მახასიათებელია, არამედ აზრობრივადაც ტვირთავს. ის მკითხველსაც რთავს ამ „ყველაში“, რათა მანაც ამ დიდი „მთლიანობის“ ნაწილად იგრძნოს თავი. რომანში ვხედავთ, რომ „დრონი მეფობენ“, მაგრამ, თანვე, ადამიანის „მეფობასაც“ შევიგრძნობთ. ადამიანი იმარჯვებს დროზე იმ თვალსაზრისით, რომ იგი მეხსიერებით აქრობს დროს. ყურადღებას იქცევს სახლის თეთრი ფერიც, რომელიც თავიდანვე მის ღვთაებრივთან კავშირზე, სინმინდებზე მიგვანიშნებს. სახლის კარიც კი გვარის „მემატიანეა“, მასზე ამოტვიფრულია ყველა თურმელის დაბადებისა თუ მნიშვნელოვან მოვლენათა თარიღები. ამ სახლს, მართლაც, ერთგვარი „განმმენდის“ ფუნქციაც აქვს. ერთ ეპიზოდში უცხო გამვლელი სარკმელში თვალს მოჰკრავს ანთებულ

⁹ ფხაკაძე, 2022, 10

¹⁰ იხ., იქვე, 5.

სანთელს და დაიჩოქებს სალოცავად. მას ეს სახლი თავისი იდუმალებით ეკლესია ეგონება. გურამ დოჩანაშვილის კანუდოსშიც, თავისუფლების ქალაქში, თეთრი სახლებია. სახლის ეს სითეთრე მიანიშნებს მის მცხოვრებთა შინაგან თავისუფლებასა და სილალეზე, რასაც ისინი თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში ავლენენ.

ქალაქი კი ქვემოთ, მთის ძირშია გაშენებული, შესაბამისად, ქვემოთაა ყოველივე ის, რაც მატერიალურ კანონებს ემორჩილება. მწერალი დაწვრილებით, ექსპრესიულად აღწერს სახლს, აქაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რიცხვებსა და ფერებს. მაგალითად, სახლს 16 კარი, 9 სხვადასხვა ფერის ბუხარი, ოცდათორმეტი ფანჯარა აქვს, თექვსმეტი პირველ, თექვსმეტი – მეორე სართულზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს ფანჯრები განასახიერებენ ამ სახლის ბინადართა გახსნილობას სამყაროს მიმართ. ეს ფანჯრები ერთმანეთთან რეალურ და ირაციონალურს აკავშირებენ, ამიტომაც წერს ავტორი: „ბავშვები ხედავდნენ ზღვებსა და ოკეანეებს, უკაცრიელ კუნძულებს და ცამდე აწვდილ ქალაქებს, უდაბნოებს, ოაზისებს, საბედისწერო გზაჯვარედინებს და ზღაპრულ გმირებად გარდასახულ მოხეტიალე საკუთარ თავს...“.¹¹ ავტორი აღწერს ამ იდუმალი სახლის სხვადასხვა ოთახს, რომლებიც გარკვეული სივრცული ტოპოსებია. აქ ადამიანები სხვადასხვა რამეს განიცდიან. სახლი მაგიურად ზემოქმედებს არა მხოლოდ მის მაცხოვრებლებზე, არამედ სტუმრებზეც. ერთ ეპიზოდში ოთახში, სადაც ღვინოებს ინახავენ, ენაბრგვილი სტუმარი მჭევრმეტყველების გასაოცარ უნარს შეიძენს.

სახლის ვრცელი პოეტური დაწვრილებითი აღწერით მწერალი მკითხველს მის შიდა სივრცეში ამოგზავნის. ეს ერთგვარი „ზღურბლი“ რომანისა თავიდანვე შეაგრძნობინებს მკითხველს, რომ რაღაც უჩვეულოსთან ელის შეხვედრა. ამ შეგრძნებას კი უმძაფრებს რიცხვებისა და ფერების მაგია (სარკმელთა, კართა, ბუხართა რაოდენობა და ფერი). ოთახების განსაკუთრებული ფერი და სურნელი მართლაც ისეთი შთამბეჭდავია, რომ თითქოს რეალურადაც შეიგრძნობ: „სახლის საძინებლებში დღისით ნებიერად თვლემდნენ სიზმრები, რომლებიც ღამით უხილავ გედებად აიშლებოდნენ ხოლმე“.¹² აქ მჟღავნდება თამრი ფხაკაძის დამოკიდებულება, სიტყვასთან, ლოგოსთან. სიტყვა მასთან არა მხოლოდ აზრის, არამედ ფერისა და სურნელის გამომხატველია. სიტყვა თითქოს არა მხოლოდ მოიხეტოებს უხილავს, რათა აღსაქმელი გახადოს, ატყვევებს საგანს ან მოვლენას, თანვე ათავისუფლებს სწორედ ამ საგნებსა და მოვლენებს ერთმნიშვნელოვნებისაგან.

¹¹ იქვე, 3.

¹² იქვე, 6.

IX. ბიბლიოთეკა და სიტყვის მარადიულობა

თურმელთა ოჯახში წიგნების კულტია. მათი ბიბლიოთეკა ცალკე მხატვრული ტოპოსია, რომელში მოგზაურობაც არანაკლებ შთამბეჭდავია. აქ ინახება უძველეს ენებზე შორეულ ეპოქებში დანერგილი წიგნები და ხელნაწერები. მწერალი ცალკეული გამორჩეული წიგნისა თუ ხელნაწერის მოპოვების ამბავს მოგვითხრობს, რომელიც გადაჯაჭვულია ამა თუ იმ თურმელის ცხოვრებასთან. ეს ბიბლიოთეკა სწორედ ამ თავისი თავგადასავლებით ისეთივე უსასრულოა, როგორიც სამყარო. ამიტომ ბორხესის „ბაბილონის ბიბლიოთეკას“ მოგვაგონებს. აქ არის რეალური წიგნებიცა და მწერლისეული გამოგონილიც. ამ ოთახის მთავარი ფუნქციაა მარადიულთან კავშირია: „ვძლევდით ხოლმე დროებითობის, წარმავლობის განცდას და გვეჩვენებოდა, რომ მაშინაც ვიყავით, როცა არ ვყოფილვართ და მერეც ვიქნებით, როცა აღარ ვიქნებით“¹³. აქაც სიტყვის, ლოგოსის, ღვთის რწმენა მჟღავნდება.

X. ნარატიული ტექნიკა და თხრობის თავისებურებები

რომანის მოზაიკურ სივრცეში ფერადოვან ნატეხებად ჩასმულია თურმელთა თავგადასავლები. ამგვარად გეოგრაფიული არეალიც გაფართოებულია. გმირები სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობენ და უამრავ ხიფათს გადაეყრებიან თავიანთ დახლართული ცხოვრების გზებზე. ლუკა თურმელისა და ანანო შავთვალას ამერიკული ოდისეა. თურმელთა თავგადასავლები სავსეა ხიფათით, თავგანწირვით, ღალატით, ერთგულებით, სიძულვილით, ანგარებით, სიხარბით, მაგრამ სიყვარული ყველაზე მეტად რჩება მკითხველის შეგრძნებებში. რომანში კი სიყვარულის, ვნების, გატაცების ბევრი ამბავია მოთხრობილი. მწერალი აქტიურად იყენებს ე.წ. „მონტაჟის“ ტექნიკასაც. კადრების სწრაფი ცვლებადობა კი თხრობის რიტმის ექსპრესიულობას აძლიერებს. თამარი ფხაკაძის ამ რომანით მკითხველი განიცდის „კითხვის სიამოვნებასაც“. ის თანაბრად იწვევს „განსჯასაც“ და „ტკბობასაც“. ამას კი აღწევს ენის ხატოვანებით, ლირიზმით. პოეტური პროზა ამ რომანში მისი სტილური მახასიათებელია. მაგალითად, „მსუბუქად, გამჭვირვალედ დატბორა მუსიკამ ოთახი. თითქოს ვაშლის ან ატმის ყვავილები ნიავმა დაფურცლა და დაარილა. თითქოს მაისის თქეში წამოვიდა, ღია ფანჯრებში ნიაღვრები შემოიღვარა, თითქოს სველი პეპლები შემოფრინდნენ...“. მისთვის უცხოა ინტიმურ განცდათა ბიოლოგიური სიმიშვლით გამოხატვა. ის ცდილობს,

¹³ იქვე, 36.

რომ მკითხველს სიყვარულის მშვენიერება და ამაღლებულობა შეაგრძნობინოს, ამასთანავე, რომანში გვხვდება მდაბალი, მხოლოდ ხორციელი ლტოლვის გამო-მხატველი მაგალითები, მაგრამ ყველაფერი ისეა მოთხრობილი, რომ მკითხველს არ უჩნდება უხერხულობის განცდა.

ამ სასახლეში არის „ედგარის ოთახი“, ცისფრად ჩამუქებული და ვერცხლის-ფერ-მოლურჯო ათინათებით სავსე (ედიშერ თურმელის სახელობისა, რომელიც ვარსკვლავებს ელაპარაკებოდა), რომელშიც მუსიკალური ინსტრუმენტები და ლექსებმინერილი კედლებია. მკითხველს, რა თქმა უნდა, ედგარ პოს ალუზია უჩნდება. ედგარ პოს შემოქმედებაშიც ხომ სიყვარული და სიკვდილი განუყოფელია. რომანში არაერთ პოეტ თურმელსაც შეხვდებით, რომელთა სასიყვარულო ამბებში სიყვარულისა და სიკვდილის გზაჯვარედინები წარმოჩნდება. „სამზარე-ულოში“ ხილთა, მწვანელთა თუ ბოსტნეულის ისეთი სურნელია, რომ ერთი სტუ-მარი უჭმელად დანაყრდება. სახლში არის ოთახი „საიარალო“, რომელშიც სხვადა-სხვა ეპოქის ნაირნაირი იარაღია. წარსულთან კავშირს ვერ წყვეტს ბაბუა სარგის თურმელი, რომელიც მუზარადჩამოცმული და ჯაჭვის პერანგში გამოწყობილი იცავს სახლს ხილულ თუ უხილავ მტერთაგან.

რომანში, ძირითადად, წარსულის ამბებია. ყველა პერსონაჟს თავისი ქრო-ნოტოპი შემოაქვს. ნაწარმოებში მოთხრობილ უამრავ ზღაპრულ ამბავს შორის ერთი მარიამ-ხვარამზესთანაა დაკავშირებული. დედინაცვლისგან ათვალწუ-ნებული მზეთუნახავი, რომელიც „ოქროსფერ ნათელს ასხივებდა“, ერთ დღეს თეთრ რაშზე ამხედრდა და მთებისკენ გააქროლა. მას შემდეგ აღარავის უნახავს, ამიტომ უამრავ ლეგენდას ჰყვებოდნენ, „მზემ აიტაცა და ჩაიხუტაო“, „ოქროსფერ გედად გაფრინდაო“ და სხვა. ლექსიც შეთხზეს: „მარიამ ხვარამზესაო/ უბრძანე-ბია ესაო: /რომ შამოვივლი ცარგვალსა,/ კვლა მოვალ ერთსა დღესაო“. გარდა იმისა, რომ სწორედ ამ პერსონაჟთან არის დაკავშირებული თურმელთა სახლის პროტომოდელი „ოქროს დიადემა“, იგი ფინალურ ეპიზოდშიც „ამოყვინთავს“ და მისი დაბრუნების რწმენა, სიმბოლურად შეიძლება, როგორც მატერიალური სა-მყაროდან „დევნილი“ ღვთაებრივი საწყისის დაბრუნების იმედადაც გავიაზროთ.

რომანში იცვლება თხრობის რაკურსებიც. თავიდან თურმელთა სახლის ამ-ბებს დემეტრე თურმელი პირველ პირში ჰყვება, შემდეგ მას „ყოვლისმცოდნე ავტორი“ ენაცვლება და მესამე პირში გვიყვება ამ გვარის წარმომადგენელთა თა-ვბრუდამხვევ, დაუჯერებელ თავგადასავლებს. სწორედ ეს უცნაური ამბები იზი-დავს მკითხველს, რომლის ცნობისმოყვარეობა მუდმივად დაძაბულობის ზღვა-რზეა. დემეტრეზე შემდეგ ლუკა ამბობს, რომ უცნაური ბიჭია. გარდა იმისა, რომ ხელოვანის ნიჭი აქვს, ერთ „ზეზუნებრივ“ ძალასაც ფლობს, მზერით შეუძლია

ზეგავლენის მოხდენა ადამიანებსა თუ გარემოზე. მაგალითად, მისი დაჟინებული მზერით ვარდის კოკორი გაიშალა, ჩხუბში მონინალმდეგეს თვალი გაუსწორა და ქვა გააგდებინა. ამან მარკესის აურელიანო ბუნდია გაგვახსენა, რომელიც ზუსტად ამავე უნარს ფლობდა: „სწორედ ეს დაჟინებულად მზირალი თვალები გაახსენდა ურსულას, როცა ერთ დღეს სამზარეულოში მოაკითხა სამი წლის აურელიანომ. ურსულამ ის იყო წვნიანით სავსე ქვაბი ცეცხლიდან გადმოიღო და მაგიდაზე დადგა, ბავშვი გაუბედავად აწრიალდა კართან და უცბად თქვა: „ახლა გადმოვარდება“. ქვაბი შუა მაგიდაზე იდგა, მაგრამ უეცრად, თითქოს ვილაც უხილავმა უბიძგაო, გადმოვარდა და იატაკს დაენარცხა“¹⁴.

რომანის ფინალურ ეპიზოდში ლუკა თურმელისა და კატო მაქსიმოვიჩის ვაჟს, ახალგაზრდა გიორგის მეგობრები ურჩევენ, რომ თავი დაანებოს ამ აღმართზე სიარულს და ქალაქში გადავიდეს საცხოვრებლად. გიორგი კი უარით ჯიუტად აუყვება აღმართს სახლისკენ, რომელიც „ვეება ხომალდს“ ჰგავდა და სავსე იყო წარსულის, ანმეოსა და მომავლის ათინათ-ჩრდილებით. ეს მკითხველის იმედს ბადებს, რომ „სახლის“ სიცოცხლე გაგრძელდება. სახლი ხომ სიმბოლურ-ალეგორიულად ზეცასთან, ღვთაებრივთან დამაკავშირებელი ხიდია. როგორც აღვნიშნეთ, თურმელების ისტორია არა მხოლოდ ქართველი ერის, არამედ კაცობრიობის ცხოვრების ამრეკლავია. ეს არის ერთგვარი ანტიპოკალიფსური დასასრული, განსხვავებით მარკესის რომანისგან, რომელშიც მაკონდო იქმნება და ინგრევა, ან ედგარ პოს „აშერთა სახლისგან“ თუ ნიკო ლორთქიფანიძის „დანგრეული ბუდეებისგან“. ყველაფრის გაცამტვერების მოდელს ბევრ ნაწარმოებში შევხვდებით, ისევე როგორც ამის საპირისპირო ოპტიმისტურ კონცეფციას. თამარი ფხაკაძის მხატვრული მოდელის მიხედვით, სამყაროში არაფერი არ იკარგება, ყველაფერი გრძელდება, „გენეალოგიური ხე“ მყარად დგას და მას ახალი ტოტები გამოსდის. ესე იგი, მარადიულად იქმნება არა რალაც ახალი და ძველისგან სრულიად განსხვავებული, არამედ ძველზე დაფუძნებული. ამ თვალსაზრისით, რომანი ერთგვარ უტოპიადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

XI. დასკვნა

რომანის ანალიზი ცხადყოფს, რომ თამარი ფხაკაძე ღრმად აცნობიერებს დროსთან დაკავშირებულ ეგზისტენციალურ პრობლემებს, მაგრამ მის გადაწყვეტას არა მარტო განწირულებაში, არამედ ადამიანის მესხიერების, სიყვარულისა და კულტურული მემკვიდრეობის გამძლეობაში პოულობს. „თურმელების“ სახლის,

¹⁴ მარკესი, 2012, 45.

როგორც ცოცხალი ორგანიზმის წარმოჩენა, რომელიც თაობებს ინახავს და იცავს, ადასტურებს იდეას, რომ წარსული არ ქრება, არამედ ანმყოში აგრძელებს არსებობას და მომავალს აყალიბებს. ეს მიდგომა განსხვავდება თანამედროვე ლიტერატურის ნაწილისგან, რომელიც ხშირად ფოკუსირებულია ფრაგმენტაციზზე, იდენტობის კრიზისსა და ნიჰილიზმზე. ფხაკაძე კი ოპტიმისტურ ხედვას გვთავაზობს, სადაც ინდივიდუალური ბედისწერა უკავშირდება კოლექტიურ მეხსიერებასა და მარადიულ ღირებულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ რომანი უხვად იყენებს მითოლოგიურ და ზღაპრულ ელემენტებს, ის არ კარგავს კავშირს რეალობასთან. ისტორიული ალუზიები (მაგ., 30-იანი წლების რეპრესიები) ცხადყოფს, რომ მწერალი არ გაურბის რეალურ, მტკივნეულ გამოცდილებებს, არამედ მათ მითოპოეტურ კონტექსტში მოაქცევს, რათა ადამიანური გამოცდილების უნივერსალურობა და მარადიული ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის წარმოაჩინოს. ეს ქმნის ნაწარმოების მრავალშრიანობას, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს განიცადოს როგორც ესთეტიკური სიამოვნება, ასევე ჩასწვდეს ღრმა ფილოსოფიურ ქვეტექსტებს.

თამარი ფხაკაძის რომანი „ჩვენ, თურმელები“ დროის ერთიანობისა და ადამიანის მეხსიერების სიმტკიცის ღრმა მხატვრული გააზრებაა. ავტორი მითოპოეტური თხრობის მეშვეობით აცოცხლებს წარსულს, ანმყოსა და მომავალს, მათ შორის საზღვრებს აქრობს და გვანახავს, რომ დრო არ არის წრფივი, არამედ მარადიული წამების ერთობლიობაა, სადაც თითოეული მომენტი შეიცავს როგორც წარსულის გამოცდილებას, ისე მომავლის პოტენციალს. ეს ერთიანობა განსაკუთრებით თურმელთა საგვარეულოსა და მათი სახლის სიმბოლურ არსებობაში ვლინდება.

რომანში მითოპოეტურობა და მაგიური რეალიზმის ელემენტები ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ ზედაპირულად აღიქვას სიუჟეტი, არამედ ჩაუღრმავდეს ნაწარმოების მეტაფორულ და სიმბოლურ შრეებს. მწერალი ოსტატურად იყენებს უნივერსალურ მითოლოგიურ არქეტიპებს, რათა თავისი სათქმელი მრავალმნიშვნელოვნებით დატვირთოს.

სახლი, როგორც რომანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერსონაჟი, თურმელთა საგვარეულოს ფუნდამენტურ საყრდენად გვევლინება. ის დროის მდინარეებში ურყევად დგას, თაობებს აერთიანებს და ცოცხალთა თუ გარდაცვლილთა განუწყვეტელ კავშირს უზრუნველყოფს.

რომანი მდიდარია ბიბლიური და მითოლოგიური ალუზიებითაც, იქნება ეს მთაზე მდებარე სახლი, უძღვები შვილის მოტივი თუ თავად პერსონაჟთა სახელები (ანთიმოზი, გილგამეში), რომლებიც მათ ბუნებასა და მისწრაფებებს ზუსტად შე-

ესაბამება. სიყვარული, ვნება და თავდავინყება უკვდავების მთავარ მოკავშირედ გვევლინება, ხოლო მარიამ-ხვარამზესეული მოდელი – ღვთაებრივი საწყისის და ბრუნების იმედად.

რომანი ერთგვარი ანტიპოკალიფსური მოდელია, რომელიც გულისხმობს, რომ სამყაროში არაფერი იკარგება, ყველაფერი გრძელდება და „გენეალოგიური ხე“ მყარად დგას. ეს რომანი, მიუხედავად თურმელთა ინდივიდუალური ისტორიებისა, არა მხოლოდ ქართველი ერის, არამედ მთელი კაცობრიობის ცხოვრების ამრეკლავია. უნივერსალური ჰუმანისტური იდეალები – სიყვარული, რწმენა, თავისუფლება, კეთილგონიერება და ღირსება – მარადიულად არსებობს და უწყვეტად გადაეცემა თაობიდან თაობას.

თამარი ფხაკაძე თავისი რომანით უერთდება მსოფლიო ლიტერატურის იმ ტრადიციას, რომელიც ცდილობს ცხოვრება წარმოაჩინოს, როგორც დაუნაწევრებელი მთლიანობა, ერთი დიდი ხე, რომელსაც უამრავი ტოტი აქვს, მაგრამ ერთი საერთო ფესვიდან იკვებება. ეს ნაწარმოები არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია ლიტერატურას დროის წინააღმდეგ გაილაშქროს და ადამიანში სიკვდილისა და დავინყების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი გააღვივოს.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ბაქრაძე ა., მეცხრამეტე საუკუნე, წიგნში: დავინყებული იდეა, თბილისი, 2011 [bakradze a., metskhramet'e sauk'une, ts'ignshi: davits'q'ebuli idea, tbilisi, 2011]
- ელიადე მ., მარადიული დაბრუნების მითი, მ. გომელაურის თარგმანი, თბილისი, 2017 [eliade m., maradiuli dabrunebis miti, m. gomelauris targmani, tbilisi, 2017]
- კამიუ ა., რომანი და ამბოხი, წიგნში: ამბოხებული ადამიანი, მ. ბალავაძის თარგმანი, თბილისი, 2019 [k'amiu a., romani da ambokhi, ts'ignshi: ambokhebuli adamiani, m. balavadzis targmani, tbilisi, 2019]
- მანი თ., ფროიდი და მომავალი, წიგნში: ესეები, თბილისი, 1989 [mani t., proidi da momavali, ts'ignshi: eseebi, tbilisi, 1989]
- მარკესი გ., მარტოობის ასი წელიწადი, ე. ახვლედიანის თარგმანი, თბილისი, 2012 [mark'esi g., mart'oobis asi ts'elits'adi, e. akhvledianis targmani, tbilisi, 2012]
- ფხაკაძე თ., ჩვენ, თურმელები, თბილისი, 2022 [pkhak'adze t., chven, turmelebi, tbilisi, 2022]

Maia Jaliashvili*

PEOPLE AND EVENTS IN THE CONTEXT
OF THE UNITY OF TIME
(BASED ON TAMRI PKHAKADZE'S NOVEL „WE, THE TURMELS“)

Abstract

The unity of time forms the solid foundation for the resilience of human consciousness. „Time is out of joint“ (Hamlet), perceiving the past, present, and future in isolation, becomes a source of tragedy for both nations and individuals. In her novel „We, Turmels“ („Chven, Turmelebi“), Tamri Pkhakadze explores mythopoetic time. The author employs universal mythological archetypes, interpreted in diverse contexts, to imbue her narrative with depth and multi-layered meaning. She effectively reveals the hidden connections between rational and irrational, material and spiritual realms. The metaphorical and symbolic nature of the characters and artistic images encourages readers to delve beyond the surface of the work into its profound depths.

Within this novel, fairytale and mythological „stories“ seamlessly blend into the narrative flow, blurring the boundaries between reality and the metaphysical. Myth, in general, implies the eternity of a moment and the manifestation of the eternal within that moment. The coexistence of the fleeting and the eternal is vividly portrayed in the novel. This unity is sustained by human memory, which „distributes“ what it cannot hold into books and objects. The sense of the future in the novel is directly linked to the „permanence“ of this memory.

Keywords: Mythopoetic Time; Memory; Modern Novel.

* Researcher at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. <https://orcid.org/0000-0001-6220-3696>

მზია ჯამაგიძე*

პოსტკოლონიური უტოპიანიზმი, ალტერნიზმი და ნაციონალური „მომავლის გახსენება“ იოანე-გოსიმეს ტექსტის – „ქაბად და დიდუბაი ქართულისა ენისად“ – მიხედვით

შესავალი

უტოპია ინტერდისციპლინური კონცეპტია და არაერთი დარგის პერსპექტივიდან შეისწავლება. უტოპიური აზროვნება იმედის კულტივაციითა და პოლიტიკური მომავლის წარმოსახვით, სოციუმს სოციალური თუ პოლიტიკური სახის ცვლილებებს შთააგონებს, ამდენად, სამეცნიერო სივრცეში უტოპია, გარდა ლიტერატურული ჟანრისა, მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტადაც განიხილება.¹ პირველად გერმანელმა სოციოლოგმა კარლ მანჰაიმმა და ფილოსოფოსმა ერნსტ ბლოხმა დააკავშირეს უტოპიისა და იდეოლოგიის ცნებები პოლიტიკასთან. კარლ მანჰაიმის მოსაზრებით, უტოპიაც და იდეოლოგიაც საკუთარ თავში არსებული რეალობის გადალახვის გზებს ეძიებს, რადგან ორივე მათგანს არსებული სოციალური რეალობისადმი ერთგვარი დევიანტური დამოკიდებულება აქვს.² ხოლო ერნსტ ბლოხის მიხედვით, უტოპიანიზმი იდეოლოგიის ჩარჩოებში მოქცეული სულისკვეთებაა, რომელსაც სოციალური თუ პოლიტიკური სახის ცვლილებების წარმოშობის პოტენციალი აქვს.

უტოპიურ აზროვნებაში წარმოსახვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ბლოხის აზრით, უტოპიური აზროვნება არ არის მხოლოდ რეალობისგან გაქცევის ფორმა, არამედ ძალა, რომელსაც შეუძლია წარმოშვას თვისებრივად ახალი მომავლი მისი წარმოსახვის გზით.³ ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, ლიტერატურულ ტექსტებში წარმოდგენილი უტოპიები ამავდროულად შესაძლებელია

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი. <https://orcid.org/0000-0003-0034-7007>

¹ იხ., Levitas, 2013.

² Ricoeur, 1976, 17.

³ Bloch, 1986, 149.

განვიხილოთ როგორც პოლიტიკური პროექტები, რომლებსაც მომავლის პერსპექტივის შექმნის პოტენციალი აქვს.

ბილ ეშკროფტის მიხედვით, კოლონიზაციის გამოცდილების მქონე საზოგადოებებში არსებული რეალობისგან განსხვავებული მომავლის შექმნის ტრანსფორმაციული იმპულსი პოსტკოლონიურ ლიტერატურას უტოპიური აზროვნებისთვის ბუნებრივ ადგილად აქცევს.⁴ ეშკროფტი პოსტკოლონიურ უტოპიად განიხილავს უწინარესად შესაძლებლობების ხედვას-პიროვნულ, სოციალურ და ნაციონალურ თვითწარმოსახვას დროის სხვადასხვა ფაზისა და რეალობის სხვადასხვა წესრიგში⁵. თუმცა ცალკეულ ანთროპოლოგიურ თეორიებში, ამგვარი ნაციონალური უტოპიანიზმით ნასაზრდოები ნარტივები გარკვეულ საფრთხეებსაც მოიცავს. იოანეს ფაბიანი თავის კვლევაში „დრო და სხვა: როგორ ქმნის ანთროპოლოგია თავის ობიექტებს“ (1986) მსჯელობს ერთგვარ დროით ხაფანგებზე, რომელიც შესაძლებელია კოლონიზებულ საზოგადოებებში გაჩნდეს, თუ ისინი საკუთარ იდენტობას და ცნობიერებას გლობალური დროიდან ამოვარდნილ დროით განცდას დააფუძნებენ. ფაბიანის მიხედვით, კოლონიზებულ სივრცეებში კოლონიზატორი მიზანმიმართულად ახალისებს განსხვავებულ დროით ცნობიერებებს, რადგან ეს მისთვის ერთგვარი ბერკეტია, კოლონიზებული აწმყოსგან დისტანცირებული და დაქვემდებარული სახით შეინარჩუნოს თავისი კონტროლის ქვეშ. სწორედ ამ დისკურსს უწოდებს იგი ალოქრონიზმს⁶. როგორც ფაბიანის წიგნის წინასიტყვაობის ავტორი ნატი ბანცლი აღნიშნავს, ალოქრონული დროის კონცეფცია კულტურული იერარქიის მათგან განსხვავებული იმპერიული ცნობიერების სტრუქტურაა, რომელიც ქმნის ეპისტემოლოგიურ ჩარჩოს – ერთდროულად აყალიბებს და ამავდროულად ამცირებს კოლონიზებულ კულტურებს – მათი დროითი ჩამოქვეითების გზით, რომელშიც „სხვები“, ანუ კოლონიზებული კულტურები განისაზღვრებიან როგორც *პრემოდერნულები* – წარსულში მცხოვრებნი ან მუდმივად განვითარების მოლოდინში მყოფნი⁷.

მოტანილი თეორიული მოსაზრებების გათვალისწინებით, სტატიის მიზანია, ვიმსჯელოთ მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს ტექსტში „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ წარმოდგენილი მომავალი, რამდენად შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პოსტკოლონიური ნაციონალური უტოპია და შევაფასოთ ტექსტის გავლენა შემდგომი პერიოდების ნაციონალური ცნობიერების ფორმირებასა და კულტურულ პროცესზე.

⁴ Ashcroft, 2022, 397.

⁵ Ashcroft, 2017, 56.

⁶ Fabian, 1983, 173.

⁷ Bunzl, 1983, 9.

იოანე-ზოსიმეს „ქებაი...“-ს ტექსტი და პოსტკოლონიური უტოპიანიზმი

იოანე-ზოსიმეს ტექსტის პოსტკოლონიურ კონტექსტში განხილვისთვის, ერთი მხრივ, დავეყრდენით პოსტკოლონიური ლიტერატურის რობერტ იანგი-სეულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც, „პოსტკოლონიურ ლიტერატურას ქმნიან ისეთი ტიპის ლიტერატურული ტექსტები, რომლებიც დომინანტური ნა-რატივებისა და მოცემულობების საწინააღმდეგოდ რეზისტენტულ დისკურსებს ამუშავებენ“.⁸ ასევე გავითავლისწინეთ ბილ ეშკროფტის მოსაზრებაც, რომ ტე-რმინი პოსტკოლონიური არ განსაზღვრავს არც ქრონოლოგიას და არც კონკრე-ტულ ონტოლოგიას. პოსტკოლონიური უწინარესად ძალაუფლებასთან ურთი-ერთობის ფორმასა და წაკითხვის გზას ნიშნავს.⁹ სწორედ ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, იოანე-ზოსიმეს „ქებაი...“ ტექსტი პოსტკოლონიური უტოპიანიზმით გამსჭვალული ტექსტია, რადგან მასში, ერთი მხრივ, იგრძნობა მაშინდელი, მე-10 საუკუნის, არსებული რეალობით უკმაყოფილება და ასევე ჩანს იმედი, რო-მელიც გარკვეული სახის ნაციონალური მომავლის დაპირებას იძლევა მისი წა-რმოსახვის გზით. უტოპიის კიდევ ერთი მკვლევრის ლაიმენ თაუერ სარჯენტის აზრით, უტოპია ერთგვარი სოციალური ოცნებების სივრცეა¹⁰. ვფიქრობ, იოანე ზოსიმეს „ქებაი...“ ტექსტშიც სწორედ მე-10 საუკუნის ქართველი საზოგადო-ების ნაციონალური ოცნებებია გაცხადებული. უფრო კონკრეტულად, ტექსტი გამსჭვალულია რწმენით, რომ ქართულ ენაში დაშიფრულია სამყაროს შესახებ გარკვეული ცოდნა და მართალია, იმ ეპოქაში, მეათე საუკუნეში, ენა ფუნქცი-ონირებს როგორც „მდაბალი და დაწუნებული“, თუმცა მოვა დრო და მისი საი-დუმლოება სამყაროს წინაშე მთელი დიდებულებით გაცხადდება, რადგან ბოლო ჟამს ღმერთი სწორედ ამ ენაზე გააცხადებს დაფარულ ცოდნას. „დამარხულ არს ენასა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან!...“ რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს. [...] და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სა-ხელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული – მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა“¹¹.

⁸ Young, 2012, 216.

⁹ Ashcroft, 2012, 1.

¹⁰ Sargent, 2010, 8.

¹¹ იოანე ზოსიმე, ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ <https://www.amsi.ge/istoria/div/ioane_zosime.html> [10.08.2025]

აკაკი ბაქრაძე 1987 წელს გამოქვეყნებულ წერილში „დავინწყებული იდეა“ შენიშნავს, რომ იოანე-ზოსიმეს მიერ დამუშავებული მესიანისტური იდეა ქართველ ერს სჭირდებოდა, ერთი მხრივ, ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური აგრესიისაგან თავდასაცავად და, მეორე მხრივ, სომხური ეკლესიის იდეოლოგიური პრეტენზიის შესაკავებლად. აგრეთვე კავკასიაში საქართველოს ჰეგემონობის გასამტკიცებლად.¹² ნინო დობორჯგინიძის აზრითაც, ეს ტექსტი ერთგვარ ანტი-იმპერიულ, რეზისტენტულ ნარატივს ავითარებს, რადგან ამ პერიოდის, მე-10 საუკუნის, ქართული კულტურა მუდმივად ფუნქციონირებდა და ვითარდებოდა ბერძნულ/ბიზანტიურ კულტურასთან მეტოქეობის ფონზე, ამდენად, ეს ტექსტი შექმნილია ბერძნული კულტურის აღმატებულობისგან თავის დასაცავად. „როგორც ჩანს, ტექსტი იწერებოდა ერთ კონკრეტულ ბრალდებაზე საპასუხოდ, ერთი მიზნით, აღმოსავლეთ ქრისტიანობის არაელიზირებულ ხალხებს თავი დაეცვათ ბერძენთა შეფასებისგან, რომლიც ანტიკურობისა და შუასაუკუნეების ყველაზე ტიპური ოპოზიციის სახელითაა ცნობილი – ელინი-ბარბაროსი, რომელიც არამარტო ბერძენების საყოველთაოდ აღიარებული კულტურული აღმატებულობის, არამედ ბერძნულთან შედრებით სხვა ენების ფუნქციური დიფერენცირების საფრთხესაც ქმნიდა.“¹³ ბლოხის მიხედვით, უტოპიები საკუთარ თავში ინახავენ გაცრუებულ იმედებსა და გარკვეულ არარეალიზებულ პოტენციალს და როდესაც გარემოში შესაბამის სტიმულს პოულობენ, აქტიურდებიან, ძლიერდებიან და ვრცელდებიან.¹⁴ ამ მოსაზრებას ქართული ისტორიული გამოცდილებაც ცხადყოფს. იოანე-ზოსიმეს ტექსტში გაცხადებულ სოციალური და ნაციონალური უტოპიანიზმით გამსჭვალულ წარმოსახვას გარკვეული წინაპირობები ჰქონდა ქვეყნის ისტორიაში და მოგვიანებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული შედეგები გამოიღო მომავალშიც. ვგულისხმობთ მეთაუ საუკუნიდან დაწყებულ ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული გაძლიერების პროცესს. ამ პერიოდში ქართული სამეფო-სამთავროები ერთ სამეფოდ გაერთიანდა, შეიქმნა ერთიანი საქართველოს, როგორც პოლიტიკური ერთეულის, ცნება და მომდევნო საუკუნეები ვიდრე მე-13 საუკუნემდე საქართველოს ისტორიაში, ე.წ. „ოქროს ხანად“ არის შეფასებული როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით¹⁵.

აკაკი ბაქრაძის აზრით, რადგან მაშინდელმა ქართველებმა საქართველოს ტერიტორიული ცნება ქართული ენის საფუძველზე განმარტეს, „საქართველო“

¹² ბაქრაძე, 2021, 263.

¹³ დობორჯგინიძე, 2004, 5.

¹⁴ Bloch, 1986, 4.

¹⁵ ჯავახიშვილი, 2012, 368-377.

მარტო „ქართული ეროვნული სახელმწიფოს სახელი კი არ არის, არამედ ყველაფერი იმისა, რასაც უკვე ქართველები ფლობენ, ან მომავალში დაეპატრონებიან. [...] მერე ამ ტიტულს დაემატება – ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელი. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ქართული სახელმწიფო აზრი მიდის ორთავიანი არწივის იდეამდე. ბიზანტიის იმპერიის გერბი იმიტომ იყო ორთავიანი არწივი, რომ იგი (ბიზანტია) აცხადებდა პრეტენზიას როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მფლობელობაზე. ამავე იდეით და პრეტენზიით წამოიღებენ ბიზანტიიდან მოგვიანებით რუსებიც ორთავიან არწივს საკუთარ გერბად“¹⁶. ამდენად, იოანე-ზოსიმეს ეს ტექსტი წარმოადგენს პოლიტიკური მოქმედებისთვის სივრცის გახსნას და მის მასშტაბებს მოხაზავს, რომ ქართველების მისწრაფება, მათი უტოპიანისტური სწრაფვა ნაციონალური სივრცის ერთგვარ ომფალოსად – აღმოსავლური და დასავლური ქრისტიანული ცივილიზაციების სიმბოლურ ცენტრად – გარდაქმნა გახლდათ.

საგულისხმოა ისიც, რომ უძველესი დროიდან სწორედ საწერი იარაღები, ნავიგაციის ინსტრუმენტები და წიგნები განიხილება სამყაროზე კონტროლის მოპოვების სამ ფუნდამენტურ ინსტრუმენტად, რადგან სამყაროს გამნიშვნელოვნება/გაშინაარსება ენის ფუნქციაა და ნაციონალური მეხსიერების შექმნის ინსტრუმენტიც ენაა,¹⁷ ამ კონტექსტში ქართველთა ნაციონალური ცივილიზაციური მისიის ენასთან დაკავშირება, შესაძლოა, არ იყოს შემთხვევითი, რადგან ამგვარად უპირატესი ხდება არა თავად სივრცე, არამედ ამ სივრცის ავსება გარკვეული შინაარსით, რაც ენის საშუალებით ხორციელდება. ამასთანავე, უტოპიების ერთ-ერთი მახასიათებელი რეალურად არსებული სივრცისგან მათი დისტანცირებულობაა. გარკვეული მანძილისა და სივრცის გადალახვა უნდა იყოს საჭირო, რომ უტოპიას მიუახლოვდე. ამ თვალსაზრისითაც, ნაციონალური უტოპიანისტური მისწრაფებების ენაში კონსერვაცია საინტერესოა, რადგან ენა „პოტენციური ჰორიზონტის მონიშვნას ახდენს იმის მინიშნებით, რაც ენის მიღმაა.“¹⁸ ეშკროფტის მსჯელობით, პოსტკოლონიურ საზოგადოებებში მომავლის აზროვნება ყველაზე ნათლად ხელოვნების მეშვეობით ვლინდება. ენა უსაზღვრო პოტენციალისა და შესაძლებლობის სივრცეა, რომელიც მუდმივად არსებობს ჰორიზონტზე და ელის რე-

¹⁶ ბაქრაძე, 2021, 266.

¹⁷ ზვიად გამსახურდიას მოსაზრებით, შესაძლებელია, ენაში ერიც ვიგულისხმოთ. მისი აზრით, „ენა“ ძველ ქართულში, ისევე როგორც სხვა ძველ ენებში, მხოლოდ ენას კი არ ნიშნავდა, არამედ ხალხს, ეროვნებას, მოდგმას. იოანე-ზოსიმეს „ქებაჟ“ ეხება არა მხოლოდ ქართულ ენას, როგორც ასეთს, არამედ ქართველ ერს, ქართულ ეთნოსს, მის კულტურულ და ისტორიულ მისიას“.

¹⁸ Ashcroft, 2017, 45.

ალიზებას/მატერიალიზებას. ლიტერატურა, მუსიკა და სხვა კულტურული პროდუქცია კი სწორედ ამგვარი შესაძლებლობის განცდას ქმნის; ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა თავად კონკრეტული უტოპიის წარმოდგენა, არამედ სწორედ შესაძლებლობების დეკლარაცია ნარატივებით.¹⁹ ვფიქრობ, იოანე-ზოსიმეს ტექსტიც ამავე მიზანს ემსახურება, ხსნის უამრავ ნაციონალურ რეალობათა (ნაციონალურ ნარატივთა) განვითარების ჰორიზონტს და ამავედროულად სამყაროს აღსასრულამდე ქართველთა ნაციონალურ არსებობას წინასწარმეტყველებს.

იოანეს ფაბიანი აღნიშნავს, რომ „ბუნების ისტორიის ეპისტემაში ცოდნის პრაქტიკებს სივრცეების ჭრილების შესავსებად იყენებენ, რომელშიც ყველა შესაძლო ცოდნა შეიძლება განთავსდეს.“²⁰ შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა ნაციონალური ცნობიერებისთვის სწორედ ამგვარი ჩარჩოს/მატრიცის ფუნქციას ასრულებს იოანე-ზოსიმეს ტექსტიც. მან წარმატებით იფუნქციონირა შუა საუკუნეების რელიგიურ – იუდაურ/ქრისტიანულ დროით ჩარჩოში, რომელშიც სამყაროში მიმდინარე პროცესები ღმერთის ნების გამოვლენისა და მისი განგების საფუძველზე განიმარტებოდა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გრიგოლ ხანძთელის, იოანე და ექვთიმე ათონელების, გიორგი მთაწმინდელის, მოღვაწეობა, რომლებიც გვევლინებიან ქვეყნის ერთგვარ პოლიტიკურ და კულტურულ კარტოგრაფებად და ხელახლა ქმნიან საქართველოს (ქართლის) როგორც სახელმწიფოს, გეოგრაფიასა და ქართულ ნაციონალურ იდენტობას. მათი საქმიანობა საფუძველად დაედო საქართველოს მომავალი პოლიტიკური გაერთიანების პროცესს და კულტურული აღმავლობის ეპოქას, რაც დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქით დაგვირგვინდა. თუ გეოკრიტიციზმის თეორეტიკოსის ბერტრან ვესტფალის მოსაზრებას დავეყრდნობით, გეოკრიტიკა წინა პლანზე წამოსწევს სივრცესა და ადგილს შორის დინამიკურ ურთიერთობას, სადაც ადგილი განიმარტება, როგორც ფიქსირებული და მესხიერებით დატვირთული, ხოლო სივრცე – ფლუიდური და მოძრავი²¹. ამ კონტექსტში მე-8 საუკუნიდან დაწყებული პროცესები ქვეყნის ერთგვარ იდეოლოგიურ რეტერიტორიალიზაციას გულისხმობს, ახალი სივრცეების დამორჩილებას, მათ ნაციონალურ ადგილებად გარდაქმნასა და ქართული იდენტობის რეალურ და წარმოსახვით გეოგრაფიულ არეალში გაფართოებას. ტაო-კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელის სამონასტრო ინიციატივების წყალობით, ე.წ. დაუმორჩილებელი ლანდშაფტები (განუსაზღვრელი სივრცე) გადაიქცა ქართული ქრისტიანობის იდეოლოგიურ ცენტრად (ნაციონალურ ადგილებად)

¹⁹ იქვე, 37.

²⁰ Fabian, 1983, 8.

²¹ Westphal, 2013, 4.

გრიგოლის ზედწოდებაც – „უდაბნოსა ქალაქმყოფელი“ – ამის ხაზგამსმელია, ხოლო გიორგი მთაწმინდელისა და იოანე და ექვთიმე ათონელების საქმიანობამ შესაძლებელი გახადა ქართული იდენტობის მარკერების – ენისა და რელიგიის ტრანსნაციონალურ წმინდა სივრცეში ჩართვა, რითაც ერთგვარი მრავალშრიანი ქართული ტრანსნაციონალური გეოგრაფია შეიქმნა, რომელიც არღვევდა საზღვრებს ფიქსირებულ ადგილსა და ფლუიდურ სივრცეს შორის და ქმნიდა დამაჯერებელ სამყაროს, რომელშიც ქართული იდენტობა დასაბუთებული და ამასთანავე მობილური კონსტრუქტი გახლდათ.

იოანე ზოსიმეს „ქებაი-ს“ ტექსტი და ნაციონალური ცნობიერების ტრანსმისია ქართულ მწერლობაში

ამიტომ საფიქრებელია, რომ მომდევნო საუკუნეებში სწორედ იმედის, უტოპიური მესიანისტური იდეისა და სივრცითი ფუნქციის დაკარგვა აყალიბებს დაქვემდებარებულის ცნობიერებას ქართველ ერში. ნიშანდობლივია, რომ მე-13 საუკუნიდან მოყოლებული მე-20 საუკუნის ჩათვლით, მონღოლების, ოსმალეთის, ირანის თუ რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფი ქართველი საზოგადოება ყოველთვის ახდენდა არა ახალი ნაციონალური მომავლის განჭვრეტას, არამედ სასურველ მომავალს მუდმივად წარსულთან აკავშირებდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საგრძნობია მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. განსაკუთრებით ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში²². ქართველთა ნაციონალური ოცნებები მე-12 საუკუნის დავით აღმაშენებლის ან თამარ მეფის პერიოდში ცხოვრებას უკავშირდებოდა, ან მომავალში კვლავ ისეთი ძლიერი ქვეყნის ხილვის სურვილს, როგორიც ამ პერიოდში იყო. ამდენად, საზოგადოების სასურველი ნაციონალური მომავლი მუდმივად წარსულში, სხვა დროით ჩარჩოში დაბრუნებას გულისხმობდა. თუ პოსტკოლონიალიზმის თეორეტიკოსებს დავეყრდნობით, ეს ტენდენციაც ტიპურია კოლონიური გამოცდილების მქონე საზოგადოებებისთვის. კოლონიზაციამდე ისტორიული პერიოდი ყოველთვის განიხილება როგორც ერგვარი კულტურული/პოლიტიკური სრულყოფილების სამოთხე, რომელიც ნოსტალგიურად იზიდავს ყველას. ამდენად, მომავლის იმედიც მესხიერებას ეფუძნება²³. თუმცა თუ დავუშვებთ, რომ მე-10 საუკუნეში

²² მაგალითად, გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, პოემა „სადღეგრძელო“ და სხვ.

²³ უტოპიის კვლევებში გაზიარებულია შეხედულება, რომ უტოპიის შექმნის სურვილი სამოთხის მიბაძვის, მისი რეალობაში მატერიალიზების სურვილია. ამის მხარდამჭერი

შექმნილმა ამ ნაციონალურმა, მესიანისტურმა უტოპიანიზმით აღვსილმა ნარატივმა, ერთხელ უკვე ჰპოვა ნაციონალურ ისტორიაში მატერიალიზება ძლევამოსილი სახელმწიფოს (მე-11-მე-12 საუკუნეების საქართველოს) სახით. საინტერესოა, რამდენად არსებობს შესაძლებლობა, რომ სხვა დროით ჩარჩოში ამ ნარატივმა კვლავ წარმატებით იფუნქციონიროს. იოანე-ზოსიმეს ტექსტი თავისი მესიანისტური ნარტივით, ერის გამორჩეულობის, ენის ღვთაებრიობის იდეითა და „ბოლო ჟამის“ ესკატოლოგიური მოლოდინით წარმოადგენდა რეზისტენტულ პასუხს ბიზანტიის თუ ბერძნულ კულტურულ და რელიგიურ ჰეგემონიაზე. შესაძლებელია თუ არა, რომ მოდერნიზებულ სეკულარულ დროით ნარატივში მან რაიმე ფუნქცია შეასრულოს?

ქართულ ლიტერატურულ პროცესზე დაკვირვება აჩვენებს, რომ უკვე მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან, კონკრეტულად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, დროის ფენომენის გააზრების განსხვავებული ხედვაა წარმოდგენილი, რაც მას ყველა სხვა წინამორბედის ხედვისგან გამოარჩევს (მაგ. დავით გურამიშვილი, ქართველი რომანტიკოსები და ა. შ.). ეს ხედვა ილიას არაერთ პუბლიცისტურ წერილსა და მხატვრულ ტექსტშია გაცხადებული. მაგალითისთვის, „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ვსდით ახლა სხვა ვარსკვლავს ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“. ილია აცნობიერებს, რომ დიდებულ ნაციონალურ წარსულზე ნოსტალგია როგორც შინაარსით, ასევე ფორმით უკვე ალოქრონულია, რადგან ამგვარ ნოსტალგიურ ნარატივებში ანმყო არა ქმედების, არამედ მოლოდინის სივრცედ განიხილება. თანამედროვეობა/მოდერნიზაცია კი დროის სეკულარიზაციითა და უნივერსალიზაციით ანმყოს გარდაქმნას გულისხმობს. პოემა „აჩრდილში“ ეს ხედვა ამგვარად წარმოჩნდება: „ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას და მცნების ნათლით ზე- აღზიდულ, ამაღლებული ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას, იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული, უქმისა დრტვინვით, გულის წვითა მწარე ცრემლს დაღვრის, მაგრამ არ ირწმუნს, წამებულო, შენს აღდგენასა, და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის, ჰლალადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.“^{24 25}

არგუმენტად, როგორც წესი, ის ფაქტი მოაქვთ, რომ უტოპიების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ქრისტიანული კულტურის მქონე საზოგადოებებში შეიქმნა.

²⁴ ჭავჭავაძე, 1985, 133-134.

²⁵ მსგავსი პარალელი მოაქვს იოანე ფაბიანს საკუთარ ნაშრომში. იგი განიხილავს კონსტანტინე ფრანსუა დე ვოლნის ჩანაწერებს „*Les Ruines, ou Meditation sur les Révolutions des Empires, suivies de la loi naturelle (1791)*“, რომელშიც ავტორი საკუთარი მოგზაურების შედეგად გაკეთებულ დაკვირვებებზე საუბრობს, რომ „ცივილიზაციების დაშლა გამოწვეულია არა ბედისწერით ან ღვთაებრივი სასჯელით, არამედ უმეცრებით, ტირანიით, უთანასწორობითა და კორუფციით. რომ ისტორიას გონიერება მართავს და არა ბე-

როგორც ფაბიანი აღნიშნავს, როცა გლობალურად სამყაროს/სივრცეს ერთი დროითი ნარატივი წარმართავს, კანონზომიერი პროცესია, რომ ორი სხეულისთვის ერთსა და იმავე სივრცეში ერთდროულად სრულფასოვნად ყოფნა შეუძლებელი ხდება²⁶. ამდენად, დომინანტური სივრცე ალტერნატიულ დროით ცნობიერებებს ავტომატურად განდევნის ან/და იქვემდებარებს. შესაბამისად, ნაციონალური სხვა დროით კონცეფციაზე დაფუძნებული მესიანისტური ალტერნატიული ნარატივები პოსტკოლონიურ ეტაპზე წარმოქმნიან საფრთხეს, რომ ერთ დროს ანტიიმპერიული და რეზისტენტული ნარატივები ახალ იმპერიალისტურ იდეოლოგიაში ჩაენეროს, როგორც ყოფილი კოლონიური საზოგადოებების მანიპულაციის საშუალება. რადგან ამ დროითი ნარატივის კულტივირება და ნახალისება ავტომატურად ამ საზოგადოებების დაქვემდებარებასაც გულისხმობს. ამიტომ საინტერესოა, დღეს რა ტიპის შესაძლებლობას ან ნარატივს აფუძნებს ნაციონალურ მომავალს თანამედროვე ქართული მწერლობა. ვფიქრობთ, თვალსაჩინოა, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში დიდებული წარსულის გახსენების პარადიგმა ფუნქციას და მნიშვნელობას ნელ-ნელა კარგავს; შესაბამისად, ველარც იმედისა და მომავლის ნარატივის კულტივაციას ახდენს. მაგალითად, ნაირა გელაშვილის რომანში „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ (2006) მხოლოდ ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტებს სჯერათ, რომ ქართული ანბანი ე.წ. „ანბანთა ანბანია“ და ყველა არსებული ანბანის პირველწყარო, რომელიც სამყაროს აგებულებისა და დინამიკის საიდუმლო კანონებს აირეკლავს. აღნიშნული რომანი 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების პერიოდის ქართულ რეალობას ასახავს. აქ, ერთი მხრივ, ჩანს საზოგადოების შემოქმედებითი ნაწილის ეიფორიული მისწრაფებები, საბჭოთა კავშირის ნგრევის პირობებში ახალი სახელმწიფოს შენებაში საკუთარი წვლილი შეიტანონ მათთვის საოცნებო სახელმწიფოს მხატვრულ წარმოსახვაში ნარატივიზებით და ამავდროულად, საზოგადოების მეორე ნაწილის მხრიდან გამომჟღავნებული მკვეთრად კრიზისული განწყობები, რომ ენას აღარ შესწევს უნარი არა მხოლოდ სამყარო და გარემოში

დისწერა ან ღმერთის ნება.“ Fabian, 1983, 9. „ხალხი უმეცარია, დაე, თავად ისწავლონ; მათი მმართველები გარყვნილები არიან, დაე, თავად გამოასწორონ და გააუმჯობესონ საკუთარი თავი. რადგან ეს ბუნების დიქტატია: რადგან საზოგადოების ბოროტება სიხარბიდან და უმეცრებიდან მოდის, კაცობრიობა არ შეწყვეტს ტანჯვას მანამ, სანამ არ გახდება განათლებული და ბრძენი, სანამ არ ივარჯიშებს სამართლიანობის ხელოვნებაში, რომელიც დაფუძნებულია მათი ურთიერთობებისა და მათი ორგანიზაციის კანონების ცოდნაზე (იქვე). ამდენად, თუ ამ ლოგიკას გადმოვიტანთ ქართულ გამოცდილებაზე, მე-13 საუკუნიდან დაწყებული ქართული სახელმწიფოს დაცემის მიზეზები საკუთარ ისტორიაში უნდა ვეძებოთ და არა გარემოებებსა და ღმერთის ნებაში.

²⁶ იქვე, 29.

მიმდინარე პროცესები შეიმეცნოს, არამედ რეალობა ადეკვატურად ასახოს. საზოგადოების პირველი ნაწილი ნაივური და თამამი ფანტაზიებით წარმოიდგენს ნაციონალურ მომავალს. მაგალითად, გამომცემლობებში მიაქვთ „საქართველოს გადარჩენის გეგმები და მისი ნამყო-ანმყო-მყოფადის მისტიკური გაშიფვრები!“²⁷ [...] „საქართველოს პლანეტარულ მისიაზე, იმაზე, თუ როგორ გადაარჩენს საქართველო სამყაროს, მსოფლიოს, ევროპასა და აზიას, ქრისტე როგორ ილაპარაკებს ბოლოს ქართულად ან მეგრულად“,²⁸ ანდა რომ საქართველო წრიულ ქვეყნად უნდა იქცეს, რომელიც წრიული სოფლებისგან იქნება შედგენილი. ამ სოფელში ყველაფერი წრიული იქნება: სახლები, ბაღები, ბოსტნები, სასაფლაოები. თითო სოფელში თითო გვარი იცხოვრებს. ეს იქნება გვარის სოფელი, სოფლის შუაგულში წრიული სასაფლაო იქნება, მის ირგვლივ წყარო, სკოლა, აფთიაქი, ყველაფერი დანარჩენი.²⁹ თუმცა ამავდროულად, ამავე ტექსტში ამგვარ უტოპი-ანიზმს უპირისპირდება მკვეთრად ნიჰილისტური განწყობაც, რომ ენას რეალობის ასახვის რესურსი აღარ გააჩნია, აღარ შესწევს უნარი, ღირებული ნარატივი შექმნას. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ფიქრით, „როგორ უნდა ეწერა „შინაგანობაზე“, თავისაზე თუ სხვისაზე, როცა დიდი ეჭვი გასჩენოდა, რომ თავად ენა გამოფიტულიყო. როცა ვერ მოეცილებინა საშინელი განცდა, რომ ენის ცხედართან ჰქონდა საქმე. მკვდარ მექანიკურ ხელსაწყოსთან, რომელიც ვეღარ აღნიშნავდა საგანთა გულისცემას. რა უნდა ყოფილიყო ენის ახლანდელი მკვდრად ყოფნის მიზეზი ან როდის უნდა დაწყებულიყო ენის ეს სავალალო გარდაცვალება?“³⁰. პერონაჟისთვის ეს საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე პროცესების შედეგია. მისი ფიქრებით, „ჯერ კიდევ მეხუთე თუ მეათე (თარიღი მეცნიერებაში საკამათოდ ითვლება) საუკუნის ტექსტი „ქება და დიდება ქართულისა ენისა იუნყე-ბოდა, რომ ქართული ენა ლაზარესავით მძინარე ანუ ოთხი დღის მკვდარიო და ენას თუ ეძინა³¹, რაღა გასაკვირი იყო ამ ენის პატრონსაც პირქუში დასცემოდა [...] ეგებ წერა და თქმა კი არა, დუმილი იყო ახლა საჭირო, ეგებ დუმილის შეკონი-ნება შეთხზვა და შექმნა ევალებოდა მწერალს, პოეტს; ეგებ დედამინაზე დასად-გურებული დუმილის ნუთ-საუკუნე გააცოცხლებდა და აღადგენდა სიცოცხლესა

²⁷ გელაშვილი, 2009, 8.

²⁸ იქვე, 10.

²⁹ იქვე, 11.

³⁰ იქვე, 118-119.

³¹ ქართული ლიტერატურის თანამედროვე კვლევები ცხადყოფს, რომ ძილის ტოპოსი ნაციონალური დისკურსის ფარგლებში მე-19 საუკუნიდან აქტიურდება. იხ., კილანავა, 2013.

და ენას?“³² ვფიქრობ, ტექსტში ენის მკვდარ სხეულად წარმოდგენა და განცდა, რომ უმჯობესია, ენა მძინარე მდგმარეობაში დარჩეს, იმ პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირი ინგრეოდა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას ეყრებოდა საფუძველი, საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილის უძლურების დემონსტრირებაა, რომ მათ არ შეუძლიათ ახალი, სეკულარულ ისტორიულ დროით განცდაზე დაფუძნებული ნარატივების წარმოდგენა ქვეყნის მომავლთან დაკავშირებით. პოსტკოლონიურ ეტაპზე კი, პირიქით, ტრანზიციის პირობებში სწორედ ანმყოს აქტიური ანალიზი და მისი ნარატივიზებაა მნიშვნელოვანი, რაც კარგად ჩანს სალმან რუშდის მნიშვნელოვან რომანში „შუალამის შვილები“, რომელიც ინდოეთის ცხოვრებაში სწორედ ამგვარ ტრანზიციის ეტაპს ეძღვნება. კერძოდ, 1947 წლის ბრიტანული კოლონიალური მემკვიდრეობისგან გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობისშემდგომი პერიოდის ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ტრანსფორმაცას. რომანის მთავარი პერსონაჟი, სალიმ სინაი, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ დღეს იბადება, ფიქრობს, „სწრაფად უნდა ვიმუშაო, შეჰერაზადაზე სწრაფადაც კი, თუ მინდა, რომ ბოლოს რაიმეს წარმოვადგენდე. დიახ, წარმოვადგენდე. ვალიარებ, ყველაზე მეტად უაზრობის მეშინია.“³³ ამ დამოკიდებულების საპირისპიროდ კი, ნაირა გელაშვილის რომანის მთავარი პერსონაჟი შემოქმედებითი დუმილით სწორედ ამგვარი „უაზრობის“ გამართლებას ცდილობს, რაც ვფიქრობ, სოციალური უძლურების გამოხატულებაა. რომანის პერსონაჟის ინტელექტუალური დუმილი ავტომატურად მოიაზრებს პასიურ თანხმობასაც ნაციონალური სიუბიექტის კვლავ დაქვემდებარებულ სტატუსზე, რადგან ანმყოში აქტიურად ყოფნაზე უარი ნიშნავს სუბიექტობის სტატუსის დაკარგვასაც, როგორც ალოქრონიზმის შედეგს.

ნაციონალური მომავლის წარმოსახვის კრიზისულობა ჩანს ასევე ზურა ჯიშკარიანის რომანშიც „საღეჭი განთიადები უშაქროდ“ (2017). მიუხედავად იმისა, რომ რომანში ახალი მესია იბადება, სწორედ იმის გამო, ნაციონალური მომავლის ნარატიული სახით განჭვრეტას ვერ ახერხებს, დაბადებისთანავე საკუთარი აჩევანით თავს მოაკვლევინებს. მისი პოზიციაა, რომ „ამ სამყაროს არ უნდა გადარჩენა, ამ თამაშში ყველაფერი გაფუჭებულია.“³⁴

ფაბიანის თანახმად, განმანათლებლობის ეპოქაში სივრცითი მოგზაურობები, გეოგრაფიული აღმოჩენები, ექსპედიციები და ცნობისმოყვარეობა იქცა და-

³² გელაშვილი, 2009, 125.

³³ რუშდი, 2013, 8.

³⁴ ჯიშკარიანი, 2017, 191.

სავლური ცივილიზაციისა და ცოდნის სისტემების შექმნის საფუძვლად: სწორედ სივრცის დაპყრობამ წარმოშვა დროითი იერარქია. ზურა ჯიშკარიანის ტექსტში ჩანს, რომ პოსტსაბჭოთა ეტაპზე არსებული ნაციონალური სივრცე არ ტოვებს ადგილს ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციისთვის, რადგან ძველი საბჭოთა ძალაუფლების იერარქიული სისტემები კვლავ არ მოშლილა. ამიტომ ერთადერთი შესაძლებლობა, სადაც შეიძლება საბჭოთა ცნობიერებით დამძიმებული რეალობისგან გათავისუფლდე, ციფრული და კოსმოსური სივრცეა. ერთი შეხედვით, ამ სივრცეში ყოფნა თითქოს გათავისუფლების შესატყვისად გვჩვენებს, რადგან გადის ყოფილი იმპერიის, ზოგადად მატერიალური სამყაროს საზღვრებიდან და ერთი შეხედვით, სუბიექტი ისტორიული დროისგანაც თავისუფლდება. ეს კი შესაძლებლობაა, რომ ახალი ნაციონალური მითოლოგია და დროის განცდა შეიქმნას³⁵. თუმცა, იმის გამო ვერ პოულობს საყრდენს ვერც ისტორიულ, ვერც იდეოლოგიურ და ვერც ეთიკურ ნარატივებში, კვლავ „კრიზისულ სივრცეში რჩება“³⁶.

დასკვნა

ამდენად, ვფიქრობთ, იოანე-ზოსიმეს ჩვენ მიერ განხილულ ტექსტს, როგორც ეროვნული თვითწარმოსახვისა და ისტორიული გადარჩენის ინსტრუმენტს, ერთგვარი ნაციონალური ცნობიერების მატრიცის ფუნქცია აკისრია. ტექსტი ერთი მხრივ, ახდენს ნაციონალური კულტურული/პოლიტიკური იდეალების რეზერვაციას, თუმცა ამავედროულად, ნაციონალური მომავლის ორიენტირებასაც გვთავაზობს, რომ ეს დიდებული წარსული მომავალში, ესქატოლოგიური დროის დასასრულს, ე.წ. ბოლო ჟამს კვლავ განმეორდება. ამდენად, მას არა მხოლოდ წარსულის შეხსენების, არამედ „მომავლის გახსენების“ და შესაბა-

³⁵ მართალია, მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული მოდერნიზაციული რომანებში ქართულ მითოსთან დაბრუნება დომინანტური ტენდენციაა, როგორც თვითგადარჩენის სტრატეგია ხელახალ კოლონიზაცია/სოვეტიზაციაზე. (მაგალითად, რობაქიძის, გამსახურდიას, შენგელიას და სხვათა რომანებში), თუმცა ჯიშკარიანის ტექსტის კითხვისას ამ მითებისადმი ინტერესი არ ჩანს და საფიქრებელია, რომ ავტორისთვის ამ მითების ხელახლა გაცოცხლებას არ აქვს მომავლის პერსპექტივის შექმნის პოტენციალი.

³⁶ სტატიაში თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან განვიხილეთ მხოლოდ ის ნარატივები, რომლებშიც უტოპიურის ფორმა კრიზისულ სიუჟეტებად გარდაიქმნება, თუმცა ქართულ ლიტერატურაში არსებობს ისეთი ტექსტებიც, რომლებიც შესაძლებელია როგორც პოსტკოლონიური უტოპიები ან უტოპიანიზმით განმსჭვალული ნარატივები განვსაზღვროთ. მაგალითად, აკა მორჩილაძის რომანები – „სანტა ესპერანსა“ (2006), „მორიდებული ზურმუხტი“ (2012), თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ტექსტები სილამისეულ და გაცილებით დეტალურ ანალიზს მოითხოვს, ამიტომ აქ მხოლოდ მინიმუმის სახით მოვიტანე.

მისად, კოლექტიური იმედის კულტივაციის ფუნქციაც აკისრია. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ტექსტი შუა საუკუნეების ბიბლიურ/ქრისტიანულ დროით ნარატივს ეფუძნება, რომელშიც ისტორია ღვთის განგებულების მიხედვით ვითარდება, თანამედროვე ეტაპზე, როცა გლობალური და ასევე ნაციონალური დროც სეკულარიზებული და მოდერნულობის ისტორიის ნაწილია, ამგვარი ნარტივების გაცოცხლება ნაციონალური მომავლის საწარმოებლად წარმოშობს საფრთხეებს, რომ წარსული დროითი ცნობიერებით ნასაზრდოები ნარტივები გადაიქცევა ე.წ. „ალექრონულ მახეებად“, რომლებიც აწმყოს არარსებული დროის მოლოდინის, გაურკვევლობისა და ბუნდოვანების სივრცედ გადაიქცევენ. ამდენად, ამგვარი პოსტკოლონიური ნარტივები, რომლებიც ერთ დროით ციკლში გადარჩენისა და იმედის კულტივაციის მანარმოებელი ნარტივებია, სხვა დროით ციკლში შესაძლოა დროითი ხაფანგები გახდნენ, რომლებიც კვლავ კოლონიზების, დაქვემდებარებისა და მანიპულირების საფრთხეებს წარმოშობს.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ბაქრაძე ა., დავიწყებული იდეა, ჟურნ. „კრიტიკა“, N16, 2021 [bakradze a., davits'q'ebuli idea, zhurn. „k'rit'ik'a“, N16, 2021]
- გამსახურდია ზ., ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ, https://www.amsi.ge/istoria/zg/qebai_da_didebai.html [10.09.2025] [gamsakhurdia z., kebay da didebay kartulisa enisay, https://www.amsi.ge/istoria/zg/qebai_da_didebai.html [10.09.2025]
- გელაშვილი ნ., პირველი ორი წრე და ყველა სხვა, თბილისი, 2009 [gelashvili n., p'irveli ori ts're da q'vela skhva, tbilisi, 2009]
- დობორჯგინიძე ნ., იოანე ზოსიმეს „ქება“-ს საერთო აღმოსავლური ფონი, ჟურნ. „ბურჯი ეროვნებისა“, N5, 2004 [doborjginidze n., ioane zosimes „kebay“-s saerto aghmosavluri poni, zhurn. „burji erovnebis“, N5, 2004]
- იოანე-ზოსიმე, ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ, https://www.amsi.ge/istoria/div/ioane_zosime.html [10.08.2025] ioane-zosime, kebay da didebay kartulisa enisay https://www.amsi.ge/istoria/div/ioane_zosime.html [10.08.2025]
- კილანავა ც., ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება: საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირების მოდელები და ქართული ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 2013 [k'lanava ts., kartuli natsionaluri disk'ursis pormireba: sakartvelosa da rusetis imp'eriis mark'irebis modelebi da kartuli natsionaluri tvitident'ipik'atsia me-18 sauk'unis dasasrulisa da me-19 sauk'unis kartul lit'erat'urashi, tbilisi, 2013]
- რუშდი ს. შუალამის შვილები, ნ. რამიშვილის თარგმანი, თბილისი, 2013 [rushdi s. shuaghamis shvilebi, n. ramishvilis targmani, tbilisi, 2013]
- ჭავჭავაძე ი., აჩრდილი, ნიგნში: თხზულებანი, ტ. 4, თბილისი, 1985 [ch'avch'avadze i., achrdili, ts'ignshi: tkhzelebani, t'. 4, tbilisi, 1985]
- ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 2 თბილისი, 2012 [javakhishvili iv., kartveli eris istoria, t'. 2 tbilisi, 2012]

- ჯიშკარიანი ზ., საღეჭი განთიადები უშაქროდ, თბილისი, 2017 [jishk'ariani z., sa-ghech'i gantiadebi ushakrod, tbilisi, 2017]
- Ashcroft B., Postcolonialism, in: The Palgrave Handbook of Utopian and Dystopian Literature, Edited by P. Marks, J. A. Wagner-Lawlor & F. Vieira, Palgrave Macmillan, 2022
- Ashcroft B., Utopianism in Postcolonial Literature, Routledge, 2017
- Ashcroft B., Introduction: Spaces of Utopia, Spaces of Utopia: An Electronic Journal, Vol. 2, No. 1, 2012
- Bloch E., The Principle of Hope, Vols. 1-3, Translated by N. Plaice, S. Plaice & P. Knight, University of Minnesota Press, 1986
- Fabian J., Time and the Other: How Anthropology Makes Its Object, Columbia University Press, 1983
- Levitas R., Utopia as Method: The Imaginary Reconstitution of Society, Palgrave Macmillan, 2013
- Ricoeur P., Ideology and Utopia as Cultural Imagination, <<https://soar.suny.edu/handle/20.500.12648/3323>> [10.08.2025]
- Sargent L. T., Colonial and Postcolonial Utopias, in: The Cambridge Companion to Utopian Literature, Edited by G. Claeys, Cambridge University Press, 2010
- Young R., World Literature and Postcolonialism, in: The Routledge Companion to World Literature, Edited by Th. D'haen, D. Damrosch & D. Kadir, Routledge, 2012
- Westphal B., The Plausible World: A Geocritical Approach to Space, Place, and Maps, Palgrave Macmillan, 2013

Mzia Jamagidze*

POSTCOLONIAL UTOPIANISM, ALLOCHRONISM, AND THE RECOLLECTION OF NATIONAL FUTURE IN IOANE-ZOSIME’S TEXT „PRAISE AND EXALTATION OF THE GEORGIAN LANGUAGE“

Abstract

This article explores the concept of postcolonial utopianism and allochronism through the analysis of Ioane-Zosime’s 10th-century text „Praise and Exaltation of the Georgian Language.” Drawing on the theories of Ernst Bloch, Bill Ashcroft, and Johannes Fabian, it examines how utopian imagination operates within postcolonial temporalities. It also emphasizes the role of Zosime’s text as a manifestation of messianic-national utopianism, providing a historical example of how utopianism can inspire political action. The study interprets Zosime’s text as a manifestation of messianic-national utopianism that once functioned as an emancipatory response to Byzantine cultural and political hegemony and inspired the political consolidation of medieval Georgia. However, in the modern contemporary secular context, the same eschatological temporality and imagination include risks of producing temporal marginalization by locating national identity in a deferred, mythical, or premodern future.

Keywords: Postcolonialism, Utopianism, Georgian Literature, Allochronism.

* Associate Professor at Sulkhan-Sba Orbeliani University, Researcher at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. <https://orcid.org/0000-0003-0034-7007>

დავით ბარათაშვილი*

აპოკალიფტურ წარმოდგენათა ანალიზი გილგამეშის მითის და განწყობის თეორიის საფუძველზე

I. შესავალი

სიტყვა „აპოკალიფსი“ მომდინარეობს ძველი ბერძნული ენიდან, კერძოდ, ტერმინიდან ἀποκάλυψις (apokalypsis), რომელიც გამოცხადებას, გამჟღავნებას ან ფარდის ახდას ნიშნავს. ის შედგება ორი ნაწილისგან: ἀπό (apo) – მოშორება და κάλυψις (kalypsis) – ფარდა, დაფარვა. მაშასადამე სიტყვასიტყვით, apokalypsis ნიშნავს „ფარდის მოხსნას“ ან „ფარულის გამჟღავნებას“. თუ სიტყვის ეტიმოლოგიასა და მის დღევანდელ გამოყენებას შევადარებთ, ნათელი გახდება, რომ მისი დღევანდელი გამოყენება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ კონოტაციით, რაც ანტიკურობასა და ქრისტიანულ ტრადიციაში გააჩნდა. აპოკალიფსზე ფიქრისას ადამიანი ნაკლებად ფიქრობს გამოცხადებაზე, ღვთის ჩანაფიქრის გამჟღავნებაზე, განახლებასა და სხვა. თანამედროვეობაში ეს ცნება არსებული ცივილიზაციის ნგრევას, მასობრივ განადგურებასა და ამ ფონზე ცხოვრების წესის რადიკალურ გაუარესებას უკავშირდება. მაშასადამე, ცნების ტრანსფორმაცია არა თავად ცნებაში, არამედ სოციალურ პროცესში უნდა ვეძიოთ. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კულტურის, რელიგიისა და აპოკალიფტურ მოძღვრებათა მკვლევარი ჯონ რ. ჰოლი ცნობილ ნაშრომში – „აპოკალიფსი, ანტიკურობიდან მოდერნულ დრომდე“ წერს: „ყველაზე მრავალფეროვანი სოციალური ფენომენები – როგორიცაა ბიუროკრატია, შრომა, თაყვანისცემა, თამაში, ომი თუ „შოპინგი“ – ყალიბდება იმის მიხედვით, თუ როგორ ახერხებენ ადამიანები ერთობლივად მრავალი ჰორიზონტისა და მუდმივად ცვალებადი, დროში განვითარებული, მნიშვნელოვანი სოციალური ქმედებების შეთანხმებას – ცოცხალ ანმყოში, მომავლის მოლოდინითა და წარსული მოვლენების მნიშვნელოვანი ხსოვნით“.¹ ეს ანმყოს მოქმედებების განმსაზღვრელი შეთანხმებები საერთო კოლექტიური ცნე-

* კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი. <https://orcid.org/0009-0007-0104-5576>

¹ Hall, 2009, 10.

ბებია, რომლებიც ადამიანებს სოციალური გაერთიანებების სხვადასხვა დონეზე – ოჯახი, უბანი, სოფელი, რეგიონი, სახელმწიფო და სხვა – კრავს. ცივილიზაციის ისტორიულ განვითარებასთან ერთად, ტრანსფორმაცია აპოკალიფტურმა წარმოდგენებამაც განიცადა. აქ განვითარებაში მოცემულ იდეებზე სოციალურ-ტექნოლოგიური პროგრესის ასახვას ვგულისხმობთ. შესაბამისად, სტატია მიზნად ისახავს აპოკალიფსის კონცეფციის ისტორიული პროცესის განხილვას. კერძოდ, სტატიაში აპოკალიფსური წარმოდგენები განხილული იქნება უძველესი პერიოდიდან დღემდე. სტატიის ანალიტიკურ ჩარჩოს წარმოადგენს დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. ეს თეორია ამტკიცებს, რომ ფსიქიკური აქტივობა წარმოიქმნება სუბიექტის მოთხოვნილებებისა (სუბიექტური ფაქტორი) და ობიექტური გარემოს (ობიექტური ფაქტორი) ურთიერთქმედების შედეგად. სტატიაში აღნიშნული თეორია გამოყენებულ იქნება ერთ-ერთი უძველესი ჩანერილი აპოკალიფტური ნარატივის — წარღვნის მითის („გილგამეშის ეპოსი“) — და თანამედროვე ადამიანის აპოკალიფტური შიშების გაანალიზებისთვის.

განწყობის თეორიის მიხედვით, განწყობის ფორმირება არც მხოლოდ სუბიექტური (ცოცხალი ორგანიზმი) და არც მხოლოდ ობიექტური (გარემო) ფაქტორებით განისაზღვრება – ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია. „სანამ ცოცხალი არსება საზოგადოდ რაიმე მნიშვნელოვან ქცევას ჩაიდენდეს, უკვე მანამდე იმგვარად მოდიფიცირებული, რომ სწორედ ეს კონკრეტული ქცევა უნდა ჩაიდინოს. – [...] ეს ქცევა მას განწყობის სახით აქვს მოცემული. მაშასადამე, იმ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება, განწყობა შეგვიძლია ვუწოდოთ“.² შალვა ჩხარტიშვილი ნაშრომში – „განწყობა და ცნობიერება“ დამატებით ყურადღებას ამახვილებს განწყობის აღნიშნულ მახასიათებელზე, ის დასძენს, რომ: „დ. უზნაძის განწყობა არ წარმოადგენს სუბიექტის სუბიექტურ მდგომარეობას, ისეთ მდგომარეობას, რომელიც მას ერთხელ, ოდესღაც შეუმუშავდა და მას შემდეგ მისი ყოველი ახალი ვითარების განცდას თან ახლავს და განსაზღვრავს. იგი ყოველთვის ობიექტური ვითარების ზემოქმედების შედეგად ჩნდება და ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელშიც თვითონ მისი გამომწვევი ობიექტური ვითარებაა ასახული. განწყობა, მაშასადამე, წმინდა სუბიექტური მდგომარეობა კი არ არის, არამედ ობიექტური ვითარების სუბიექტში გადატანა, ასე ვთქვათ, სუბიექტში გადასული ობიექტური ვითარება“.³

² უზნაძე, 1977, 140.

³ ჩხარტიშვილი, 1975, 39.

II. აპოკალიფსის კონცეპტი ზეპირსიტყვიერ და უძველეს წერილობით წყაროებში

ადამიანმა ცივილიზაციის ისტორიის განმავლობაში ტოტემური, მითოსური და რელიგიური საფეხურები განვლო და მეცნიერულ და ტექნოლოგიატევად ეპოქაში შევიდა, სადაც სამეცნიერო იდეებთა შექმნილმა ტექნოლოგიებმა წამყვანი ადგილი დაიჭირა ყოველდღიურ ცხოვრებაში. აღნიშნულმა პროგრესმა, სოციალური ცხოვრების დონის გაუმჯობესებასთან ერთად, შეცვალა ადამიანის რწმენა-წარმოდგენები და ეს ცვლილება აპოკალიპტური მომავლის წარმოდგენებსაც შეეხო.

აზრი სამყაროს დასასრულზე ორი წყაროდან მოდის – ზეპირსიტყვიერი და წერილობითი. ზეპირსიტყვიერი წყაროს დათარიღება რიგი მიზეზის გამო ძნელდება, მათი შესწავლა ინტერდისციპლინურ მეთოდს მოითხოვს და ძირითადად ანთროპოლოგთა პრეროგატივაში შედის. წერილობითი ძეგლის შემთხვევაში კი საქმე გამარტივებულია, ჯერ ერთი წერილობითი დოკუმენტი ლინგვისტურ, ანთროპოლოგიურ, ისტორიული მეთოდებით დათარიღებას აადვილებს და მეორეც მისი მატერიალური სახით არსებობა კიდევ უფრო ზუსტი მეთოდის გამოყენების საშუალებას იძლევა.⁴ აპოკალიფტური ცნების ანალიზისთვის გილგამეშის ეპოსი რამდენიმე კუთხით არის მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი ეს ტექსტი ერთ-ერთი უძველესი წერილობითი წყაროა, რომელშიც პრეისტორიული ეპოქის ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებია გადმოცემული და მეორე, ამ ეპოსმა განსაზღვრა აპოკალიფსზე ადამიანთა წარმოდგენები მთელ რიგ კულტურებში.

გილგამეშის ეპოსი წარმოიშვა ძველი მესოპოტამიის – შუმერული, აქადური და ბაბილონური კულტურების – კონტექსტში, დაახლოებით ძვ. წ. 2100-1800 წლებში. ეპოსი შედგება 12 თიხის ფირფიტისგან (აქადური ვერსია) და მოგვითხრობს ურუქის მეფის, გილგამეშის, თავგადასავალსა და მის მიერ უკვდავების ძიებას. პირველად გილგამეშის ეპოსშია გადმოცემული აპოკალიპტური მითიც, რომელშიც საუბარია წარღვნის შედეგად დედამიწის განწმენდაზე. აპოკალიპტური ნარატივი, ძირითადად XI ფირფიტაში გვხვდება, რომელშიც აღწერილია წარღვნის მითი. გილგამეში, სიკვდილის შიშის გამო, ეძებს უტ-ნაფიშტს, ადამიანს რომელიც გადაურჩა წარღვნას და რომელმაც ღმერთებისგან უკვდავება მიიღო. უტ-ნაფიშტი გილგამეშს უყვება ღმერთების მიერ დედამიწაზე მოვლენილი

⁴ მატერიალური ობიექტის (იქნება ეს ორგანული თუ არაორგანული) დათარიღება დამოკიდებულია მის ბუნებასა და ასაკზე, და სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება სხვადასხვა ტიპის მასალისთვის. ზოგადად, დათარიღების მეთოდები ეფუძნება ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებს, რომლებიც დროთა განმავლობაში მიმდინარეობს.

დიდი წარღვნის შესახებ, რადგან გადაწყვიტეს, რომ ადამიანები გახდნენ ხმაურიანი და ძალიან მრავალრიცხოვანი, ამიტომ განადგურება წარღვნის მეშვეობით გახდა საჭირო. ღმერთი ეა (წყლის, სიბრძნის და ჯადოქრობის ღმერთი), რომელსაც სურს ადამიანთა გადარჩენა, საიდუმლოდ აფრთხილებს უტ-ნაფიშტს (ქალაქ შურუპაკის მკვიდრს) წარღვნის შესახებ და ურჩევს მას ააგოს დიდი ხომალდი (კიდობანი), რომელშიც შეიფარებს ყველა ცოცხალ არსებას. ღმერთები აგზავნიან მძლავრ წარღვნას, რომელიც ანადგურებს მთელ კაცობრიობას, გარდა უტ-ნაფიშტისა, მისი ოჯახისა და ცხოველების, რომელიც დიდ კიდობანში შეიფარა. წარღვნა გრძელდება შვიდ დღეს და მინა ნაოხარი ხდება. მას შემდეგ, რაც წყალი იკლებს, უტ-ნაფიშტის ხომალდი ნისირის მთაზე ჩერდება. ის გზავნის ფრინველებს (ყვავი, მტრედი) მიწის გამოჩენის შესამოწმებლად, მეორე ცდაზე ფრინველები აღარ დაბრუნდებიან და ეს ნიშანია მიწის გამოჩენის. საბოლოოდ, ღმერთები, შეძრწუნებულნი წარღვნის შედეგებით, ანიჭებენ უტ-ნაფიშტსა და მის მეუღლეს უკვდავებას, როგორც გადარჩენის ჯილდოს.

ეს მითი, თავისი განადგურებისა და განახლების თემებით, ითვლება ერთ-ერთ უძველეს აპოკალიპტურ ნარატივად, რომელიც მოგვიანებით გავლენას მოახდენს სხვა წარღვნის მითებზე. რიგ შემთხვევაში კი თითქმის უცვლელად გადავა, მაგალითად, ბიბლიური ნოეს შემთხვევაში (დაბადება 6-9). მსგავსება ისეთი დიდია, რომ მიხაკო წერეთელი გილგამეშიანის ეპოსის შენიშვნების ნაწილში დასძენს, რომ: „*უეჭველად აქ საქმე გვაქვს ერთი ერის მწერლობის გავლენასთან მეორე ერის მწერლობაზე: ებრაელ მწერალს უცხო მოთხრობა უამბნია ებრაულ ენაზე*“⁵.

აპოკალიპტური მითები, რომლებიც განადგურებისა და განახლების თემებს მოიცავს არ შემოიფარგლება მხოლოდ წარღვნის (წყლის) მითებით. მეოცე საუკუნის ცნობილი ანთროპოლოგის მირჩა ელიადეს ნაშრომებში ნაჩვენებია, რომ განადგურების მითები შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვადასხვა ბუნებრივ ან კოსმიურ მოვლენებთანაც, როგორიცაა ცეცხლი, მიწისძვრა, ეპიდემიები, ან ზეციური ფენომენები (მაგ., მეტეორები, მზის დაბნელება და სხვა).

აპოკალიფტური მითები, რომელიც თითქმის ყველა არქაულ საზოგადოებაში გვხვდება, წარმოადგენს სიმბოლოს, რომელსაც მისი ჩამოყალიბებისა და გავრცელების ისტორია აქვს. მირჩა ელიადე, თავის ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში „*მეთოდოლოგიური შენიშვნები რელიგიური სიმბოლიზმის შესწავლის შესახებ*“ აღნიშნავს, რომ რელიგიურ სიმბოლოს საკუთარი ისტორია აქვს. ელიადე წერს: „იმის თქმა, რომ სიმბოლოს აქვს „ისტორია“, შეიძლება ორ რამეს ნიშნავდეს: ა) ეს სიმბოლო ჩამოყალიბდა გარკვეულ ისტორიულ მომენტში და, შესაბამისად, ამ

⁵ წერეთელი, 2024, 124.

მომენტამდე ვერ იარსებებდა; ბ) ეს სიმბოლო გავრცელდა კონკრეტული კულტურული ცენტრიდან და ამ მიზეზით არ უნდა მივიჩნიოთ, რომ ის სპონტანურად ხელახლა აღმოცენდა ყველა იმ კულტურაში, სადაც გვხვდება. ის, რომ არსებობდნენ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციებზე დამოკიდებული სიმბოლოები, არაერთ შემთხვევაში უეჭველად ჩანს. მაგალითად, ცხადია, რომ ცხენი, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, სიკვდილის სიმბოლო ვერ გახდებოდა მის მოშინაურებამდე. ასევე აშკარაა, რომ ნიჩაბი ვერ იქნებოდა ასოცირებული ფალოსთან და სამეურნეო სამუშაოები – სქესობრივ აქტთან გაიგივებული, სოფლის მეურნეობის აღმოჩენამდე. იმავე მანერით, რიცხვ 7-ის სიმბოლოში და, შესაბამისად, შვიდტოტიანი კოსმიური ხის ხატი, ვერ გამოჩნდებოდა შვიდი პლანეტის აღმოჩენამდე, რამაც მესოპოტამიაში შვიდი პლანეტარული ცის კონცეფცია ჩამოაყალიბა. უფრო მეტიც, არსებობს მრავალი სიმბოლო, რომელიც შეიძლება დავეუკავშიროთ სპეციფიკურ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებებს, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ არეალებში არსებობდა და ზუსტ ისტორიულ მომენტებში ჩამოაყალიბდა, როგორიცაა სამეფო ხელისუფლების, მატრიარქატის სიმბოლოები ან ის სისტემები, რომლებიც გულისხმობს საზოგადოების ორ, ერთდროულად ანტაგონისტურ და შემავსებელ ნაწილად დაყოფას.⁶ მირჩა ელიადეს თვალსაზრისი, რომ ისტორიული სიტუაცია მნიშვნელოვანი მომენტია მითის ფორმირებაში, გვაახლოებს დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით მითის ახსნასთან, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ. მირჩა ელიადეს თქმით, მიუხედავად სოციალური სიმბოლოების სიმრავლისა, კულტურასა და ისტორიასთან დაკავშირებული სიმბოლოები ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე კოსმიური სტრუქტურის სიმბოლოები, რომლებიც სამყაროსა და ადამიანის ურთიერთმიმართებას, საკრალურისა და პროფანულის ურთიერთობას გადმოგვცემს.⁷

აპოკალიფსის მითი, როგორც ერთი მხრივ, დიდი ბოროტების და მეორე მხრივ, განახლების იდეა გადაჰყვება ანტიკურობას, შემდგომ კი - ქრისტიანობის ეპოქას. რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში აპოკალიფსი ღვთის, ზებუნებრივის გავლენით ხდებოდა და ამავე მიზეზით შეიცავდა იმედის ნაპერწკალს, რომ განადგურებას მოსდევს განახლება, კაცობრიობის განწმენდა და სხვა. რელიგიურ საზოგადოებაში აპოკალიფსური მოვლენების გამომწვევი მიზეზი, თუნდაც ეს ადამიანთა დაცემის ბრალი ყოფილიყო, მაინც ღმერთია, ზებუნებრივი, მეტაფიზიკური ძალა. თანამედროვე ეპოქაში კი ასეთი მეტაფიზიკურ ძალას ანაცვლებს ადამიანისაგან მომდინარე საფრთხეები ან ისეთი ბუნებრივი

⁶ Eliade, 1959, 103-104.

⁷ იქვე, 105.

თუ ზებუნებრივი⁸ მოვლენები ან კატასტროფები, რომელიც ადამიანებზე არ არის დამოკიდებული.

როგორც ვხედავთ, ცნებამ მეტ-ნაკლები ტრანსფორმაცია განიცადა და დღეს ის უკვე ასოცირდება განადგურებასთან, სამყაროს ან ცივილიზაციის დასასრულთან, ფართომაშტაბიან კრიზისთან, რომელიც ხშირად ადამიანის ქმედებებითაა განპირობებული. თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ის შეიძლება ადამიანისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზითაც იქნას გამოწვეული. მაგალითად, გრავიტაციული ველის ცვლილებით, ან მზეზე მომხდარი აქტივობებით, რომლებსაც დედამიწაზე ისეთ ცვლილებების გამოწვევა შეუძლია, რაც ცივილიზაციის არსებული ფორმით შენარჩუნებას შეუძლებელს გახდის.

განწყობის თეორიის მიხედვით, აპოკალიპტური მომავლის გამომწვევი ადამიანური ფაქტორი მისივე გონების მუშაობის შედეგია. აპოკალიფსი არის ადამიანის გონებით აკუმულირებული ენერგია, რომელიც სამყაროს არსებული ფორმაციის დასასრულს გამოიწვევს. 2020 წლის კოვიდ პანდემიამ, სამყაროს დასასრულის შიში გაცილებით უფრო რეალური გახადა, ამას მალევე მოჰყვა რუსეთ-უკრაინის ომი, რომელმაც ატომური ომის საფრთხეები და აპოკალიფსის შიში გააძლიერა. მრავალი პოლიტოლოგი და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი მიიჩნევს, რომ კუბის კრიზისის შემდეგ კაცობრიობა ასე ახლოს არასდროს ყოფილა ატომურ დაპირისპირებასთან, რაც ეგზისტენციალური არსებობის საფრთხის გაზრების აუცილებლობას ქმნის.

კაცობრიობა ერთი ეგზისტენციალური საფრთხიდან – პანდემიიდან, მეორე ეგზისტენციალურ საფრთხეში – ატომური აპოკალიფსში, ისე მალე შევიდა, რომ კარგად გააზრების დრო არც ჰქონია. მოვლენების განვითარების ასეთი სისწრაფე მხოლოდ თანამედროვე ადამიანის ცხოვრების აჩქარებული ტემპის წყალობითაა შესაძლებელი.

განწყობა სიცოცხლის უზოგადესი მახასიათებელია. ყოველი ცოცხალი ორგანიზმი განწყობით მიემართა გარე სამყაროს მოთხოვნილების დაკმაყოფილების საფუძველზე და მოთხოვნილების დაკმაყოფილება მიზანშეწონილი ქმედების განხორციელებითაა შესაძლებელი. მამასადამე, განწყობა ქვეფსიქიკური ფენომენია, რომელიც ცცევის განხორციელების ფსიქო-ფიზიოლოგიურ მზაობას წარმოადგენს. განწყობა მიზანშეწონილი ქმედების განხორციელებას უზრუნველყოფს,

⁸ თანამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა და ინფორმაციის გავრცელების საშუალებებმა სხვადასხვა აპოკალიფტური სცენარის შესახებ ადამიანთა გარკვეული მასების ყურადღება მიიპყრო. ზოგიერთს სცენარს არავითარი სამეცნიერო თუ ლოგიკური საფუძველი არ გააჩნია; ზოგი კი სწორედ მეცნიერების განვითარების პარალელურად გაჩნდა, როგორიცაა – ნიბირუ, ბოლცმანის ტვინი, სტრეინჯლები, ვაკუუმის კოლაფსი, ნაცრისფერი გუნდის და სხვა აპოკალიპტური საფრთხეები.

მიზანშეწინილი ქმედების განხორციელებას კი ორი ფაქტორის გათვალისწინება სჭირდება, ესენია – მოთხოვნილების მქონე ორგანიზმის (სუბიექტური ფაქტორი) და მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის (ობიექტური ფაქტორი) ქცევაში ასახვა. მაშასადამე, განწყობის თეორიის მიხედვით, აპოკალიფტური მითის საფუძვლებშიც იდენტიფიცირებადია სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები.

მაშასადამე, განწყობა ყველა ცოცხალ არსებას ახასიათებს, ის ცხოვრების ზოგად პრინციპს წარმოადგენს. მაგალითად, როგორც ევოლუციის კანონი აღწერს ცოცხალი მატერიის არსებობის წესს, ასევე განწყობაც წარმოადგენს სიცოცხლის ფსიქიკური არსებობის წესს. ცოცხალი ორგანიზმი მთელი განწყობით მიემართება გარემოს, განწყობით გაშუალებული მოქმედების გარეშე ცოცხალი მატერია არაცოცხალი გახდება, შეწყვეტს სიცოცხლეს, რადგან ის ვერ დაიკმაყოფილებდა სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. რა არის ის გარდამტეხი მომენტი, როდესაც „ცხოველური განწყობის მოდუსიდან“ თავის დაღწევა და წმინდა ადამიანური აქტივობების (დაკვირვება, გააზრება, ცნობიერება, ცნებითი აზროვნება და სხვა) განხორციელება იწყება. განწყობის თეორიაში ადამიანის უნიკალური მახასიათებელი ობიექტივაციის ცნებასთან არის დაკავშირებული. ობიექტივაციის საშუალებით ადამიანი თავს აღწევს ცხოველური განწყობის მოდუსს და შეუძლია განხორციელოს უნიკალური ადამიანური აქტივობა – დაკვირვება, სიტუაციის გააზრება და გაცნობიერება.

ობიექტივაციის აქტის საშუალებით ხდება ორმაგი ასახვა. პირველადი ასახვა: ეს არის არაცნობიერი, „ქვეფსიქიკური“ ასახვა, რომელიც მოცემულია თავად განწყობაში. განწყობა, როგორც მთლიანი სუბიექტის მზაობა, უკვე „ასახავს“ სიტუაციას იმ კუთხით, რაც ორგანიზმის საჭიროებებისა და მოცემული გარემოსთვისაა რელევანტური. ეს არის მოქმედებაზე მიმართული, პრაგმატული ასახვა. მეორეული ასახვა: ეს ხდება ობიექტივაციის აქტის შედეგად, როდესაც ქცევა ფერხდება. სუბიექტი თითქოს „დისტანცირდება“ სიტუაციიდან და რეალობის იმ ასპექტს, რომელიც დაბრკოლებას ქმნის, ცნობიერების შუქზე გამოიტანს. ეს უკვე არა პრაგმატული, არამედ შემეცნებითი ასახვაა. მაშასადამე, ადამიანი იქცა ცნობიერ არსებად, როცა მან შეძლო პრობლემის ანალიზი ობიექტივაციის საშუალებით. ადამიანი „მიმართავს აზროვნების აქტს“, რათა მოახდინოს დაბრკოლების გაცნობიერება. უზნაძის თეორიაში ამ პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მეტყველება და სიტყვა. სწორედ სიტყვაა ის ინსტრუმენტი, რომლითაც ადამიანი ახდენს რეალობის ფრაგმენტის „ამოგლეჯას“ ზოგადი, დიფუზური სიტუაციიდან და მას ცნობიერების ობიექტად აქცევს. ამის გარეშე, „ქვეცნობიერიდან ცნობიერაში ტრანსფორმაცია“ მისტიკურ პროცესად რჩება.

საკითხის უკეთ გასაგებად განვიხილოთ სიკვდილის ცნება, სულ მალე ჩვენ დავინახავთ, რომ სწორედ სიკვდილის შიშმა უბიძგა გილგამეშს უკვდავების ძიებისკენ, რაც გილგამეშის ეპოსის ცენტრალური თემაა. მანამდე ყურადღება მივაქციოთ სიკვდილის გააზრების, ცნებით აპარატში მოქცევის განწყობისეულ პროცესს. სიკვდილის გაცნობიერება არის არა უბრალოდ მოქმედების შეჩერება, არამედ მოქმედების შესაძლებლობის სამუდამო და აბსოლუტური შეწყვეტის გააზრება. ეს არის საბოლოო „დაბრკოლება“, რომელსაც სხვის სიკვდილში სიკვდილის ცნების დაბადება იწვევს, მასზე დაკვირვების საფუძველზე. სიკვდილთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზაცია სიკვდილის გააზრებისა და „გაკულტურების“ კვალდაკვალ ჩნდება. ეს მოსაზრება სრულად დასტურდება ანთროპოლოგიური და არქეოლოგიური მონაცემებით. მიზანმიმართული დაკრძალვის რიტუალები, რომლებიც პირველად ჩვენს მონათესავე სახეობა ნეანდერტალელებთან (დაახლ. 100 000 წლის წინ), ხოლო შემდეგ უკვე *Homo sapiens*-თან ჩნდება, მიიჩნევა სიმბოლური და აბსტრაქტული აზროვნების ერთ-ერთ უძველეს და უტყუარ მტკიცებულებად. განწყობის თეორია კი სწორედ ასეთი აზროვნების ფსიქიკურ პროცესს აჩვენებს.

ამ შფოთვასთან გასამკლავებლად და სიკვდილის გაუგებარი კონცეფციისთვის რაიმე ფორმის მისაცემად, ადამიანი ქმნის მსოფლხედვას, რომელიც რიტუალის სახით პროფანულ სამყაროში სხვადასხვა ქმედებებს იწვევს - მიცვალებულის დაკრძალვა, მასთან ერთად ნივთების, იარაღის თუ საკვების ჩატანება, სხეულის კონკრეტული მიმართულებით დასვენება და სხვა – არის სიმბოლური ქმედებები. ეს არის იმის მტკიცებულება, რომ ადამიანები ფიქრობენ სიკვდილზე როგორც ასეთზე და ეს ფიქრები გამოისახება საიქიო ცხოვრებაზე, სულზე, სიცოცხლის გაგრძელებაზე სხვა ფორმით. ეს ქმედებები უაზროა პრაქტიკული, ბიოლოგიური გადარჩენის თვალსაზრისით, მაგრამ უმნიშვნელოვანესია ფსიქოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით.⁹

აპოკალიფტური მომავლის, ანუ კოლექტიური დასასრულის, წარმოდგენა მოითხოვს ცნობიერების განვითარების უმაღლეს დონეს – უნარს, მოახდინო არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთელი სამყაროს არსებობის ობიექტივაცია და გაიზარო მისი სასრულობა. შალვა ჩხარტიშვილი აღნიშნავს, რომ ცნობიერება არის ის დაკვირვებადი „ზედაპირი“, რომლის მიხედვითაც ჩვენ არაცნობიერი განწყობის არსებობაზე ვმსჯელობთ: „განწყობა ცნობიერებაში, პირველ რიგში, წარმოდგენილია იმ აქტივობის სახით, რომელსაც იგი ცნობიერების მიმართულებით ავითარებს

⁹ იხ., Metcalf, Huntington, 1991.

და რომელიც, პირველ რიგში, გარესინამდვილის – სიტუაციის თავისებურებათა გაცნობიერების საქმეს ემსახურება. ეს აქტივობა ცნობიერების ფენომენის სახით გვეძლევა, ცნობიერების ფენომენები კი, ცხადია, თვითონ განწყობა არაა, მაგრამ განწყობის არსებობის შესახებ, არსებითად, მათ ნიადაგზე ვასკენით, დაახლოებით ისე, როგორც გრძნობადად მოცემული ფერებიდან ასკვნიან მათი ობიექტური მწარმოებლის – ელექტრომაგნიტური ტალღების არსებობისა და თავისებურებების შესახებ, იმ განსხვავებით, რომ აქ ფსიქიკური ფენომენების სუბიექტური მწარმოებლის შესახებ ვაკეთებთ დასკვნას¹⁰. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწორედ ეს ცნობიერი აქტივობა, რომელიც განწყობის ნიადაგზე აღმოცენდება, წარმოადგენს აუცილებელ ფსიქოლოგიურ „არენას“, სადაც შესაძლებელი ხდება ისეთი რთული, აბსტრაქტული ობიექტების გააზრება, როგორიცაა ჯერ ინდივიდუალური სიკვდილი, შემდეგ კი – მისი გლობალური, აპოკალიპტური ეკვივალენტი.¹¹

ლოგიკურია, რომ სანამ აზროვნება კოლექტიური სიკვდილის ფენომენთან მივა, ადამიანის გონებამ ჯერ თავად სიკვდილი უნდა გაიაზროს. საკვირველია, რომ გილგამეშის ეპოსშიც სიკვდილის საკითხი ცენტრალურ ადგილს იკავებს. ენქიდუს გზა ველურობიდან ცივილიზაციამდე, ხოლო გილგამეშისა – ღმერთკაცობიდან მოკვდავობამდე და ამის შედეგად, უკვდავების ძიებამდე, აი ესაა გილგამეშის ეპოსის გმირთა გასავლელი გზა.

გილგამეშის ეპოსი გადმოგვცემს ადამიანად ყოფნის სირთულის მრავალ ასპექტს. ის იაზრებს ყოფნა-არყოფნის, სიკვდილ-სიცოცხლის მომენტს და ამ გააზრების ფონზე ესწრაფვის უკვდავებას. როდესაც გილგამეშს ეკითხებიან, თუ რად წამოვიდა უტ-ნაფიშტის საძებნელად, ის ყვება მისი მეგობრის და ძმის ენქიდუს სიკვდილის ამბავს. გილგამეში იხსენებს ენქიდუს, მასთან მეგობრობას, მასთან გატარებულ დროს, საგმირო საქმეებს, რომლებიც ერთად განახორციელეს და ბოლოს ენქიდუს სიკვდილზე ამახვილებს ყურადღებას, რომელმაც ასე მძიმედ იმოქმედა მის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. გილგამეში ამბობს:

„შევძრწუნდი რა განვიცადე ბედი მისი.

სიკვდილის შიშმა შემიპყრო, ამისათვის ვარ გაჭრილი ველად.

ბედი ჩემი მოყვარისა მიმძიმს ფრიად,

ამისათვისცა შორის გზით ვარ გაჭრილი ველად:“

სტრიქონის ბოლოს კი დასძენს:

„ენქიდუ, მოყვარე ჩემი საყვარელი, მიწად გარდიცა!

ხომ მეც დავნევი მსგავსად იმისა, რომ აღარ აღვსდგე აღარასოდეს“.

¹⁰ ჩხარტიშვილი, 1975, 49.

¹¹ იქვე.

დიმიტრი უზნაძე სტატიას „ომის ფილოსოფია“¹² სიკვდილის შიშის გააზრებით იწყებს. სტატია იწყება უზნაძის რეფლექსიით ერთ სურათზე, სადაც აღბეჭდილია ახალგაზრდა მშვენიერი ასული, რომელიც ყინულის ზედაპირზე დასრიალებს და თან დაჰყვება მისი ჩრდილი, რომლისთვისაც მხატვარს სიკვდილის ჩონჩხის სახე მიუცია. სიკვდილს მისი უსულო, უხორცო ხელები წინ გაუშვერია და ცდილობს ასულის მშვენიერი სხეული მის მკლავებში მოიქციოს. სურათის აღწერის ბოლოს უზნაძე დასძენს: „ერთი სიტყვით, ყოველი ნაბიჯი ამ ქალწულისა, ყოველი მიხვრა და მოძრაობა მისი სხეულისა განზრახულია ერთი გრძნობით, ერთი სურვილით: სურვილით, რომ სიკვდილის უსულო ჩონჩხს ხელში არ ჩაუვარდეს. ამგვარად მთელი მიმართულება ამ ქალწულის მოძრაობისა სიკვდილის შიშის გრძნობით არის ნაკარნახევი, ამ სურათმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმიტომ, რომ მის დანახვაზე ჩემს ცნობიერებაში ადამიანის სიცოცხლის ბედის სურათი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაიხატა. და მართლაც, განა ასეთი არ არის მთელი ცხოვრება ადამიანისა! განა ყოველი ნაბიჯი ჩვენი ცხოვრებისა სიკვდილის შიშის გრძნობით არ არის ნაკარნახევი, განა ჩვენი დაბადების პირველსავე მომენტიდან იმის ცდაში არა ვართ, რომ სიკვდილის ცეცხლის მსხვერპლი არ შევიქნეთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ჩვენი კერძო არსებობის პირობები, ყველა ფორმა ჩვენი ყოფნისა სიკვდილის შიშის გრძნობით არის შექმნილი და გამონეული. ეს შიში, ამგვარად, მთელი ჩვენი ცხოვრების მმართველი პრინციპი, უმთავრეს რეგულიატური მომენტია ადამიანის მთელი ცხოვრებისა.“¹³ სწორედ სიკვდილის შიში აწყობინებს გილგამეშს ეპოსის უმთავრეს და ყველაზე რთულ მოგზაურობას, რამაც მას უკვდავება უნდა მოუტანოს. უზნაძეს აზრითაც სიკვდილის შიში მუდმივი და აუცილებელი ფაქტია მთელს საკაცობრიო ცხოვრებაში. მაგრამ ადამიანი, ერთი მხრივ, მოკვდავი არსება, მეორე მხრივ, უკვდავ ფენომენში არსებობს, საზოგადოებაში, რომლის უკვდავებაც მას აგრეთვე გაცნობიერებული აქვს. სტატიის მეორე თავში უზნაძე მეტაფიზიკური სიკვდილის ბოროტების მოხსნაზე საუბრობს, რომლის ფარგლებშიც ადამიანის

¹² სტატია პირველად დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის“ 1910 წლის 5 და 7 სექტემბრის ნომრებში. სტატია შესულია უზნაძის შრომების IX ტომში, სადაც აგრეთვე გვხვდება უზნაძის სადოქტორო ნაშრომი და ადრეული პუბლიკაციები. რა თქმა უნდა, სტატიის დაწერის მომენტში უზნაძის ცხოვრების მთავარ შრომამდე, „განწყობის თეორიამდე“ ჯერ კიდევ დიდი დრო იქნება გასავლელი, თუმცა მის ადრეულ შრომებში და განსაკუთრებით ამ სტატიაში იმზირება განწყობის თეორიის კონტურები, მოაზროვნის აზრთა დინების ვექტორი. სტატია, გარდა იმისა, რომ ომის პრობლემატიკას სიღრმისეულად განიხილავს, ამ მხრივაც საინტერესოა.

¹³ უზნაძე, 1986, 213.

ცნობიერება ცდილობს გაკრვეული თვალსაზრისით გაექცევეს მოვლენების ზედაპირზე ტივტივს და საგნის არსის გააზრებაში მიიღოს მონაწილეობა. აღნიშნული მომენტი უკვდავი სახელის ფენომენში გაცნობიერდა¹⁴.

ადამიანი თავის ცნობიერებასთან ერთად, სწორედ ისე, როგორც ყოველი სხვა მოვლენა, მარტო პრაქტიკულს, ჩვეულებრივ სინამდვილეს კი აღარ ეკუთვნის, იგი მეტაფიზიკური სამკვიდროს შვილიცააო ამბობს უზნაძე ზემოთ აღნიშნულ სტატიაში¹⁵. სწორედ ამ ყველაფერზე უზნაძე მომავალში იტყვის, როდესაც განწყობის თეორიის იმ დროისთვის არსებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს დაამუშავებს და დაასრულებს მის ერთ-ერთ ბოლო ნაშრომს „ზოგად ფსიქოლოგიას“, ადამიანი ისტორიული არსებააო და შესაბამისად მისი მოთხოვნილებები სოციალური ურთიერთობათა ქმნადობის მუდმივ პროცესშია ჩაბმული, ამის შედეგი ისაა, რომ არა მარტო ძველი მოთხოვნილებები იცვლება სოციალურ-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, არამედ განუწყვეტლივ ახალი მოთხოვნილებები ჩნდება. მაგალითად, ჯერ კიდევ 250 წლის წინ სწრაფი შეტყობინების გასაგზავნად საჭირო იყო მტრედი, ხოლო დღეს შეტყობინების გაგზავნის მომენტში, ვეჭვობ, ვინმეს მტრედი გაახსენდეს საერთოდ, არათუ მოთხოვნილება გაგიჩნდეს მტრედის მოძიების.

მაშასადამე, ინდივიდუალური სიკვდილის შიში დაძლეულია სოციალური უკვდავების ფონზე, რადგან სოციალური ისტორიულ პროცესში, განსხვავებით ინდივიდისგან, ინფორმაციის თაობიდან თაობაში მუდმივ დინებაზეა დამოკიდებული, მას ამ გაგებით მოკვდავის ბედი არ მოეღს. მაშინ, საინტერესოა, საიდან მოდის აპოკალიფსის მითი, კაცობრიობის განადგურების შიში. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სოციალური ერთეული თაობათა უწყვეტი ცვლის რეჟიმშია ჩართული, განა ცოტაა შემთხვევები, როდესაც სოფლებს, რეგიონებს და სხვას ტიპის სოციალურ გაერთიანებებს თავზე დატეხილ ბუნებრივი კატაკლიზმები, როგორიცაა ტყალდიდობა, შავი ჭირი, მიწისძვრა, გვალვა და სხვა, რა დროსაც ადამიანთა დიდი რაოდენობის მასიური განადგურებას აქვს ადგილი, ზოგჯერ მთელი სოფლის ან რეგიონისაც კი. ასეთი შემთხვევები უნდა მივიჩნიოთ იმ ობიექტურ ფაქტორად, რომლის საფუძველზეც ეტაპობრივად ჩამოყალიბდა აპოკალიფტური განწყობები, რომლებიც თაობიდან თაობაში გადადის, კულტურიდან კულტურაში და ასე შემდეგ.

ჩვენ გავანალიზეთ აპოკალიფსური მითების ფსიქოლოგიური საფუძვლები, სადაც, ერთი მხრივ, ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები და, მეორე მხრივ,

¹⁴ უზნაძე, შრომები IX, გვ. 217.

¹⁵ უზნაძე, IX ტომი, გვ. 216-217.

ადამიანის ცნობიერების ისტორიული განვითარება ქმნის კონკრეტულ ცნობიერ აქტს, რასაც აპოკალიფტური მითის სახე მიეცა. ამ კონკრეტულ საკითხში მირჩა ელიადეს დასკვნები უახლოვდება უზნაძის პოზიციას, რომ ცნება ისტორიულ პერიოდში მომხდარი მოვლენის ასახვაა და თუ როგორია ეს ასახვა ამაზე ზეთოდ გვექონდა საუბარი.

თანამედროვე აპოკალიპტურ განწყობებსაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. ობიექტური ფაქტია, მასობრივი განადგურების სხვადასხვა საშუალებების არსებობა, გვრჩება მხოლოდ ალბათობა, თუ მოცემულ მომენტში რამდენია ხდომილება იმისა რომ ესა თუ ის კატასტროფა ალბათური ხდომილებიდან რეალობაში განხორციელდება. საქმეს ართულებს ობიექტური შემფასებლის არარსებობა, ანუ თუ რამდენია კონკრეტული ხდომილების ალბათობა, მაგალითად ატომური არმაგედონის. შეიძლება ყველა შევთანხმდეთ იმ ფაქტზე, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ატომური დაპირისპირების ალბათობა, მაგრამ ზუსტად რამდენით გაიზარდა ეს მაჩვენებელი, ან მანამდე რამდენი იყო, ამაზე შეთანხმება თითქმის შეუძლებელია.

თანამედროვეთა მრავალფეროვან გარემოს მრავალფეროვანი აპოკალიფტური განწყობებიც ახასიათებს. ზოგს უცხო პლანეტელების კოსმიური ოდისიის ჯერა ზოგს კი ფარდის მეორე მხარეს მყოფი ადამიანისგან მომდინარე საფრთხის. საკითხავი ის კი არაა თუ ვის როგორი აპოკალიფტური მომავლის სჯერა, არამედ შეძლებს თუ არა კაცობრიობა რესურსების დატაცების პარადიგმისგან და მის ფონზე ადამიანისგან მომდინარე აპოკალიპტური საფრთხეების თავის დაღწევას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ კაცობრიობა მუდამ ურთიერთგანადგურების ალბათობების თვლაში იქნება, რაც დროის დინებასთან ერთად დაახლოებს მას გარდაუვალ ფატალურ შედეგამდე. აღნიშნულ მოსაზრებას გავამყარებ ალბათობის თეორიის არგუმენტაციით. ალბათობის თეორიის მიხედვით, თუ მოვლენას აქვს მოხდენის ძალიან მცირე შანსი (მაგ., 0.0001%), ის თითქმის არ ხდება ერთ ცდაზე. მაგრამ თუ ამ ცდას მილიონჯერ გავიმეორებთ, მოვლენის ხდომილების ალბათობა თითქმის 100%-ს უახლოვდება.

სწორედ ამიტომ, რომ თანამედროვე „სუბიექტური“ (ადამიანიდან მომდინარე) საფრთხეები, როგორიცაა ბირთვული იარაღი ან ეპიდემიები, იწვევს ასეთ ძლიერ შფოთვას. რაც უფრო მეტი მასობრივი განადგურების საშუალებები და ამ საშუალებათა მფლობელ სახელმწიფოთა შორის ანტაგონიზმი გაღრმავდება, მით უფრო იზრდება აპოკალიფტური კატასტროფის ალბათობა, განსხვავებით ძველი აპოკალიფტური შიშებისგან, სადაც საბოლოო ანგარიშით ღმერთი იწვევდა პროცესს და განახლების იმედსაც თავად იძლეოდა.

დასკვნა

ეს ნაშრომი ამტკიცებს, რომ აპოკალიფსური განწყობები ღრმად ფესვგადგმულია ადამიანის ფსიქოლოგიაში და საუკეთესოდ აიხსნება დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის ჩარჩოთი. თეორიის ხაზგასმა სუბიექტის მოთხოვნილებებსა და ობიექტურ გარემოს შორის ურთიერთქმედებაზე იძლევა მძლავრ ლინზას იმის გასაგებად, თუ როგორ წარმოშობს ინდივიდუალური სიკვდილის პირველყოფილი შიში, რეალური სამყაროს კატასტროფებთან დაპირისპირებისას, კოლექტიური განადგურების მითებს.

გილგამეშის ეპოსი წარმოადგენს ამ პროცესის არქეტიპულ მაგალითს, სადაც მოკვდავობის პირადი ტერორი მიდის სამყაროს დამამთავრებელი წარღვნის მოყოლამდე. მთავარი დასკვნა ის არის, რომ აპოკალიფსური რწმენები არ არის სტატიკური; ისინი ვითარდებიან ცვალებადი „ობიექტური ფაქტორების“ საპასუხოდ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის არსებობას. ანტიკურ ხანაში ეს ფაქტორები იყო ბუნებრივი კატასტროფები, რომლებიც ინტერპრეტირდებოდა როგორც ღვთაებრივი ქმედებები, ხოლო შედეგად მიღებული მითები იძლეოდა განახლების იმედს. დღეს, ობიექტური ფაქტორები უპირატესად ჩვენივე შექმნილია — მასობრივი განადგურების იარაღები, ეკოლოგიური კოლაფსი და გლობალური პანდემიები.

ეს თანამედროვე კონტექსტი აძლიერებს აპოკალიფსურ განწყობას. კატასტროფის ალბათობა აღარ არის ღვთაებრივი ახირების საკითხი, არამედ ადამიანური გათვლისა და შეცდომის. როგორც ალბათობის თეორია გვთავაზობს, მოვლენა მოხდენის მიზერული შანსით ხდება თითქმის გარდაუვალი, თუ შესაძლებლობა მეორდება საკმარისად ბევრჯერ. სანამ კაცობრიობა ფლობს საშუალებებს საკუთარი თავის გასანადგურებლად და სანამ გეოპოლიტიკური ანტაგონიზმები წარჩუნდება, აპოკალიფსური მოვლენის ალბათობა იზრდება დროთა განმავლობაში. ეს თანამედროვე, სუბიექტური (ადამიანის მიერ გამოწვეული) საფრთხე წარმოშობს უნიკალურ და მძლავრ შფოთვის, განსხვავებულს ძველბუნიური შიშებისგან, რადგან მას აკლია ღვთაებრივი მიზნის მანუგეშებელი დაპირება ან გარანტირებული განახლება. ამ ფსიქოლოგიური საფუძვლების გაგება არსებითია იმ ეპოქაში ნავიგაციისთვის, რომელიც განსაზღვრულია თავისივე მიყენებული ეგზისტენციალური რისკებით.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- უზნაძე დ., შრომები, ტ. VI, თბილისი, 1977 [uznadze d., shromebi, t'. VI, tbilisi, 1977]
- უზნაძე დ., შრომები, ტომი IX, თბილისი, 1986 [uznadze d., shromebi, t'omi IX, tbilisi, 1986]
- ჩხარტიშვილი შ., განწყობა და ცნობიერება, თბილისი, 1975 [chkhart'ishvili sh., gants'q'oba da tsnobiereba, tbilisi, 1975]
- წერეთელი მ., გილგამეშისანი: ბაბილონური ეპოსი, თბილისი, 2024 [ts'ereteli m., gilgameshiani: babilonuri ep'osi, tbilisi, 2024]
- Eliade M., The History of Religions: Essays in Methodology, University of Chicago Press, 1959
- Hall J.R., Apocalypse: From Antiquity to the Empire of Modernity, Polity, 2009
- Metcalf P., Huntington R., Celebrations of Death: The Anthropology of Mortuary Ritual, Cambridge University Press, 1991

Davit Baratashvili*

AN ANALYSIS OF APOCALYPTIC BELIEFS BASED ON THE MYTH OF GILGAMESH AND ATTITUDE AND SET THEORY

Abstract

Beliefs about the end of civilisation, or apocalyptic moods, are deeply embedded in human history and culture. These ideas, originating from time immemorial, manifest in various forms and have been widely studied as expressions of humanity's existential fears. While the term „apocalypse” originally signified a divine „revelation,” its modern connotation has shifted towards catastrophic destruction, often caused by human actions. This paper explores the psychological foundations of these enduring and evolving beliefs.

Research will find out underlying psychological mechanisms that give rise to and shape apocalyptic moods, from ancient myths to modern anxieties.

This study employs a theoretical and conceptual analysis, using Dimitri Uznadze's attitude and set theory as its primary analytical framework. The theory, which posits that psychic activity arises from the interaction between a subject's needs (subjective factor) and the objective environment (objective factor), is applied to interpret one of the earliest recorded apocalyptic narratives—the flood myth in the Epic of Gilgamesh and the modern apocalyptic fears. The analysis integrates insights from anthropology and religious studies to trace the evolution of apocalyptic thought.

The analysis suggests that the genesis of apocalyptic beliefs is rooted in the human capacity for „objectification”—the conscious act of singling out and reflecting upon a phenomenon. The foundational objectification is that of individual death, as exemplified by Gilgamesh's fear following the death of his friend Enkidu. This individual existential anxiety, when confronted with large-scale natural disasters (objective factors), is projected onto a collective scale, forming the basis for apocalyptic myths

* Ph.D. Candidate at Caucasus International University. <https://orcid.org/0009-0007-0104-5576>

of world destruction and renewal. In the modern era, the objective factor has shifted from metaphysical forces to human-made threats, such as nuclear weapons and pandemics, altering the nature of apocalyptic fear from one of divine judgment and renewal to one of secular, final annihilation.

Understanding apocalyptic moods through the lens of Attitude and Set theory provides a framework for analysing contemporary societal anxieties. It highlights how objective threats, amplified by modern technology and media, interact with fundamental human psychology to create powerful, socially formative dispositions towards the future. This perspective is crucial for comprehending the political and social impact of widespread existential fear.

Keywords: Apocalypse, Attitude and Set Theory, Dimitri Uznadze, Epic of Gilgamesh, Existential Fear, Myth.

თამთა ამირანაშვილი*

მარგარეტ ედვუდის „ორიქსი და კრეიკი“
– პოსტჰუმანისტური რეალობა
ბიოტექნოლოგიურ ეპოქაში

ბოლო ორი ათწლეულია ლიტერატურულ და სამეცნიერო კვლევებს ერთ ქრილში განიხილავენ. მეცნიერებისა და ჰუმანიტარული საგნების დიქტომია არ ახალია, მათ შორის მჭიდრო კავშირი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებშია შესამჩნევი გოლემის, ჰომუნკულუსისა და ავტომატების ხანგრძლივი ლიტერატურული მოტივებით, რაც მოგვიანებით დაგვირგვინდა დოქტორ ფრანკენშტაინის მიერ შექმნილი ურჩხულითა და მისი ვარიაციებით, დოქტორ მოროს მხეცი ადამიანებით, რობოტებით, ანდროიდებით, კიბორგებითა და სხვა პოსტჰუმანებით.

დღესდღეობით მეცნიერებისა და ლიტერატურის ურთიერთობამ ბიოტექნოლოგიაზე კონცენტრირებული დისკურსი წარმოქმნა, რომლის მთავარი მოტივი ბიოტექნოლოგიურ სამყაროში ადამიანური იდენტობის გარდაქმნის შესწავლაა. ხშირად პოსტ-აპოკალიპტური ფონის გამოყენებით, ბიოტექნოლოგიური დისტოპიები მოიცავს მთელ რიგ თემებს: ადამიანობის არსის განსაზღვრა პოსტჰუმანიზმის ეპოქაში, გიჟი მეცნიერის ჰიბრისი, ევგენიკა, კლონირება, გენეტიკური ინჟინერია, გენდერი და ეკოლოგიური/გარემოსდაცვითი საკითხები, კიბერსივრცე/თამაშები, გლობალიზაცია და გვიანი კაპიტალიზმის მულტინაციონალური კორპორაციები, რომლებიც ნაციონალურ სახელმწიფოებს ძირს უთხრიან, სოციალური უთანასწორობები, ტოტალიტარიზმი, ზედამხედველობა, რელიგია, ენისა და მედიის კრიტიკა.

ბრიტანელი გენეტიკის პროფესორმა, ჯონ ბ.ს. ჰალდეინმა შეამჩნია, რომ ბიოლოგები, განსაკუთრებით კი გენეტიკოსები, თავიანთი აღმოჩენებისთვის მწვავე კრიტიკას იმსახურებენ¹. ამ იდეას ლარს შმაინკიც ავითარებს, ის განმარტავს, რომ ბიოლოგიური ან გენეტიკური ინოვაციები ერეტიკოსობადაა მიჩნეული, რადგან ისინი ადამიანებს მათ ბუნებრივ მდგომარეობას აშორებს და ღვთაებრივ საწყისს უპირისპირდება². გენეტიკური ინჟინერიის პროგრესი ეჭვის ქვეშ

* ფილოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. <https://orcid.org/0009-0004-0659-0088>

¹ Haldane, 1924, 44.

² Schmeink, 2016, 2.

აყენებს რწმენას ადამიანის გენომის ხელშეუხებლობის შესახებ, საზოგადოებაში შფოთვის ინვესტს შეუცნობელთან კონტაქტის და ღვთაებრივი საზღვრების გადალახვის გამო. გარდა ამისა, გენეტიკური მოდიფიკაციები გავლენას ახდენს იდენტობის, ადამიანის შექმნისა და ევოლუციის შესახებ ფუნდამენტური ცოდნისა და რწმენის შესახებ, რის გამოც ის მწვავე რეაქციას იწვევს.³

დღეს პოსტჰუმანიზმის თეორია ცხარე დისკუსიის საგანია. ფილოსოფოსები და მეცნიერები აქტიურად განიხილავენ ახალი ადამიანის მახასიათებლებს, რომელიც თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების პროდუქტი იქნება. გენეტიკური ინჟინერიის, ნანოტექნოლოგიისა და რობოტიკის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა საჭიროება გადავავასოთ რას ნიშნავს იყო ადამიანი, რა კრიტერიუმებია საჭირო იმისათვის, რომ ადამიანად ითვლებოდეს? ქეთრინ ჰეილსი ნაშრომში „როგორ გავხდით პოსტადამიანები“ (*How We Became Posthuman*) აღნიშნავს, რომ ლიტერატურული ტექსტები პოსტჰუმანისტურ თეორიებს მატერიალურ ფორმას აძლევენ. ჰეილსი ხაზს უსვამს, რომ პოსტჰუმანისტური იდენტობა გარეგნულ ფიზიკურ ცვლილებებზე მეტად ცნობიერებისა და თვითშეგნების ტრანსფორმაციასთანაა კავშირში⁴.

მიუხედავად იმისა, რომ კანადელი მწერალი მარგარეტ ეტვუდი სახელგანთქმულია ლექსებითა და რომანებით, ალბათ ბევრისთვის წარმოუდგენელია, მაგრამ ის მეცნიერებისადმი ინტერესითაც გამოირჩევა, რაც გარკვეულწილად მისი ოჯახური წარმომავლობითაა განპირობებული – მისი მამა მუშაობდა ენტომოლოგად, ხოლო ძმა ნეიროფიზიოლოგად. დღესაც ეტვუდი აქტიურად აგროვებს ინფორმაციას სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების შესახებ. მართალია, მისი მრავალი ქმნილება მეცნიერების კრიტიკას შეიცავს, მაგრამ მწერალი სულაც არაა უარყოფითად განწყობილი მეცნიერების მიმართ, ის გვაფრთხილებს იმ ფატალური შედეგების შესახებ, რომლებიც მაღალი ტექნოლოგიებით ახლად მოპოვებული ცოდნის დაუფიქრებლად გამოყენებას მოსდევს.

ეტვუდის მეცნიერებით გატაცება თვალსაჩინოდ ჩანს მისი მხატვრული ნაწარმოებების მთელ სპექტრში, განსაკუთრებით აღსანიშნავია *სიცოცხლე ადამიანთა მოდგმამდე* (*Life Before Man*) და *კატის თვალი* (*Cat's Eye* (1988)), ალბერტ აინშტაინის რელატივიზმის თეორიისა და კვანტური მექანიკის კონცეფციებს მწერალი ქალთა უფლებების დაცვის მეტაფორულ ხერხებად წარმოგვიდგენს⁵. სწორედ „ორიქსსა და კრეიკში“ გვარწმუნებს მწერალი, რომ მეცნიერება და ლიტერატურა – რომლებიც ტრადიციულად იზოლირებულ ინტელექტუალურ სფე-

³ Škrovan, 2024, 47.

⁴ Hayles, 1999, 47.

⁵ Arias, 2011, 382-383.

როებადაა მიჩნეული – უფრო მეტადაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული, ვიდრე ჩვენ გვგონია. იგი ამტკიცებს, რომ მხატვრული ლიტერატურის ავტორები სამყაროს, კაცობრიობისა და მომავლის კვლევისას მეცნიერის როლს ითავსებენ.

„ორიქსი და კრეიკი“ შლეგადამის ტრილოგიის პირველი რომანია, მას მოსდევს „წყალდიდობის წელი“ (*The Year of the Flood*) (2009) და „შლეგადამი“ (*Maddaddam*) (2013). სამივე მათგანი ეკოლოგიური კატასტროფის შესახებაა. კერძოდ, „ორიქსა და კრეიკში“ გენეტიკური მანიპულაციისა და მისი თანმდევი პროცესების შედეგებია აღწერილი. ამავდროულად, ის კავშირშია ბიოტექნოლოგიასთან, გარემოს დეგრადაციასთან და უკონტროლო მეცნიერული პროგრესის ეთიკურ დილემებთან. წინამდებარე ნაშრომის მიზანია მარგარეტ ეტვუდის რომანის „ორიქსი და კრეიკი“ პოსტჰუმანიზმის თეორიის მიხედვით ანალიზი, მასში განსხვავებული ბიოტექნოლოგიური ეპოქის თავისებურებების თავმოყრა და თანამედროვეობასთან შედარება, ბიოტექნოლოგიური ინჟინერიის გავლენით ადამიანის არსისა და დანიშნულების, მისი თვითაღქმის გარდაქმნის შესწავლა.

სტატიაზე მუშაობისას ვიხელმძღვანელებ ე.წ. **close reading** და ტექსტუალური ანალიზის მეთოდებით პოსტჰუმანიზმის თეორიასთან და ბიოტექნოლოგიასთან დაკავშირებული თემების, სიმბოლოებისა და ნარატივის ტექნიკის ამოსაცნობად. ასევე კონტექსტუალური მეთოდის გამოყენება საჭირო გახდა იმ ისტორიულ-კულტურული კონტექსტის აღსაწერად, რომლის დროსაც რომანი შეიქმნა. თავდაპირველად დავამუშავე პოსტჰუმანიზმის თეორიული ჩარჩო, რომლის საფუძველზეც ჩავატარე ტექსტის ანალიზი და საბოლოოდ ჩამოვაცალიბე რომანში აღწერილი ბიოტექნოლოგიური ეპოქის მახასიათებლები. პოსტჰუმანიზმის თეორიის ჩამოყალიბება ძირითადად კავშირშია შემდეგი ორი თეორეტიკოსის სახელთან: როზი ბრაიდოტი, რომლის ნაშრომები *პოსტადამიანი* (2013) და *პოსტადამიანის ცოდნა* (2019) ანთროპოცენტრიზმს ეჭვით უცქერის და სპინოზას ფილოსოფიასა და ფემინისტურ თეორიას ეყრდნობა; ხოლო კეთრინ ჰეილსი ნაშრომით *როგორ გავხდით პოსტადამიანები* პოსტჰუმანიზმის თეორიას უყრის საფუძველს. მასში საუბარია ადამიანის და მექანიკურ არსებებს შორის განსხვავებაზე. თუმცა წარმოდგენილ სტატიაში ბიოტექნოლოგიური სამყაროს ნაკლოვანებების შესასწავლად გამოვიყენე ფრენსის ფუკუიამას ნაშრომი „ჩვენი პოსტჰუმანისტური მომავალი, ბიოტექნოლოგიური რევოლუციის შედეგები“ (*Our Posthuman Future: Consequences of the Biotechnology Revolution*). წინამდებარე სტატიაში მარგარეტ ეტვუდის რომანის გაანალიზება ფრენსის ფუკუიამას მოსაზრებების მიხედვით წარიმართება.

შული ბარზილაი „ორიქსა და კრეიკს“ ინგლისური ტრადიციის ისეთ ცნობილ ლიტერატურულ შედეგებთან აკავშირებს, როგორიცაა უილიამ შექსპირის

ჰამლეტი, უილიამ დეფოს რობინზონ კრუზო და მერი შელის ფრანკენშტაინი. მან ასევე მიუთითა, რომ ეტჰუდის რომანი სამეცნიერო ფანტასტიკისა და ბილდუნგსრომანის ელემენტებს შეიცავს. მრავალი კრიტიკოსის აზრით, ეტჰუდის „ორიქსი და კრეიკი“ დისტოპიური რომანია, ჟანრი, რომელიც მწერალმა მხეველის ნიგნსა (1985) და მოგვიანებით ბრმა მკვლელში (2000) უკვე გამოიყენა⁶. „ორიქსი და კრეიკი“ მართლაც შეესაბამება დისტოპიური რომანის ჟანრის პოეტიკას, თუმცა თვითონ მწერლის მოსაზრებით, „ორიქსი და კრეიკი“ ზედმეტად რეალისტურია, ვინაიდან ის ბიოგენეტიკის, კლონირებისა და ადამიანის გენომის საბოლოო სეკვენირების (დნმ-ის **სეკვენირება** არის დნმ-ის ფრაგმენტში არსებული ნუკლეოტიდების (ადენინების, თიმინების, ციტოზინებისა და გუანინების) მიმდევრობის განსაზღვრის პროცესი) უახლეს ექსპერიმენტებს ასახავს. სწორედ ამიტომ ეტჰუდი ამტკიცებს, რომ ის სპეკულაციურ ფანტასტიკას წერს, ვინაიდან ხსენებული რომანი გალაქტიკათაშორის კოსმოსურ მოგზაურობას, ტელეპორტაციას, მარსელებს არ შეიცავს, მასში ისეთი არაფერია, რაც უკვე გამოგონებული არაა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ „ორიქსი და კრეიკი“ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც დისტოპიად და სამეცნიერო ფანტასტიკად, ის სპეკულაციური ფანტასტიკაცაა (სპეკულაციური ფანტასტიკა ქოლგა ტერმინია, მასში ერთიანდება ისეთი ქვეჟანრები, როგორიცაა სამეცნიერო ფანტასტიკა, ფენტეზი, დისტოპია, ის მოიცავს თემატიკას მომავლის ტექნოლოგიების, მაგიური რეალიზმის, ალტერნატიული ისტორიისა და ზებუნებრივ ელემენტებს), რადგან ისეთ რეალურ მეცნიერულ და ტექნოლოგიურ მიღწევებს ასახავს, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის მკითხველისთვის ნაცნობი და გასაგებია.

სლავომირ კუჟნიცკი აღნიშნავს, რომ ეტჰუდი სპეკულაციური ფანტასტიკის ნაწარმოებების განხილვისას ქმნის ტერმინს „უსტოპია“ (*ustopia*). აერთიანებს რა უტოპიასა და დისტოპიას, მწერალი ამჟღავნებს სპეკულაციური ფანტასტიკის უნარს გამოხატოს როგორც კაცობრიობის იმედით აღსავსე მომავალი ასევე აპოკალიფსური აღსასრული⁷. იმის ნაცვლად, რომ სპეკულაციური ნარატივების მეშვეობით თანამედროვე სამყაროს პრობლემებს დააღწიოს თავი, ეტჰუდი ამ წარმოსახულ სცენარებს უკვე მიმდინარე სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების საჩვენებლად იყენებს⁸. გენეტიკური ინჟინერიის ასპექტების სპეკულაციურ ფიქციაში ასახვისას მწერალი აღწერს საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავებას, მაღალი ტექნოლოგიების დაუდევარი გამოყენების

⁶ Mosca, 2013, 38.

⁷ Kuznicki, 2017, 17.

⁸ Škrovan, 2016.

შედეგად გარემოს განადგურებას, ცოცხალი არსებისადმი როგორც ვაჭრობის საგნისადმი მოპყრობას და სვამს მორალურ კითხვებს გენეტიკურად შეცვლილი არსებების უფლებების შესახებ.

„ორიქსი და კრეიკი“ მარგარეტ ეტვუდის წინანდელი ნაწარმოებებისგან განსხვავებით არალინეალური სტრუქტურით გამოირჩევა, მასში დროის ორი პლანია: აპოკალიფსის წინა –წარსული და აპოკალიფსის შემდგომი – აწმყო, მთავარი გმირი და ასევე მთხრობელი თოვლის კაცი (ადრე ჯიმის სახელით ცნობილი) წარსულსა და აწმყოს შორის დამაკავშირებელი რგოლია. მთხრობელ თოვლის კაცს გადარჩენილის ტიპურად კანადურ პოზაში ვხვდებით, ის ხეზეა, გაურბის ისეთ საშუაშო მტაცებლებს, როგორებიცაა მგელძაღვრები (მგლისა და ძაღლის ჰიბრიდები). მისი პოზა დარვინულ თემას გახსენებს ადამიანის ხიდან ჩამოსვლისა, მაგრამ შებრუნებული სახით, თავისი მაიმუნი წინაპრებისგან განსხვავებით თოვლის კაცი ხიდან კი არ ჩამოვიდა, პირიქით ხეზე დაბრუნდა. ჯიმი მის ადრეულ ლიტერატურულ წინაპარს რობინზონ კრუზოსაც გვაგონებს, რომელიც ასევე თავს ხეზე ასვლით იცავდა. ფლეშბექების მეშვეობით ვეცნობით არა მხოლოდ ჯიმის პირად ცხოვრებას, არამედ აპოკალიფსის წინა პერიოდის თავისებურებებსაც. წიგნის სახელწოდება ჯიმის ორ საუკეთესო მეგობარს უკავშირდება: გლენი/კრეიკი, ბიოგენეტიკის ინჟინერი და ორიქსი, ორივე მეგობრის სიყვარულის საგანი. ორივე ბიჭი პოსტჰუმანისტურ სამყაროში ცხოვრობს და ორივე განსხვავებულად აღიქვამს სამყაროს – ჯიმი უზომოდ შეშინებულია მზარდი სოციალური უთანასწორობით და ყველაფრის მიმართ კაპიტალისტური უტილიტარული მიდგომით. კრეიკი, მეორეს მხრივ, ღრმად არის დაინტერესებული გენეტიკური ინჟინერიით (ცხოველების, ბუნების და თვით ადამიანების), მას სურს ახალი გამოგონებები ადამიანთა მიზნებს მოარგოს. ეტვუდი სამოთხელის პროექტის ამ სამ მონაწილეს წარმოადგენს როგორც ქრისტიანულ წმინდა სამებას, უფლის ავტორიტეტი მეცნიერებამ ეფექტურად შეცვალა. კრეიკი იღებს მამის როლს, თოვლის კაცი მსხვერპლი ძის და იმანენტური ლოგოსის და ორიქსი, სულიწმიდის როლს.

წიგნის ბოლოსთვის მთელი სამყარო თავდაყირა დგას, სახეობათა გადაშენების შესახებ კომპიუტერული თამაში, რომელსაც ჯიმი და კრეიკი ბავშვობაში თამაშობდნენ, რეალობად იქცა. საბოლოოდ ადამიანები იმ ვირუსით იხოცებიან, რომელიც ორიქსმა სრულიად გულუბრყვილოდ კრეიკის ბრძანებების შესაბამისად უნებლიედ გაავრცელა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფრენსის ფუკუიამა ნაშრომში „ჩვენი პოსტჰუმანისტური მომავალი, ბიოტექნოლოგიური რევოლუციის შედეგები“ აღნიშნავს, რომ თანამედროვე ბიოტექნოლოგია ადამიანურ ბუნებას მნიშვნელოვან საფრ-

თხეს უქმნის და მას ნელ-ნელა ისტორიის „პოსტკუპანისტურ“ ეტაპზე⁹ გადავყავართ. ფუკუიამა ამ საფრთხეს სამი მიმართულებით ხედავს: პირველი, ახალი მედიკამენტების შექმნა და ფარმაცევტული კომპანიების უნარი მედიკამენტები მომხმარებლების ინდივიდუალურ საჭიროებებს მოარგოს; მეორე, ლეროვანი უჯრედების კვლევის მიღწევები მეცნიერებს საშუალებას აძლევს ორგანიზმის ყველა ქსოვილი აღადგინონ, ცხოველები ახალი ორგანოების მიმწოდებლებად გამოიყენონ; მესამე, ემბრიონებს უამრავი გენეტიკური კვლევა და მანიპულაცია უტარდება მომავალი თაობების გაუმჯობესებისთვის. ფუკუიამა შიშობს, რომ გენური ინჟინერია და ტექნოლოგიების განვითარება სოციალურ უთანასწორობას წარმოშობს. გაჩნდება გენეტიკურად „ძლიერი“ და გენეტიკურად „სუსტი“ კლასები, ერთ დროს ხელოვნურად დაპროგრამებული მახასიათებლები მემკვიდრეობით გადაეცემა თაობებს და თანასწორობის იდეას საფუძველი შეერყევა⁹.

ფუკუიამას ვარაუდი ეტვუდის რომანში მართლდება. „ორიქსი და კრეიკი“ უაღრესად დიფერენცირებული საზოგადოებაა აღწერილი, რომლის გახლეჩა ადამიანთა გონებრივი შესაძლობების მიხედვით მოხდა. მომავლის ამერიკაში მოსახლეობა ორ ნაწილადაა გაყოფილი - პრივილეგირებული ელიტა იზოლირებულ კომპაუნდებში ცხოვრობს, ხოლო დაბალი ფენა ე.წ. პლელანდიებში, დაბინძურებულ ქალაქებში, სადაც ქაოსი და უნესრიგობა სუფევს. პოსტ-აპოკალიფსური ამერიკის შეერთებული შტატების დისტოპიური საზოგადოება მატერიალისტური და ჰედონისტურია, ის ექსტრემალური კონსუმერიზმით ხასიათდება.

ეტვუდის მხატვრულ ქმნილებაში არა ერთი ეპიზოდია, რომელიც მინიშნებას შეიცავს კომპანიების არაეთიკური ქმედებების შესახებ, კერძოდ ისინი ხელოვნურად ავრცელებენ ვირუსებს და მედიკამენტებსაც წარმატებით ასაღებენ. ასევე გავრცელებული პრაქტიკაა გარეგნობის გამაუმჯობესებელი წამლების დამზადება, მაგალითად, კუნთების გამმაგრებელი, გამახალგაზრდავებელი, ლიბიდოს გამაუმჯობესებელი. ჯიმის მამა თავს იწონებს, რომ შექმნა წამალი, რომელიც ძველ ეპიდემიის ახლით ანაცვლებდა; ის არ ახსენებს შესაძლო გვერდით ეფექტებს და ყურადღებას ამახვილებს წარმატების შემთხვევაში მიღებულ მატერიალურ ჯილდოზე. მისი თქმით, ნებისმიერი შეძლებული და ოდესღაც ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ან კაცი გაყიდდა თავის სახლს, შვილებს და სულს. ჯიმის დედა უკმაყოფილოა, რომ მამა ადამიანების სისუსტეებით სარგებლობს და ახსენებს მას მის ძველ იდეალებს, მისწრაფებებს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. ჯიმის მამას მშვენივრად ახსოვს თავისი

⁹ Fukuyama, 2003, 7.

იდეალები, მას უბრალოდ პოსტჰუმანისტურ სამყაროში აღარ ძალუძს მათი განხორციელება. ადამიანი ისე მიდის იდეალების წინააღმდეგ, თითქოს ეს სრულიად ნებაყოფლობითია.

ჯიმის მშობლები გასაიდუმლოებულ პროექტებზე მომუშავე კომპანიების თანამშრომლები არიან. როგორც მოგვიანებით გაირკვევა, მამას კომპანია საბოლოოდ წარმატებით შეასრულებს კორტიკალური ქსოვილის ტრანსგენურ ღორში ჩანერგვას, ღორის ამ სახეობას მოგვიანებით ღორილას უწოდებენ. ეს გამოგონება ჯიმის ოჯახში დაპირისპირებას იწვევს, რადგან დედა უკვე ყოფილი მეცნიერია, ის იაზრებს მეცნიერებზე დაკისრებულ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს, იკავებს ეთიკურ პოზიციას და საბოლოოდ ცხოველებისა და ორგანული პროდუქტების დამცველად გვევლინება. შესაძლოა ზემოთ აღწერილი მოვლენა ფანტასტიკად მოგვეჩვენოს, მაგრამ მრავალორგანოვანი ღორი რეალურად არსებობს, თუმცა მეცნიერებს ჯერჯერობით კორტიკალური ქსოვილი არ ჩაუნერგავთ.

გენეტიკურად მოდიფიცირებულ პროდუქტებსა და ბიოგენეტიკურ ექსპერიმენტებს ეტყუდი რომანში დიდ ყურადღებას უთმობს. გენეტიკური ინჟინერიის განვითარება, იქნება ეს სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგია თუ ადამიანის გენეტიკური მანიპულაცია, საფრთხის შემცველია. რაც შეეხება პირველს, გენეტიკურად მოდიფიცირებულ პროდუქტებს, რომანში ამ პრაქტიკის წინააღმდეგ მზარდი აღშფოთებაა ყავის წარმოებასთან მიმართებაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯიმი და კრეიკი შვებულებას კრეიკის ბიძა პიტთან ერთად ატარებენ. ჯიმი იხსენებს, რომ ეს იყო ზაფხული, როცა გენეტიკურად მოდიფიცირებული ყავის ომები მიმდინარეობდა. მსგავსი პროტესტები, ძირითადად თანამედროვე მოვლენებს ეფუძნება, მაგალითად აშშ-ში კამპანიებია გენეტიკურად მოდიფიცირებული სიმინდის, სოიოსა და პომიდვრის წინააღმდეგ¹⁰.

ფუკუიამა მთელ თავს უთმობს გენეტიკური ინჟინერიის შედეგებს, ხოლო ეტყუდის რომანი, მთლიანად ბიოტექნოლოგიის და გენური ინჟინერიის შედეგების აღწერას ეთმობა. ფუკუიამა და ეტყუდი ერთად ითვალისწინებენ, რომ სოფლის მეურნეობის გენეტიკური მოდიფიკაციის შემდეგ – რომელიც „ორიქსისა და კრეიკის“ ფინალში თითქმის ყველა კულტურას შეეხება – ადამიანის გენეტიკური ინჟინერია წარმოადგენს გარდაუვალ საბოლოო ეტაპს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე კვლევა შორს არის ადამიანის DNA-ს იმ მოდიფიკაციების მიღწევისგან, რასაც კრეიკი რომანში ასრულებს, ადამიანის გენომის პროექტის ადრეული დასრულება 2000 წლის ივნისში ადასტურებს მეცნიერული პროგრესის

¹⁰ Arias, 2011, 389.

სწრაფ ტემპს ამ სფეროში, რაც მიუთითებს, რომ საზოგადოება უნდა მოემზადოს პოსტადამიანთან შესახვედრად¹¹.

ეტვუდის რომანის პოსტადამიანები, პოსტ-აპოკალიპტური სამყაროს ახალი ბინადრები ე.წ. კრეიკანელები (კრეიკის შვილები), გენეტიკურად მოდიფიცირებული ადამიანის სახეობაა. მათთვის დამახასიათებელია ულტრაიისფერი რადიაციის მიმართ მდგრადი კანი, მწერების მოსაგერიებელი სისტემა, მცენარეების მონელების უპრეცედენტო შესაძლებლობა, ასევე თვითგანკურნების უნარი კატებისთვის დახასიათებული კრუტუნის მეშვეობით. თუმცა, კრეიკანელებს აქვთ თავისებურებები, რაც ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად, გამრავლება ემოციური შინაარსისგან დაცლილია. ისინი წერა-კითხვის უცოდინრები არიან და არ გააჩნიათ ანალიტიკური აზროვნების უნარი, ისე არიან დაპროგრამებული, რომ ოცდაათი წლის ასაკში უეცრად, ავადმყოფობის გარეშე კვდებიან. სამაგიეროდ, არ განიცდიან სიბერის თანმხლებ შფოთვებს. კრეიკანელების მარტივი საჭმლის მომნელებელი სისტემა საკვებ რესურსებზე მათ დამოკიდებულებას ამცირებს, მაგრამ ამავედროულად აძლიერებს მათ დამოუკიდებლობასა და გარემოსთან თავსებადობას. კრეიკანელების შეჯვარების თავისებური ქცევა მოსახლეობის რაოდენობის კონტროლისთვისაა გამიზნული. კრეიკანელების ინტელექტის შეზღუდვა გამომდინარეობს კრეიკის რწმენისგან, რომ ძალადობა და კორუფცია მოაზროვნე ადამიანის თანმდევი. ადამიანური ამორალობა მათთვის გაუგებარია, ვერ იგებენ ტყუილის, ქურდობის, ღალატის არსს. ჯიმის მცდელობა აუხსნას კრეიკანელებს მაგალითად, მანქანის, ან ტოსტის ცნება, წარუმატებელი აღმოჩნდება. ჯიმი ხვდება, რომ კრეიკანელებისთვის მისი სახელი თოვლის კაცი უბრალოდ ორი სიტყვაა, მათ არც თოვლის მნიშვნელობა იციან და არც კაცის. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ეს თვისება კრეიკის მიერ განზრახაა შექმნილი, იგი უტოპიური იდეით ხელმძღვანელობდა და სრულყოფილი საზოგადოების შექმნას ესწრაფოდა. შედეგად მივიღეთ მშვიდობისმოყვარე უწყინარი პოსტადამიანის სახეობა. კრეიკმა ადამიანის გენეტიკური კოდი გადანერა, მან სრულყოფილი პოსტადამიანები კრეიკანელები ადამიანური დესტრუქციის ისტორიული ციკლის დასასრულებლად შექმნა. რომანის ბოლოს ცხადი ხდება, რომ კრეიკის მცდელობა გაანადგუროს ყველა ადამიანური თვისება, რომელსაც ის პოტენციურად დესტრუქციულად მიიჩნევს – რელიგია, ხელოვნება, სიზმრები, მუსიკა, ძალადობა და სექსუალური ლტოლვა – წარუმატებელი აღმოჩნდა. კრეიკანელები ხელოვნების, სიმბოლური აზროვნებისა და რელიგიისადმი მიდრეკილების გრძნობის განვითარებას იწყებენ: სნოუშენის სახლში უსაფრთხოდ დასაბრუნებლად შექმნეს მისი

¹¹ იქვე.

კერპი, მის ირგვლივ წრეზე დგებიან, მღერიან და იმეორებენ სიტყვას, რომელიც „ამენს“ ჰგავს. ჯიმი იძულებულია კრეიკანელების ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილოს. ის გარკვეულწილად ხელს უწყობს კრეიკის შესახებ მითების შექმნას, ვინაიდან კრეიკანელებს შთააგონა, რომ მათი შემქმნელი კრეიკია. ჯიმი კმაყოფილებით ამბობს, რომ ნებისმიერი სახის სიმბოლური აზროვნება კრეიკის შეხედულებით ნიშნავდა დაცემას, კრეიკანელები შემდეგ დაინწყებდნენ კერპების გამოგონებას, დაკრძალვებს, საფლავის გათხრას, ცოდვას, ეყოლებოდათ მეფეები და ისევ გაჩნდებოდა მონობა და ომი. შესაძლოა ეს ჯიმის გვიანი შურისძიებაა, რადგან სწორედ მან აქცია კრეიკი კრეიკანელების ღმერთად.

დღევანდელი ტენდენციების მსგავსად ბიოტექნოლოგიურ სამყაროში ინტერესი მიწოდდა ჰუმანიტარული მეცნიერებებისადმი, განსაკუთრებით კი ხელოვნებისადმი. რომანის დისტოპიურ სამყაროში ჯიმი იძულებულია თავისი სწრაფვა ხელოვნებისადმი უფრო „გამოყენებადი“ ისეთი სფეროთი ჩაანაცვლოს, რომელიც ყოველდღიური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. ასეთი კი რეკლამა აღმოჩნდება. თუ რამდენად დაეცა ჰუმანიტარული მეცნიერებები აშკარაა, თუ ჯიმის და კრეიკის უნივერსიტეტებს შევადარებთ. პირველი სწავლობს ძველ და მიტოვებულ სუნიან სტრუქტურაში, რომელიც თითქმის იშლება, განიცდის ოთახების, კურსების და პროფესორების ნაკლებობას, ხოლო ამ უკანასკნელის მდგომარეობა სრულიად საპირისპიროა. რეკლამის ჟანრი ყალბი მონაცემების ანალოგიური გახდა. ჯიმისთვის ეს ცნობილია, ვინაიდან თვითონ წერს სარეკლამო ტექსტებს. დღესაც იგივე ხდება, თანამედროვე ადამიანებმა იციან, რომ პროდუქციის აღწერილობას არ უნდა დაუჯერონ, ისევე როგორც ახალ ამბებს და პოლიტიკოსების კამპანიებს, ყველაფერი უპირობოდ არის გაფლენილი უსასრულო სიცრუით.

„ორიქსსა და კრეიკში“ ბუნებრივ სამყაროში აღარაფერია ბუნებრივი, ნაშლილია ზღვარი ბუნებრივსა და ხელოვნურს შორის, მაგალითად, შეიქმნა ჰიბრიდი ჯიშები მგელძაღვლები მაჩვზღარბები და ა.შ. პოსტჰუმანისტურ სამყაროში ადამიანი აღარაა გარემოს ნაწილი.

თანამედროვეობასთან უშუალო მსგავსება ჩანს შემდეგ ფაქტში – პოსტჰუმანისტურ სამყაროში ვითარდება ეკონომიკა, თუმცა ეს მოსახლეობაზე არ აისახება. თითქოსდა ბევრი რამ ადამიანების სასარგებლოდ კეთდება, პარადოქსია, მაგრამ დიდია იმ ადამიანების რიცხვი, ვინც სარგებლის გარეშე რჩება. როგორც ჩანს, თანხები საექვო სპეკულაციურ პროექტებზე იხარჯება.

კიდევ ერთი საშიშროებაა ე.წ. კომოდიფიკაცია, ფულის სანაცვლოდ მომავალი მშობლები შვილების გარეგნულ და შინაგან მახასიათებლებს ცვლიან. მა-

გალითად, ეტვუდის რომანში მშობლებს შეუძლიათ შეუკვეთონ სასურველი თვალის ფერი, კანის ფერი, სიმაღლე. და ბოლოს, ახალი არსებები სისტემისთვის მოსარგებადაა შექმნილი, ისინი ისე არიან დაპროგრამებული, რომ ერგებიან სახელმწიფო სტრუქტურას და არა პირიქით. სახელმწიფო კი არ ცდილობს ადამიანების სურვილების გათვალისწინებას, პირიქით ადამიანებს ცვლის იმგვარად, რომ ისინი სისტემას დაემორჩილონ.

ნაშრომში „ადამიანის ბუნების მომავალი“ (*The Future of Human Nature*) იუ-რგენ ჰაბერმასი თვლის, რომ გენეტიკურ ინჟინერიას კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს. ის ასევე საუბრობს მორალისა და მეცნიერული ეთიკის შესახებ, ადამიანი თავის თავს თავისი ცხოვრების წარმმართველად უნდა აღიქვამდეს და სხვების ავტონომიურობასაც აღიარებდეს. ფუკუიამასაც მიაჩნია, რომ მეცნიერების დიდი მიღწევები ადამიანის ქცევას შეცვლის და საბოლოოდ ლიბერალურ დემოკრატიაზე იმოქმედებს. ფუკუიამაც ემხრობა იმ აზრს, რომ ბიოტექნოლოგიას სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს, რადგან ის ადამიანისთვის ფიზიკურ თუ სულიერ საფრთხეებს შეიცავს¹². ჩვენ ვიმყოფებით წარმოუდგენელი რევოლუციის ზღურბლზე და გვმართებს სიფრთხილე რა დოზით გამოვიყენებთ უახლესი მეცნიერული კვლევის შედეგებს. მორალური კუთხით დაუშვებელია ადამიანის გენეტიკური კოდის ცვლილება და ღმერთის როლის მორგება. შესაძლოა გენეტიკური კვლევები ცოცხალი ორგანიზმების შესაქმნელად და შემდგომში მათი ორგანოებით სარგებლობისთვის იქნება გამოყენებული.

ამრიგად, მარგარეტ ეტვუდის „ორიქსი და კრეიკი“ ცხადყოფს, რომ დღეს მეცნიერულ თეორიებსა და ლიტერატურას შორის ბუნდოვანი საზღვარია. პოსტჰუმანიზმის თეორიის თანახმად, მარგარეტ ეტვუდის „ორიქსი და კრეიკი“ ადამიანთა და პოსტადამიანთა სახეობის დაპირისპირებას შეიცავს. მიუხედავად კრეიკანელების სრულყოფილი გარეგნობისა და უცოდველი ბუნებისა, ისინი გაჭრილი ვაშლივით გვანან ერთმანეთს. როგორც ჩანს, ბუნებრივი ადამიანის სილამაზე მის ინდივიდუალურობაში, აზროვნების უნარსა და ცოდვილ ბუნებაშია. ეტვუდი გვიჩვენებს, რომ როგორც აქამდე მიიჩნეოდა, სამყაროს ცენტრში სულაც არ დგას ადამიანი, თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით მისი ჩანაცვლება სრულიად მარტივად შეიძლება მოხდეს.

ჯიმი ანუ იგივე თოვლის კაცი ადამიანის იდენტობის პოსტჰუმანისტური კრიზისის შემცველია. სავარაუდოდ უკანასკნელი ადამიანი, ის გარდამავალი ეტაპია ძველ ანთროპოცენტრულ და ახალ პოსტჰუმანისტურ სამყაროებს შორის. მისი ჰუმანიტარული საგნებით გატაცება სრულიად არაპრაქტიკულია ბიოტექნოლო-

¹² Habermas, 2003, 21.

გიურ მომავალში, „სიტყვების ადამიანი“ ჯიმი, ისევე როგორც ბევრი მისი მსგავსი ჩვეულებრივი ადამიანი, ხელმოცარულია.

„ორიესი და კრეიკი“ გენეტიკური ინჟინერიის ეთიკურობაზე გვაფიქრებს, მარგარეტ ეტევუდი კონსუმერული საზოგადოების შექმნის საშიშროების შესახებ გვაფრთხილებს და ჩვენს მორალურ პასუხისმგებლობას გვახსენებს.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- Arias R., *Life After Man?: Posthumanity and Genetic Engineering in Margaret Atwood's Oryx and Crake and Kazuo Ishiguro's Never Let Me Go*, in: *Restoring the Mystery of the Rainbow: Literature's Refraction of Science*, Edited by V. Tinkler-Villani and C.C. Barfoot, Brill, 2011
- Fukuyama F., *Our Posthuman Future: Consequences of the Biotechnology Revolution*, Picador, 2003
- Habermas J., *The Future of Human Nature*, Cambridge, Polity Press, 2003
- Haldane B.S., *Daedalus, or, Science and the Future: A Paper Read to the Heretics*, Cambridge, on February 4th, 1923, London, 1924
- Hayles N.K., *How We Became Posthuman, Virtual Bodies in Cybernetics, Literature, and Informatics*, The University of Chicago Press, 1999
- Kuznicki S., *Margaret Atwood's Dystopian Fiction: Fire Is Being Eaten*, Cambridge Scholars Publishing, 2017
- Mosca V., *Crossing Human Boundaries: Apocalypse and Posthumanism in Margaret Atwood's Oryx and Crake and The Year of the Flood*, Università degli studi di Milano, 2013
- Schmeink L., *Biopunk Dystopias: Genetic Engineering, Society and Science Fiction*, Liverpool University Press, 2016
- Škrovan A., *Bioethics and genetic engineering in Margaret Atwood's Oryx and Crake*, *World Literature Studies*, Vol. 16, No. 2, 2024

Tamta Amiranashvili*

MARGARET ATWOOD'S „ORYX AND CRAKE“: POSTHUMAN REALITY IN A BIOTECHNOLOGICAL AGE

Abstract

This paper examines Margaret Atwood's 2003 novel *Oryx and Crake* through the lens of biotechnological development and posthumanist theory. This literary work describes a dystopian future where genetic engineering has fundamentally altered human genetic code and blurred the traditionally sharp boundary between natural and artificial. Through detailed text analysis, it becomes clear that Atwood's narrative simultaneously serves as both a warning and a critique of humanity's rapid technological development trajectory, particularly regarding genetic modification and corporate biopower issues.

The character Crake embodies posthumanist ambition—a scientist who creates a new species to replace flawed humanity—while protagonist Jimmy/Snowman presents a nostalgic human perspective, caught between old and new worlds. Through analysis of the relationships between Crake, Jimmy, and the genetically modified „Crakers” presented in the novel, the study reveals Margaret Atwood's vision regarding complex issues such as human essence, establishing boundaries between species, and biotechnological ethics.

Ultimately, *Oryx and Crake* reveals deep concern about biotechnology's potential to transform and, moreover, assume the role of God and completely recreate humanity. At the same time, the writer critiques the environmental and social complexities that might trigger such radical posthumanist scenarios as world destruction and repopulation of Earth with new posthuman species—the „Crakers.” The novel is not a simple moral judgment of current events; the writer has much to contemplate about human characteristics and those features worth preserving in a posthumanist world.

Keywords: Dystopian Novel, Posthumanist Theory, Biotechnological Era

* Doctor of Philology, Akaki Tsereteli State University. <https://orcid.org/0009-0004-0659-0088>

მანანა კვატია*

მიკროაკოკალიფსის კონცეპტის ჰუმანისტური პროგნოზირების პარადიგმული მოდელი

თანამედროვე სამყაროს ცივილიზაციური მეტამორფოზა ახალი დროითი განზომილებების, ცნობიერების, იდეოლოგიების შექმნას, არსებული სივრცის გაფართოებას და მომავლის არაპროგნოზირებადი რეალობის გონივრულად გააზრებას ითხოვს. „ისტორიის დასასრულის“ ეგზისტენციურმა პარადიგმამ თანამედროვეობაში გაურკვევლობის შეგრძნება გააძლიერა, რამაც ფუტუროლოგიური კვლევების მოთხოვნილება გაააქტიურა. ინგლისელი მოაზროვნე ფრენსის ბეკონი მრავალი წლის წინ მედიტირებდა: „ცოდნა ძალაა, ფუტუროლოგია კი საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ, თუ როგორი ძალა ექნება მომავალს“. ამერიკელი სოციოლოგის, ალვინ ტოფლერის დეფინიციით, „ფუტუროლოგია – ეს არ გახლავთ მომავლის წინასწარმეტყველება, არამედ ის მისი შექმნაცაა“. თეორეტიკოსები განმარტავენ, რომ ფუტუროლოგია (*future studies*) სოციოლოგიის განშტოებაა, ტექნოლოგიური ფუტუროლოგია ამ მეცნიერების ფუნდამენტი, ხოლო ჰუმანისტური ფუტუროლოგია – მისი მწვერვალი. დღეს მომავლის ჰუმანისტური მოდელების განჭვრეტა ტექნოლოგიურ პროგრესზე ნაკლებად აქტუალური არ არის. კაცობრიობას ეგზისტენციურად აინტერესებს, თუ როგორ შეიცვლება ადამიანის არსებობა ახალი, ციფრული ცივილიზაციისა და გაუთვალისწინებელი, გლობალური კატასტროფების ეპოქაში, რა ცვლილებები მოხდება ადამიანის ცხოვრებაში, შეიცვლება თუ არა თვით ადამიანი. სწორედ ამ კითხვებზე პასუხების ძიებამ შუწყო ხელი უტოპიისა და დისტოპიის, როგორც სოციალური თეორიებისა და ლიტერატურული ჟანრების განვითარებას. ეგზისტენციალისტთა კონცეფციით, „სიკეთე ჩვენთვის არ შეიძლება იყოს ის, რაც არ არის სიკეთე სხვებისათვის“. შესაბამისად, ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე მყოფი ტექნოკრატიული კაცობრიობისათვის ეგზისტენციური მნიშვნელობისა არის მომავლის საზოგადოების ჰუმანისტური მარკერების ძიება, როგორიცაა სოციუმის წევრთა ურთიერთდახმარების, ადამიანური მხარდაჭერისა და თანადგომის, თანაგრძნობისა

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. <https://orcid.org/0009-0003-7218-3360>

და ემპათიის კონცეპტები. სტატიაში სწორედ ამ პერსპექტივიდან განვიხილავთ პორტუგალიელი მწერლის, ჟოზე სარამაგუს რომანს „სიბრმავე“.

ჟოზე სარამაგუს ცხოვრება რთული და წინააღმდეგობრივი მსოფლმხედველობით გამოირჩევა. 1969 წლიდან ის კომუნისტური პარტიის წევრი იყო, საკუთარ თავს ათეისტს და პესიმისტს უწოდებდა. პორტუგალიის საზოგადოება მას ხშირად აკრიტიკებდა, განსაკუთრებით, „იესოს სახარების“ (1991) გამოქვეყნების შემდეგ. სარამაგუ თვითნასწავლი გახლდათ, ღარიბ ოჯახში დაიბადა და საშუალო განათლებაც ვერ მიიღო, ტექნიკუმი დაამთავრა და შრომით საქმიანობას ეწეოდა. ევროპაში მწერალს აღიარება მოუტანა რომანმა „მოგონებები მონასტერზე“ (1982), რომელმაც ვატიკანი დიდად აღაშფოთა. 1998 წელს სარამაგუმ ნობელის პრემია მიიღო ფორმულირებით: „ის იყენებს იგავებს, გამყარებულს წარმოსახვით, თანაგანცდითა და ირონიით და საშუალებას იძლევა, გავიგოთ ილუზორული რეალობა“. ვატიკანთან მწერლის დაპირისპირებამ ჟოზე სარამაგუ იძულებული გახდა, საცხოვრებლად ესპანეთში გადასულიყო.

ჟოზე სარამაგუს მაგიური რეალიზმის წარმომადგენლად მიიჩნევენ. მწერალი გასული საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ინტელექტუალ ავტორად ითვლება. კრიტიკოსი ჰაროლდ ბლუმი მას „პორტუგალიელ გენიოსს“, „ახალ შექსპირს“ უწოდებდა და წერდა: „სარამაგუს გენია უჩვეულოდ მრავალმხრივი იყო“. ჟოზე სარამაგუს პროზის ლაიტმოტივად კაცობრიობის თანასწორობისა და ჰუმანიზმის იდეა სახელდება. მწერლის ინტენციით, ტექნიკურ საშუალებებზე დამოკიდებული, გლობალიზაციის ეპოქის ადამიანები ბუნებასთან, თანამოძმეებთან კავშირს წყვეტენ და თანდათან მორალურ, სულიერ სიბრმავეში იძირებიან.

რომანი „სიბრმავე“ დისტოპიაა, რომელშიც სიბრმავის უეცარი ეპიდემიით გამოწვეული საზოგადოებრივი სტრუქტურების კრახი და ქაოსი არის აღწერილი. მოცემული ტექსტი სამეცნიერო სივრცეში ფართოდ არის დამუშავებული. მას განიხილავენ როგორც თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში დეჰუმანიზაციის შიშის ამსახველ რომანს რომელიც პანოპტიკურ საზოგადოებას ქმნის¹. სანდრა კუმარმოტო სტენლის სტატია (2004) დეტალურად იკვლევს „პანოპტიკური ხედვის დაშლას“ და სოციალური წესრიგის რღვევას, რომელშიც მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა ირღვევა და ინდივიდები სხეულის ძირითად ფუნქციებზე კონტროლს კარგავენ.² კარიმისა და ფარჰანის კვლევა (2022) რომანს „აპოკალიფსური რომანის“ ჟანრად აიდენტიფიცირებს.³ ამის მსგავსად, იორგესა

¹ Esmaeili, Zohdi, 2015.

² Stanley, 2004.

³ Kareem, Farhan, 2022.

და კარვალის სტატიაში (2023) აღნიშნულია, რომ თავშესაფრის გარემო წარმოადგენს დისტოპიურ სივრცეს, რომელიც განასახიერებს „ჰეტეროტოპიას“ და „ფუკოს პანოპტიკონს“⁴. ახტარის სტატია (2023) განიხილავს, როგორ იწვევს დაავადება ანარქიას, ქაოსს და საზოგადოების დესტაბილიზაციას, ავლენს ტრადიციული ღირებულებების სისუსტეს და კაცობრიობის ბნელ მხარეს⁵. ნეივა (2020) დისტოპიური კონტროლის მექანიზმებს იკვლევს ბიოპოლიტიკის ანალიზით⁶. სანტოსი (2022) სიბრმავის ეპიდემიას კაპიტალისტური სოციალური გაუცხოების მეტაფორად განიხილავს, რაც დეჰუმანიზაციის პროცესსა და ეგზისტენციურ ნიჰილიზმს წარმოაჩენს⁷. ნოგეირა (2020) მიიჩნევს, რომ ბოროტება არის რომანის „ცენტრალური მორალური კატეგორია“ და იკვლევს, როგორ ამორებს ადამიანებს დისტოპიური სცენარი რელიგიურ მრწამსს, რათა გამოავლინოს ადამიანის მორალური მარცხი⁸. მიუხედავად ზემოჩამოთვლილი ტექსტის მრავალმხრივი ინტერპრეტაციებისა, არც ერთი ავტორი არ ამახვილებს ყურადღებას რომანის პროვიდენციალურ ასპექტებსა და ემპათიის ბუნებაზე. წარმოდგენილი სტატია რომანის სწორედ ამ ასპექტების წარმოჩენას ითვალისწინებს.

სპეციალისტთა დეფინიციით, ემპათია განისაზღვრება, როგორც უნარი, შენი თავი სხვის ადგილას დააყენო და გაიგო მისი გრძნობები და განცდები (მიუთითებენ, რომ ტერმინი „ემპათია“ 1909 წელს გამოიყენა ფსიქოლოგმა ედვარდ ბრენფორდ ტიტჩენერმა). ემპათიას შეცნობის მეთოდს უწოდებენ, სიმპათიას – ურთიერთობის მეთოდს. შესაბამიად, ემპათი (პიროვნება) აღიქმება, როგორც ადამიანი, რომელსაც შეუძლია, განასხვავოს და გაიგოს ირგვლივ მყოფთა ემოციები. ირკვევა, რომ მსოფლიოს მოსახლეობაში ამგვარი ადამიანების რაოდენობა არც ისე დიდია. ლონდონელი მეცნიერების კვლევით, მოსახლეობის სულ 1-2 პროცენტი გახლავთ ემპათი. მეტიც, ემპათებს ზემგრძნობიარე სარკისებრი ნეირონები აქვთ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ისეთი გრძნობების წარმოქმნაზე, როგორებიცაა თანაგრძნობა და სიყვარული.

ემპათიის კონცეპტში განასხვავებენ: ემოციურ თანაგრძნობას (სხვისი პრობლემების, ემოციების გააზრების უნარი, როცა ადამიანი სხვის ტკივილს აღიქვამს, როგორც საკუთარს). კოგნიტურ თანაგრძნობას (სხვისი ემოციების გაგების უნარი – როცა უსმენ სხვას, მაგრამ არ ხარ ვალდებული, მისი ემოცია გაიზიარო),

⁴ Jorge, Carvalho, 2023.

⁵ Akhtar, 2023.

⁶ Neiva, 2019.

⁷ Santos, 2022.

⁸ Nogueira, 2020.

თანამგრძნობ (გულშემატკივრულ) ემპათიას, რომელიც გვიბიძგებს ქმედებისაკენ, დავებმართ სხვას და ა.შ. ემპათია სხვადასხვა კონკრეტულ ვითარებაში სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს. მას სოციალური გაადამიანურებასა და სრულქმნაში განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება.

ვფიქრობთ, ემპათიის პარადიგმატიკის მხატვრული კვლევის ნიმუშია თანამედროვეობის გამორჩეული დისტოპიური რომანი „სიბრმავე“ (1995). ჩვენი დაკვირვებით, ეს იგავურ-ალეგორიული რომანი მიკროაპოკალიფსის კონცეპტის ჰუმანისტური პროგნოზირების პარადიგმული მოდელიც გახლავთ. ის პროვიდენციური რომანია, რომელშიც სარამაგუ ნამდვილ მინიერ ჯოჯოხეთს აღწერს – „თეთრი დაავადების“ ეპიდემიას, უსახელო ქალაქი რომ მოიცვა. მისი სიმპტომები ამგვარია: თვალეზზე თეთრი აფსკის (ბისტის) გაჩენა, გარესამყაროს საგნებსა და მოვლენებს ფარავს. გადამდები დაავადება მოულოდნელად იწყება და სწრაფად ვრცელდება. დროთა განმავლობაში მხედველობის უნარს რომანის ყველა პერსონაჟი კარგავს (ექიმი-ოკულისტის ცოლის გარდა). დაბრმავებულ ადამიანებს ხელისუფლება ქალაქგარეთ, მიტოვებულ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათავსებს და გარეთ რომ არავინ გამოვიდეს, დაავადებულებს ჯარს მიუჩენს.

„სიბრმავე“ რომანი-იგავია, რასაც ხაზს უსვამს ნაწარმოებში სახელებისა და გეოგრაფიულ დასახელებათა არარსებობა. ტექსტი ხშირად უხეში, ფიზიოლოგიური აღწერებით არის გადატვირთული. ნაწარმოებში ავტორის სარკაზმი აშკარაა. რომანი ერთბაშად დაბრმავებულ, დაუნდობელ არსებათა სამყაროს წარმოადგენს, რომელთაც (ერთი ქალის გამოკლებით) ფიზიკურთან ერთად სულიერი მზერაც წართმეული აქვთ. ალეგორიული რომანის სიმბოლიკა ხსნის ავტორის ინტენციას: კათარზისის, ემპათიის გზით ადამიანები მანკიერებებისაგან გათავისუფლდებიან და პირველქმნილ, ღვთაებრივ არსს დაუბრუნდებიან. სარამაგუს აზრით, კაცობრიობას ეპიდემიებზე მეტად გულგრილობა ანადგურებს, ამგვარი საზოგადოება დასალუპად არის განწირული.

ნობელიანტი მწერლის ტექსტებში „ცნობიერების ნაკადის“ გამოძახილს ხედავენ. მისი სტილის თავისებურებად „ალტერნატიული რეალობის შექმნის“ მცდელობა მიიჩნევა. სარამაგუს რომანებში ხშირად წარმოუდგენელი ისტორიული სიტუაციებია აღწერილი. რომანისტიწის წერის მანერა გამორჩეულია: მისთვის ნიშანდობლივია ძალზე გრძელი წინადადებები, სასვენი ნიშნების თავისუფალი გამოყენება და ა.შ.

„სიბრმავეში“ მთავარ პერსონაჟებად გამოყვანილია ხუთი ბრმა უმწეო ადამიანი და ექიმის ცოლი, რომელიც ხედავს, მაგრამ, სხვებს რომ დაეხმაროს, სიბრმავეს იგონებს. ქალმა-ემპათმა მოახერხა, ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში მოხვედრილი

ადამიანების ჯგუფი წარმოდგენილი განსაცდელისაგან ეხსნა. ნაწარმოების ბოლოს ყველა დაბრმავებულს მხედველობა ერთბაშად დაუბრუნდება: მათ ჯერ სულიერად აეხილათ თვალი – მაშინ, როდესაც მდგომარეობის საშინელება გაიაზრეს და ერთმანეთის ფასი გაიგეს.

სიმბოლოლოგთა განმარტებით, სიბრმავეს ორგვარი სიმბოლურ-მითოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა: ერთი მხრივ, „თვალთდაბნელება გონების დაბინდვასაც ნიშნავდა და ღვთაებრივი სინათლის ვერდანახვას, ურწმუნოებას, უმეცრებას განასახიერებდა“. მეორე მხრივ, უძველესი დროიდან არსებობდა რწმენა, რომ „უსინათლონი შინაგანი ხედვით დაჯილდოებული და მისწერი უნარით გამოირჩეული ადამიანები არიან“⁹.

„სიბრმავის“ გაგრძელება გახლდათ სარამაგუს მეორე რომანი სახელწოდებით „თვალის ახელა“, რომელიც მწერალმა რვა წლის შემდეგ, 2003 წელს, დაწერა. ავტორმა ახალ ნაწარმოებში იგივე პერსონაჟები გამოიყვანა. სიუჟეტის მიხედვით, ქალაქელები არჩევნებზე უხალისოდ მიდიან, რადგან ახსოვთ, რომ ეპიდემიის ჟამს ხელისუფლებამ ისინი ბედის ანაბარად მიატოვა. მათი უმეტესობა ბიულეტენს შეუვსებელს ტოვებს. მთავრობა პანიკაშია და დამნაშავეთა დასჯას კანონიერი მეთოდებით ცდილობს. ჟოზე სარამაგუ ორივე წიგნში მწვავედ აკრიტიკებს არსებულ სისტემას. მისი სიტყვით, „ბიუროკრატია ყოველთვის ბრმაა“.

პორტუგალიურ ენაზე სარამაგუს ხსენებული წიგნების სათაურები ყოფილა: „ესე სიბრმავეზე“, „ესე თვალის ახელაზე“. ცნობილია, რომ წერის ესეისტური მანერა შემოქმედს თავისუფალი რეფლექსირების მეტ საშუალებას აძლევს.

„სიბრმავეს“ ეპიგრაფად აქვს შეგონებათა წიგნის ფრაზა: „ვისაც თვალი აქვს, იხილოს, და ვინც იხილავს, შეიცნოს“. ნონა კუპრეიშვილის შენიშვნით, იესოს სიტყვები: „ბრმები ხართ და ბრმათა წინამძღოლნი... უყურებენ, მაგრამ ვერ ხედავენ, ესმით, მაგრამ ვერ იგებენ“ – „მწერლის მხატვრული ამოცანის გასაღებია“¹⁰.

სარამაგუს რომანის დასაწყისი დრამატული კოლიზიებით გამოირჩევა. „ზეზრაზე“ მწვანე შუქნიშანი ანთია, უამრავი ავტომობილი წითელი შუქის მოლოდინში გზაჯვარედინთან შეჯგუფებულია. ინთება მწვანე შუქი, ერთბაშად დაიდრებიან მანქანები, თუმცა შუა ნაკადში ერთი ავტომობილი უძრავად დგას. ტროტუარზე გროვდება ხალხი, ხელებს იქნევენ, ასიგნალებენ, მაგრამ ამაოდ. აღმოჩნდება, რომ მანქანის მძღოლი დაბრმავდა. კაცს გარეგნულად არაფერი ეტყობა: „ორივე თვალი მთელი და უვნებელი აქვს, გუგები – ბრჭყვიალა, სკლერა – ქათქათა, ფაიფურივით“. შეგროვილი ხალხი თანაგრძნობით იმსჭვალება. უსინათლო მამაკაცი

⁹ აბზიანიძე, ელაშვილი, 2012, 51.

¹⁰ კუპრეიშვილი, 2021, 300.

სახლში წაყვანას ითხოვს, თვალეზე ლიბრი გადაკვრია, „თითქოს რძის ზღვაში ჩავიძირეო“, – ეუბნება ირგვლივ მყოფებს. „მაშ, ეს სიბრმავე არ არის... რომ ბრმა-ვდებიან, როგორც ამბობენ, სიბნელეს ხედავენ“¹¹ – პასუხობს მას მძღოლი.

გამოუცნობი დაავადება, ადამიანებს უეცრად რომ აბრმავებს, დაავადებულებთან კონტაქტში მყოფ სხვა ადამიანებსაც სწრაფად გადაედებათ. მწერლის ხაზგასმით, „ეპიდემიის დროს ბრალი არავის მიუძღვის, ყველა მსხვერპლია“.¹² პირველ დაბრმავებულს თანამგრძნობი ადამიანები სახლში მიიყვანენ, სადაც ის უჩვეულო გარემოში აღმოჩნდება: „ყველაფერს სრული სითეთრე ფარავდა. იცოდა, რომ შინ იყო, თავის ბინასაც გრძნობდა სუნით... ამ დამაბრმავებელ და ყოვლისმომცველ სითეთრეში ჩაძირული, გრძნობდა, რომ ეს სითეთრე კი არ ფარავს, არამედ შთანთქავს არა მხოლოდ ფერებს... თვით საგნებსაც, ისევე, როგორც ადამიანებს, რომლებსაც ღრმად უხილავს ხდის“¹³.

მანამდე უცნობი გადამდები დაავადების სიმპტომები უცხოა ექიმი-ოკულისტი-სათვის, თუმცა პაციენტის გულმოდგინე გასინჯვის შემდეგ ის დაასკვნის, რომ პირველ დაბრმავებულს თვალეზე არანაირი პათოლოგია არ აღენიშნება. აქამდე სათვალესაც არ ვიყენებდით, – ეუბნება პაციენტი ექიმს და საკუთარ შემგრძნებას ასე გადმოსცემს: „თითქოს უცებ შუქი გამორთესო. თუმცა, არა, თითქოს ჩართესო“. მალე ოკულისტი, ისევე, როგორც უსინათლოსთან კონტაქტირებული სხვა ადამიანები, ასევე მოულოდნელად ბრმავდება. თვალის ექიმმა დაბრმავება განსაკუთრებით განიცადა. „ნეტავ, არასოდეს გათენდესო“, – ნატრობს ის, 38 წლის მამაკაცი, დილით კი თავის გასაჭირს მეუღლეს უმხელს. ქალი მედიცინაში კარგად ერკვევა და იცის, რომ „სიბრმავე გადამდები დაავადება არ არის“.

რომანის მიხედვით, „ქალი ქმარს გადაეხვია და სრულიად გულწრფელი წუხილისა და დარდის ყველა ნიშანი გამოხატა“¹⁴ ის არ მოერიდა დაავადების გადადების აშკარა საფრთხეს, კარანტინში სამკურნალოდ მიმავალ მეუღლეს ბარგი გაუმზადა და მის ჩემოდანში ჩუმად საკუთარი ნივთებიც ჩადო, შემდეგ ფურგონში ქმართან ერთად ჩაჯდა და მძღოლი მოატყუა: „ეს წუთია, რაც დაგებრმავდით“. ქალი-ემპათი სიბრმავეს მოიგონებს, რათა ქმრის გვერდით იყოს და გასაჭირში გვერდით დაუდგეს მას.

ავტორისეული ინტენციის ასახსნელად კონცეპტუალურია რომანის ის მონაკვეთი, სადაც მწერალი მრავალი ადამიანისაგან უკუგდებულ, სინდისის კატე-

¹¹ სარამაგუ, 2019, 3.

¹² იქვე, 47.

¹³ იქვე, 5.

¹⁴ იქვე, 310.

გორიაზე მსჯელობს. „სინდისის ცნება... მაინც არსებობს და მუდამ არსებობდა... სინდისი მოვათავსეთ სისხლის შემადგენლობაში, ჩვენს ცრემლებში და, უფრო მეტიც, თვალები სარკედ ვაქციეთ, შიგნით შებრუნებულ სარკედ, ასე მოურიდეblად რომ უარყოფს იმას, რის დამტკიცებასაც ამაოდ ცდილობს ბაგე.“¹⁵

შიგნით შებრუნებული სინდისის სარკეში რეალობაც გამრუდებულად ირეკლება, რაც მრავალ მანკიერებას უდებს სათავეს და ზეციური სასჯელიც არ აყოვნებს. რომანის მიხედვით, წამიერი და მოულოდნელია მსჯავრი პირველი დაბრმავებულის მანქანის ქურდისა, რომელიც დარწმუნებულია, რომ სიბრმავე გრიპის მსგავსი დაავადება არ არის და მას არ გადაედება, მაგრამ ოცდაათი ნაბიჯიც არ აქვს გადადგმული, რომ ქურდი ბრმავდება.

რომანში ბოლომდე გაურკვეველი რჩება დაავადების გამომწვევი მიზეზი, ანუ ეტიოლოგია თეთრი სენისა, რომელსაც სპეციალისტებმა არაკეთილხმოვანი სიბრმავე უწოდეს და, რამდენადაც ახალი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ვაქცინა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ყველა დაბრმავებული და მათთან კონტაქტირებული პირები კარანტინში ერთად მოექციათ, რათა ინფექციის გავრცელება და მსხვერპლთა რაოდენობის ზრდა თავიდან აეცილებინათ.

მინისტრი, რომელსაც ეპიდემიასთან დაკავშირებული პროცესების მართვა ევალება, ვარაუდობს, რომ კარანტინი შეიძლება გაგრძელდეს ორმოცი დღე, ორმოცი კვირა, ან – ორმოცი წელიც. ხელისუფლება გულმოდგინედ მსჯელობს, დაავადების გავრცელების პრევენციისათვის როგორ შეარჩიოს საკარანტინე სივრცე. უპირატესობას ფსიქიატრიული საავადმყოფოს ცარიელ შენობას ანიჭებენ, რადგან მას მასიური გალავანი და მოძველებული, თუმცა, ხელისუფალთა აზრით, გამოსაყენებლად ვარგისი ინფრასტრუქტურა აქვს.

რომანში ერთადერთი თვალზილული ქალი კარგად ხედავს მიტოვებული ფსიქიატრიული საავადმყოფოს აუტანელ გარემოს: ორ რიგად ჩამწკრივებულ რკინის საწოლებს, ნაცრისფერ თეთრეულს, ბინძურ საპირფარეშოს, სამზარეულოს, საავადმყოფოს, საჭმელის მოძველებული სუნიტ. „ნახევრად ღია კარადაში გიჟის პერანგები ეკიდა“ და ა.შ.

ქალი ქმარს ვერ უმხელს, რომ დაავადებულები საგიჟეთში მოიყვანეს. ექიმი მეუღლეს სთხოვს, შინ წავიდეს, მაგრამ ამაოდ. „რამდენიმე დღეში ან ერთ წუთში შეიძლება მეც დავბრმავდე“, – ჯიუტად პასუხობს ქალი, – „აქ დავრჩები და დაგეხმარები შენც და სხვებსაც“.¹⁶ ფსიქიატრიულის კარზე მიმაგრებული დინამიკი იზოლირებულ ბრმა ადამიანებს სამთავრობო ინსტრუქციებს ზედმინევნიტ აც-

¹⁵ იქვე, 17.

¹⁶ იქვე, 62.

ნობს. ექიმი-ოკულისტი ამ განკარგულებათა მკაცრი შინაარსით ხვდება, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკეტილი დაავადებულები ცოცხლად ამოქოლეს და დასალუპავად განირეს.

ამ სასტიკ გარემოში მოხვედრილ ბრმა ადამიანებს უჭირთ სადილის დარიგება, პირადი ჰიგიენის დაცვა, მიცვალებულებს ვერ მარხავენ, გარეთ ვერავენ გადის, საავადმყოფოს ზღურბლთან შეიარაღებული ჯარისკაცები მორიგეობენ. მათი ავტომატების ჯერი ავადმყოფებში პანიკას იწვევს. ექიმის თვალხილული ცოლი დაბრმავებულებს მხსნელ ანგელოზად ევლინება: ის შეძლებისდაგვარად ყველას ეხმარება და ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს უმსუბუქებს.

ქვეყანაში ეპიდემია ფართო მასშტაბებს იძენს და დაავადების მსხვერპლთა რაოდენობა თანდათან იზრდება: კარანტინში გამოკეტილ უსინათლოთა რიცხვი ხუთიდან 240-მდე აღის, რაც ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბედკრულ ბინადართა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. კარანტინში მყოფთათვის მსოფლიოსთან დამაკავშირებელი ერთადერთი საშუალება მოხუცის რადიომიმღებია, რომლითაც წვალებით, ფრაგმენტულად იტყობენ გარესამყაროს სიახლეებს, მათ შორის, ცნობებს სიბრმავის ეპიდემიის წარმოუდგენელი გაფართოების შესახებ. რადიო იტყობინება, რომ ავარია შეემთხვა ცარიელ ავტობუსს, რადგან მისი მძღოლი უეცრად დაბრმავდა; ლაინერი ავიაკატასტროფაში მოჰყვა ხომალდის მეთაურის დაბრმავების გამო და ა.შ.

რომანში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დატრიალებული უსასტიკესი მიკროაკოკალიფსის სცენებია წარმოდგენილი: ჩნდება ხანძარი, ბრმა ადამიანები არ ინდობენ და უკიდურესობამდე ამცირებენ ერთმანეთს, ისპობა, ფეხქვეშ ითელება ყოველგვარი ღირებულება, პერსონაჟებს არა აქვთ სახელები, გვარები, იდენტობა. ერთადერთ თვალხილულ გმირს, უმწეო ადამიანების უანგაროდ შემწე ექიმი-ოკულისტის ცოლს ბანდის მეთაური და მისი ხროვა სასტიკად ამცირებს, თუმცა, თავსდამტყდარი უბედურების მიუხედავად, ქალი თავის განზრახვაზე ხელს არ იღებს. „შეიძლება ითქვას, რომ „სიბრმავის“ ავტორი ქმნის პოსტაპოკალიპტურ ტექსტს.“¹⁷

ამ ტოტალური სისასტიკის ფონზე სიმპტომურია ექიმის ცოლის სიტყვები: „დამცირების ყველა საფეხური გამოვიარეთ, ფსკერზე დავეშვიტ, რომლის მერე აღარც არაფერია, და სიმდაბლის ზღვარს მივალწიეთ... ახლა ყველა თანასწორნი ვართ სიკეთისა და ბოროტების წინაშე“¹⁸.

სულისშემძვრელია ამ სხვებისთვის თავგანწირული, ერთადერთი თვალხილული ქალბატონის ხვედრი და ტრაგიზმი ირეკლება მის სიტყვებშიც: „დედო-

¹⁷ კუპრეიშვილი, 2021, 299.

¹⁸ სარამაგუ, 2019, 279.

ფალი კი არა ვარ, მხოლოდ ის ვარ, ვინც იმისთვის გაჩნდა, რომ ნახა ყოფიერების მთელი საშინელება, თქვენ გრძნობთ ამას, მე კი ვხედავ კიდეც“.

რომანის პერსონაჟის – შავსათვალიანი ქალიშვილის ფრაზას – „მხოლოდ შენი თვალების წყალობით ვართ ცოცხლები“, – ექიმის ცოლი პასუხობს: „სამყარო სავსეა ცოცხალი უსინათლოებით“. ადამიანური სათნოებით გამორჩეული ქალბატონის რწმენით, უკვდავი არავინ არის, მაგრამ „არც სულ უსინათლოები უნდა ვიყოთ“. ამ საოცარი ადამიანური გაგების ემპათი ქალისათვის თავად სიცოცხლეა დღესასწაული და ის ცდილობს, კარანტინში მოთავსებული, სასიკვდილოდ განწირული ადამიანები სწორედ სიცოცხლისაკენ შემოაბრუნოს და გაამხნევოს ისინი: „ახლა ერთადერთი სასწაულის მოხდენა შეგვიძლია და ეს სასწაულია ის, რომ ვიცოცხლოთ... დღიდან დღემდე ფრთხილად ვატაროთ ეს ნაზი ქალბატონი – სიცოცხლე, ვითომ უსინათლოა და არ იცის, საით წავიდეს, ან იქნებ ასეცაა, იქნებ მართლა უსინათლოა და ჩვენ მოგვენდო მას მერე, რაც გონება მოგვცა“¹⁹. შავსათვალიანი ქალიშვილის მრავლისმთქმელი ფრაზა ხსნის ავტორის მთავარ სათქმელს: „სრული ჭეშმარიტებაა, რომ უსინათლოზე უარესია ის, ვისაც არ უნდა, რომ ხედავდეს“.

ნაწარმოებში დროის კონცეპტის ორიგინალური გააზრებაა წარმოდგენილი: „წინასწარ ვერასდროს მიხვდები, ვინ რისი გამკეთებელია, უნდა აცალო, დროს დრო მისცე, დრო ყველაფერს განაგებს, ჩვენს წინააღმდეგ თამაშობს და ყველა კოზირი მის ხელშია“²⁰. დრო დაავადებულთა სიბრმავის მკურნალიც ხდება. ერთად გადატანილი ადამიანური უბედურებისა და ერთად განცდილი კატარზის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილას დგება.

რომანის მიხედვით, თავდაპირველად თვალი პირველ უსინათლოს აეხილა და ის ჯერ ცოლს, შემდეგ ყველა დაბრმავებულს შეშლილივით გადაეხვია. მეორე, ვისაც მხედველობა დაუბრუნდა, შავსათვალიანი ქალიშვილია. მას „მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს, თითქოს მხედველობა სადღაც შიგნით კი არ უნდა აღდგენილიყო, არამედ გარედან უნდა შესულიყო თვალებში“²¹.

უკვე გამთენიისას თვალი თავად ექიმს აეხილა და ცხადი გახდა, რომ მხედველობა ყველას დაუბრუნდებოდა და ეს მხოლოდ დროის ამბავი იყო. მწერლის თქმით, „ეს დღესასწაული ქალაქში მზის ამოსვლას ჰგავდა“. გამოჯანსაღებულმა ადამიანებმა საზეიმო სუფრა გაშალეს, რომელსაც „სიხარული ამშვენებდა... ისინიც კი, ვინც ჯერ კიდევ უსინათლო იყო, იცინოდა, თითქოს უკვე ახელილი თვალები მისი ყოფილიყო“.

¹⁹ იქვე, 301.

²⁰ იქვე, 324.

²¹ იქვე, 331.

რომანის ბოლოს პარადოქსული მომენტი დგება: მას შემდეგ, რაც ყველა დაბრმავებულს თვალი აეხილა, ექიმის ცოლი ჩაიძირა თვალისმომჭრელ რძისფერ სინათლეში. მან „ზეცას ახედა და სრული სითეთრე დაინახა... შიშმა თვალები ძირს დაახრევინა. ქვემოთ კი ქალაქი ისეთივე დარჩა, როგორიც იყო“²². მრავალი უბედურების გადამლახავი ქალიც ბოლოს ეპიდემიის მსხვერპლი ხდება, თუმცა დაავადებულებთან ერთად გადატანილი ჯოჯოხეთი მას თავსდამცდარი განსაცდელის ბედნიერი დასასრულის იმედს აძლევს. რატომ გაიმეტა ავტორმა ემპათი ქალი, ურომლისოდაც დაბრმავებული ადამიანები ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს თავს ვერ დააღწევდნენ? ვფიქრობთ, იმავე განსაცდელის მოვლენით ჟოზე სარამაგუმ მასაც საშუალება მისცა, კათარზისის გზით ახალი სულიერი სიმაღლეებისათვის მიეღწია. არსებობს მოსაზრება, რომ „ემოციური კათარზისი გარკვეულ რესტავრაციას ან განახლებას იწვევს... ის პიროვნების ცხოვრების პოზიტიურ ცვლილებას ასახავს“²³.

რომანში მითითებულია, რომ ეპიდემიის მსხვერპლი ადამიანები თეთრ, რძისფერ ნისლში იძირებიან, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. სიმბოლოლოგთა განმარტებით, „თეთრი – სინათლის აბსოლუტური ფერია და ამიტომაც უმანკოების, ჭეშმარიტების, მსხვერპლის უბინოებისა და ღვთაებრიობის სიმბოლო გახლავთ“²⁴. ის ზეგარდმო სიბრძნის ფერია, შავისაგან განსხვავებით, რომლის სიმბოლიკა ძირითადად სიკვდილს, სიბნელეს, ბოროტებას, მწუხარებას უკავშირდება. რძე აღორძინების, სიცოცხლისა და უკვდავების სიმბოლოდ მიიჩნევა. ვფიქრობთ, ფერების სიმბოლიკა ჟოზე სარამაგუს რომანის მთავარი სათქმელის გააზრებაში გვეხმარება. ავტორის ინტენციით, ეპიდემიის თუ სხვა მოვლენილი კოსმიური განსაცდელის დაძლევა, მანკიერებებისაგან გათავისუფლება კათარზისის, ემპათიის გზით არის შესაძლებელი. ერთმანეთის დახმარებით, თანადგომით, თანაზიარობით ადამიანები მიწიერ ჯოჯოხეთს გადაურჩებიან, განიწმინდებიან და პირველქმნილ, ღვთაებრივ არსს დაუბრუნდებიან. საყურადღებოა რომანის ინტენციის ბოზ ქარბერისეული შეფასება: „სიბრმავე ტექსტში ჩვენ უნდა გავიაზროთ არა როგორც ალეგორია, არამედ, როგორც ალტერნატიული რეალობის კვლევა“²⁵.

პროვიდენციალიზმი სამყაროს მოაზრებს ღმერთის ან მითიური განგების გამოვლენად, სადაც ადამიანი აქტიურად მონაწილეობს ისტორიის ფორმირებასა და ღმერთის განგების განხორციელებაში. ამ კუთხით, ჟოზე სარამაგუს რომანი

²² იქვე, 334.

²³ კვატაია, 2021, 543.

²⁴ აბზიანიძე, ელაშვილი, 2012, 85.

²⁵ მეტრეველი, 2021, 556.

შეიძლება შეფასდეს როგორც პროვიდენციალური, რადგან რომანში სიბრმავის წარმოშობის მიზეზი უცნობია და გამოწვეულია ადამიანური ცოდვებითა და მორალურ სისუსტეებით. რომანის ბოლოს იკვეთება – კაცობრიობის სულიერი განახლებისა და ახალი ცხოვრების დაწყების ნიშნებიც: სიბნელიდან ნათელში გამოსვლა, განწმენდა და ღვთაებრივ არსში დაბრუნება, ასევე პროვიდენციალური ტექსტების ძირითადი მახასიათებლებია. რომანი აღწერს არა მხოლოდ ფიზიკურ სიბრმავეს, არამედ ეგზისტენციალურ სიბრმავესაც, როცა ადამიანები ერთმანეთთან ემოციურ და სულიერ კავშირს კარგავენ. სიუჟეტი ასევე მიუთითებს კათარზისის პროცესზეც, რომელიც მორალური შეცდომების აღიარებიდან ადამიანების სულის განახლებამდე მიდის. თანამედროვე კონტექსტში რომანი ასახავს ეგზისტენციალურ და ჰუმანისტურ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც თანამედროვე კაცობრიობა დგას: ტექნოლოგიური პროგრესი, გლობალური კრიზისები, დეჰუმანიზაცია და სოციალური თუ პოლიტიკურ-ეთიკური დაპირისპირებები. ამ თვალსაზრისით, სარამაგუს „სიბრმავე“ შესაძლებელია განვიხილოთ როგორც „აქ და ახლა“ მიმდინარე სულიერი და სოციალური განსაცდელის ალეგორია, რომლის გადალახვა დაკავშირებულია ადამიანის სულიერ განახლებასა და ღვთაებრივ ტრანსფორმაციასთან.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ., სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. 2, თბილისი, 2012 [abzianidze z., elashvili k., simbolota ilust'rirebuli entsik'lop'edia, t. 2, tbilisi, 2012]
- კვათია მ., კათარზისის თანამედროვე მხატვრულ-ალეგორიული რეფლექსირებისათვის, წიგნში: ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, N15, თბილისი, 2021 [k'vat'aia m., k'atarzisis tanamedrove mkhat'vrul-alegoriuli repleksirebisatvis, ts'ignshi: lit'erat'uratmtsodneobis tanamedrove p'roblemebi, N15, tbilisi, 2021]
- კუპრეიშვილი ნ., ჟოზე სარამაგუს სიბრმავე, როგორც მომავლის წინასწარმეტყველება, წიგნში: ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, N15, თბილისი, 2021 [k'up'reishvili n., zhoze saramagus sibrmave, rogorts momavlis ts'inasts'armet'q'veleba, ts'ignshi: lit'erat'uratmtsodneobis tanamedrove p'roblemebi, N15, tbilisi, 2021]
- მეტრეველი ლ., სიბრმავე – ეპიდემია ტექსტში (ჟოზე სარამაგუს „სიბრმავის“ მიხედვით), წიგნში: ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, N15, თბილისი, 2021 [met'reveli l., sibrmave – ep'idemia t'ekst'shi (zhoze saramagus „sibrmavis“ mikhedvit), ts'ignshi: lit'erat'uratmtsodneobis tanamedrove p'roblemebi, N15, tbilisi, 2021]
- სარამაგუ ჟ., სიბრმავე, ნ. ვაშალომიძის თარგმანი, ბათუმი, 2019 [saramagu zh., sibrmave, n. vashalomidzis targmani, batumi, 2019]

- Akhtar A., The Dark Side of Illness: Jose Saramago's Critique of Human Nature in Blindness, Journal for Research Scholars and Professionals of English Language Teaching, Vol. 7, No. 36, 2023
- Esmaeili S., Zohdi E., Panopticism in José Saramago's Blindness, Theory and Practice in Language Studies, Vol. 5, No. 12, 2015
- Jorge B., Carvalho J., José Saramago's „Blindness” and a Vision for Mental Healthcare: Perspectives in the Fields of Literature, Architecture, Philosophy, Politics and Economics, European Psychiatry, Vol. 66, No. 1, 2023
- Kareem R., Farhan H., The Language of Evaluation in Jose Saramago's Blindness via Appraisal Theory, International Linguistics Research, Vol. 5, No. 1, 2022
- Neiva A. de A., Biopolítica e subjetivação em Ensaio sobre a cegueira, de José Saramago, Revista do Centro de Estudos Portugueses, Vol. 39, No. 62, 2019
- Nogueira C., Ensaio sobre a Cegueira, de José Saramago: A Literatura e o Mal, Romance Quarterly, Vol. 67, No. 2, 2020
- Santos V., A cegueira como metáfora do estranhamento social capitalista; Blindness as a metaphor for estrangement capitalist social, Sofia, Vol. 11, No. 1, 2022
- Stanley S. K., The Excremental Gaze: Saramago's Blindness and the Disintegration of the Panoptic Vision, Critique Studies in Contemporary Fiction, Vol. 45, No. 3, 2004

Manana Kvataia*

PARADIGMATIC MODEL OF HUMANISTIC FORECASTING OF THE MICRO-APOCALYPSE CONCEPT

Abstract

The civilizational metamorphosis of the modern world necessitates the creation of new time dimensions, consciousness and ideologies, as well as the expansion and reinterpretation of the existing space. Future studies, as a science, imply the sociological forecasting of future developments. Dystopian texts, the main feature of which is the criticism of the viciousness of the various political systems, provide valuable insight for a deeper understanding of these processes.

In his dystopian novel *Blindness* (2005), José Saramago, the Portuguese Nobel Prize winner and master of magical realism, advocates the idea of equality of mankind and humanism. The author's concept is that in the age of globalization, technological dependence alienates individuals from both nature and each other, gradually leading to moral or spiritual blindness. In this providential novel, a mysterious epidemic sweeps through the city: people suddenly lose their sight due to an unknown, contagious disease, as if submerged in a white, milky sea.

José Saramago's *Blindness* depicts a micro-apocalyptic hellish world inhabited by merciless, blind creatures, where people are deprived of both physical sight and spiritual vision. Understanding the symbolism of the novel clarifies the author's intention: salvation lies in the purging of vice. Through catharsis, humans may return to their original, divine essence.

Keywords: José Saramago, Dystopian Novel, Blindness, Sociological Forecasting of the Future.

* Senior Researcher at Shota Rustaveli Institute of Georgian Literature of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. <https://orcid.org/0009-0003-7218-3360>

ეკატერინე ჭუმბურიძე-შენირული*

ადამიანის ტრანსფორმაცია სხეულის ცვლილებიდან მისი ბუნების მოდიფიკაციამდე XXI საუკუნის ფრანგულ და ქართულ დისტოპიაში

I. შესავალი

სწრაფად ცვალებად სამყაროში ადამიანის ტრანსფორმაციის პოტენციალის წარმოდგენა დასავლური ლიტერატურული აზროვნების განუყოფელი ნაწილია. დაღლილი და გამოფიტული თანამედროვე ადამიანი, მატერიალიზმისა და კონსუმერიზმის მეტაფიზიკით დამსხვრეული, სიამოვნების კულტურისა და საკუთარი ეგოცენტრიზმის მსხვერპლი, აცნობიერებს თავისი არსებობის სასრულობას და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, ცდილობს პირველყოფილი ტანჯვის შემსუბუქებას, რაც ასევე საკუთარი ადამიანური ბუნების დათმობასაც მოიაზრებს. დღეს, როდესაც ჩვენი არსებობის ყველა ეტაპზე ვხედავთ ტექნოლოგიების ყველგანმყოფობას, თავისთავად ცხადია, რომ ლიტერატურაც საუბრობს იმ შიშებსა და იმედებზე, რომლებიც არაბუნებრივი გზით შექმნილი, ახალი ტექნოლოგიური არსებების ადამიანურ ცხოვრებაში შემოსვლას და მათ მიერ რეალური სამყაროს საზღვრების რღვევას უკავშირდება. წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს, შეისწავლოს ადამიანის სხეულის ტრანსფორმაცია დისტოპიურ გარემოში, როგორადაც ის აისახება ფრანგი და ქართველი ავტორების შემოქმედებაში. უფრო კონკრეტულად, სტატია განიხილავს ფრანგი ავტორის, მიშელ უელბეკისა და ქართველი ავტორის, ზურა ჯიშკარიანის დისტოპიურ რომანებში ახალი ტექნოლოგიური ინდივიდის წარმოდგენის პროცესს და წარმოაჩენს განსხვავებებს ბუნებრივ ადამიანსა და მეცნიერული ჩარევებით შექმნილ ადამიანს შორის.

II. სხეული კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში

სხეულის ისტორია ამავდროულად კაცობრიობის ისტორიასაც ასახავს და ხაზს უსვამს მის კულტურულ მახასიათებლებს. კოსმიური წესრიგის მარადი-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. <https://orcid.org/0000-0002-6605-7339>

სობამ ადამიანს შესაძლებლობა მისცა გაეაზრებინა თავისი სასრულობა, საკუთარი თავის არასრულყოფილება *un modèle déficient*.¹ უძველეს ფილოსოფიაში, განსაკუთრებით პლატონთან, სხეულის სიმციფისა და არასტაბილურობის მიუხედავად, გონება, ადამიანის ფუნდამენტური, განუყოფელი ნაწილია. ამ პერიოდის ადამიანის მცდელობები სხეულისგან განცალკევებას მიემართება, რადგან სხეული დაბრკოლებად განიხილება და სულს ხელს უშლის მარადიული იდეების, სიკეთისა და ჭეშმარიტების მიღწევაში. ამრიგად, პლატონის, ისევე როგორც სოკრატეს, ფილოსოფია, ეფუძნება სულის უპირატესობას. სხეული უბრალოდ „სულის მცველია“. არისტოტელე, თავის მხრივ, საუბრობს სულზე, როგორც ადამიანის სხეულის „უპირატეს ფორმას“ (*prima forma*) და ერთიანობის პრინციპზე.

ამგვარად, ანტიკური დროიდან მოყოლებული, ადამიანს ყოველთვის ანუხებდა პროგრესისა და საკუთარი სხეულის ტრანსფორმაციის/გაუმჯობესების იდეა. სხეული ხშირად აღიქმება, როგორც სამოძებლო თიხა, რომელიც მისი აღმზრდელების იდეების შესაბამისად იცვლება. აქედან გამომდინარე, სხეული განიხილება, როგორც ადამიანის პოტენციალის, შესაძლებლობების რეზერვუარი და მისი დაუფლება დამოკიდებულია მფლობელზე. მიუხედავად იმისა, რომ სოკრატე სხეულის/სულის დუალობას იცავს, ის ასევე რადიკალური ვარჯიშის აუცილებლობასაც ამტკიცებს. სხეულის სიძლიერე უზრუნველყოფს სულის სილამაზესაც.² ანტიკურ ხანაში სხეული ყველგან არის წარმოდგენილი. უძველესი სხეული ხშირად უკიდურესად მოქნილ მიკროკოსმოსად მიიჩნევა *malléable*.³ თუმცა, შეუძლებელია უარვყოთ ადამიანის ფიზიკური მდგომარეობის სასრულობა. ინგლისელი მეცნიერის, მაქს მორის ტრანსჰუმანიზმის ფილოსოფია დაფუძნებულია სწორედ სამეცნიერო ცოდნაზე. ჩვენი სამყაროს განვითარება ადამიანის გარდაქმნას იწვევს, რაც ფიზიკურ ტრანსფორმაციასაც მოიაზრებს.

ტრანსჰუმანიზმის გააზრება, კაცობრიობის მოკვდავობის დაძლევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯია ფილოსოფიურ აზროვნებასა და ლიტერატურულ წარმოსახვაში. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ევოლუცია განიხილება როგორც ლოგიკური, ამოუწურავი პროგრესი, ტრანსჰუმანიზმზე გადასვლა იწვევს ეჭვებს, აძლიერებს შიშებს, რადგან ევოლუციის ბუნებრივი კანონი თითქმის წყვეტს არსებობას. თავად ბუნება იწვევს სხვა აგენტებს – მეცნიერებასა და ტექნოლოგიებს, რომლებიც ბიძგს აძლევენ ახალი კაცობრიობის ოცნებას, აძლიერებენ გენეტიკური ინჟინერიის მიერ წარმოქმნილი ახალი ცოცხალი ორგანიზმების იმიჯს.

¹ Mayerhofer, 2011.

² Prost, Wilgaux (eds.), 2006, 123.

³ იქვე.

III. სხეული და მატერიალურობა

ტრანსჰუმანიზმის შესახებ დისკუსია ასევე წამოჭრის მატერიალურობის საკითხსა და სხეულის, როგორც მნიშვნელობების არტიკულატორის იდეას. სხეული, როგორც ობიექტი, ევოლუციური ლოგიკის ნაწილია და გადმოსცემს პროგრესს. შესაბამისად, ადამიანის მატერიალური სუბსტანციის განვითარება და ტრანსფორმაცია ერთგვარ წრფივ ტრაექტორიას მიჰყვება და მჭიდროდ უკავშირდება პროგრესის ფილოსოფიას.⁴

თანამედროვე კონტექსტში, 1960-იანი წლებიდან სხეულის ხატი განიხილება როგორც ნარცისიზმი.⁵ სხეულის განდიდება ნაწილობრივ თავყვანისცემის ღირებულებას იძენს, წყვეტს ქრისტიანული დოგმების მიღებას და ასახავს დროის სულისკვეთებას. დღეს, როგორც დ. ლე ბრეტონი შენიშნავს: „დუალიზმის თანამედროვე ვერსია სხეულს გონებას ან სულს უფრო ზუსტად თავად სუბიექტს აღარ უპირისპირებს.“⁶ სხეულის სქემა იცვლება და სურვილის/ლიბიდინალური მიდრეკილების საკითხი ღრმად ცვლის სხეულის ხატის სტრუქტურას. სხეულის ცოდნა, თუნდაც მისი ამოცნობა, ადამიანის ცხოვრებაში ფუნდამენტურ გამოცდილებას წარმოადგენს. ადამიანის საკუთარი სხეულისადმი დამოკიდებულების ცვლილება სხეულის კვლევების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. წმინდა ანთროპოლოგიური ან სამედიცინო პერსპექტივები სხეულსა და სოციალურ სტატუსს რეფლექსიის არეალს აძლევს. სხეული ძირითადად სამი მახასიათებლის საფუძველზეა გაანალიზებული: საკუთარ სხეულში ცხოვრება, დროსთან ურთიერთობა და სხვებთან ურთიერთობა. სხეული არ შემოიფარგლება მხოლოდ თავისი წმინდა სუბიექტურობით, არამედ იხსნება სხვების, სხვისი ხედვის წინაშე.⁷

ეს მართლაც ასეა მიშელ უელბეკის შემოქმედებაში, სადაც სხეულის დაბერება არა მხოლოდ სხვების მხრიდან უარყოფასა და ზიზლს იწვევს, არამედ საკუთარი ფიზიკური არსების არმილებასა და დეკადენტური სხეულის მფლობელის მიუღებლობასაც, რომელიც მას ლალატობს და იმედს უცრუებს. უელბეკის მიხედვით,

„ეს ის თაობა გახლავთ, რომელმაც პირველმა, ესოდენ აშკარად, მნიშვნის ხანას სიყმაწვილე ამჯობინა და რა გასაკვირია, თუკი ახლა, ამის შედეგად, მომდევნო თაობის ზიზლსა და სიძულვილს იმკის და ბოლოს, სხეულს კერპად აქ-

⁴ Meidani, 2007.

⁵ Dambuyant-Wargny, 2023, 25–76.

⁶ Meidani, 2007. დუალიზმის თანამედროვე ვერსია სხეულს აღარ უპირისპირებს გონებას ან სულს, უფრო ზუსტად კი თავად სუბიექტს.

⁷ Dambuyant-Wargny, 2023, 25–76.

ცევს. ამ პროცესს თვითონვე შეუწყვეს ხელი, სიბერისა და ხორცის თანდათანობითი ჭკნობის მოძალებისას, მათ საკუთარი თავიც შეაძულეს. სხვათა შორის მსგავს სიძულვილს აქამდე ისინი სხვების თვალებში ჭერებდნენ.⁸

დღესდღეობით სხეული იდენტობის ნაწილია და მოითხოვს იმ სოციალური დოგმების გათვალისწინებას, რომლებიც იდეალური სხეულის წესებს ადგენს. სიამოვნების, მაგრამ ამავედროულად ტანჯვის, მატარებელი სხეული ადვილად შეიძლება გაქრეს ან გამოსწორდეს კიბერსივრცეში ახალი ვირტუალური სხეულის მოდელის შექმნით, როგორც ეს ზურა ჯიშკარიანის დისტიპიურ რომანებშია აღწერილი.

სხეულებრიობა, როგორც ინდივიდუალური, მაგრამ ამავედროულად კოლექტიური, მედიუმი, სულიერი სხეულისა და მატერიალური სხეულის დიქტომია, გაუცხოება - ეს ის თემებია, რომელთა დიაქრონიული მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ადამიანის ბუნების არსებითი შინაგანი მახასიათებლები, რათა დავსვათ კითხვები ახალი კაცობრიობის შესახებ, რომელსაც ჩვენ მიერ შერჩეული ავტორები წარმოიდგენენ. როგორ ხედავენ ისინი სხეულის ახალ იმიჯს და გვაძლევს თუ არა ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია შესაძლებლობას, წინ წამოვწიოთ პოსტადამიანის/ტრანსადამიანის იდეა? საბოლოო ჯამში, რა გვადიხლებს გადავხედოთ ჩვენი სხეულის ფილოსოფიას – სხეულის სიძულვილი თუ სხეულის სუბლიმაცია, სხეულით უკმაყოფილება თუ დაღლილობა (ადამიანის მოძველება), სად თავსდება სულის ცნება ახალი ადამიანის წარმოშობის დისკუსიებში?

გონება/სხეულის დიქტომია, სხეულსა და ფსიქიკას შორის დაპირისპირება, თვითტრანსფორმაციის შესაძლებლობებს მინიმუმამდე ამცირებს. თუ ჩვენ „სულიერი სხეულის“ (სხეული, როგორც სულიერი ვარჯიში) იდეას ვიღებთ, თვითმოდირფიკაციის პოტენციალსაც ვაღიარებთ. თანამედროვე ფილოსოფია დეკარტის ფილოსოფიასთან ერთად, პლატონიზმის სულის პრიმატის გარკვეულ იდეებსაც ითავისებს.

ახალ რეალობაში, მეტაფიზიკური მუტაციის (მ. უელბეკი) შუაგულში, ადამიანი იძენს სრულიად ახალ გამოცდილებას, რომელიც აღარ უტოვებს შესაძლებლობას იგივე დარჩეს. თანამედროვე კონტექსტში 1960-იანი წლებიდან ვხედავთ სხეულის ხატის, როგორც არსებობის ნარცისული საფუძვლის, გაჩენას. სხეულის განდიდება, ნაწილობრივ იძენს თავყვანისცემის ღირებულებას, არღვევს ქრისტიანული ღირებულებებისა თუ დოგმების სისტემას და ასახავს დროის სულისკვეთებას. „ელემენტარულ ნაწილაკებში“ უელბეკი აღნიშნავს, რომ ერა, რომელშიც

⁸ უელბეკი, 2021, 188-189.

ადამიანი ცხოვრობს, არის სრულიად ახალი ხანა, რომელიც აღიარებს სხეულის დიქტატურას. არ არსებობს საზღვრები ან შეზღუდვები; ყველაფერი, რასაც ადამიანი დღემდე მიუწვდომლად თვლიდა, მარტივ და ნაცნობ რეალობად იქცევა. ასეთი სიახლეების მოტანა ახალ მუტაციას შეუძლია და ეს პროცესი სხეულის ტრანსფორმაციით იწყება. ზემოთ აღნიშნულ რომანში უელბეკი შესანიშნავად აჩვენებს იმ მოვლენებს, რომლებმაც ხელი შეუწყო სხეულის კულტის დამკვიდრებას საფრანგეთში და, შეიძლება ითქვას, ევროპაშიც. „ბრუნოს მამამაც დააბანდა თანხები კოსმეტიკურ მედიცინაში და ამ პრაქტიკიდან გამდიდრდა კიდევ: 70-იანი წლების საფრანგეთში ფილმები „სამოთხის მოჩვენები“, „მექანიკური ფორთოხალი“ და „ადგილებზე წასვლა“ სკანდალური წარმატებით აღინიშნა, რამაც დაადასტურა „ახალგაზრდული“ კულტურის კომერციული ღირებულება,...] რომელმაც მთელი საფრანგეთი მოიცვა“. ⁹

სხეულის ტრანსფორმაცია, რასაც უელბეკი ეხება, 60-იანი წლების მოვლენების კანონზომიერი შედეგია, რამაც დასავლურ სამყაროში ყველა სახის აზროვნების პარადიგმის ცვლილება განაპირობა. თანამედროვე ადამიანს სხეულის დასუსტება აწუხებს და აიძულებს ამ დაუცველი და მყიფე არსებისგან თავის დასაღწევად ეძებოს გამოსავალი. მაგალითისთვის, პარიზში გახნილ პირველ Vitatop კლუბს, პიონერული როლი ჰქონდა ფიზიკური სანიტარიისა და სხეულის თაყვანისცემის სფეროში; რასაც მთელი რიგი მოვლენები მოჰყვა და ადამიანის სხეულის შესახებ გარკვეული წარმოდგენები დაამსხვრია: კერძოდ, ვგულისხმობთ, საფრანგეთში 18 წლის ასაკში სამოქალაქო სრულწლოვანების შესახებ კანონის მიღებას, ურთიერთშეთანხმებით განქორწინების უფლებას და ბოლოს, 1974 წლის 28 ნოემბერს, ძალიან დაძაბული „ისტორიული დებატების“ შედეგად, აბორტის უფლების მინიჭების შესახებ კანონის მიღებას. ცნობილია, რომ ქრისტიანული ანთროპოლოგია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის სიცოცხლის მთელ ციკლს – ჩასახვიდან სიკვდილამდე. ეს პოზიცია ეფუძნებოდა აზრს, რომ თითოეულ ადამიანის სხეულში არსებობს სული (უკვდავი სული). *Au XXe siècle grâce au progrès de la biologie, une anthropologie matérialiste, restait beaucoup plus modeste dans ses recommandations éthiques. Le fœtus considéré comme un petit amas de cellules ne possédait, selon eux, aucune existence individuelle autonome, d'autre part le vieillard, amas d'organes, subissait une dislocation continue. Les problèmes éthiques concernant les âges extrêmes de la vie (l'avortement, puis, quelques décennies plus tard, l'euthanasie) émergent.* ¹⁰

⁹ იქვე, 119.

¹⁰ Houellebecq, 1998, 120. XX საუკუნეში ბიოლოგიის მიღწევების წყალობით, მატერიალისტური ანთროპოლოგია გაცილებით მოკრძალებული ეთიკური რეკომენდაციებით

თანამედროვე კონტექსტში სხეული ექვემდებარება მიმღებლობის კრიტერიუმებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ის უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ სტანდარტებს (ასაკი, ზომები და ა.შ.). „ელემენტარული ნაწილაკები“ ზუსტად გადმოსცემს ადამიანის სურვილს საკუთარი ხატებით ხელოვნურად შექმნას „არსებები“. თითოეული ეპოქა თავისებურად წარმოიდგენს იმ მექანიზმებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ხელოვნური არსების შექმნის იდეით გამოწვეული ოცნებები და აკვიატებები. მიშელ უელბეკის წარმოსახულ სამყაროში შესაძლოა ვისაუბროთ სხეულზე ჩატარებული კვლევის გარკვეულ რადიკალიზაციაზე, რომელიც ახალი სამყაროს დადგომას ემთხვევა და დიდ პროგრესს აღწევს გენეტიკურ კვლევებში, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სფეროებში. უელბეკის რომანში 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ადამიანის გენზე ჩატარებული ექსპერიმენტები გარკვეულ გავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე: დაავადებების განკურნება, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესება. თუმცა, საინტერესოა, რომ „ელემენტარული ნაწილაკების“ ავტორი სვამს კითხვას, თუ მეცნიერებას არ შეუძლია ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრას ადამიანის სხეულის სასრულობის პრობლემა, რა აზრი აქვს ასეთ პროგრესს? თუ ადამიანს არ შეუძლია ევოლუციის შედეგების დაძლევა, შესაძლოა, უფრო გონივრული პროგრესიის შეჩერება იყოს. უელბეკის ტექსტის მიხედვით, ახალი სახეობის სავარაუდო მამისთვის „არსებითი იყო არა დნმ-ზე ფოკუსირება, არამედ ცოცხალი არსების, როგორც თვითგამრავლების სისტემის, განხილვა მთელი მისი ზოგადობით“¹¹. სექსუალობა, რომელიც რომანში ჭარბად არის წარმოდგენილი, ადამიანის სხეულის სამომხმარებლო პროდუქტად გარდაქმნის გამოვლინებაა. რომანში 1990-იანი წლებიდან ცოცხალი ორგანიზმები დაპატენტებულია, რაც ნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლე თანდათან უფასურდება და მხოლოდ სამომხმარებლო საგნად აღიქმება.

ეს არის სამყარო, რომელიც მხოლოდ ახალგაზრდობას სცემს პატივს და სხვაგვარ ადამიანებს შთანთქმავს. ასე შთანთქმეს დანიელი რომან „*კუნძულის შესაძლებლობის*“ მთავარი გმირი; ხოლო ზურა ჯიშკარიანის რომანებში პერსონაჟები უკვე უსხეულო არსებებად (ციფრულ კოდებად) გვევლინებიან. რომან „*სწრაფი ღამისიერის*“ პერსონაჟი აღნიშნავს, რომ მას არც გრძნობები აქვს და არც სხეული. სივრცე და მოძრაობა/გადაადგილება მხოლოდ ვირტუალურია. ციფრული ავტარული კომპიუტერული კოდებისგან არის აგებული. „*არავითარი გრძნობა, არა-*

შემოიფარგლა. მათი აზრით, ნაყოფს, რომელიც უჯრედების მცირე მასად ითვლებოდა, არ გააჩნდა ავტონომიური ინდივიდუალური არსებობა; მეორე მხრივ, ხანდაზმულები, განუწყვეტლივ განიცდიდნენ შევიწროებას. რამაც ცხოვრების უკიდურესობებთან დაკავშირებული ეთიკური პრობლემები წარმოშვა (აბორტი, ევთანაზია და სხვ.).

¹¹ Houellebecq, 1998, 340.

ვითარი სხეული არ გამაჩნია და რა გამომდინარეობს აქედან? ნუთუ იმდენად მიჯაჭვული ვარ ავატარსა და გრძნობებზე, რომ მათ გარეშე არ შემიძლია არსებობა?”¹² ასე ესაუბრება პერსონაჟი რენეს – ხელოვნურ ინტელექტს რომელიც ამავდროულად მისი ადამიანობის დამადასტურებელია. ისინი ერთსა და იმავე ენაზე საუბრობენ და გაუთავებელი დისკუსიებით მათ შორის თანდათან თანაგრძნობა და აუხსნელი, თითქმის ადამიანური კავშირი ყალიბდება. პერსონაჟი აცნობიერებს, რომ მას შეუძლია მასთან „სიკვდილზე საუბარიც კი გაბედოს“.

საკუთარ სხეულთან ურთიერთობა აძლიერებს სიმყიფისა და სასრულობის განცდას. ამგვარად, სიკვდილი ხდება ფენომენი, რომელიც სწორედ სხეულის მოქნილობით დამძიმებული ყოფნის იმედგაცრუებას აღნიშნავს და სიკვდილის წინაშეც აღარ არის ყველა ერთსა და იმავე მდგომარეობაში. ადამიანები სოციალური კლასის მიხედვით იყოფიან. სიკვდილის სივერაგეს უელბეკი ბრუნოს ბებიის საფლავით აღწერს. წლების წინ დამარხული სხეული, რომელიც სიკვდილმა და დროის სვლამ დაამახინჯა, გამანადგურებელ კვალს ტოვებს ბრუნოზე. ამ გრძნობის გაგება და განსაზღვრა ადამიანებისთვის რთულია. „რჩება მხოლოდ მიწასთან შერეული ძვლები და თეთრი თმის მასა.“¹³ ცხოვრების სიცარიელე და ამაოება დაკავშირებულია „სხეულთან“, რომელსაც არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს დროს და მის შეურიგებელ დინებას. დაბადებიდან სიკვდილამდე არაფერი იცვლება სხეულის გარდა. სიცარიელე, სტაგნაცია და დაბერებული სხეული-ასეთია დაღლილი და გაცვეთილი ადამიანის აღსარება: „დაბადებიდან სიკვდილამდე არაფერი ხდება, ჩვენ მხოლოდ ფიზიკურად ვიცვლებით.“¹⁴

უელბეკისთვის, დეგრადაციის ერთ-ერთი პირველი ნიშანი არის ადამიანი, რომელიც დაყვანილია თავის სხეულებრივ/სექსუალურ მოთხოვნილებებამდე, რომელიც კარგავს სხვების თანაგრძნობის უნარს და სოციალურად ან ემოციურად უგრძნობი ხდება. მხოლოდ სიამოვნება რჩება, ეგოისტური და შეზღუდული სიამოვნება, სამყაროში „არარსებობის“/„არმყოფობის“ (*“non existence”/“non présence”*) სიამოვნება, რასაც ბრუნო გრძნობს. „ადამიანები ცხოვრობდნენ, სუნთქავდნენ, სიამოვნებას ეძებდნენ და პიროვნული შესაძლებლობების გაუმჯობესებას ესწრაფოდნენ.“¹⁵

¹² ჯიშკარიანი, 2022, 28.

¹³ უელბეკი, 2021, 437. *სიკვდილი ძნელად ასახსნელია და მისთვის თვალის გასწორება ადამიანს მუდამ უჭირს. difficile à comprendre et à définir pour l'homme. Ce qui reste, ce sont des ossements mêlés à la terre et la masse des cheveux blancs*

¹⁴ იქვე, 440. *De la naissance à la mort, rien ne se passe, nous ne changeons que physiquement.*

¹⁵ Houellebecq, 1998, 240. *ადამიანები ცხოვრობდნენ, სუნთქავდნენ, სიამოვნებას ეძებდნენ და პიროვნული შესაძლებლობების გაუმჯობესებას ესწრაფოდნენ.*

IV. სხეული, რომელიც არ არსებობს

როდესაც ტრანსჰუმანიზმზე ვსაუბრობთ, ხაზს ვუსვამთ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მნიშვნელობას ადამიანის სახეობის გაუმჯობესებაში არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ გონებრივი შესაძლებლობების თვალსაზრისითაც. ხელოვნურობა ადამიანის კოგნიტურ სფეროზეც ვრცელდება, კერძოდ, რეალობის სიმულირებით ალგორითმებისა და პროგრამული უზრუნველყოფით. ამრიგად, ვირტუალური რეალობების სამყარო გვთავაზობს ინტენსიურ გამოცდილებას, რომელსაც ადამიანი გადაჰყავს წარმოსახვით სივრცეში (ციფრული არსებები და სიმულირებული ადამიანები), რომელიც ხშირად აღემატება ნამდვილ რეალობას. ზურა ჯიშკარიანი სამყაროს კიბერსივრცეში აგებს, სადაც პერსონაჟები აფართოებენ თავიანთ ცნობიერებასა და შესაძლებლობებს: „აპლიკაციას მართავდა პროგრამა, რომელსაც, თავის მხრივ, აკონტროლებდა იგივე პროგრამა. ათასობით მომხმარებლის მონაცემებსა და არქეტიპულ მოვლენებზე დაყრდნობით, რთული ინტეგრაციების გამოყენებით, პროგრამამ გამოთვალა ადამიანის ბედის არსი და განსაზღვრა მისი ძირითადი მოთხოვნები, უკეთესად, ვიდრე ადამიანებმა“.¹⁶

ციფრული ტექნოლოგიების გარდა, ფსიქოდელიური ნარკოტიკები ყველაზე ფართოდ გამოიყენება სავალალო რეალობისგან თავის დასაღწევად და ცნობიერებისთვის ახალი, ალტერნატიული ბიძგის მისაცემად: რეფორმატორების აზრით, ფსიქოდელიური ხილვები საშუალებას გვაძლევს განვიცადოთ სამყაროების უსასრულობა, დროებით გავექცეთ მავნე ნარკოტიკების მთავარი „სიგიჟის“ ტოტალურ კონტროლს. ჩვენს პლანეტაზე აშენდა ქარხნები ამ საშინელი ნარკოტიკის წარმოებისთვის. ამ სადგურებიდან მავნე ნარკოტიკი ატმოსფეროში შეჰყავთ. შედეგად, ჩვენ იმდენად აგრესიულები ვხდებით, რომ სხვა განზომილებებს ველარ ვხედავთ. რეფორმატორების აზრით, „რეალობა“ უნდა განადგურდეს“.¹⁷

ქართველი ავტორისთვის ტრანსჰუმანიზმი უტოპიურ და დისტოპიურ ხედვას შორის მერყეობს. საკმაოდ ქაოტური ტექნოლოგიური სინგულარობა გარდაუვალ ცვლილებებს გამოიწვევს. ახალი რეალობისთვის მოსამზადებლად, ფსიქოდელიურ ნივთიერებებს, შესაძლოა, განსაკუთრებული როლი ჰქონდეს. მისი თქმით, „ტექნოლოგიები გადამწყვეტ ნერტილამდე მიგვიყვანს, თუნდაც არსებული წესრიგის დასასრულამდე: კაცობრიობა დაიკარგება სისტემის დამხობის პროცესში, იდენტობები გამრავლდება და ადამიანები ეცდებიან იპოვონ გადარჩენის გზა,

¹⁶ ჯიშკარიანი, 2022, 5.

¹⁷ ჯიშკარიანი, 2017, 117.

შეცვალონ საკუთარი თავი, რათა ან უარი თქვან, ან დაემორჩილონ¹⁸. ქართველი ავტორი წარმოიდგენს და ელის ასეთ ცვლილებას. მისი პერსონაჟები, რომლებიც ვირტუალურ სივრცეში ცხოვრობენ, კარგავენ ადამიანის ფსიქოლოგიას. მათ აღარ აქვთ სხეულები; ისინი საკუთარ თავს ადამიანებად აღარ მოაზრებენ. „მთელი პლანეტა ჩვენი ეკონომნათურებით, გარეგანათებებითა და ციცინათელა მეგაპოლისებითაა განათებული-გამონაბოლქვი ღრუბლებად იქცევა, ამიტომ ჩვენ ნელ-ნელა ვკარგავთ ვარსკვლავიან ცას, რაც ადამიანობის დაკარგვის ტოლფასია. – ცას გვართმევენ! – ჩამესმის ნამყვანის ხმა კეფიდან, ტვინში.¹⁹

კიბერსივრცე არღვევს სხეულის ტრადიციულ წარმოდგენასა და აღქმას. სწორედ სივრცე შლის სხეულის სტერეოტიპულ ესთეტიკას და ქმნის „განთავისუფლებული სხეულის“ ფასადს, რათა წარმოაჩინოს უკეთესი თვითშეფასება, ხშირად შენიღბვის ან საკუთარი გარეგნობის ნაშლის გზით. საქმე მხოლოდ თვითგანვითარებაში არ არის, არამედ ერთი ვირტუალური სხეულის სხვით ჩანაცვლებაშიც. რომანში „საღეჭი განთიადები უშაქროდ“ (2017) წარმოდგენილია კიბერსივრცე, სადაც პერსონაჟებს არა მხოლოდ თავიანთი სხეულებისგან გათავისუფლება, არამედ მათი გამრავლებაც შეუძლიათ. ტექნოლოგია მათ საშუალებას აძლევს, იარსებონ სხეულის გარეთ და ჰყავდეთ კლონები: საკუთარი იდენტობისგან გათავისუფლებული, რეალური სხეული იკარგება თავის კლონებს შორის, რაც იდენტიფიკაციას თითქმის შეუძლებელს ხდის.

მიშელ უელბეკის მსგავსად, ქართველი ავტორი ხშირად უბრუნდება სიკვდილის, „არსების“ კვალის გარეშე გაქრობისა და მოგონებების დავიწყების თემას. როდესაც მწერალი მომავალში სამყაროების მოდელს წარმოიდგენს, საფლავის ქვებს იმ „არსების“ გადარჩენის საფუძვლად ხედავს, რომლისთვისაც სიკვდილი თვითმიზანი კი არა, მისი განახლების დასაწყისი იქნებოდა. ახალი ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს, დავძლიოთ ყველა ცოცხალი არსებისთვის დამახასიათებელი სიკვდილის შიში. მეცნიერება, თავის მხრივ, ფართოდ ხსნის კარს სიახლეებისთვის, რომლის მიზანია გააუმჯობესოს ყველაფერი, რაც მას აკლია. ზურა ჯიშკარიანის რომანში ნარკოტიკებით გაბრუებული პერსონაჟები აფართოებენ თავიანთ ცნობიერებას და მეტ შესაძლებლობებს იძენენ ტექნოლოგიებისა და ფსიქოდელიური საშუალებების გამოყენებით: ისევე როგორც ტექნოლოგია აძლევს ადამიანს ახალ შესაძლებლობებს, ფსიქოდელიური საშუალებები ხელს უწყობს ილუზორული ცნობიერების გაფართოებას, რაც თავის მხრივ, ადამიანს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაში ეხმარება.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე, 9.

ტექნოლოგიური სინგულარობა გულისხმობს ადამიანების მომავალზე კონტროლის დაკარგვას ტექნოლოგიების, ნეირომეცნიერების ან ხელოვნური ინტელექტის გაჩენის კონტექსტში. როდემდე დარჩებოდა ე.წ. გაფართოებული არსება ადამიანად? ტექნოლოგიური სინგულარობა იმდენად ქაოტური პროცესია, რომ ძალიან ჰგავს ფსიქოლოგიურს და არსებობს იდეა, რომ ტექნოლოგიური სინგულარობისთვის ფსიქოპათიური ნივთიერებების მიღებით უნდა მოვემზადოთ, ეს თემა თითქოს ოლდოს ჰაქსლის „კუნძულის“ გაგრძელებაა. ინგლისელი ავტორი მეოცე საუკუნის დასაწყისში აგებდა ფსიქოდელოებით დამშვიდებული და გაბედნიერებული ადამიანების მოდელს.²⁰

თავის მხრივ, ტრანსჰუმანიზმის მიმდევრები თანხმდებიან, რომ ადამიანი განწირულია ცვლილებებისთვის; ტექნოლოგიური რევოლუციები კი აუცილებელია მისი კეთილდღეობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ის მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ხელოვნურ ინტელექტს ეხება. ტექნოლოგიების უკონტროლო განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს კაცობრიობის გადაშენება. თუმცა ტრანსჰუმანიტები იზიარებენ პროგრესის აუცილებლობის იდეასაც, გარკვეული სიფრთხილით: „ჩვენ ვცდილობთ გავაუმჯობესოთ საკუთარი თავი ფიზიკურად, ინტელექტუალურად და ფსიქოლოგიურად. ჩვენ ვაფასებთ ცოდნისა და გაგების მუდმივ სწრაფვას“²¹.

V. დასკვნა

21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე ევროპულ ლიტერატურაში დისტოპიური აზროვნებაში გამოვლენილია ადამიანის აქსიოლოგიური ან ფიზიკური ტრანსფორმაციის თავისებურებები, რაც ნათლად ჩანს ქართველი და ფრანგი ავტორების დისტოპიურ რომანებში. ეს თავისებურებებია – ადამიანის ტრანსჰუმანიზაცია მისი აზროვნების რეჟიმის და მისი არსის სტანდარტიზაციამდე; ცალკეული „არსების“ გაქრობის შედეგად ინდივიდუალობის დაკარგვა და მხატვრული ნაწარმოებებში ადამიანის წინააღმდეგობრივი ბუნების გამოხატვა.

ამრიგად, შედარებითი და ინტერდისციპლინური შესწავლის გზით, სხვადასხვა პერსპექტივებისა და მიდგომების გზაჯვარედინზე, იხატება მეცნიერების მიერ გაძლიერებული ახალი „ქმნილების“ პრობლემა, რომლის ყოვლისშემძლეობა ადამიანს ანუხებს, როგორც ფიზიკურ, ასევე მეტაფიზიკურ დონეზე, რადგან

²⁰ Huxley, 1958; Laurence, 2013, 105-126.

²¹ More, Vita-More (eds.), 2013, 14.

ახალი ქმნილების მორალური ბუნება საკუთარ თავთან და შესაბამისად, სხვებთან ურთიერთობას ფუნდამენტურად ცვლის.

თემატური პარალელები მიშელ უილბეკისა და ზურა ჯიშკარიანის რომანებში აჩვენებს, რომ ახალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერების მეშვეობით, კონსუმერიზმისა და მისი აღვირახსნილი ეგოს უღელში მყოფი პოსტმოდერნული ადამიანი ეძებს საბოლოო გამოსავალს, რათა შეცვალოს საკუთარი სხეული და გათავისუფლდეს ყოველგვარი მატერიალური სუბსტანციისგან.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- უელბეკი მ., ელემენტარული ნაწილაკები, გ. ეკიზაშვილის თარგმანი, თბილისი, 2021 [uelbek'i m., element'aruli nats'ilak'ebi, g. ek'izashvilis targmani, tbilisi, 2021]
- ჯიშკარიანი ზ., საღეჭი განთიადები, სუგარ ფრეე, თბილისი, 2017 [jishk'ariani z., saghech'i gantiadebi, Sugar free, tbilisi, 2017]
- ჯიშკარიანი ზ., სწრაფი ლამისიერი, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2022 [jishk'ariani z., sts'rapi ghamisieri, tbilisi, bak'ur sulak'auris gamomtsemloba, 2022]
- Dambuyant-Wargny G., La socio-esthétique, Toulouse, 2023
- Houellebecq M., Les Particules Élémentaires, Flammarion, 1998
- Huxley A., Brave New World Revisited, New York, 1958
- Laurence V., Klemperer, une résistance à la langue totalitaire, dans: L'incommunication, Édité par S. Lepastier, Paris, 2013
- Mayerhofer H., La conception de la nature humaine dans l'Antiquité, au Moyen Âge et chez Carl Menger, dans: Existe-t-il une doctrine Menger?, édité par G. Campagnolo, Presses universitaires de Provence, 2011
- Meidani A., La construction sociale du corps dans la seconde moitié du XXe siècle", dans: *Les fabriques du corps*, Toulouse, Presses universitaires du Midi, 2007
- Prost F., Wilgaux J. (eds), *Penser et représenter le corps dans l'Antiquité*, Rennes, 2006
- More M., Vita-More N. (eds), *Classical and Contemporary Essays on the Science, Technology and Philosophy of the Human Future*, Malden–Oxford–Chichester, Wiley, 2013

Ekaterine Chumburidze-Shetsiruli*

HUMAN TRANSFORMATION: FROM BODILY ALTERATION TO THE MODIFICATION OF HUMAN NATURE IN 21ST-CENTURY FRENCH AND GEORGIAN DYSTOPIAN LITERATURE

Abstract

The body, as a complex and multifaceted entity, represents a unique human experience and a significant way of expressing an individual's inner world. In literary studies, transformations of the body often coincide with shifts in human nature. Traditionally, the body was perceived as an element expressing suffering, degradation, or alienation; however, in contemporary literature, it no longer serves as a mere reflection of the soul, rejects transcendence, and remains a fragmented, disassembled object.

This article examines manifestations of dystopian thought in the context of human bodily transformation in the novels of Michel Houellebecq and Zura Jishkariani. Based on a comparative analysis, the study explores the impact of bodily changes on human nature and identifies the distinctions between the natural human and the scientifically modified individual.

Keywords: Dystopia, Transhumanism, Humanity, technology, Michel Houellebecq, Zura Jishkariani, Human body and Embodiment, Cloning, Transformation.

* PhD Candidate at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. <https://orcid.org/0000-0002-6605-7339>

ლევან გელაშვილი*

სამეცნიერო ფანტასტიკა, როგორც ლიტერატურული მოვლენა: თეორია, ისტორია, ინტერპრეტაციები

ქართული აკადემიური სივრცის ერთ-ერთ ნაკლებად გამოკვლეულ სფეროს სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით სამეცნიერო ფანტასტიკა როგორც ლიტერატურული ჟანრი, უკვე ათწლეულებია რაც ჩამოყალიბდა, ქართულ სამეცნიერო და ლიტერატურულ წრეებში მასზე მიმდინარე კვლევები რაოდენობრივად ძალიან მწირია. ეს წერილი ნაწილობრივ მიმოხილვითია და ამ დანაკლისის შევსებას ისახავს მიზნად.¹

ფანტასტიკის, როგორც ჟანრის ჩამოყალიბებამდე, რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები და ფილოსოფოსები მიღმურისა და მომავლის შეცნობის შესახებ თავიანთ თეორიულ ნაშრომებში მსჯელობდნენ. მაშინ, როდესაც ტექნოლოგიები არ იყო განვითარებული, ხალხისთვის ზღაპრები განიხილებოდა ფანტასტიკად ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. ფანტასტიკა ასევე კავშირდება მითოსთანაც. იდეას, რომელიც სამეცნიერო ფანტასტიკაში ახალია, ეკვივალენტური იდეა მოეძებნება მითოსში. ფანტასტიკა ანალიტიკურად იკვლევს, გადა-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი. <https://orcid.org/0009-0003-1592-5743>

¹ აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულში ამ ჟანრის მიმართ ინტერესის ზრდა შეინიშნება როგორც შემოქმედებით, ასევე სამეცნიერო დონეზე. 2014 წელს მწერალ ირაკლი ლომოურის ინიციატივით დაარსდა სამეცნიერო ფანტასტიკის მოყვარულთა კლუბი „ფანტასტი“, რომლის წევრიც ამ წერილის ავტორიც არის. აღნიშნულმა პლატფორმამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჟანრის პოპულარიზაციასა და კულტურული არქივის ფორმირებაში. კლუბის ფარგლებში გამოიცა ქართული ფანტასტიკის ანთოლოგია (ციფრული ვერსია, რედაქტორები ლევან გელაშვილი, ირაკლი ლომოური), ითარგმნა საერთაშორისო კლასიკოს ავტორთა ნაწარმოებები, ხოლო ირაკლი ლომოურის რედაქტორობით გამოიცა ლიტერატურული ჟურნალი „ფანტასტი – გზამკვლევი ფანტასტიკის სამყაროში“. აღნიშნული ჟურნალის სულ ოთხი ნომერი დაიბეჭდა და მიძღვნილი იყო როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორებისადმი (ნატო დავითაშვილის, რეი ბრედბერის, ჰერბერტ უელსისა და ჰოვარდ ლავკრაფტისადმი).

მიუხედავად არსებული სიმწირისა, ფანტასტიკის ჟანრი ქართულ აკადემიურ და ლიტერატურულ სივრცეში თანდათანობით იკრებს ძალას. მისმა სისტემატურმა შესწავლამ შეიძლება არა მხოლოდ განავითაროს ლიტერატურისმცოდნეობრივი დისკურსი, არამედ შექმნას ახალი პერსპექტივები კულტურულ ანალიზში, მით უმეტეს, ტექნოლოგიური პროგრესისა და მომავლის ინტერესის მზარდ ფონზე.

ამუშაებს და ინტერპრეტირებს მითოსურ იდეებს და მომავალში მათი განვითარების სხვადასხვა ვერსიას გვთავაზობს. სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთი აღიარებული თეორეტიკოსის დარკო სუვინის² აზრით, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრი ჩამოყალიბდა იმ ფიქციური ფორმებისგან, რომლებიც ადრეულ ლიტერატურაში გვხვდება. უმბერტო ეკო თავის წერილში: „სამეცნიერო ფანტასტიკის სამყარო“ წერს: „სამეცნიერო ფანტასტიკა გვევლინება, როგორც თანამედროვე სარაინდო რომანი, მაგრამ ციხე-სიმაგრისა და დრაკონების ნაცვლად, აქ გვხვდება კოსმოსური ხომალდები და უცხოპლანეტელი მონსტრები. უკვე უძველეს დროში ე. წ. რეალისტური პროზიდან იქმნება სტრუქტურულად შესაძლებელი დასაშვები სამყაროები, რადგან ნებისმიერი მოთხრობილი ამბავი, ძალიან რეალისტურიც კი, რა თქმა უნდა, ქმნის შესაძლებელ სამყაროს, რაკი ჩვენი სამყაროს რეალიებს და ჩვენს გამოცდილებას გამოსახავს“³.

სამეცნიერო მითები⁴ მეცნიერების მიღწევებს ეფუძნება და მათი განვითარება სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში ხდება. ამერიკელი მეცნიერი ივეტ კაპკი ამტკიცებს, რომ მერი შელის ფრანკენშტეინი მხოლოდ „მონსტრის“ ისტორია ან სამეცნიერო ფანტასტიკის სანყისი ტექსტი არ არის. იგი არის ეთიკური მოდელი, ნარატიული მითის სახით, რომელიც დღემდე გვასწავლის, როგორ უნდა მივიღოთ მეცნიერება, ტექნოლოგიები და მათ მიერ წარმოშობილი გარემო⁵.

ხშირად ადამიანური ოცნება რეალობის საზღვრებს სცდება – ფრენა, ტელეპორტირება, ლევიტაციის უნარი და სხვა, მარადიული ადამიანური ოცნებებია, რისი რაციონალურად ახსნა და რეალობად წარმოჩენა ფანტასტიკაშია შესაძლებელი. მწერალი აღწერს ამ მოვლენებს არა როგორც არარეალურს, არამედ როგორც სრულიად ბუნებრივ მოვლენას. ავტორები არა მხოლოდ ახალ ტექნოლოგიებზე მოგვითხრობენ, არამედ იმასაც გვაჩვენებენ, რა კულტურულ გარდაქმნებსა და ყოველდღიური ყოფის ცვლილებებს გამოიწვევს მათი დანერგვა.

² 1973-1980 წლებში იყო ჟურნალ Science-Fiction Studies-ის (შემდგომში Science Fiction Studies) რედაქტორი. მისი ნაშრომი – "Metamorphoses of Science Fiction: On the Poetics and History of a Literary Genre" (1979).

³ აქ და ყველგან ეკოს ციტატები მოტანილია წერილიდან: Eco, 1985, 126.

⁴ სამეცნიერო მითი – ნარატიული სტრუქტურა ან წარმოდგენები, რომლებიც შეფუთულია როგორც მეცნიერება, მაგრამ ფუნქციურად იმეორებენ მითოლოგიურ ფორმებს. დიდი აფეთქების თეორია (Big Bang) – შეიძლება განვიხილოთ როგორც თანამედროვე კოსმოგონიური მითი. არსებობს სხვა ტიპის სამეცნიერო მითებიც. მითი, რომ გალილეომ ტელესკოპით დაამტკიცა პელიოცენტრული მოდელი (ეს სიმარტივე არ ასახავს მაშინდელ დებატებს). მითი, რომ ნიუტონს ვაშლი დაეცა თავზე და ასე აღმოაჩინა გრავიტაცია – მეტაფორული გადამეტებაა. სამეცნიერო მითია, რომ მენდელეე-ვმა სიზმარში ნახა ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა და სხვა.

⁵ Koepke, 2019.

ფანტასტიკური ელემენტები ევროპულ ლიტერატურაში XVIII საუკუნიდან ჩნდება.⁶ ამ ჟანრის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი სამეცნიერო ფანტასტიკის პერიოდულმა გამოცემებმა შეიტანა.⁷ XIX საუკუნის ბოლოს, ტექნოლოგიურ

⁶ ისტორიულად რომ თვალი გავადევნოთ ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოებებს, ჟაკ კაზოს „შეყვარებული ეშმაკი“ (1776 წ.) ერთ-ერთ პირველ ფანტასტიკურ ნაწარმოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ასევე, სირანო დე ბერჟერაკის ნაწარმოებები ბრწყინვალედ ეწერება ფრანგული მითებსა და ტრადიციებში, ლეგენდებში, ჯადოსნურ ზღაპრებსა და დაუჯერებელ მოგზაურობაში.

ჯოზეფ ალტაირაკი, მარგარეტ სანკი, ჯეიმს დე მილე... ამ მკვლევრებისა და კრიტიკოსების აზრით, სირანო დე ბერჟერაკის ნაწარმოებები შეიცავს ელემენტებს, რომლებიც მოგვიანებით დამახასიათებელი გახდა სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრისთვის. მაგალითად, კოსმოსური მოგზაურობა, უცხო ცივილიზაციები და ფანტასტიკური ტექნოლოგიები. მკვლევრები ბერჟერაკს სამეცნიერო ფანტასტიკის წინამორბედად მიიჩნევენ არა მხოლოდ ფარანგულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც. მისი რომანები „მოგზაურობა სახელმწიფოში“ და „იმპერია მთვარის და მზის“, რომლებიც 1643 წელს გამოქვეყნდა, ნარმოადგენს ფართო გაგებით ფანტასტიკური იდეების კრებულს და სქემატურ სამეცნიერო ჰიპოთეზას. მის ნაწარმოებებში ვხვდებით მოლაპარაკე მანქანების, პარაშუტის და საფრენი აპარატის დაწვრილებით აღწერას. სირანომ პირველმა აღწერა კოსმოსური მოგზაურობა რაკეტული სისტემის აპარატის მეშვეობით.

მიუხედავად ამისა, უდიდესი განსხვავებაა თანამედროვე სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოებებსა და ბერჟერაკის შემოქმედებას შორის. ბერჟერაკის ნაწარმოებებში ადგილი ეთმობა ფილოსოფიური, რელიგიური, პოეტური თემების განსჯას, ასეთი წინასწარმეტყველური ნაწარმოებები სამეცნიერო ხარისხით ძალზე იშვიათია სამეცნიერო ისტორიულ ჟანრშიც.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო ფანტასტიკა პოპულარული ხდება. ალბერ რობიდის (1848-1926) პირველ ნიგნში (1879) სატიტულო გვერდზე საკმაოდ მოცულობითი ცნობაა: „ყველაზე არაჩვეულებრივი მოგზაურობა, სატურნის მცხოვრები ფარანდული, რომელმაც მოიარა ხუთი ან ექვსი სამყაროს ნაწილი და მსგავსი ქვეყნები ცნობილი და უცნობიც კი, თავად ჟიულ ვერნისთვის“. ამასთანავე, რობიდი იყო მხატვარიც და თავად ასურათებდა თავის ნიგნებს.

ფანტასტიკას მიმართავენ რეალისტი მწერლები: ანატოლ ფრანსი, კლოდ ფარერი და გი დე მოპასანი. ამ პერიოდში ჩნდებიან მწერლები, რომელთათვისაც ფანტასტიკა შეადგენს ძირითადი შემოქმედებით მოღვაწეობის ნაწილს: მაქს ბეგუენი, გუსტავ ლე რუჟი, გასტონ ლერუ, მორის ლებლანი, ჟოზე მოზელი. მეოცე საუკუნის მესამე მეოთხედში გამოჩნდნენ: რეი ბრედბერი, ფრენკ ჰერბერტი, ფილიპ დიკი, აიზეკ აზიმოვი, რობერტ ჰაინლაინი, კლიფორდ სიმაკი და სხვ. 30-50-იანი წლები ფანტასტიკის ოქროს ხანაა. ინგლისურენოვან ქვეყნებში ძალიან პოპულარული გახდა სამეცნიერო ფანტასტიკა. ამ პერიოდში ბევრი კლასიკური ნაწარმოები გამოიცა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ფენტეზის ბუმი იწყება, ტოლკინის შემდეგ ახალი სახელები გამოჩნდნენ – ურუ-სულა ლეგუინი, პოლ ანდერსონი, მაიკლ მურკოკი და სხვა. ამ პერიოდში განვითარდა ასევე კოსმოსური ოპერა და იუმორისტული ფანტასტიკა. ევროპაში, მაგალითად საფრანგეთში, თავდაპირველად სამეცნიერო ფანტასტიკის ერთგვარი მიუღებლობა იყო, თუმცა ბევრი ავტორი ცდილობდა, ძალები მოესინჯა ამ ჟანრში. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი იყო ანდრე მორუა. გამოჩნდნენ ასევე ქალი ფანტასტიკი მწერლებიც: ნოელ როჟე (ფსედონიმით ელენ პიტარ დუფურ), რომელმაც მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში გამოაქვეყნა რამდენიმე რომანი. არ შეიძლება, არ ვახსენოთ ჟორჟ სიმი, რომელიც მოგვიანებით მსოფლიომ ქრისტიან სიმენონის სახელით გაიცნო, ახალგაზრდობაში კი სამეცნიერო ფანტასტიკაში მოსინჯა ძალები. საფრანგეთის სამეცნიერო ფანტასტიკის ფუძემდებლებად ითვლებიან მორის რენარი, ჟოზეფ რონი-უფროსი და ჟან რეი.

⁷ XX საუკუნის 20-30-იან წლებში ამერიკაში სამეცნიერო ფანტასტიკის ნამდვილი აფეთქება ხდება. მის პოპულარიზაციაში უდიდესი წვლილი შეაქვთ ჟურნალებს, რომლებიც აქტიურად ბეჭდავენ ამ ჟანრის ნაწარმოებებს. სამეცნიერო ფანტასტიკის განვითარებას განსაკუთრებულად შუნყო ხელი ჟურნალმა „Amazing Stories“. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1926 წელს, რედაქტორი იყო ჰიუგო გერნსბეკი. გერნსბეკმა თავდაპირველად შემოიტანა ტერმინი „scientifiction“ (science + fiction), რო-

წინსვლასთან ერთად, ინტერესი ფანტასტიკის მიმართ გაიზარდა. ახალმა ტექ-

მელსაც იყენებდა ჯერ კიდევ 1926 წელს, "Amazing Stories"-ის პირველ ნომერში. ხოლო ტერმინი "science fiction" გერსნბეკმა დააფიქსირა 1929 წელს, ჟურნალ "Science Wonder Stories"-ის რედაქციულ წერილებში.

ტერმინი „მყარი სამეცნიერო ფანტასტიკა“ ("Hard Science Fiction") პირველად გამოყენებული იყო ლიტერატურულ რეცენზიაში Schuyler Miller-ის მიერ, 1957 წელს, ჟურნალ "Astounding Science Fiction"-ში, თებერვალის ნომერში.

პერბერტ უელსი (H.G. Wells) საკუთარ ნაწარმოებებს უფრო ხშირად "scientific romances"-ს უწოდებდა, რაც განსხვავდება დღევანდელი "hard SF"-ის ცნებისგან.

"Science Fiction"-ის ქართული თარგმანი: „სამეცნიერო ფანტასტიკა“, არ არის ზუსტი თარგმანი, თუმცა ორივე ტერმინი ერთი მნიშვნელობით იხმარება და ერთი სახის ნაწარმოებებს გულისხმობს. სიტყვათშეთანხმება "Science Fiction" სიტყვასიტყვით გულისხმობს სამეცნიერო მხატვრულ გამოგონებას, ან მხატვრულ გამონაგონს მეცნიერების შესახებ. "Fiction"-ს კი საზოგადოდ, მხატვრული ლიტერატურის, „ბელეტრისტიკის“ მნიშვნელობით ხმარობენ. ფრანგულში, გერმანულში და სხვა ევროპულ ენებში, გამოიყენება ნასესხები, ინგლისური დასახელება: „სამეცნიერო ფანტასტიკა“. ზოგადად კი, ფანტასტიკის გადმოსაცემად იყენებენ ქართულის ანალოგიურ შესატყვისს – ფანტასტიკა. ფრანგული: "Fantastique", გერმანული: "Phantastik", ესპანური: "Fantastico".

ამერიკაში მეორე მსოფლიო ომამდე და შემდგომაც სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის მრავალი ლიტერატურული ჟურნალი გამოიცემოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ამ ჟანრის პოპულარიზაციას. ჟურნალი „სამეცნიერო ფანტასტიკა“ (Science Fiction) ერთ-ერთი უძველესი ამერიკული ჟურნალია, რომელიც დღემდე გამოიცემა და ეძღვნება ფენტეზის და სამეცნიერო ფანტასტიკას. ჟურნალის იდეა ამერიკელმა რედაქტორმა ფრენსის მაკომასიმ და კრიტიკოსმა და მწერალმა ენტონი ბუჩერმა შესთავაზეს "Mystery House"-ის გამომცემლობას. ისინი რამდენიმე წელი ეძებდნენ გამომცემელს.

პირველი ნომერი "The Magazine of Fantasy & science Fiction", შემდეგი ნომრებისგან განსხვავებით, შეზღუდული თემატიკით გამოვიდა 1949 წლის ოქტომბერში. მისი ტირაჟი ათას ეგზემპლარს შეადგენდა. ამერიკის გარდა, 1953-1964 წლებში ჟურნალი გამოდიოდა დიდ ბრიტანეთში (67 ნომერი), ხოლო 1954-1958 წლებში – ავსტრალიაში (14 ნომერი).

1958 წლის ნოემბრიდან 1992 წლის თებერვლამდე სულ 399 ნომერში სპეციალურ რუბრიკაში იბეჭდებოდა აიზეკ აზიმოვის სამეცნიერო პოპულარული სტატიები. მწერლის გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე შეწყდა ამ რუბრიკის არსებობა, აზიმოვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

1962 წლიდან ჟურნალმა სპეციალური გამოშვების ტრადიცია დანერგა, რომლის თანახმად, ჟურნალის მთლიანი ნომერი ამ ჟანრის რომელიმე ცნობილ ავტორს ეძღვნება.

1968 წელს გამოცემაში Pyramid books-სთან ერთად ჟურნალმა დააარსა და ორგანიზება გაუკეთა კონკურსს – საუკეთესო ფანტასტიკური რომანი. პირველი ადგილი და მთავარი პრიზი 5000 დოლარი მოიგო მწერალმა ენტონი პირსმა, რომელმაც დაწერა რომანი: „სოს მეტსახელად თოკი“ ("Sos the Rope").

1987 წელს ჟურნალმა ისევ შეიცვალა სახელწოდება და ეწოდა: "Fantasy & Science Fiction".

1949 და 1950 წლებში შემოდგომის ბოლო ნომრის ჩათვლით, ჟურნალი გამოდიოდა ოთხ თვეში ერთხელ. 1950 წელს დაიწყო ჟურნალის ორ თვეში ერთხელ გამოცემა, ხოლო 1952 წლიდან კი ყოველ თვე გამოდიოდა. 2009 წლიდან ჟურნალი ორ თვეში ერთხელ გამოდის, 10% პროცენტის დანაკარგით.

1950-51 წლებში ჟურნალის მხატვრული დირექტორი გახლდათ ჯორჯ სალტერი, რომელმაც შექმნა მისი ყველა გარეკანი. მუშაობის პროცესში ის ეყრდნობოდა სურეალისტურ წარმოსახვას.

1952 წლიდან ჟურნალს შეუერთდა მხატვარი ედ ემსვილერი, რომელიც სამი ათეული წელი ქმნიდა მის ილუსტრაციებს. ამ მხატვარმა მთელი ეპოქა შექმნა Science Fiction-ის ილუსტრაციების ისტორიაში.

2005 წლამდე ჟურნალის ილუსტრაციებზე მუშაობდნენ მხატვრები: Ron Walotsky (60), David A. Hardy (56), Chesley Bonestell (42), Mel Hunter (32), Barclay Shaw (24), Jill Bauman (23), Jack Gaughan (21), Kent Bash (17) e Bryn Barnard (14).

უაღრესად საინტერესოა Jack Coggins-ის ილუსტრაციები, რომელიც ასევე 1953-54 წლებში თანამშრომლობდა ჟურნალთან. მას ეკუთვნის ასევე "Galaxy Science Fiction"-ის და "Thrilling Wonder Stories"-ის გარეკანის ყდები.

ნოლოგიებმა შექმნეს მომავლის პროგნოზირების ვერსიებიც, რაც მწერლობაში ფანტასტიკის ჟანრის ძირითად თემებად აისახა.⁸ ბრიტანელი მწერალი და მეცნიერი ადამ რობერტსი ამტკიცებს, რომ ფანტასტიკის ისტორია მხოლოდ მეცხრამეტე-ოცდამეერთე საუკუნეების ლიტერატურულ ჟანრს არ წარმოადგენს, არამედ მას აქვს ღრმად ფესვგადგმული ინტელექტუალური და კულტურული წინაპირობები, რომლებიც სათავეს იღებს ანტიკური ეპოქიდან. ავტორისთვის სამეცნიერო ფანტასტიკა არის იდეების ლიტერატურა, სადაც ტექნოლოგია და მეცნიერება მხოლოდ ფონია, ხოლო მთავარი ღირებულება არის ადამიანის აზროვნების, წარმოდგენისა და საზოგადოების ტრანსფორმაციის კვლევა. მეცნიერი ფანტასტიკას განიხილავს ფილოსოფიის და კულტურის განვითარების თანმდევ პროცესად. რობერტსი ავითარებს აზრს, რომ ფანტასტიკა ყველაზე კარგად აჩვენებს თანამედროვე სამყაროს ტექნოლოგიური ცივილიზაციის შიშებს, იმედებსა და წინააღმდეგობებს⁹.

სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრული ტიპოლოგია და ანალიზი

დარკო სუვინის მიხედვით, სამეცნიერო ფანტასტიკა იწყება ჰიპოთეზით, novum-ით. სუვინი ამ ტერმინით აღნიშნავს **ახალ ფენომენს ან გამოგონებას**, რომელიც ფანტასტიკის მთავარ ინოვაციურ ელემენტს ქმნის. მაგალითად, დროის მანქანა, კიბერნეტიკული ცნობიერება, უცხოპლანეტელი რასა – ეს ყველაფერი novum-ებია, რომლებიც სამეცნიერო ფანტასტიკის სამყაროს აყალიბებენ.

სუვინი ამტკიცებს, რომ სამეცნიერო ფანტასტიკა ყოველთვის ირეკლავს და იკვლევს რეალური საზოგადოების სტრუქტურებს, იდეოლოგიას და ტექნოლოგიურ განვითარებას. ამდენად, არა მხოლოდ წარმოსახვითი ჟანრია, არამედ პოლიტიკური და სოციალური კომენტარის ფორმაც. სუვინი მკაფიოდ განასხვავებს სამეცნიერო ფანტასტიკას და ფენტეზის. მეცნიერი განმარტავს, რომ ფენტეზის სამყარო მაგიისა და ზებუნებრივი კანონებით იქმნება, მაშინ როცა სამეცნიერო

ჟურნალი "The Magazine of Fantasy & science Fiction" ჰიუგოს პრემიის რვაგზის ლაურეატია საუკეთესო პროფესიული ჟურნალის ნომინაციაში. ცალკე აღნიშვნის ღირსია ჟურნალის მთავარი რედაქტორები ედვარდ ფერმანი და ქრისტინ კეტრინ რაში, რომლებიც „ჰიუგოს“ ლაურეატები გახდნენ საუკეთესო პროფესიონალი რედაქტორის ნომინაციაში.

ჟურნალი 22-ჯერ გახდა „ლოკუსის“ პრემიის ლაურეატი ნომინაციაში საუკეთესო ჟურნალი.

ამ გამოცემაზე ყურადღება იმიტომ შევაჩერეთ რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და რეიტინგული ჟურნალი იყო რომელმაც დიდი როლი ითამაშა სამეცნიერო ფანტასტიკის როგორც ჟანრის განვითარებაში.

⁸ ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა იხ., Roberts, 2016; Alkon, 2010; Newton (ed.), 2022.

⁹ Roberts, 2016.

ფანტასტიკა თავის წარმოსახვით სამყაროს გონივრულ, მეცნიერულად შესაძლო კანონებზე დაფუძნებით ქმნის¹⁰.

ამერიკელი მწერალი და ლიტერატურის თეორეტიკოსი კარლ ფრიდმანი აღნიშნავს, რომ სამეცნიერო ფანტასტიკას აქვს ისტორიული ცვალებადობის, მატერიალური განსაზღვრადობისა და უტოპიური შესაძლებლობებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება¹¹. სამეცნიერო ფანტასტიკის კონსტიტუციური საფუძველი არარეალურის დაშვებაა, რომელიც სხვადასხვა ფორმით შეიძლება წარმოჩნდეს. სწორედ ამგვარი განსხვავებული დაშვების რაგვარობა განაპირობებს ჟანრის მრავალრიცხოვან განმარტებებსა და სუბჟანრულ სტრუქტურას.

ამერიკელი ლიტერატურის კრიტიკოსი, ფილოსოფოსი და მარქსისტული პოლიტიკური თეორიის მკვლევარი ფრედერიკ ჯეიმსონი მიიჩნევს, რომ სამეცნიერო ფანტასტიკა არ არის მხოლოდ გასართობი, არამედ მოსალოდნელი სოციალური ცვლილებების ინტელექტუალური ლაბორატორია, სადაც ექსპერიმენტულად გამოკვლეულია შესაძლო სოციალური ფორმები – ტექნოლოგიური, პოლიტიკური და ეთიკური მოდელები. იგი განიხილავს ფანტასტიკას როგორც უტოპიური ფიქრის ფორმას, რომელიც აყალიბებს და ასახავს საზოგადოების კოლექტიურ სურვილებს – იმას, რასაც ადამიანები მომავალში ისურვებდნენ. ჯეიმსონის აზრით, მომავლის წარმოდგენა ყოველთვის ეფუძნება ამჟამინდელი სოციალური სტრუქტურების გადაკეთებას. ამიტომაც ყველა ფანტასტიკური სამყარო გარკვეულწილად წარმოადგენს ამჟამინდელი საზოგადოების „არასრული უკუღმართი ასახვის“ ფორმას და აჩვენებს, რას ვერ ვაკეთებთ ან რას ვერ წარმოვიდგენთ დღეს. ამგვარად, მეცნიერის აზრით, ფანტასტიკა პირდაპირ არ წინასწარმეტყველებს მომავალს, არამედ გვიჩვენებს ჩვენს აწმყოს, ტრანსფორმირებული და გადატანილი ფორმით.¹² ჯეიმსონისთვის სამეცნიერო ფანტასტიკა წარმოადგენს იდეოლოგიური სტრუქტურებისა და წინააღმდეგობების გამომჟღავნების საშუალებას, რომლებიც საფუძვლად უდევს გვიანდელი კაპიტალიზმის, გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური ცვლილებების კრიზისებს.

თუმცა ტექსტში მხოლოდ არარეალისტური ელემენტების გაჩენა ვერ გახდის მას ფანტასტიკურს. ჟანრის კლასიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ჟანრული საზღვრების ჩამოყალიბება. საჭიროა, გაირკვეს, ფანტასტიკური ჟანრის გამომხატველი ელემენტების ფუნქცია ტექსტში. როდესაც ფანტასტიკური დაშვება არის ძირითადი სტრუქტურის გამომხატველი პრინციპი, მაშინ უკვე შესაძლებე-

¹⁰ Suvin, 1979.

¹¹ Freedman, 2000.

¹² Jameson, 2005.

ლია ამ თხზულების ფანტასტიკის ჟანრისთვის მიკუთვნება. სხვა შემთხვევაში, სამეცნიერო ლიტერატურაში¹³ იყენებენ ტერმინს: „ფორმალური ფანტასტიკა“. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება სხვა ჟანრებს, რომლებშიც ფანტასტიკური დაშვება დამატებითი დამხმარე ელემენტია, რათა თავისი ჩანაფიქრი გადმოსცეს ავტორმა. ეს ელემენტი არ ახდენს ძლიერ გავლენას იდეასა და სიუჟეტზე. ამდენად, არსებობს ფანტასტიკა-მიზანი და ფანტასტიკა-საშუალება. წლების განმავლობაში, ეს ორი კონცეფცია ფანტასტიკის ჟანრის განმსაზღვრელი იყო. ამ კონცეფციებმა ჩამოაყალიბა ორი შეხედულება. პირველი, რომ ფანტასტიკა არის ხელოვნების და ლიტერატურის ჟანრი. ხოლო მეორე შეხედულებით, ფანტასტიკა არის მხოლოდ მხატვრული ხერხი და მეთოდი ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ზოგი მკვლევარი აერთიანებს ამ ორივე მიდგომას. ბრიტანელი მეცნიერი მენდლსონი თავის კვლევაში¹⁴ გვიჩვენებს, რომ ფანტაზია არის ნარატიული ურთიერთქმედება ზეზუნებრივთან და ფანტაზიის გაგება უნდა დავაფუძნოთ ნარატიულ სტრატეგიებზე.

ამერიკელი მეცნიერი ბრაიან ეთებერი კი ამტკიცებს, რომ ფანტაზიის განსაზღვრა შეუძლებელია მკაცრი საზღვრებით, მეცნიერის მიზანი უნდა იყოს აჩვენოს, რა სტრატეგიებით ქმნიან მწერლები ფანტასტიკურ ეფექტს. ეთებერი განასხვავებს ფანტასტიკის „კანონიკურ“ და „პერიფერიულ“ ტექსტებს¹⁵.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმის შესახებ, რა შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო ფანტასტიკად. თითქმის ყველა თანხმდება,¹⁶ რომ სამეცნიერო ფანტასტიკა, როგორც ლიტერატურის ჟანრი, დაფუძნებულია სამეცნიერო საზღვრების შიგნით არსებული მოცემულობის დაშვებაზე: ახალ გამოგონებაზე, ბუნების ახალი კანონის აღმოჩენაზე, საზოგადოების ახალი მოდელის შექმნაზე და სხვა. სამეცნიერო ფანტასტიკაში მოვლენები ერთი სამეცნიერო იდეის გარშემო ლაგდება: დროის მანქანა, სინათლის სიჩქარეზე სწრაფი გადაადგილების საშუალება და სხვა. ჟანრის სათავეში ჟიულ ვერნი და ჰერბერტ უელსი დგანან.

როგორც აღვნიშნეთ, ფანტასტიკა, დაკავშირებულია არარეალურთან, ისეთ საგან-მოვლენებთან, რაც რეალობის საზღვრებში ვერ ექცევა, თუმცა სწორედ აქ

¹³ Fredericks, 1978.

¹⁴ Mendlesohn, 2008.

¹⁵ Attebery, 1992.

¹⁶ Suvin, 1978; Feng, Liu, 2023; Definitions of SF, <<https://jpellegrino.com/teaching/sf-definition.html>> [10.09.2025]; Definitions of Science Fiction, <<https://www.billstifler.org/sff/index.htm>> [10.09.2025]; Science Fiction, <<https://www.britannica.com/art/science-fiction>> [10.09.2025]; Science Fiction, <<https://www.encyclopedia.com/literature-and-arts/language-linguistics-and-literary-terms/literature-general/science-fiction>> [10.09.2025]

ჩნდება საკვანძო კითხვა: რა არის რეალობა ლიტერატურულ ტექსტში? როგორ განისაზღვრება ავტორის მხატვრულ ხედვასა და მკითხველის აღქმაში?

რეალობა ადამიანისათვის ისაა, რაც სენსორული აღქმის საშუალებით, ემპირიულად მიენოდება ცნობიერებას, თუმცა ონტოლოგიურ დონეზე რეალობის ბუნება შესაძლოა რადიკალურად განსხვავდებოდეს. სამეცნიერო ფანტასტიკა ხშირად ისწრაფვის ამ მიღებული განზომილების ინტერპრეტაციისკენ, რომლებიც ადამიანური გამოცდილებისა და წარმოსახვის საზღვრებს სცილდება. ამგვარად, ფანტასტიკა შეიძლება განიმარტოს როგორც რეალობის დარღვევის სულიერი და სიმბოლური ეკვივალენტი, რომელიც გამოგონილ, ემოციურად დატვირთულ ნარატივში ასახავს სამყაროს და მისი შეცნობის ალტერნატიულ გზას. ლოსევი ესეში „დუმილი“ წერს: „რეალობად“ დადგინდა მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც შეგრძნებათა ორგანოებისთვის მისაწვდომია. ყოველი საგნის ღირებულება, იმ უნარით განისაზღვრება, რომლითაც იგი ხელშესახებ შედეგებს იძლევა“¹⁷.

უმბერტო ეკო სამეცნიერო ფანტასტიკაზე მსჯელობისას¹⁸ აღნიშნავს, რომ რეალისტური მოთხრობა ყოველთვის ეყრდნობა კონტრაფაქტურულ პირობით ბაზისს. რეალისტური პროზა მუშაობს კონტრაფაქტურულ პირობაზე: რა იქნებოდა, რომ ბიოლოგიურ სამყაროში ყოფილიყო კოსმოლოგიური და სოციალურად მსგავსი ამბავი, რომელიც სინამდვილეში არ მომხდარა, მაგრამ ამასთანავე არ უარყოფს ამ სამყაროს ლოგიკას.

ეკო ფანტასტიკურ პროზას რეალისტურისგან ასხვავებს იმით, რომ შესაძლებელი სამყარო სტრუქტურულად განსხვავდება რეალისტურისგან. იგი ტერმინ სტრუქტურალურს იყენებს ძალიან ფართო გაგებით, ის შეიძლება მიეკუთვნოს როგორც კოსმოლოგიურ სტრუქტურას, ასევე სოციალურს.

ეკოს აზრით სამეცნიერო ფანტასტიკა რამდენიმე სხვადასხვა განვითარების ვარიანტს მოიცავს:

1. ალოტოპია. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ჩვენი სამყარო ისეთი არ არის როგორიც სინამდვილეშია. მასში ის ხდება, რაც საერთოდ არ არსებობს – ცხოველები საუბრობენ, სასწაულმოქმედი ქალღმერთები ჩნდებიან... ამ სახით, ალოტოპია ქმნის ალტერნატიულ სამყაროს და წარმოგვიდგენს მას, როგორც რეალურ სამყაროზე უფრო ნამდვილს – იმ დონემდე, რომ ფანტასტიკური სამყარო ერთადერთად და რეალურად წარმოგვიდგება. ეს ისეთი მდგომარეობაა, რომ მკითხველი ამ შემთხვევაში აღარ ინტერესდება მოცემული სამყაროს რეალურ სა-

¹⁷ ლოსევი, 1993, 53.

¹⁸ Eco, 1985.

მყაროსთან შედარებით. ეკო არ გამოიყენებს ალოტოპიაში ზღაპრების გაერთიანებასაც.

2. უტოპია. თქვენ შეგიძლია წარმოიდგინოთ რომ თქვენს მიერ აღწერილი შესაძლებელი სამყარო პარალელურია ჩვენივე სამყაროსთან და სადღაც არსებობს, თუმცა დამალულია ჩვენგან. ამ სამყაროს შეძლებოდა ეარსება წარსულში ან არსებობს ახლაც, სადღაც განცალკევებულ, შორეულ ადგილას. ის წარმოადგენს იმას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რეალური სამყარო.
3. უქრონია. უტოპია შეიძლება გადაიქცეს უქრონიადაც, სადაც იქმნება ახალი პირობა: რა იქნებოდა რომ ისტორიულად მომხდარი ფაქტი სხვაგვარად განვითარებულიყო და მომხდარიყო. უქრონია ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით საინტერესოა და მომხდარი ამბის უკეთესად გააზრების საშუალებას იძლევა.
4. მეტატოპია და მეტაქრონია. შესაძლებელია ახლანდელი რეალური სამყარო წარმოადგენდეს მომავლის განვითარების ფაზას. სტრუქტურული ძალით განსხვავდება **რეალური** შესაძლებელი სამყაროსაგან. შესაძლებელი ზუსტად იმიტომ, რომ ტრანსფორმაცია, რომელსაც ის ექვემდებარება მხოლოდ რეალური სამყაროს განვითარებას ეფუძნება.

ეკოს მოჰყავს პირის მაგალითი: პეშვი თეთრი ლობიო მაგიდაზე და გვერდით მდგარი ტომარა. დედუქციური მეთოდი გვაფიქრებინებს რომ ტომარაში თეთრი ლობიოა, რომელიც მაგიდაზე გაჩნდა ამავე ტომრიდან. რომ ტომარაში სავარაუდოდ ლობიოს მარცვლები ყველა თეთრია.

მეცნიერი წამოწევს ჰიპოთეზას – რომელიც ჯერ უნდა შემოწმდეს და გამოცადოს. თუ რეალური სამყარო შესაძლებელი სამყაროს და ჰიპოთეზის ანალოგიურია, მაშინ ის აღმოჩნდება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე წარმოდგენილი იყო უფრო ადრე. მაგრამ იქამდე, სანამ მეცნიერი შეამოწმებს მის მიერ წარმოდგენილ კანონს, ის რჩება სამყაროს სტრუქტურული შესაძლებლობის კანონად. ამ არსით, ნებისმიერ სამეცნიერო კვლევას საფუძვლად უდევს განაწილებული სამეცნიერო ფანტასტიკური თამაში (ეკო გულისხმობს არამხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, არამედ ფსიქოანალიტიკის ჰიპოთეზებს, დეტექტივს, ფილოლოგიას და ისტორიას) და პირიქით, ნებისმიერი ფანტასტიკური თამაში, თავის მხრივ წარმოადგენს განსაკუთრებულ თამამ სამეცნიერო ჰიპოტეზურ ფორმას. მეცნიერება შედეგს რეალური სამყაროდან იღებს, მაგრამ იმისთვის, რომ ახსნას ის, ახდენს კანონის ფორმირებას, რომელსაც იმ მომენტში აქვს მხოლოდ პარალელური სამყაროს ძალა. ფანტასტიკა კი ახდენს სანინააღმდეგო ოპერაციას. თუ დავუბრუნდებით ლობიოს მაგალითს, მაშინ ის ცარიელი მაგი-

დიდან უნდა გადახტეს და მოახდინოს ფორმულირება შემდეგი კონტრაქტუალური პირობით: „რა იქნებოდა, რომ მაგიდაზე ყრილიყო ერთი მუჭა თეთრი ლობიო?“ (ან წარმოვიდგინოთ რომ მაგიდაზე ჯგროდ მწვანე ადამიანები არიან) სხვანაირად რომ ვთქვათ, სამეცნიერო ფანტასტიკა არ ემიჯნება ფაქტიურ შედეგს, არამედ წარმოადგენს კონტრაქტუალურ რეზულტატს. ის არ არის ვალდებული, მოიგონოს ახალი, უხილავი კანონი, რომელსაც თითქოს ახსნიდა, მას შეუძლია შეეცადოს, განმარტოს შესაძლო რეალური კანონის შედეგი. იმ დროს, როცა მეცნიერება ხსნის რეალურ შედეგს შესაძლო კანონით, სამეცნიერო ფანტასტიკა გვერდს უვლის შემოწმებას და ვერიფიკაციას. ერთის მხრივ, მეცნიერები იღებენ სარგებელს სამეცნიერო ფანტასტიკის ჰიპოთეზიდან და, მეორეს მხრივ, მწერალი ფანტასტები არც ისე იშვიათად აღნიშნავენ (ზოგი მწერალი მეცნიერიც იყო ან ჰქონდა სამეცნიერო ტექნოლოგიური ცოდნა), რომ შეძლეს წინასწარმეტყველება იმისა, რაც მოხდა სინამდვილეში.

ეკოს თქმით, „სამეცნიერო ფანტასტიკა არის მეცნიერების და ფანტაზიის შეხვედრის ადგილი. მწერალი ფანტასტი – ეს არის უბრალო, წინდაუხედავი, არაფრთხილი მეცნიერი. სამეცნიერო ფანტასტიკა გვახსენებს ჩვენ, რომ გამოგონების დინამიკა ხელოვნებაში და მეცნიერებაში უმრავლეს შემთხვევაში მსგავსია: როგორც მხატვარი მუშაობის პროცესში წინასწარ განჭვრეტს შესაძლო მთლიანობას, რომელსაც ქმნის, თუმცა არსებითად თავის მუშაობით დებს ფსონს თავის სტრუქტურული ჰიპოთეზის წარმატებაზე. ასეა მეცნიერიც, რომ მოახდინოს ნამდვილი კანონის ფორმულირება, უნდა გამოსცადოს თავისი ესთეტიკური ტალანტი, ლოგიკურობა და დახვეწილი ფორმები. უნდა ვივარაუდოთ, რომ სამყაროც არის მხატვარი და რეალობა ერთხელაც დაასაბუთებს მის ჰიპოთეზას“.

სემიოლოგს, ლიტერატურათმცოდნეს და კულტუროლოგს იური ლოტმანს აინტერესებს არა ის, თუ რა მიზნით არის ფანტასტიკური ფუნქცია ტექსტში, არამედ ფანტასტიკის მორფოლოგია – რაში მდგომარეობს და როგორ მუშაობს ფანტასტიკის მექანიზმი ტექსტში¹⁹. „თუ ჩვენ წარმოვიდგენთ ობიექტს, რომელიმე ტექსტის ნულოვან დონეზე, ჩვენი მნიშვნელობა ამ ობიექტზე შეიძლება იყოს გაგებული, როგორც ამ ტექსტის მიერ ხელახლა დეკოდირება იმავე სისტემის მინიშნებით ჩანაწერში“. ლოტმანს მოჰყავს ასეთი მაგალითი: რუკა, როგორც პროექტირებული მოდელი, წარმოადგენს რეალური რელიეფის დეფორმაციას. მეორეს მხრივ რუკა არის ინსტრუმენტი რეალური რელიეფის შესამეცნებლად. ზუსტად ანალოგიურად, ხელოვნება წარმოადგენს ცხოვრების შემეცნების საშუა-

¹⁹ Лотман, 1970, 285-287.

ალებას, ის ყოველთვის ცხოვრების დეფორმაციაა. ლოტმანი ასეთი დეფორმაციისას არსებით კანონზომიერებებს გამოყოფს. ობიექტის არეკვლა ხელოვნებაში, მისი გადაკოდირება მხატვრული ტიპის ნიშნურ ტექსტებში, გაგებულია როგორც იზომორფიზმი. გამოსახვის ობიექტის თითოეული ელემენტი მოიაზრება, როგორც ელემენტების სიმრავლე და ამ სიმრავლეში თითოეულს შეესაბამება თავის შესატყვისი ანაბეჭდი. ლოტმანი აღნიშნავს, რომ დეფორმაცია არსებითია ტექსტისთვის და ის პირობითობისგან არის ნაკარნახევი. ობიექტის იზომორფული ასახვა, ავტომატიზირებულია და კოლექტივის შეგნებაში არსებულ წესს ემორჩილება. ლოტმანის აზრით, პირობითობისაგან ნაკარნახევი დეფორმაცია არსებითია ყველა ტექსტებისათვის, მაგრამ უნდა განვასხვაოთ ფანტასტიკის კვლევისას. ობიექტის იზომორფული ასახვა შეიძლება ავტომატიზირებული იყოს ტექსტში. მხატვრულმა ტექსტმა რომ შეასრულოს შემეცნებითი ფუნქცია, აუცილებელია დაიცვას კოლექტივის შეგნებაში შესაბამისობის წესი.

ლოტმანი დეფორმაციის ორმაგ ბუნებას აღწერს: 1. თითოეულ ელემენტს, რომელშიც არის ელემენტების სიმრავლე, შეესაბამება სხვა ობიექტის არეკვლა. ყველა ელემენტისთვის მოცემული სიმრავლე ერთი და იგივეა. არეკლილი განისაზღვრება მრავალი მნიშვნელობით, ობიექტი წარმოგვიდგება, როგორც ერთობა, რომელსაც აქვს ინვარიანტული სტრუქტურა ელემენტების თანხვედრით; 2. დეფორმაციის სხვა შემთხვევაში – იზომორფიზმი გააზრებულად, შეგნებულად ირღვევა. ელემენტების ურთიერთობა რომ გამოსახოს, ობიექტი არეკვლაში იღებს განსაკუთრებულ თავისუფალ წესებს – განსაკუთრებული რეგულაციებით. ეს დაძაბულობა, რომელიც შეიქმნა მომლოდინე და რეალურ არეკვლილ სტრუქტურაში, ქმნის ზოგიერთ დამატებით მოდელირებულ აქტივობას. ზუსტად ეს გადაკოდირება – წესების დარღვევა ქმნის მის მოდელირებულ არაავტომატიზირებულ ფუნქციას. ასეთი არეკვლის სიმრავლის ხარისხში, აღრევა შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ფანტასტიკა. ინვარიანტული სისტემებიდან გადახრა არის მხატვრულად აქტიური.

ლოტმანს თვალსაჩინოებისათვის მოჰყავს „გულიერის მოგზაურობა“, სადაც გმირის სიმაღლე და მისი გარშემომყოფების სიმაღლე, ლილიპუტების ქვეყანაში დარღვეულია. გმირი აღმოჩნდება გიგანტი და ეძლევა შესაძლებლობა, რეალიზება გაუკეთოს თავის სიმაღლეს. როდესაც მოხვდება გიგანტებში, თვითონ აღმოჩნდება ლილიპუტი. ამგვარად, აღრევა ისევ გრძელდება, ოღონდ ახლა სხვა მხარეს არის გადახრილი. ხოლო რომანის ფინალში – მთავარი გმირი ადამიანებში დაბრუნდება, სადაც აღიდგენს თავის ბუნებრივ სიმაღლეს. ურთიერთობის ინვარიანტული სქემა აღდგება. ამრიგად, ლოტმანი ასკვნის რომ ობიექტის არეკვლის

პირობითობა ტექსტებში, მიიღება როგორც ბუნებრივი წესი და მისი დარღვევა კი – როგორც ფანტასტიკა.

ფანტასტიკა რეალიზდება ტექსტში, როგორც პირობითი ნორმის დარღვევა. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვეჯახებით ორსაფეხურიან მოდელს: ერთი გვაძლევს მიღებული პირობითი ნორმების შესაბამისობას, მეორეში კი ხდება შესაბამისობის დარღვევა და ამიტომ ტექსტში ფანტასტიკური სიუჟეტის შექმნის მექანიზმი იბადება.

ცვეტან ტოდოროვი, რომელმაც პირველი სამეცნიერო ნაშრომი დაწერა ფანტასტიკის შესახებ და ჩამოაყალიბა სისტემა დეფინიციისთვის, მიიჩნევს რომ ფანტასტიკის ჟანრის ტექსტში ერთდროულად თანაარსებობს ორი რეალობა – ზებუნებრივი და ბუნებრივი, რომლებიც გამოირიცხავენ ერთმანეთს. „ფანტასტიკური არსებობს, სანამ ნარჩუნდება ეს თავდაუჯერებლობა; როგორც კი თქვენ ირჩევთ ამა თუ იმ პასუხს, თქვენ ტოვებთ ფანტასტიკის სფეროს და შედიხართ მეზობელი ჟანრის კიდეზე. ეს არის ადამიანის მერყეობა, რომლისთვისაც ცნობილია მხოლოდ ბუნების კანონი, როდესაც ის აკვირდება მოვლენას, საოცრებებს და სასწაულებს ხედავს. ფანტასტიკა განისაზღვრება რეალური ურთიერთობების გაგებასთან და წარმოსახვასთან.“ ამგვარად, ტოდოროვისთვის ფანტასტიკა შინაგანი გადაწყვეტილების წერტილამდე მისვლის მერყევი ბუნებაა. როგორც კი არჩევანი რომელიმე რეალობის სასარგებლოდ გაკეთდება, ტექსტი ტოვებს ფანტასტიკის ჟანრის საზღვრებს.

ტოდოროვი გამოყოფს: წმინდა საშინელს, როცა მოვლენები რაციონალურ ახსნას ექვემდებარება, მაგრამ მაინც დაუჯერებელი და შემაშფოთებელია; ფანტასტიკურ საშინელს – ზებუნებრივ მოვლენას ბუნებრივი ახსნა ეძებნება მოცულების, თრობის, სიგიჟის ან ზმანების სახით; ფანტასტიკურ საოცარს – ზებუნებრივი რეალობის არსებობა ეჭვქვეშ არის, თუმცა ფინალში მისი არსებობა უდავოა; წმინდა საოცარს – წმინდა საოცარში გულისხმობს ზღაპრის მსგავს საყაროს, სადაც ბუნებრივი წყობა დარღვეულია.²⁰

ნებისმიერ ფიქციას, როგორც მხატვრულ გამონაგონს, აერთიანებს რეალობის საზღვრებიდან გასული სიუჟეტი, რაც შეიძლება გამოხატული იყოს ადგილის, პერსონაჟების, მოქმედების და დროის სახით. გამოყოფენ ფიქციის რამდენიმე სახეობას: რეალისტური ფიქცია იმ ტიპის ფიქციაა, როდესაც ნაწარმოებში ასახული ადგილი, დრო და ადამიანები სავსებით რეალურია, თუმცა სიუჟეტში მომხდარი ამბავი არსებული სამეცნიერო ცოდნის გამოყენებით ვერ აიხსნება.

²⁰ Тодоров, 1999.

ამ სახეობის ფიქციაში შეგვიძლია გავაერთიანოთ ჟიულ ვერნიდან მოყოლებული ყველა ის ნაწარმოები, რომელიც დაწერის მომენტში დაუჯერებელ ამბებს ასახავს, მაგრამ დღეს ეს ამბები სრულიად რეალურია და აღარაფერია მასში გასაკვირი; არარეალისტური ფიქცია გულისხმობს ისეთ ამბავს, სადაც ზებუნებრივი ისტორიაა აღწერილი. როგორც წესი ასეთ ნაწარმოებებში ისეთი ტექნოლოგიები მოცემული, რაც დაწერის მომენტში და დღესაც წარმოუდგენლად ჩანს და აღიქმება, როგორც არარეალური; ნახევრად ფიქცია კი ისეთი ნაწარმოებებს გულისხმობს, რომელიც არაფიქციურ ფაქტოლოგიას ეყრდნობა, მაგრამ რეკონსტრუირებულია და შეიცავს ფიქციურ ნაწილსაც.

სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოებებში სამყარო ეფუძნება ისეთ განსხვავებულ დრო-სივრცულ განზომილებებს და საგან-მოვლენებს, რასაც რეალისტურ ტექსტში ვერ შევხვდებით: **დრო** – ალტერნატიული ან პარალელური რეალობა, მომავალში განვითარებული მოვლენები ან ისტორიული წარსულის უცნობი ფაქტები და სხვა, დღემდე უცნობი გზით განვითარებული მოვლენები; **ადგილი** – ღია კოსმოსური სივრცე, კოსმოსური ხომალდი ან უცხო პლანეტები; **პერსონაჟები** – უცხოპლანეტელები, მუტანტები, ანდროიდები ან ჰუმანოიდური რობოტები; **ტექნოლოგია** – როგორც წესი, გხვდება იმ ტიპის კომპიუტერები, რობოტები და მანქანები, რაც დაწერის მომენტში არ არსებობს ან შეცვლილი ფუნქციები აქვთ: მათ შორის ტექნოლოგიები, რომლებიც სინათლის სხივზე სწრაფი გადაადგილების და დროში მოგზაურობის საშუალებას იძლევა; **ბუნების კანონები** – სამყაროში არსებულ ბუნების კანონებისგან განსხვავებული ან საწინააღმდეგო კანონები; **პოლიტიკური და სოციალური წყობა** – ახალი ტიპის საზოგადოებები, პოსტაპოკალიპტური გარემო და დისტოპია; **პარანორმალური მოვლენები და უნარები** – ტელეპათია, ტელეკინეზი, ტელეპორტირება და სხვ.

ხშირად, სამეცნიერო ფანტასტიკაში მოქმედება ვითარდება არც ისე შორეულ მომავალში. ბევრი მწერალი ცდილობს, დედამიწის მომავალი რეალურ ასპექტებში აღწეროს, როგორც ეს სცადეს არტურ კლარკმა და სტანისლავ ლემმა. სხვები მომავალს იყენებენ იდეის გახსნის საშუალებად, რომ წარმოაჩინონ თავისი კონცეფცია მომავალი მსოფლიოს შესახებ. ხშირად მწერლები წინასწარმეტყველებენ სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების უარყოფით შედეგებს და პოსტაპოკალიპტურ მომავალს, ერთგვარად აფრთხილებენ მკითხველს. ზოგადი მახასიათებელი რომ გამოვყოთ, სამეცნიერო ფანტასტიკა ეს არის სამეცნიერო დაშვება. აქ ერთვება ძირითადად ტექნოლოგიური ინოვაციები, ისტორიული რეალობები, დროში მოგზაურობები, კოსმოსური მოგზაურობები და სხვა.

ცნობილი ავტორი და ფანტასტიკის მკვლევარი დ. უოლჰეიმი (Donald A. Wollheim) განასხვავებს: „სამეცნიერო ფანტასტიკას“, საოცრებათა ლიტერატურას, ზებუნებრივ ფენტეზს, შეუძლებელის დაშვებას, „წმინდა ფენტეზს“, ნონსენსს, გროტესკს და თამაშს²¹.

ჰაინლაინმა 1947 წელს შემოგვთავაზა, სამეცნიერო ფანტასტიკის ნაცვლად გამოვიყენოთ ტერმინი: „speculative fiction“. ამ ტიპის ტექსტებში თეორეტიკოსი გამოყოფს ერთ საერთო თვისებას, როდესაც თხზულებაში ტექნიკური მიღწევა ადამიანური მოქმედებების მოდელირების მიზეზია. ჰაინლაინის მიხედვით, „speculative fiction“ მოიცავს ისეთ თხზულებებს, სადაც ტექნიკური მიღწევები ან მეცნიერება მხოლოდ ფონია ადამიანური ქცევებისა და სოციალური ურთიერთობების შესასწავლად. ამგვარად, ტექნოლოგია არ არის მთავარი ფოკუსი, არამედ მისი გავლენა ადამიანებსა და მათ გადაწყვეტილებებზე²².

ჯონ კლუტიმ შემოგვთავაზა, გამოვიყენოთ სამეცნიერო ფანტასტიკის, ფენტეზის, ფანტასტიკური ჰორორის და სხვა ქვეჟანრების აღსანიშნავად გამაერთიანებელი ტერმინი „ფანტასტიკა“²³.

ზოგი მკვლევარი (გერი ვულფი, მარეკ ოზიევიჩი, ფარა მენდელსონი, გერი ვესტფალი) ფანტასტიკას შემდეგ ჟანრებად ყოფს: სამეცნიერო ფანტასტიკა, მითოლოგიური ფანტასტიკა, ფუტუროლოგია, მყარი სამეცნიერო ფანტასტიკა, სოციალური ფანტასტიკა. ქრონოფანტასტიკა, ალტერნატიული-ისტორიული ფანტასტიკა და აპოკალიპტური ფანტასტიკა, პოსტაპოკალიპტური ფანტასტიკა. უტოპია, ანტიუტოპია, კოსმიური ოპერა, კიბერფანტასტიკა, სტიმპანკი, დიზელ-პანკი, ტექნოფენტეზი და სამეცნიერ ფენტეზი.

ზოგიერთ ენციკლოპედიაში²⁴ ჟანრის შემდეგ კლასიფიკაციას ვხვდებით: ხისტი სამეცნიერო ფანტასტიკა, ნამდვილი სამეცნიერო ფანტასტიკა, ტექნოლოგიური სამეცნიერო ფანტასტიკა, რბილი ან ჰუმანიტარული სამეცნიერო ფანტასტიკა, უტოპია, ანტიუტოპია, რომანი-გაფრთხილება და სხვა.

ფენტეზი („fantasy“) იყოფა: ზღაპრული, მითოლოგიური, საგმირო, შავი, საშინელებათა, ჯადოქრული თამაშის და ოცნების ფანტასტიკად.

²¹ დ. უოლჰეიმი (Donald A. Wollheim) განასხვავებს სხვადასხვა ფანტასტიკურ ჟანრს და ამ თემაზე წერს თავის წერილში „The Fantasy World“, რომელიც გამოქვეყნდა 1942 წლის მარტში ჟურნალში – „Stirring Science Stories“ <https://en.wikisource.org/wiki/Stirring_Science_Stories/March_1942/The_Fantasy_World> [10.09.2025]

²² Heinlein, 1947.

²³ Clute, Grant, 1997, 18-57. ჯონ კლუტი, ფანტასტიკის მკვლევარი, ხშირად იყენებს ტერმინს „ფანტასტიკა“ (Fantastika) სამეცნიერო ფანტასტიკის, ფენტეზის და ფანტასტიკური ჰორორის ერთიანი ჟანრის აღსანიშნავად. ეს ტერმინი პირველად გამოჩნდა მისი 2007 წლის მოხსენებაში – „Fantastika in the World Storm“, რომელიც წარადგინა კულტურული ლანდშაფტების კონფერენციაზე.

²⁴ Nicholls (ed.), 1979; Booker, Thomas, Wiley-Blackwell, 2021.

ჯ. კლუტი ენციკლოპედიაში *“The Encyclopedia of Science Fiction”*²⁵ ფანტასტიკის შემდეგ ქვეყანრებს გამოყოფს: დაკარგული სამყარო, ჰიპერპანკი, კოსმოსური ოპერა, სამეცნიერო ფენტეზი, ახალი ტალღა, პლანეტარული ფანტასტიკა, სტიმპანკი, პირობითი ფანტასტიკა და სხვა. დროდადრო ფანტასტ მწერლებს შორის იბადება ახალი ჟანრული მარკერები და ელემენტები, რის გამოც სუბჟანრების კლასიფიკაცია იცვლება ხოლმე.

თითქმის ყველა კლასიფიკაციაში ფენტეზი ცალკე ქვეჟანრად არის გამოყოფილი. XX საუკუნეში გაჩნდა თეორია, რომ სამყაროს სამეცნიერო ხედვა არ არის აბსოლუტური და სრულყოფილი. ამდენად, ლიტერატურული ჟანრი „ფენტეზი“ გახდა ახალი მსოფლმხედველობა, რომელიც მითოლოგიურ-მაგიურ შრესაც შეიცავდა. ფენტეზის, როგორც ჟანრის, ფორმირება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ხდება. მისი მთავარი წყარო არის ფრანგული ზღაპრები, კელტური და სკანდინავიური ფოლკლორი. თვით ფენტეზის კლასიფიკაცია ძალზე მრავალფეროვანია. ფენტეზის ჟანრად ჩამოყალიბებისთანავე, მწერლებმა, ერთი ინდივიდუალური, ცალკეული, ვიწრო მიმართულება განავითარეს. ამდენად, ფენტეზის შიგნით გამოიყოფა ქვეჟანრები: მისტიკურ-ფილოსოფიური ფენტეზი, მეტაფორული ფენტეზი, შავი ფენტეზი, საგმირო ფენტეზი, ეპიკური ფენტეზი, ფოლკლორულ-ზღაპრული ფენტეზი, საგმირო-ეპიკური ფენტეზი, მითიურ გამომსახველობითი ფენტეზი, რომანტიული ფენტეზი, ისტორიული ფენტეზი, თამაშობრივი ფენტეზი, დეტექტიური ფენტეზი, მაგიური რეალიზმი, მითოლოგიური ფენტეზი, მისტიკური ფენტეზი, სლავური ფენტეზი, სკანდინავიური ფენტეზი, ქალაქური ფენტეზი, ტექნო- ფენტეზი, საბავშვო ფენტეზი, ქალური ფენტეზი და სხვა. ყველა ეს ქვეჟანრი კონკრეტული ნიშან-თვისებებით გამოირჩევა, სადაც ავტორი თავის საკუთარ ინდივიდუალურ მახასიათებლებს ამატებს. როდესაც ავტორი გრძნობს, – მისი ნაწერი ფენტეზის უკვე ცნობილ ქვეჟანრებს არ მიეკუთვნება, ახალ ქვეჟანრს აყალიბებს.

ზოგი მკვლევარი ფენტეზის ოთხ ძირითად ტიპს გამოყოფს: (1) მისტიკურ-ფილოსოფიური ფენტეზი; (2) მეტაფორული ფენტეზი; (3) შავი ფენტეზი; (4) საგმირო ფენტეზი²⁶. ფენტეზში მაგია და რეალობა ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. ფანტასტიკური და მითიური არსებები ერთად თანამყოფობენ: ჯადოქრები, ღმერთები, პარალელური სამყაროები. ხანდახან შეიძლება შემოვიდეს სამეცნიერო ფანტასტიკის ელემენტები, მაგრამ ეს ხდება იშვიათად და ფასადური დატ-

²⁵ Booker, Thomas, Wiley-Blackwell, 2021.

²⁶ Ковтун, 1999.

ვირთვა აქვს. ფენტეზის ჟანრის ერთ-ერთი პირველი წიგნი, „The Wood Beyond the World“ 1894 წელს გამოვიდა, მისი ავტორია უილიამ მორისი. ეპიკური ფენტეზის საუკეთესო ნიმუშია ჯონ რონალდ რუელ ტოლკინის „ბეჭდების მბრძანებელი“ (The Lord of the Rings) და „ჰობიტი“ („Hobbit“). ფენტეზის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია ლორდ დანსენი. მისტიკურ-ფილოსოფიურ ფენტეზში ფანტასტიკური დაშვება განსაზღვრავს მოქმედების არსსა და ნარატივს. ფანტასტიკური რეალობა გადამწყვეტია მთავარი გმირისთვის – მისი ბედი ამ რეალობაზე დამოკიდებული. მისტიკურ-ფილოსოფიური ასპექტი არის უმნიშვნელოვანესი მოქმედების დისკურსი და ავტორის მთავარი მიზანი. მეტაფორულ ფენტეზში ფანტასტიკური დაშვება საოცრების შექმნის დისკურსია. ამ ტიპის ფენტეზში თხზულების ცენტრში ადამიანის შინაგანი სამყაროა და მისი სულიერი განვითარების ეტაპები. მეტაფორულ ფენტეზში გმირები არიან ადამიანები რთული შინაგანი სამყაროთი, რომლებიც გარესამყაროს განიცდიან და იაზრებენ. შავი ფენტეზი იგივე საშინელებათა ფენტეზია, სადაც შავი არარეალური ძალები აღწევენ რეალობაში. ამერიკელი მწერლის, სტივენ კინგის ცნობილი წიგნების სერია: „ბნელი კოშკი“ შავი ფენტეზის საუკეთესო ნიმუშია. ჰორორის ძირითადი თვისება, რითიც ის განსხვავდება ჩვეულებრივი ფენტეზისგან, არის მისი პერსონაჟების ადამიანური უმწეობა, ზეზუნებრივ ძალებთან მიმართებაში. ოკულტიზმი, მისტიკა, ზეზუნებრივი ძალები და კატასტროფები არ არის ადამიანური ძალების მმართველობის ქვეშ. ჰორორი ხასიათდება შიშის ატმოსფეროს შექმნით, ფატალიზმით, გამოუვალი მდგომარეობის დისკურსით. ამ ჟანრის საუკეთესო წარმომადგენლები არიან ლავკრაფტი და სტივენ კინგი.

სამეცნიერო ფანტასტიკა და ფენტეზი ეს ორი ჟანრი მჭიდრო ურთიერთზე მოქმედების ქვეშ განვითარდა. ორივე ჟანრის მოტივები ერთ თხზულებაში შეიძლება შეგვხვდეს. ფენტეზის და სამეცნიერო ფანტასტიკის გზაჯვარედინზე ჩამოყალიბდა, ჰიბრიდული ქვეჟანრები სამეცნიერო ფენტეზი და ტექნოფენტეზი.

თავის მხრივ, სამეცნიერო ფენტეზის და ხისტი სამეცნიერო ფანტასტიკის საზღვარზე განვითარდა კოსმოსური ოპერა. კოსმოსურ ოპერასა და სამეცნიერო ფანტასტიკას შორის მთავარი განსხვავება არის ის რომ კოსმოსურ ოპერაში სამეცნიერო ტექნიკური ასპექტები და თამაშის ანტურაჟის როლია წინა პლანზე. მოქმედება ვითარდება კოსმოსურ სივრცეში ან სხვა პლანეტაზე. პერსონაჟები, მკაფიოდ გამოკვეთილი დადებითი ან უარყოფითი გმირები არიან. მთავარი გმირი, ჩახლართული, მძიმე სიტუაციიდან ერთადერთ სწორ გამოსავალს პოულობს, უვნებელი გამოდის და იმარჯვებს.

სოციალური ფანტასტიკა ცდილობს, გამოკვეთოს საზოგადოების ახალი მოდელი, მისი განვითარების კანონები და ადამიანური არსებობისთვის უჩვეულო პირობები. სოციალური ფანტასტიკის მიზანია, ცივილიზაციის განვითარების ეტაპების შესწავლა, ადამიანური არსებობის საზრისის მიგნება – მისი მიმართება შეუცნობელ გონთან. სოციალური ფანტასტიკა არა იმდენად სამეცნიერო იდეებთან, არამედ ჰუმანიტარულ მიმართულებებთანაა დაკავშირებული. სოციალური ფანტასტიკის მიზანია ადამიანურ ბედზე დაფიქრება. ხისტი სამეცნიერო ფანტასტიკისგან განსხვავებით, სოციალური ფანტასტიკა ხასიათდება გლობალური და ჰუმანიტარული პრობლემების წინ წამოწევი. იყენებს იუმორს, სატირას, რთულ სიუჟეტურ სქემებს, ინტელექტუალურ თამაშს და პარადოქსებს. მისი მკაფიო გამოხატულებაა უტოპია და ანტიუტოპია.

ფანტასტიკის ერთ-ერთი საინტერესო ქვეჟანრია: „ალტერნატიული ისტორია“. ის, რაც შეიძლება მომხადარიყო, თუ ისტორია თავის ერთ-ერთ გადაწყვეტ, საკვანძო მომენტში (ბიფურკაციის წერტილიდან) სხვა მიმართულებით განვითარდებოდა. ის, არ უნდა აგვერიოს ალტერნატიულ ისტორიულ თეორიაში, რომელიც მისგან სრულიად განსხვავდება. ალტერნატიულ-ისტორიულ თეორიაში წარსულის კონკრეტული მოვლენა, ნაწილობრივ ან სრულად, შეცდომით განვითარებულ ვერსიად მიიჩნევა. ალტერნატიულ ისტორიაში, კი – წარსულში ისტორიის განვითარების გზა იცვლება, რაც უკვე არსებულ რეალობას აუცილებლობის დისკურსით ცვლის. წარსულში მომხდარ მოვლენაში ცვლილებების შეტანა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება მოხდეს: შემთხვევით, შინაგანი ძალებით, მომავლიდან მოსული სტუმრების მეშვეობით და სხვა. ცვლილება უნდა იყოს საკვანძო, რათა რეალური ისტორია შეიცვალოს. ზოგიერთ თხზულებაში გამოყენებულია პარალელური სამყაროების იდეა. მოვლენების განვითარების ალტერნატიული ვარიანტი ჩვენს სამყაროში კი არ ვითარდება, არამედ პარალელურ სამყაროში, სადაც ისტორიის სხვა ვერსიას ვეცნობით. ამასთან უშუალო კავშირშია ცნობილი ლოგიკური პარადოქსი, რომელსაც იხსენიებენ, როგორც „მოკლული ბაბუის პარადოქსს“ – როცა შვილიშვილი მოგზაურობს წარსულში და შემთხვევით კლავს საკუთარ ბაბუას, სანამ ბაბუა გახდებოდა. ალტერნატიული ჟანრის ფუძემდებლად მიიჩნევა რომელიმე ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი, რომელმაც აღწერა რომის შესაძლო ისტორია. მან შემოგვთავაზა ვერსია, თუ რა მოხდებოდა, ალექსანდრე მაკედონელი 33 წლის ასაკში რომ არ მომკვდარიყო და იმპერიის მმართველობა განეგრძო.

ალტერნატიული ისტორიის ქვეჟანრები და მონათესავე ჟანრები:

1. ალტერნატიული გეოგრაფია (ემყარება დაშვებას, რომ დედამიწას სხვა გეოგრაფია აქვს), კრიპტოისტორია (ალტერნატიული ისტორიის ერთ-ერთი სახეობა, სადაც აღწერილია რეალობა, რომელიც არ განსხვავდება ჩვეულებრივი ისტორიისგან, მაგრამ მასში მონაწილეობენ სტუმრები მომავლიდან, მაგები და სხვ.);
2. პოსტაპოკალიპტიკა – ეს ქვეჟანრი ანტიუტოპიასთან ახლოს დგას, აღწერს ცივილიზაციას, რომელმაც გადაიტანა მძიმე კატაკლიზმები, ეკოლოგიური კატასტროფები, ეპიდემია, ატომური ომი და სხვ.;
3. კიბერპანკი – ქვეჟანრი, რომელიც განიხილავს ახალი ტექნოლოგიების ზემოქმედების ქვეშ მყოფ საზოგადოებას. განსაკუთრებული ადგილი მათ შორის უჭირავს ტელეკომუნიკაციებს, კომპიუტერებს, ნეიროქირურგიულ ინტერფეისებს და სხვ. ამ ტიპის მხატვრულ ნაწარმოებებში მთავარი ნერტილ-ცენტრია: კიბორგი, ანდროიდი და სუპერკომპიუტერი, რომელიც ემსახურება, ტექნოკრატიულ, კორუმპირებულ და ამორალურ ორგანიზაციებსა და რეჟიმებს. ტერმინი “cyberpunk” პირველად გამოიყენა მწერალმა ბრიუს ბეტკიმ 1980 წელს დაწერილ, ხოლო 1983 წელს ჟურნალ “Amazing Stories”-ში გამოქვეყნებულ ერთსა და იმავე სახელწოდების მოთხრობაში – “Cyberpunk.” კრიტიკოსმა გარდნერ დოზუამ ეს ტერმინი ჟანრის სახელწოდებად დაამკვიდრა. მან ეს გააკეთა თავის რედაქტორულ შენიშვნებში ჟურნალში – “Isaac Asimov’s Science Fiction Magazine”, 1984 წელს, როცა მწერლების ახალი თაობა (William Gibson, Bruce Sterling, Lewis Shiner, Rudy Rucker და სხვ.) „კიბერპანკებად“ მოიხსენია.²⁷ დოზუამ მოკლედ და მკაფიოდ განსაზღვრა კიბერპანკი, როგორც სამეცნიერო ფანტასტიკის ქვეჟანრი. კიბერპანკში უმაღლესი ტექნოლოგიური განვითარება და ვირტუალური რეალობა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემაა. კიბერპანკის კლასიკოსად და მამამთავრად ითვლება უილიამ გიბსონი, თავის ნაწარმოებით – „ნეირომანსერი“ (1984), ასევე ბრიუს სტერლინგის „სქიზმატრიცა“ (1985). კიბერპანკის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ფილიპ დიკმა, თხზულებებით – „ოცნებობენ თუ არა ანდროიდები ელექტრონულ ცხვარზე“, „ლრმა მეხსიერებიდან“ და სხვ. კიბერპანკი ხშირად კვეთავს სამეცნიერო ფანტასტიკის სხვა ქვეჟანრებს. განსაკუთრებით ანტიუ-

²⁷ Bethke, 1983; Dozois, 1984.

ტოპიას. კიბერპანკის თითქმის ყველა ნაწარმოებში, ასახულია კაპიტალისტური ანტიუტოპია, ტოტალური კონტროლი და ზემოქმედებითი კორპორაციები. ეს განსაკუთრებულად დამახასიათებელია ფილიპ დიკის ნიგნებისათვის;

4. ჰორორი – მეთვრამეტე საუკუნიდან საშინელებათა ამსახველი მოთხრობა ცალკე ჟანრად, ე.წ. „გოთიკურ ნოველად“ ჩამოყალიბდა. ის არნახულად პოპულარული გახდა და ამ ჟანრში მრავალი ნიჭიერი და გამოჩენილი მწერალი სცდიდა ძალებს. „საშინელებებს“ წერდნენ ბაირონი, დიკენსი, გოგოლი, ედგარ პო, ანდერსენი, ვაშინგტონ ირვინგი, ჯერომ ჯერომი, ალექსეი ტოლსტოი და სხვანი. ამ ჟანრის ეტალონური რომანები დაწერეს ბრემ სტოკერმა და მერი შელიმ, ხოლო ჟანრზე პაროდია შეთხზა ოსკარ უაილდმა („კენტერვილის მოჩვენება“).

თავისთავად ცხადი იყო, რომ ახალგაჩენილი ხელოვნება – კინემატოგრაფი ჰორორს გვერდს ვერ აუვლიდა. მხატვრული კინოს ერთ-ერთმა პიონერმა, ჟორჟ მელიესმა, 1896 წელს გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ემმაკის სასახლე“. ის უნიკალურია ორი ფაქტის გამო – ეს იყო პირველი მცდელობა ჰორორის გადაღებისა და პირველი კინოფილმი, სადაც გამოყენებული იქნა სპეცეფექტები. გარდა პირველი ჰორორისა, ჟორჟ მელიესმა გადაიღო პირველი სამეცნიერო ფანტასტიკაც – 1902 წლის „მოგზაურობა მთვარეზე“ (რომელიც ეყრდნობოდა სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ჟიულ ვერნის რომანს) და სათავე დაუდო კინოფანტასტიკის განვითარებას.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ინგლისური გოთიკური რომანიდან, რომელსაც ასევე უწოდებენ „იდუმალებისა და საშინელების“ რომანს განვითარდა საშინელებათა (ჰორორის) ჟანრი. გოთიკურმა რომანმა გავლენა მოახდინა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების გამოჩენილი მწერლების შემოქმედებაზე და ზოგადად მასობრივ ლიტერატურაზე.

ყველა კლასიკურ გოთიკურ რომანში იძებნება ამბის გადმოცემის უნივერსალური ელემენტები, მხატვრული ეფექტების სისტემა, რომელიც ავტორს ეხმარება, შექმნას შიშისა და სასპენსის დაძაბული ატმოსფერო.

ამ ტიპის მხატვრული ნაწარმოები შიშის ორ სახეობას აღძრავს მკითხველში. შიში-ზიზღი და შიში-მიზიდულობა ანუ „horror“ და „terror“ (ამჟამად შიშის ამ სახის აღსანიშნად უფრო გავრცელებული ტერმინია **suspence** – შეუცნობლის, ბუნდოვანის მიერ გამოწვეული მღელვარება – მღელვარე მოლოდინი).

საშინელებათა ჟანრში დიდი ადგილი ეთმობა მისტიკურ, ზებუნებრივ და არარეალურ საშიშ არსებებს და მათ დეტალურ აღწერას. ამ მხრივ ყველაზე გავრცელებული გამოგონილი პერსონაჟები მოჩვენებები და ვამპირებია.

სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები დღემდე დაობენ სიტყვა „ვამპირის“ წარმოშობაზე. ასე მაგალითად, ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში წერია: ვამპირი ძველი, თუმცა უცნობი წარმოშობის სიტყვაა, რომელიც გვხვდება გერმანულ, რომანულ და სლავური ენების უმეტესობაში, მაგრამ ის არ გვხვდება არც საეკლესიო სლავურში, არც შუა საუკუნეების ლათინურში, არც თვით ძველ და შუაგერმანულ ენებში. დასავლეთ ევროპაში ის გერმანიიდან გავრცელდა, სადაც, თავის მხრივ, სლავებიდან იყო გადმოღებული. როგორც ჩანს, ეს სიტყვა აღმოსავლური წარმოშობისაა და ცხვირისმიერი ხმოვნების არსებობის პერიოდშია შექმნილი, რადგანაც ის ორნაირად გამოითქმის სლავურ კილო-კავებში: ვამპირი და უპირი („упир“) (მეორე ფორმა უფრო ძველია). უმეტეს შემთხვევებში ამ ორ სიტყვას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს: სწორედ ისინი აღნიშნავენ საფლავიდან აღმდგარ მკვდრას, რომელიც ცოცხალ ადამიანებს სისხლს წოვს.“

ემილი ჟერარის წიგნში „ტყის მიღმა ქვეყანა“ („The Land Beyond the Forest“, London, 1988). გვხვდება ვამპირის კიდევ ერთი სახელწოდება – ნოსფერატუ. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ნოსფერატუ ანაც უპირი ყველაზე აშკარა ბოროტებაა, რომლისაც ყოველ რუმინელ გლეხკაცს სჯერა ისევე მტკიცედ, როგორც ჯოჯოხეთისა თუ სამოთხისა. არსებობს ვამპირების ორი სახე – ცოცხლები და მკვდრები. ცოცხალი ვამპირები უმეტესწილად არიან დაუქორწინებელი ადამიანების უკანონოდ შობილი შვილები, მაგრამ თვით უნაკლო ოჯახი ვერავის სრულიად ვერ დაიფარავს ვამპირის შემოჭრისაგან, რადგანაც ყოველი, რომელიც ნოსფერატუმ მოაკვდინა, სიკვდილის შემდეგ მისდაგვარი ხდება და მანამ დაეწაფება უდანაშაულოთა სისხლს, სანამ სულს არ განდევნიან ეჭვმიტანილი ადამიანის საფლავის გახსნით, გულში მარგილის დარჭობით ან პირდაპირ სამარეში დამბაჩას არ დაახლიან.“

ინგლისელი მწერლის, გოთიკური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ანა რედკლიფის შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ბევრ ავტორზე, მათ შორის მარკიზა დე სადზე, ედგარ ალან პოზე და უოლტერ სკოტზე. მისტიკურიდან სამეცნიერო ფანტასტიკაზე გადასვლის ხიდი გადეს ედგარ პომ და ლავკრაფტმა. პოს ტექსტები ერთდროულად შეგვიძლია, წავიკითხოთ, როგორც მისტიკა და როგორც სამეცნიერო ფანტასტიკა. რაც შეეხება ლავკრაფტს, მისი შემოქმედება უფრო სამეცნიერო ფანტასტიკისკენ არის გადახრილი.

ტექნოლოგიური ინოვაციების წინასწარი ლიტერატურული მოდელირება: სამეცნიერო ფანტასტიკის მიერ პროგნოზირებული მომავლი

ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერების თანამედროვე კვლევები²⁸ ადასტურებს, რომ ფანტაზია და შემოქმედებითი წარმოსახვა დიდწილად ეფუძნება უკვე არსებულ გამოცდილებასა და მეხსიერებაში დაგროვილ სენსორულ და კულტურულ შთაბეჭდილებებს. ნეირომეცნიერება აჩვენებს, რომ წარმოსახვისას აქტიურდება ტვინის ის ქსელები, რომლებიც პასუხისმგებელია აღქმისა და მეხსიერების პროცესებზე. ყველა „ახალი სამყარო“ ან „უცნობი არსება“ მაინც შედგება უკვე ნაცნობი ელემენტებისგან (მაგ., უცხოპლანეტელი შეიძლება აღინეროს როგორც ადამიანისა და ცხოველის ნაზავი). წარმოსახვა არ ქმნის აბსოლუტურად უცნობს, არამედ კომბინაციურად გარდაქმნის ნაცნობს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს არ შეუძლია წარმოიდგინოს იმაზე სრულიად უცხო, რაც არანაირად არ უკავშირდება მის გამოცდილებას, მას შეუძლია ფანტაზიით შექმნას ისეთი კონცეპტები, რომლებიც მნიშვნელოვნად არის აცდენილია რეალობას.

მეორეს მხრივ, თუ ადამიანი წარმოსახვით ქმნის არარეალურ კონსტრუქტს, რომლის საფუძველს წარმოადგენს მისი საკუთარი გამოცდილება, აღქმულისა და განცდილის ფრაგმენტების რეკომბინაცია, იგი ფლობს შესაძლებლობას, რომ ეს წარმოსახვითი ელემენტები დროთა განმავლობაში მატერიალიზებულ, რეალურ მოვლენებად ან პრაქტიკული გამოყენების ობიექტებად გარდაქმნას.

„სამეცნიერო ფანტასტიკა ყოველთვის განჭვრეტის ფორმას იღებს. ხოლო განჭვრეტა ყოველთვის იღებს ალბათობის ვარაუდის ფორმას (შეიძლება ასე მოხდეს, ვიმედოვნებ), რომელიც ფორმულირდება რეალური ტენდენციების საფუძველზე.“²⁹ სამეცნიერო ფანტასტიკამ ზუსტად იწინასწარმეტყველა არაერთი გამოგონება, რომელიც დღეს რეალობად იქცა: ტანკები, ყურსასმენები, ინტერნეტი, წყალქვეშა ნავები, ვერტმფრენები, ლეპტოპები, ესკალატორები... ცხადია, მთვარეზე გაფრენაც სამეცნიერო ფანტასტიკის ნაწარმოებებიდან მოდის.

ედუარდ ბელამის თავის ნაწარმოებში: „მზერა უკან“³⁰ (1888 წ.) საკრედიტო ბარათები აქვს აღწერილი. მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრები ადამიანი ოცდამეერთე საუკუნეში – სავაჭრო ცენტრებითა და საკრედიტო ბარათებით სავსე ეპოქაში ამოყოფს თავს.

²⁸ Schacter, Addis, 2007, 773-786; Schacter, 2012, 677-694.

²⁹ Eco, 1985, 120.

³⁰ Bellamy, 1888.

ჟიულ ვერნი საყოველთაოდ ცნობილ რომანში – „80 000 კილომეტრი წყალქვეშ“ აღწერს წყალქვეშა ნაგებობებს, რაც ცხადია ზუსტი წინასწარმეტყველება იყო, თუმცა უფრო ადრე ჯერ კიდევ 1666 წელს ინგლისელმა ფილოსოფოსმა, პოეტმა და მწერალმა მარგარეტ კავენდიშმა თავის თხზულებაში „მოელვარე სამყაროში“ პირველად დაწერა წყალქვეშა ნაგებობები და ამავდროულად იმსჯელა ატომის თეორიაზეც.

ჟიულ ვერნის ნაწარმოებში – „დედამიწიდან მთვარემდე“ – მთვარეზე დაშვებაა წინასწარმეტყველები. ეს უკანასკნელი 1865-ში დაიწერა. ვერნმა ზუსტად განსაზღვრა გაფრენის ღირებულება, რაკეტის კოსმოსში გაშვებისთვის საჭირო ძალა, მასალა, რომლისგანაც კაფსულა იყო დამზადებული და ის ფაქტიც კი, რომ კოსმოსში გაშვება ფლორიდადან მოხდებოდა. ერთადერთი, რაშიც მწერალი შეცდა, ის იყო, რომ რაკეტა სინამდვილეში გიგანტური ზარბაზნიდან არ გაუტყორცნიათ.

1910 წელს ედვინ ბალმერი და უილიამ მაკჰარტი აღწერენ სიცრუის დეტექტორის ტექნოლოგიას³¹, რომელიც 1921 წელს კალიფორნიის შტატში გაკეთდა.

ოლდოს ჰაქსლი „საოცარ ახალი სამყაროში“ (1932 წ.) აღწერს ტექნოლოგიურად მაღალ განვითარებულ საზოგადოებას, რომელიც გენური ინჟინერიის შედეგებს ეყრდნობა. ამ მიმართულებით პირველი ექსპერიმენტები, 40 წლის შემდეგ, 1972 წელს ჩატარდა.

როდესაც 1953 წელს რეი ბრედბერის „451° ფარენჰაიტი“ დაიბეჭდა, ყურსასმენები არ არსებობდა. წიგნში მოხსენიებულია „ნიჟარის ფორმის ყურის რადიოები“, რაც ზუსტად დღევანდელი ყურსასმენებია. ბრედბერის სახელთანაა დაკავშირებული ასევე, ოკულუსის ვირტუალური რეალობა, ავტომობილის ავტოპილოტი, 24 საათიანი ბანკომატი, სმარტ საათი და სხვა.

1961 წელს არტურ კლარკი თავის ნაწარმოებში „მთვარის მტვერი“ წერს, რომ ადამიანები კოსმოსში იფრენენ, როგორც ტურისტები. 39 წლის შემდეგ დენის ტიტი პირველი ტურისტი გახდა, ვინც გაფრინდა კოსმოსში.

მარტინ კაიდინი თავის რომანში „კიბორგი“ 1972 წელს აღწერს ადამიანის ისტორიას, რომელსაც მექანიკური ხელსაწყოებით ჩანაცვლებული ორგანოები აქვს. 41 წლის შემდეგ ასეთი იმპლანტები მართლა გამოჩნდა სამედიცინო სფეროში.

„გულივერის მოგზაურობაში“ (ჯონათან სვიფტი 1726 წ.) აღწერილია მფრინავი კუნძული **ლაპუტა**, რომელიც ასტრონომებმა 146 წლის შემდეგ აღმოაჩინეს. საუბარია მარსის ორ თანამგზავრზე.

³¹ Balmer, MacHarg., 1910.

ჰერბერ უელსის არაერთი იდეა აქვს თავის ნაწარმოებებში, რაც შემდეგ რეალობად იქცა: ლაზერული სხივი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ვიდეომაგნიტოფონი, ადამიანის მთვარეზე გაფრენა, საჭმლის სახლში მიტანის სერვისი, ატომური ბომბი და სხვა.

დუგლას ადამსის თხზულებაში „ავტოსტოპით გალაქტიკაში“ (1979 წ.). პირველად არის ნახსენები ელექტრონული წიგნი.

ჰიუგო გერნსბეკმა თავის წიგნში: „რალფ 124C 41+“ (1911 წ.) დაწვრილებით აღწერა ვიდეო-ჩეთი და რადარის ტექნოლოგია, რაც იმ დროს არ არსებობდა. რადარი 1933 წელს გამოიგონეს. ასევე, მწერალი აღწერს კალკულატორს, რომელიც მზის ენერგიაზე მუშაობს. ასეთი ტექნოლოგია მართლა გამოიგონეს 67 წლის შემდეგ, 1978 წელს.

უილიამ გიბსონმა „ნირომანსერიში“³² ინტერნეტი მაშინ იწინასწარმეტყველა, როცა კომპიუტერები ყოველდღიურ ყოფით გამოყენებაში ჯერ არ იყო გავრცელებული. თუმცა მწერლის ინტერნეტი კიბერპანკის ქაოსური ქალაქია, სადაც ვირტუალური რეალობა არა სივრცე, არამედ საინფორმაციო განზომილებაა, რომელშიც არსებობს ადამიანი.

ჰერბერტ ჯორჯ უელსის არაერთი გამოგონება აქვს აღწერილი, რაც მის დროს არ არსებობდა. ყველაზე სიანტერესოა მისი რომანი „გათავისუფლებული სამყარო“ (1914 წ.), სადაც ბირთვულ ომსა და რადიაციის გამანადგურებელ გავლენაზე მოგვითხრობს.

ვიქტორ აპლეტონი „ტომ სვიფტის“ სერიებში³³ აღწერს სპილოებზე სანადიროდ გამოყენებულ ელექტრონულ ისრებს, რაც დღევანდელი ელექტრონული შაშხანაა. ხშირად მწერლები არათუ აღწერენ, არამედ განსაზღვრავენ კიდეც მომავალს. აპლეტონის მიერ აღწერილ ტექნოლოგიას – დღევანდელ ელექტრომოკურ იარაღს, მწერლის გმირის სახელი დაარქვეს: ტეიზერი (TASER– Tomas Swift Electric Rifle).

არტურ კლარკის მიერ „კომოსური ოდისეა 2001-ში“ (1968 წ.) აღწერილი მოწყობილობა ძალიან ჰგავს აიპედს. რომანში ვხვდებით ნიუსპედებს – ხელში დასაკავებელ მოწყობილობებს, რომელთა საშუალებითაც ეკრანზე სტატიების ჩამოტვირთვაა შესაძლებელი და ელექტროენერგიის წყაროსთან შეერთებას საჭიროებენ.

რობერტ ჰაინლაინის „გზებმა უნდა იდინონ“ (1940 წ.) ზუსტად იწინასწარმეტყველებს ესკალატორებს, რასაც „ელექტრონულ კიბეებს“ უწოდებს. ამასთან

³² Gibson, 1984.

³³ Appleton, 1911.

ერთად, მწერალი აღწერს 160 კილომეტრი საათში სიჩქარით მოძრავ საავტომობილო გზას, ტროტუარს და რკინიგზას.

მწერლებს უწევთ ახალი ნეოლოგიზმების გამოგონება, რაც ხშირად მომავალში გამოგონებული ტექნოლოგიების ზუსტი სახელდება ხდება. უელსის რომანში „გათავისუფლებული მსოფლიო“ (1914 წ.) ზუსტად ამ სახელწოდებით არის ნახსენები: ატომური ბომბი. ანტიდეპრესანტები ჰაქსლიმ პირველად 1932 წელს ახსენა (რომანში: „მამაცი ახალი სამყარო“). კონსტანტინ ციოლკოვსკის „ვარსკვლავთ მბრძანებელში“ (1925 წ.) პირველად არის გამოყენებული სიტყვა ასტრონავტიკა, სიტყვა რობოტი კი პირველად 1920 წელს გამოიყენა ჩეხმა მწერალმა, კარლ ჩაპეკმა თხზულებაში: „R.U.R“ („როსუმის უნივერსალური რობოტები“).

აზიმოვი თავის ნაწარმოებში „მე რობოტი“ განიხილავს მექანიკური რობოტის, როგორც დამხმარეს, შექმნის შესაძლებლობას. რობოტის ტექნიკოსების სამი კანონი არის მოცემული ამ რომანში. შეიძლება ითქვას რომ ყველაფერი რაც დღეს ცნობილია რობოტების შესახებ, აზიმოვის ამ რომანიდან მომდინარეობს.

ამგვარად, ყველაფერი ის, რაც ადრე ფანტასტიკურ ნაწარმოებებში აღწერილი იყო, როგორც არარეალური, დღეისათვის რეალური გახდა და რაც დღეს არარეალური გვგონია, შეიძლება გახდეს რეალური მომავალში. ერთის მხრივ, სამეცნიერო ფანტასტიკა გვაცილებს ჩვენს რეალობას, აღწერს ისეთ გარემოს, რაც უჩვეულოა ადამიანისათვის ტექსტის დანერის მომენტში, თუმცა იგივე გარემო შესაძლებელია, ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს მომავალში. ამერიკელმა მწერალმა და სცენარისტმა ერნესტ კლაინმა 2016 წელს *Speculative Herald*-თან ინტერვიუში თქვა: „მომავალი უკვე იმდენად სწრაფად დგება, რომ უფრო და უფრო რთული ხდება მისთვის გასწრება. არმადას სიუჟეტი ისეთ ორ კონცეპტს – მონაცემთა კვანტურ ტელეპორტაციასა და 3D ბეჭდვას – შეიცავს, რომლებიც, როცა წერა დავიწყე, ჯერ კიდევ სამეცნიერო ფანტასტიკის სფერო იყო, მაგრამ ნიგნის დასრულებამდე რეალობა გახდა. უფრო სწრაფად უნდა ვწერო“³⁴.

„მე დაჟინებით ვითხოვ რომ სამეცნიერო ფანტასტიკა იქნას გაგებული, როგორც პროზა ვარაუდზე და ალბათობაზე ძალიან უბრალო მიზეზით: კარგი სამეცნიერო ფანტასტიკა საინტერესოა არამარტო სამეცნიერო ხედვის წერტილით, არამედ იმიტომ, რომ საუბრობს ტექნიკის საოცრებებზე. სამეცნიერო ფანტასტიკა, ეს არის პროზა ჰიპოთეზაზე, ვარაუდის გამოთქმაზე, ალბათობაზე ან აბდუქციაზე. მოცემულ აზრში ეს არის სამეცნიერო თამაში ამ სიტყვის ფართო

³⁴ Interview: A Conversation with Ernest Cline, Author of Armada and Ready Player One, The Speculative Herald, 2016, <<https://web.archive.org/web/20210615100739/https://www.speculativeherald.com/2016/05/20/interview-a-conversation-with-ernest-cline-author-of-armada-and-ready-player-one/>> [10.09.2025]

გაგებით, რადგანაც ნებისმიერი მეცნიერება მუშაობს ვარაუდზე, ალბათობასა და აზღუქციაზე.“ (ეკო).

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ფანტასტიკა როგორც ლიტერატურული ჟანრი არ არის მომავლის ტექნოლოგიური პროგნოზირების ტრენაჟორი, ის უპირველეს ყოვლისა მხატვრული ლიტერატურაა და მას მხოლოდ ერთგვაროვანი მიზანი ვერ ექნება. სიტყვაკაზმული მწერლობა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და დიდი დრამატურგიული გამოცდილების, შემოქმედებით ქურაში დახვეწილი მხატვრული ხერხების მქონე ხელოვნების დარგია. ფიზიკისა და საბუნებისმეტყველო ცოდნისა და კანონების ახსნა თითქმის ყველა სამეცნიერო ფანტასტიკის ნაწარმოებს აერთიანებს. ცხადია, მომავლის კონკრეტული ნარატოლოგიური ნაკითხვის გარდა, სამეცნიერო ფანტასტიკა აწმყოს ანალიზსაც აკეთებს. ფანტასტიკა არ არის მხოლოდ მომავლის პროგნოზი, ის აწმყოს ანალიზია, შესაძლო მომავლის განხილვის ფონზე. აზიმაოვი თავის შემოქმედებაში იკვლევს შედეგს იმ შეცდომებისას, რაც ადამიანურმა მოდგმამ დაუშვა. ხოლო ისეთი ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოებებში, სადაც მისტიკური დაშვებაა მოცემული, ავტორს სულ არ აინტერესებს მოვლენის რაციონალური ახსნა.

მომავლის კონკრეტული მოდელის შექმნაზე უფრო მეტად ფუტუროლოგია მუშაობს. ჟაკ ფრესკო, რომელმაც ეკოლოგიური ფუტუროლოგია განავითარა და საკუთარ თავს სოციოკიბერნეტიკოსს უწოდებს, წლებია მომავლის მსოფლიო მოწყობის პროექტზე მუშაობს, სადაც ეკოლოგია უმთავრესი ამოსავალი წერტილია, ეკონომიკა კი მხოლოდ ბუნებრივ რესურსების გამოყენებას ეფუძნება. ფუტუროლოგიის ეს ხაზი იმით არის საინტერესო, რომ თანამედროვე გამოწვევებს და მომავლის შესწავლას ეკოლოგიაზე აფუძნებს და არ განიხილავს მას არარეალურად³⁵.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფანტასტიკა, როგორც ლიტერატურული მოვლენა, წარმოადგენს ადამიანის წარმოსახვისა და ცნობისმოყვარეობის ღრმა გამოხატულებას, რომლის ფესვებიც უძველეს მითოლოგიასა და ზღაპრებში იძებნება. ფანტასტიკური იდეები, რომლებიც თავდაპირველად პერიფერიულ ელემენტებს წარმოადგენდა ნაწარმოებებში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ახალ ჟანრად, კერძოდ, სამეცნიერო ფანტასტიკად ჩამოყალიბდა.

სამეცნიერო ფანტასტიკა განსხვავდება ზოგადი ფანტასტიკისგან იმით, რომ ის ეყრდნობა სამეცნიერო ცოდნასა და ჰიპოთეზებს. ის იკვლევს ადამიანის მარადიულ ოცნებებს, ცდილობს „მიღმურის შეცნობას და ადამიანური წარმოსახვის მიღმა გახედვას“. და ამავდროულად სამეცნიერო ფანტასტიკა ერთდროულად აწმყოს ანალიზსაც ახდენს და მომავლის წინასწარმეტყველებასაც.

³⁵ იხ., <<https://www.thevenusproject.com>> [10.09.2025]

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ლოსევი ა., დუმილი, თ. ჩხენკელის თარგმანი, თბილისი, 1993 [Iosevi a., dumili, t. chkhensk'elis targmani, tbilisi, 1993]
- Alkon P.K., *Origins of Futuristic Fiction*, University of Georgia Press, 2010
- Appleton V., *Tom Swift and His Electric Rifle*, Grosset & Dunlap, 1911
- Attebery B., *Strategies of Fantasy*, Indiana University Press, 1992
- Balmer E., MacHarg W., *The Achievements of Luther Trant: The First Watch*, Boston, 1910.
- Bellamy E., *Looking Backward: 2000-1887*, Boston, 1888
- Bethke B., *Cyberpunk*, *Amazing Stories*, November 1983
- Booker M.K., Thomas A.-M., *Science Fiction Literature through History: An Encyclopedia*, Edited by, Wiley-Blackwell, 2021
- Clute J., Grant J., *The Encyclopedia of Fantasy*, Palgrave Macmillan, 1997
- Dozois G., Editorial, *Isaac Asimov's Science Fiction Magazine*, May 1984.
- Eco U., *I mondi della fantascienza; Sugli specchi e altri saggi*, Milano, 1985
- Feng X., Liu B., *A Historical Study of the British and American Definitions of Science Fiction and Related Controversies*, *Cultures of Science*, Vol. 6, No. 4, 2023.
- Fredericks S.C., *Problems of Fantasy*, *Science Fiction Studies*, Vol. 5, No. 1, 1978
- Freedman C., *Critical Theory and Science Fiction*, Wesleyan University Press, 2000
- Gibson W., *Neuromancer*, Ace Books, 1984
- Heinlein R.A., *On the Writing of Speculative Fiction of Worlds Beyond*, Fantasy Press, 1947.
- Jameson F., *Archaeologies of the Future: The Desire Called Utopia and Other Science Fictions*, 2005
- Koepke Y., *Lessons from Frankenstein: Narrative Myth as Ethical Model*, *Medical Humanities*, Vol. 45, No. 1, 2019
- Mendlesohn F., *Rhetorics of Fantasy*, 2008
- Newton (ed.), *The Origins of Science Fiction*, Oxford University Press, 2022
- Nicholls (ed.), *Encyclopedia of Science Fiction*, Doubleday, 1979
- Roberts A., *The History of Science Fiction*, Palgrave Macmillan, 2016
- Schacter D.L., Addis D. R., *The Cognitive Neuroscience of Constructive Memory: Remembering the Past and Imagining the Future*, *Philosophical Transactions of the Royal Society B: Biological Sciences*, Vol. 362, No. 1481, 2007
- Schacter D.L. *The Future of Memory: Remembering, Imagining, and the Brain*, *Neuron*, Vol. 76, No. 4, 2012, 677–694
- Suvin D., *Metamorphoses of Science Fiction: On the Poetics and History of a Literary Genre*, Yale University Press, 1979

- Suvin D., On What Is and Is Not an SF Narration; With a List of 101 Victorian Books That Should Be Excluded from SF Bibliographies, Science Fiction Studies, Vol. 5, No. 1, 1978.
- Ковтун Е., Поэтика необычайного: Художественные миры фантастики, волшебной сказки, утопии, притчи и мифа, Москва, 1999
- Лотман Ю., О принципах художественной фантастики, Ученые записки Тартуского государственного университета, Труды по знаковым системам (V), 1970
- Тодоров Ц., Введение в фантастическую литературу, перевод Б. Нарумова, Дом интеллектуальной книги, 1999.

Levan Gelashvili*

GENRE MARKERS OF SCIENCE FICTION AND THE EARLY PHASE OF GEORGIAN SCIENCE FICTION

Abstract

This article examines the specificity of the science fiction genre, its theoretical approaches, and its literary-historical context. Particular attention is given to the historical evolution of science fiction and its theoretical perspectives. The study conceptualizes science fiction as a literary phenomenon. It traces the genre's historical development from early mythology and folktales to its contemporary forms, emphasizing the impact of technological progress. The article analyzes various theoretical approaches to the classification and interpretation of fiction, including the scholarly contributions of Umberto Eco, Yuri Lotman, Tzvetan Todorov, and others regarding the theoretical definition of the genre. The discussion highlights the role of writers in anticipating scientific advancements and explores the diversity of subgenres such as fantasy, dystopia, alternative history, cyberpunk, and more. Ultimately, the paper elucidates the function of fiction as an artistic form that not only forecasts the future but also critically engages with the present and constructs alternative realities.

Keywords: Fiction, Fantasy, Science Fiction, Subgenres.

* Researcher at Rustaveli Institute of Georgian Literature of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. <https://orcid.org/0009-0003-1592-5743>